1522
2009

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა და ხელოვნება

N7
7/2009

დირექტორი
თამაზ ჭილაძე

მოადგილე
ნუნუ დუღაშვილი

ტექნიკური
ლეილა მესხი

მხატვრული
ნინო ინჯია

ფოტოგრაფი
მერაბ ბერძენიშვილი

ოსტეოპატი
კნუტ ჰამსუნი

ფოტოგრაფიული
რუსთავი-2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნინო ინჯია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა და ხელოვნება

N7(43)
7/2009
ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
vaja otarashvili
Literature And Art

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, პროექტის ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი მდივანი

დავით კახაბერი

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

ნინო ინჯია

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი მხატვრის ქ. №4
ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.
E-mail: litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com
Web: www.litandart.com.ge

•

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება„ გთავაზობთ რეკლამის განთავსებას ჟურნალის ფურცლებზე.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
ტელ: 31- 70 -47;
მობ: 899 25 60 14;
893 58 95 44;

სარჩევი

3. თამაზ ჭიღაძე - იის სუნელი

ლირიკა, ლოზია

5. ჟანა ოთხვანი - ლექსები
7. ლეილა მესხი - მგალობელთა გუნდი
20. ბელა შაღვაშვილი - ლექსები
23. ზუსან ჯოხაძიძე - მგზიარი
26. სოსო მეშველიანი - ლექსები
28. გელა მამულაშვილი - იასამნის ტევრი
31. ანი მაისურაძე - ლექსები

ოსურგმანი

33. ჟენუ ჰამსუნი - ვიქტორია. *ჩომანი*
(თარგმნა ოლიჯო ჟლენტმა)

ესსეისტიკა

40. ზაირა ახსენიშვილი - ჯენჭები (დასასრული)

ეროვნული

50. ზააღ ბოტკოველი - მოზარე საქართველოსა

ეროვნული

52. ნუნუ ბაღავაძე - გიორგი ყიფიანის პოეზია

ხელოვნა

57. ნოდარ შანიძე - ჯანსაღი ავადმყოფი

მუსიკა

69. თამარ მესხი - ნუნუ ღუღაშვილი

თეატრი

75. ნათელა არველაძე - ჯერეტიოსის მონოლოგი

ლიტერატურა

78. ქეთევან ჯანელიძე - ჩუსთავი-2

ეროვნული

84. მოისეი ჯაგანი - მერაბ ბერძენიშვილი – 80

მხატვრობა

84.ნინო ნეტერიშვილი - ანგელოზები ქაოსში

ეროვნული ბიბლიოთეკა

„როგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზელა!"

რაფიელ ერისთავი

საკონსულტაციო საბჭო:

ფასუა აბრამიძე, ზაჩარია ბერეკაძე,
მერაბ ბერძენიშვილი, მაყვალა გოხაშვილი,
ნათელა ურუშაძე, ზურაბ ქათალიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი,
ოლიკო ყლიჩიშვილი, თამაზ ჩხეიძე, გიორგი ფრონაძე.

გამომცემლობა „**ეროვნული მწერლობა**" იღებს შეკვეთებს
პოლიგრაფიული პროდუქციის ბეჭდვაზე (წიგნები მაგარი
და რბილი ყდით — ფერადი და შავ-თეთრი; ჟურნალები;
სარეკლამო ბუკლეტები და სხვა), დაზიანებული
წიგნების აღდგენაზე

მისამართი: მხატვრის ქ. 4
ტელეფონები: 32-73-62; 31-70-47
E.male. litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება" არც ერთ
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე

ᲘᲘᲡ ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲘ

ამ ლექსების ავტორს რვეულისთვის მისამართიც კი არ მიუწერია. მის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ მასწავლებელია და ოჩამჩირეში ცხოვრობს, თუ, რა თქმა უნდა, ისიც ამჟამად ლტოლვილი არ არის...

წელიწადნახევარზე მეტია, რვეული ჩემს უჯრაში დევს და მეც ველოდები, როდის მოაკითხავს პატრონი. მაგრამ ახლა, როცა მისი გამოჩენის ყოველგვარი იმედი გადამეწურა, გადავწყვიტე გამოვაქვეყნო ეს წრფელი ლექსები, იქნებ ასე მაინც მივაწვდინო ხმა მათ ავტორს და მასთან ერთად აფხაზეთში ყველა ჩვენიანს ვუთხრა „მათი გულების მსგავსად რომ ᲪᲔᲗᲥᲐᲕᲔᲜ ჩვენი გულებიც“...

იმედია, ღმერთი მაპატიებს, ავტორის უნებართვოდ რომ ვაქვეყნებ ამ ლექსებს, მაგრამ, რატომღაც მგონია, სწორად ვიქცევი, მით უმეტეს დღეს, როცა საქართველოს ამ უძვირფასეს კუთხეში უბედურება ტრიალებს. აფხაზეთი ჩვენთვის მარტო ქართული მიწის ნაწილი კი არა — სულის მდგომარეობაა. „აფხაზეთის წვიმა მიყვარს-ო, თქვა გალაკტიონ ტაბიძემ და არ მეგულება ქართველი ადამიანი, ისიც კი, ვინც აფხაზეთში ერთხელაც არ ყოფილა, ამ ფრაზამ უცნაური ნეტარება არ მოჰგვაროს.

ეს, ერთი შეხედვით, წყნარი და მოკრძალებული ლექსები ფარული დრამატიზმითაა ᲒᲐᲛᲣᲮᲢᲣᲚᲘ. მოულოდნელად მათი წიაღიდან ამოსხლტება ხოლმე ნათელხილვასავით სულისშემძვრელი ფრაზა: „ცა მსხვერპლი გახდა მერე ყაჩაღთა“! რა არის ეს, თუ არა იმ იდუმალი ძალის ნიშანი, რასაც პოეზიას ვეძახით?..

რატომღაც მგონია, რომ უამლექსებოდ თითოეული ჩვენგანის სულს რაღაც დააკლდება, თუნდაც „მწველი სევდის უხმო წვეთი“...

ეს ლექსები, ტრადიციული ტერმინოლოგიით, ინტიმურ ლირიკას განეკუთვნება და, ამავე დროს, სწორედ ეს ლექსები ერთხელ კიდევ ცხადყოფს ტრადიციულ ტერმინოლოგიის უზუსტობას — ლირიკა არ შეიძლება დაიყოს „ინტიმურად“ და „სამოქალაქოდ“, ლირიკა თუ ინტიმური არ არის, არ ვარგა, ხოლო კარგი, ანუ ნამდვილი ლირიკა — უსათუოდ სამოქალაქოცაა!

ლირიკის მოთხოვნილება, ლირიზმი ყველა ადამიანის სულშია ღმერთისგან ჩანათებული. ზოგჯერ ის ზედაპირზე დევს, უმთავრესად კი თვალჩაუწვდომ სიღრმეებშია დანთქმული და ის, ვინც სიღრმეებიდან მის ამოტანას ცდილობს — არა აქვს მნიშვნელობა, აღწევს თუ არა მიზანს — პოეტია, დღესდღეისად ყველასგან დავიწყებული, მაგრამ, დე, ნურავის ეწყინება, ყველასთვის გაცილებით უფრო საჭირო, ვიდრე სხვა, ნებისმიერი პროფესიის ადამიანი. რაც უნდა დიდი წინააღმდეგობა გავუწიოთ და ნარკოტიკად ქცეული ინფორმაციის ცვილით ამოვიგლისოთ ყურები, ჩვენს არსებამდე მაინც აღწევს ჭეშმარიტი პოეზიის ხმა, რომანტიკულ სანაპიროზე რომ გვიხმობს და სანამ ეს ხმა გვესმის, ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ არის...

მე იმედი მაქვს, საქართველო ისევ მიუბრუნდება პოეზიას. ბუნებით შემოქმედ ხალხს დიდხანს დუმილი არ შეუძლია...

აი, ეს ზემოთ მოყვანილი პატარა წერილი და ჟანა ოთხვანის რვა ლექსი, ანუ ყველა, რაც იმ რვეულში იყო, გამოვაქვეყნე „ლიტერატურულ საქართველოში“, 1993 წლის 5 თებერვლის ნომერში. გაიარა კიდევ რამდენიმე ხანმა, მგონი, მთელმა წელმაც და ჟანაც გამოჩნდა. ოჩამჩირიდან ლტოლვილს, სვანეთში წაუკითხავს გაზეთის ის ნომერი...

მერე მისი ლექსები რამდენჯერმე გამოქვეყნდა „მნათობში“, „ლიტერატურულ საქართველოში“, დაიბეჭდა მისი საინტერესო გამოკვლევა ქართულ სიმბოლიზმზე, აგრეთვე შესანიშნავი ესე კოლაუ ნადირაძის ცნობილ ლექსზე, საქართველოში რუსული წითელი ურდოს შემოჭრას რომ ეძღვნებოდა და რომლის შედეგიც, ბევრ სხვა უბედურებასთან ერთად, აფხაზეთის ტრაგედიაც იყო...

ჩვენმა ლიტერატურულმა საზოგადოებამ თანდათანობით შეაჩვია ყური მის სახელს, მაგრამ, მგონი არ იცის, თუნდაც ჩვენს მწერლობაში ამჟამად გამეფებული სრული განუკითხაობის გამო, რომ ჟანა ოთხვანის სახით, ერთ-ერთი საუკეთესო პოეტი ჰყავს, რომელმაც ჩვენს თანამედროვე ლიტერატურაში მეტად საინტერესო სამყარო შემოიტანა.

ოჩამჩირიდან ლტოლვილი, ჩვენი დებისა და ძმების მიერ „გოლგოთის გზად“ მონათლული ჭუბერის უღელტეხილით სვანეთში გადასულა. ცოტა ხანს მშობლიურ ბუდეში მოუთქვამს სული. ჭრილობები, დაუნდობელმა დრომ სულზე რომ დაამჩნია, თითქოს მოშუშებია, თუკი საერთოდ შესაძლებელია ასეთი ჭრილობების მოშუშება, მაგრამ სამაგიეროდ, მისი საკუთარი, ფიქრითა და ოცნებით შემოზღუდული გალაქტიკა ტკივილს გაუთანგავს, რაც უკიდურესი სიცხადით გამჟღავნდა კიდეც მის ლექსებში, ანუ ტკივილის ტკივილად — სასოწარკვეთადაც მოგვევლინა.

პირველივე ლექსები, რომლებიც ჟანას დაბრუნების შემდეგ წავიკითხე, თითქოს მისი არსების შებრუნებულ პროექციას ამხელდა, თქვენ წარმოიდგინეთ, მიუხედავად ავტორის სურვილისა. საიდუმლოს შესანახად ლექსი ნამდვილად არ გამოდგება, უსათუოდ გაგთქვამს, „გიღალატებს“, შენს ტკივილს საქვეყნოდ გამოააშკარავებს. მისი ახალი ლექსები გარესამყაროსადმი ავტორის აშკარად შეცვლილ, გამკაცრებულ, უფრო მეტიც — დანასავით წამახვილებულ დამოკიდებულებაზე მეტყველებდ-

26675
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთ

ნენ, რაც, ამავე დროს, ძალზე ბუნებრივად ჟღერდა, რამდენადაც ამქვეყნად, თუნდაც, გასაძლებად აუცილებელი, სინამდვილესთან ჰარმონიული წონასწორობის დაკარგვის შედეგი იყო. სწორედ რეალური გარემო მოერღვა, ჩამოექცა უცებ, როგორც მიწისძვრის დროს — ჯებირი, რომელიც თითოეულ ჩვენგანს არსებობის საზღვარზე, თითქოს უფსკრულის პირას, გვიცავს გაურკვეველ უსაზღვროებისგან.

„მე მორიგი მსხვერპლი ვარ მხოლოდ
იმ დაუნდობელ სინამდვილის, რომელშიც ვცხოვრობ“,-ო,

ეს სიტყვები ერთ-ერთი იმ პირველი ლექსიდანაა, რომელიც საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად ქცეულმა გამოაქვეყნა. სასოწარკვეთამ ათქმევინა ეს, თუ ამ აზრმა მიიყვანა სასოწარკვეთამდე? ასე იყო თუ ისე, პოეტი საკუთარი სულის, საკნად ქცეული მღვიმის პატიმარი აღმოჩნდა, სადაც „თეთრ სიჩუმეში“ სტალაგმიტივით ამოიზარდა მეტაფორად ქცეული ყინულის სიტყვა — სასოწარკვეთა! და ერთგვარად მომზადდა კიდეც ნიადაგი „განდევნისა და ანათემის ღირს“ სატანასთან შესახვედრად: იგრძნო კიდეც მისი ხაოიანი ხელის შეხება, როცა სატანამ მისი ერთგვარი გამოცდაც კი დააპირა, რაც, მოგეხსენებათ, სატანის საყვარელი საქმიანობაა.

სწორედ სასოწარკვეთა იყო იმ სიმარტოვის მიზეზი, რითაც ჩვენი პოეტი, თითქოს უნებურადაც კი, შეუერთდა სიმარტოვის ძელზე გაკრულ, ანუ საკუთარი ნებით დასჯილ პოეტების უგრძეს მწკრივს, თუმცა, რასაკვირველია, არაფრით არ დამსგავსებია მათ, გარდა... ტკივილისა. არც ერთი სიმარტოვე სხვას არა ჰგავს და, ამავე დროს, სწორედ საკუთარი, განუმეორებელი სიმარტოვეა პოეტურობის საფუძველიც და სტიმულიც.

მან ბევრი რამ ისწავლა თავისი სიმარტოვიდან, ბევრი რამ მოისმინა და შეითვისა „მარადიული ფერადი დუმილისგან“. თარგმნა კიდეც ჩვენთვის გასაგებ ენაზე ეს დუმილი. ისევე, როგორც გულის ხმა მხოლოდ გარკვეული სამედიცინო აპარატების საშუალებით გვესმის, ასევეა სიჩუმეც — ის მხოლოდ ლექსის საშუალებით იდგამს ენას. ლექსში ჩვენ ვხვდებით უნიღბო სიჩუმეს და ვრწმუნდებით კიდეც, როგორი მეტყველია იგი.

„მიგასვენებენ და პროცესია უხმო
უცრემლო მიჰყვება გზისპირს
მოგასვენებენ — ქვითინის ნაცვლად
ზურნა-დუდუკის ჭყვიტინი ისმის
მიგასვენებენ — მიიმდოვრება თეთრი
სიბნელით მთვრალი მდინარე
ძიგასვენებენ — არავინ იცის
ვინ იმარხება მკვდარი ვინ არის
მოგასვენებენ — სადღაც სიზმარში
დაბზარულ გოდოლს გააქვს ზანზარი
ღრეობს ხარხარებს ზეობს ზეიმობს
ამაოების ჭრელი ბაზარი
მიგასვენებენ — მზე დახვრეტილი უღონო
ციდან მკვდარ სხივებს ისვრის უფსკრულის
გვერდით ბრმა პროცესია ცეკვა-სიმღერით
მიჰყვება გზისპირს.
მიგასვენებენ“.

ვის ცხედარს მიასვენებენ, ვის კუბოს მიჰყვება ჩვენი, ქარისგან გაწეწილი, თავზარდაცემული და, ამდენად, უმწეო არსება?

კიდევ რა საიდუმლოს გვიმხელს თითქოს იერონიმ ბოსხის სურათიდან ასხლეტილი, ლექსად ქცეული სიჩუმე?..

ყოველ შემთხვევაში, ეს არის ერთგვარი გაფრთხილება — საკუთარი ღირსების ცხედარს არ გავყვეთ ასე ცეკვა-სიმღერით. ყველა შემოქმედის წინ არის დაგებული მახე — სატანას ათასნაირი სახე აქვს!

და აი, ამ, ერთი შეხედვით, სანთლის ალივით უმწეო გოგომ დაამტკიცა, რომ ღმერთის შვილობილია, როცა შესძლო თითქმის შეუძლებელი რამ — სასოწარკვეთა ლექსად გარდაექმნა, ანუ „დაუნდობელ სინამდვილეში“ შეინარჩუნა რწმენა სიკეთისა. თუმცა, ამ დაპირისპირების დროს მთლად მარტო არ ყოფილა — მისი გადამრჩენი მისივე ხალხის გაუტეხელი ბუნება, უკვდავი გენეტიკური კოდი აღმოჩნდა.

ჟანა სვანეთის, ჩვენი, მართლაც რომ, უძვირფასესი კუთხის შვილია. „შვილი ვარ ამ მთების“! — ხედავთ, რამოდენა სიამაყეა ამ სიტყვებში! არა, მას ადვილად ვერ გასტეხ, ვერ მოერევი, მისი ჯავშანი „ჭაღარა, მშობლიური მთების სინათლეა“.

„ჭაღარა მთები“ — რა უსაზღვრო, მეტყველი სივრცეა მოქცეული ამ მეტაფორაში! მეტაფორა ამსხვრევს, ცვლის ჩვენს ტრადიციულ წარმოდგენას საგანზე, მოვლენაზე, რამდენადაც ქმნის ახალ სინამდვილეს, ახალ საგანს, ახალ მოვლენას. არა მარტო გვჯერა, რომ დაბინდული ქლიავის ფერი ჩვენი სამშობლოს მთებია, არამედ სწორედ ეს, დიდი პოეტის მიერ „სხვა თვალზე დანახული“ წამიერი სურათი ჩვენს უძვირფასეს ხატად იქცა.

რადგან მთებზე მიდგა საქმე ჩვენს, მართლაც რომ, პოეტური და იდუმალებით სავსე მთების ქვეყანაში, მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ სვანეთის მთები, რომლებიც ჟანას „უსასრულო სიცოცხლედ“ აღუქვამს.

მე არ ვყოფილვარ სვანეთში, რაც დღემდე ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, ოღონდ, უცნაურია — მესიზმრება ხოლმე, ვხედავ სვანეთის პეიზაჟებს, სამოთხის დეკორაციებივით გადმოტანილს არამარტო ჩემს სიზმრებში, არამედ ჩვენს სინამდვილეშიც. რატომღაც მგონია, საქართველოს რომელი კუთხიდანაც არ უნდა ვიყოთ, სულის სიღრმეში ცოტ-ცოტა ყველანი სვანები ვართ, ყველაშია თითქოს ერთნაირად გადანაწილებული უშბას სიამაყე, „ლილეს“ ხავერდოვნება და „ლემის“ შეუპოვრობა. დააკვირდით, სვანური ცეკვა, სვანური ფერხული კედელსა ჰგავს — ქვეყნის გარშემო შემოვლებულ, ატორტმანებულ ცოცხალ გალავანს, რომელშიაც თითოეული მოცეკვავე მეციხოვნესავით არის ჩამდგარი. სვანი ცეკვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროსაც კი, თუნდაც გაუაზრებლად, დარწმუნებულია, რომ სამშობლოს იცავს.

„ვმოძღვრავდი ჩემს თავს:
„სულელი ნუ ხარ!“
და აი, სიბრძნეც, მეფეო დავით,
თურმე, ვისაც კი სალამი ვუთხარ —
ჩემი ბატონი ეგონა თავი!

მე დამარცხებულ სამშობლოს ვწუხვარ,
მწუხრს გაუშლია დროშები შავი,
ჩვენს სახლთა ხანძარს, ვითარცა ბუხარს,
მიჰფიცხებია ვიღაცა, დავით!

ნუთუ პასუხი არ უნდა გავცეთ,
როცა მუქარით ეშმაკნი ყეფენ?
ვითხარი სიტყვა, ღვთის სიტყვის მსგავსი
და გაგვინათე გზა ხსნისა, მეფევ!“

არა, ეს დაუნდობელი სინამდვილის მსხვერპლის ამონაკვნესი არ გახლავთ, არც „სასოწარკვეთის უფსკრულიდანაა“ ამოძახილი, ეს სვანური „კედლის“ მეციხოვნის ხმაა!..

დღეს ჟანა სხვა ლტოლვილებთან ერთად და მათ მსგავსად ცხოვრობს, მაგრამ სადაც ის არის, იქვე მისი საქართველოა, შექმნილი მისივე ოცნებით, სიზმრებით, ხილვებით, წარმოდგენებით, თუნდაც „თვალს შეყინული ცრემლით“...

მას უკვე ჰყავს თავისი მკითხველები. დარწმუნებული ვარ მათი რიცხვი დღითი დღე ვაიზრდება. ეს კი ერთადერთი სიხარულია იმ უამრავი ტკივილის ფასად, რაც განგებამ პოეტისთვის არ დაიშურა, მაგრამ, დამერწმუნეთ, მრავალ ამქვეყნიურ სიხარულს გადაწონის იგი...

ჟანა თოხვანი

ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ᲒᲕᲘᲮᲡᲔᲜᲘ!

მტერმა აჩეხა ბაღიც, ვენახიც,
ღმერთო, დიადო, ნუ მიგვატოვებ,
ჩვენი პატრონი მხოლოდ შენა ხარ,
მხოლოდ შენა ხარ ჩვენი ბატონი.
გზანი დავკარგეთ თამარისანი —
სამეგობრონი, განა სამტრონი,
მზე აღარ გვათბობს თავისუფლების,
ღრუბელნი დიან დღეს საავდრონი.
იავარქმნილი, აოხრებული
კუთხე დავკარგეთ და მივატოვეთ, —
ნუ მიგვატოვებ მაინც, უფალო,
მამულში მტერს ნუ გაგვიბატონებ!

ᲰᲐᲛᲚᲔᲢᲘ

მთვარით —უმწარეს ღვინით —
გადამთვრალს,
ცით — შეღამების ფერით — გალეშილს,
შესცივდა — თითქოს ლხინი დამთავრდა
ბედნიერების ნათელ მხარეში.
ან ცის საუნჯე ვინმემ გაძარცვა,
სხივთა საუნჯე, უბნელეს ხელით...
და... ოფელიას — გამქრალ პატარძალს —
პრინცი ნაპირზე ამაოდ ელის...

ᲐᲜᲐᲠᲔᲙᲚᲘ

ბილიკს მივყვები, სავსეს ნარ-ეკლით, —
ციცაბო კლდეზე რა ძალა მიცავს? —
ეს არც მთვარეა — მზის ანარეკლი,
არც მზე — ბრწყინვალე ხატება ღვთისა...
შორს, საოცარი სანახებისკენ,
ალმასდაფრქვეულ ბალახებისკენ,
ცოცხალი სიტყვით, ცოცხალი შუქით
ცივი წყვდიადის დამარცხებისკენ —
მთვარეულივით მივემართები...
რაღაც მინათებს გზას ნარ-ეკლიანს...
ღმერთია ყველგან, და ეს ნათელიც —
ცოცხალი შუქის ანარეკლია...

ᲤᲔᲠᲤᲚᲘ

ჩვენ თითქოს აღარ ვარსებობთ არსად...
მხოლოდ ქარია და ქარში ძეწნა...
ვერ მივაგენით სინათლის კვალსაც
აქ, სხივჩამქრალი სიზმრების ქვეყნად...
სულ ამაოა სიტყვების ძებნა, —

ისინი ჩუმი ფერფლივით ცვივა
აქ, ნახანძრალი ოცნების ქვეყნად,
სად თვალხილულნიც ბრმებივით
მივალთ...

თქვენს გამო

ხანდახან ფიქრით სხვა სივრცისკენ
მივემართები,
უსასრულობას აცისკროვნებს ცრემლი
პაწია,
ბედნიერი ვარ მარადიულ სხივთა ნათებით
და უცისფრესი ვარსკვლავები — ჩემი
განძია.

უბედური ვარ მაშინ, როცა არავინ
მიყვარს, —
ფრთამოტეხილი ვერც დაფრინავს ჩიტი,
ვერც გალობს...
მდევნის სატანა, — სურს, გამრიყოს
სამყაროს მიღმა,
მე კი... ყველა და ყველაფერი მიყვარს —
თქვენს გამო!

ბედის წიგნი

მე არ ვიცი, ბედისწერა გერქვა
თუ — „უთქმელი, უცნაური ღმერთი...”
ბენვის ხიდზე დავდიოდით ერთად,
ეხილავი, დამყვებოდი გვერდით.

წყალობასაც, სიმკაცრესაც ერთგვარს
თოვდი, როცა ჩემს ბედის წიგნს წერდი:
„დაებედოს, — თითქოს ასე გეთქვას, —
სიმართლისთვის განდეგილთა ხვედრი!...”

სიყვარულით ვპასუხობ...

მტრებო, მე თქვენს სიძულვილს
სიყვარულით ვპასუხობ! —
ვცდილობ, თქვენზე წუწუნით
ღმერთი არ შევაწუხო!

რასაც თქვენ იწყევლებით,
მე ვილოცებ ორ იმდენს, —
იქნებ გამოიდაროს,
გაზაფხული მოვიდეს!

მიწა ჩემი — ედემი —
დროშებს ფრთებად თუ გაშლის,
მეც არ ჩავიკეტები
მარად მწუხარებაში!

არ ღირს, მტრებზე ჩივილით
ღმერთი რომ შევაწუხო! —
ჰოდა, მე მათ სიძულვილს
სიყვარულით ვპასუხობ!

წამით

დაისადგურებ სულში ბინდ-ბუნდად,
წყნარად აანთებ მბრწყინავ
ვარსკვლავებს...
სიცოცხლეს, შუქად რომ დაგვიბრუნდა,
კრიალოსნებად წლები მარცვლავენ...

იქნებ, სამყაროს ისევ ვეზმანეთ, —
ცისკრის ვარსკვლავის ლურჯ მირაჟს
ვენდეთ, —
და... ისევ წამით შევხვდით ერთმანეთს,
ათასწლიანი დუმილის შემდეგ?..

გაროზგილი ქვეყანა

დუმილს – ლაჩრობა,
როზგის ურცხვად ატანა ჰქვია,
როცა სიცოცხლე,
ღვთის სახელით,
სატანას მიაქვს!

ფოლადის მზერით,
რკინის ხელით,
ცეცხლის მათრახით
გამოგვეცხადა
გოლიათის ლანდი ახმახი,
მორეკა ხალხი
საქართველოს ყოველი კუთხით,
და როცა დაგვცა,
შეგვიცვალა მათრახი — ფურთხით...

ბინძური მზერით,
ბინძურ სულით,
ბინძურ განზრახვით
ხვალ —
სხვებს მორეკავს სამსხვერპლოზე
ლანდი ახმახი!..

დღეს საქართველოს
გაროზგილი ქვეყანა ჰქვია:
სიცოცხლე,
ღვთისგან ნაჩუქარი,
სატანას მიაქვს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეძღვნება ქართველი ერის სულიერ მამას, უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს

ილია მეორეს

ილია მეორე

მგალობელთა გუნდი

სულ შვიდნი იყვნენ, მგალობლები...

ავჭალაში, მტკვრის პირას, მწვანედ დაფენილ ეზოში, წითელი აგურით ნაშენებ და კრამიტით დახურულ, ჯვარგუმბათოვან ეკლესიაში გალობდნენ ისინი.

ახლო მეგობრის, ყოფილი თანაგუნდელის დასაფლავებაზე მიდიოდნენ: მანქანაში ოთხნი ისხდნენ, დანარჩენი ორი ადგილზე დარჩა... დაიძინა და ვერ გამოიღვიძა მეხუთემ; უჩუმრად, მდინარის გაღმა ნაპირზე გააბიჯა, იმქვეყნიურ სამყოფელში გადავიდა, წინაპართა დიდ სოფელში დაივანა...

ნატახტარს ზემოთ, მისაქციელში უნდა დაეკრძალათ. ავჭალიდან იქამდე რა მანძილი იყო, ერთი გაქროლება და, მორჩა, მისულნი იყვნენ. ძველ სასაფლაოზე დაკრძალეს, ახლობლებთან ახლოს გაუთხარეს საფლავი. ქელეხში დალიეს. ოდნავ შეზარხოშდნენ კიდეც. ღვინის ძალა მოგვიანებით იგრძნეს. სუფრიდან აშლილნი, სათითაოდ რომ ჩალაგდნენ თეთრ „ნოლ-შვიდში". მანქანა ძველი იყო, ნაკლებ ლაზათიანი, მაგრამ ძრავა ჰქონდა გამწევი, მტკიცე და ბობოქარი.

მოქუფრული ამინდი იდგა. წვიმაც ცრიდა წვრილ-წვრილად. როგორც კი მიცვალებული გამოასვენეს და სასაფლაოსკენ მიმავალ აღმართს შეჰყვნენ, უმალ გამოიდარა. ცა გადანათდა. ქარმაც დაქროლა. შავ-შავი ღრუბლები ნაჩქარევად გადარეკა, სივრცე გაახალვათა. ის იყო დაასაფლავეს, მიწა მიაყარეს... (ნათელში მისი სული!) ისეთმა ჩახჩახა მზემ გამოიხედა, ისე ერთბაშად გადანათდა სივრცე, გალამაზდა სამყარო, გაოცდებოდი.

უკვე საღამოვდებოდა, მზე ჩასასვლელად ემზადებოდა... „გული წმიდაჲ დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა" — ჩურჩულებდა ლომკაცა. საჭეს უჯდა. დინჯად მართავდა.

გრძელ, გამჭოლ გზას გუგუნით მოჰყვებოდნენ. ჯერაც არ შებინდებულიყო, რა მანძილი იყო ავჭალამდე. ერთი გაქროლება და, მისულები იყვნენ, მაგრამ... მცხეთასთან მიახლოებისას, უკან მსხდომთ მოხედა გოგიამ და სხვათა შორის იკითხა: „ცოტა ხანს ხომ არ ჩავუჯდეთ..." ჩატკბობა-ჩაჟუჟუნება სურდა, ეწადა. არც სხვები იყვნენ უარს.

საჭეს ლომკაცა უჯდა „მხარბეჭიანი" (ასე ეძახდნენ!) ორმოც წელს მიტანებული. უცოლო. უდროოდ გაჭაღარავებული. მგალობელთა გუნდის წამყვანი სოლისტი, ძველისძველი საგალობლების უბადლოდ მცოდნე. მის ნამღერალ-ნაგალობებში იმგვარი სევდა ერია, გულგრილად ვერ მოუსმენდი. სუფთა, კამკამა ხმა ჰქონდა. ამ ხმას ყველასგან გამოარჩევდი. ძველი საგალობელები ხომ იცოდა, სულ ახლები, პატრიარქის, ილია II-ის მადლმოსილი საგალობლებიც შეისწავლა, შეითვისა... უმშვენიერესი საგალობლები იყო, უფლისადმი მოწიწებას და მოყვასისადმი თანადგომას ქადაგებდა...

ცოტა უცნაური სიმღერა იცოდა ლომკაცამ. ოდნავ გვერდზე მოქცეოდა კისერი. თვალდახუჭული მღეროდა. თითქოს საკუთარ ხმას თუ სხვათა გალობას აყურადებდა. სახეზე ფერი არ ედო, ლამის დნებოდა კაცი... გურგენა-ოქრომჭედელს ბიძაშვილად მოხვდებოდა. ჯვრების, ჯაჭვების, საეკლესიო ნივთების (ვერცხლის ბარძიმის, ხომლის, სასანთლეების) შემქმნელსა და გამომჭედ გურგენას ახლო ნათესავი იყო, ობლად გაზრდილი ბიჭი (დედა მის დაბადებას

გადაჰყოლოდა), მამა კიდევ, რუსეთში გადიკარგა, მგონი არც იყო ცოცხალი... სად მოკვდა, სად დაასაფლავეს, ვერ გაარკვია ვაჟმა, არადა, დარდობდა... თურმე ერთმანეთს ვერ დააშორეს დედა-შვილი. ბოლოს, შვილი გადარჩა და დედა შეეწირა... სუსტსა და უძალო ყმაწვილს, განშორების კვალი სამუდამოდ შერჩა — ცალი მხარე, ძლიერი და ახოვანი ჰქონდა, ხოლო მეორე — მჭლე, უძალო. ბუნებას თითქოს ეცუღლუტა, ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ადამიანი (ნახევარ-ნახევარი) მთლიანობად ექცია... თუმცა, არც გონი ჰკლებია და არც მიხვედრა, საოცარი ხმა ჰქონდა, მანქანასაც მარჯვედ მართავდა. (მანქანა გოგიას ეკუთვნოდა) ახლაც, გვერდით ეჯდა... ბოლო დროს საჭეს არ ეკარებოდა გოგია, მხედველობას უჩიოდა.

გოგიას ავტოფარეხთან ახლოს ცალკე სათავსო მოაშენეს გურგენამ და ლომკაცამ. ერთ კუთხეში ეკლესიისთვის თაფლის სანთელს ამზადებდა ლომკაცა. სანთლებად, კელაპტრებად ქნიდა. მერე ჭრიდა და ყუთში აწყობდა. ავჭალის ეკლესიის მსახური იყო...

ლომკაცას უკან გოგიტა იჯდა. იმერელი, ხონიდან. გვარად ეძგვერაძე. ოცი წელი უზარმაზარ „კამაზს" მართავდა, აღმა-დაღმა დაარიხინებდა, მშენებლობაზე — ქვიშას, ცემენტს, ბლოკებს ეზიდებოდა. გადაჰქონდა და გადმოჰქონდა. დაუზარელი კაცი იყო, მშრომელი. ცოტას ლაპარაკობდა, უმეტესად სდუმდა. უიღბლოს, ერთადერთი ვაჟი (დიაბეტის მწვავე ფორმით) გარდაეცვალა. ეხვეწა ექიმს, ჩემი თირკმელი გადაუნერგე, ეგებ გადამირჩეს შვილიო, მაგრამ დაიწუნა ექიმმა... და მოეშვა კაცი, გაუბედურდა... ერთ დღეს რომ გაიღვიძა, ფეხზე ველარ დადგა, თითქოს მუხლები გადაეხერხათ. ერთ ადგილას იწყო ბუქნაობა, ნაბიჯს ვერ დგამდა წინ, მუხლები ჩაეკეტა და სიარული გაუძნელდა. მანამდეც გრძნობდა ტკივილს, მძღოლად მუშაობის დროს, (მთელი დღე საჭის ტრიალი, ერთ ადგილზე ჯდომა იწვევს ამგვარ გართულებებს). შვილის სიკვდილის შემდეგ ტკივილი კიდევ უფრო გაუმძაფრდა. მწუხარებასთან ერთად ავადმყოფობამაც დარია ხელი. ჰოდა, სამი თვე არ გამოჩენილა, მეოთხე ! ართულიდან ძირს არ ჩამოსულა, ზამთარი იყო, თოვლი იდო ეზოში. დიდად არ უძებნიათ მეზობლებს. ყველას თავისი თავი გასჭირვებოდა. მერე ვილაცამ იკითხა. მოიძიეს. კარზეც მიადგნენ. ძალისძალად ჩამოიყვანეს ძირს. „მუხლი თუ არ გაავარჯიშე, უარესი დაგემართებაო", უთხრეს, თუმცა! ამაზე უარესი რაღა უნდა დამართნოდა. ადამიანებთან სიახლოვე, მათთან ჯდომა ესიამოვნა კაცს. გაერთო კიდეც... შეცვლილი ჩანდა გოგიტა. თმაგათეთრებული, ბეჭებში მოხრილი, ერთბაშად დაბერებულიყო...

გოგიას ფარეხში მცირე სუფრას უსხდნენ. მერე პურობა რომ მოათავეს, კვლავ სკამზე დასვეს და გოგიტა ყეენივით გაყინჩული ააბრჭანეს ზემოთ. ერთხელ... მეორედ... თავად განაცხადა, ბინა უნდა გავცვალო და ქვევით ჩამოვიდეო. არც ცოლს უთქვამს უარი. მსურველიც გამოჩდა, სამოთახიან ბინას, ორიანში უცვლიდა. რატომ იტყოდნენ უარს. ცოტა თანხაც დაამატა მყიდველმა და პირველ სართულზე თავადვე ჩამოაბრძანა.

ცოლი იყო და, საბრალო ქალი, თითქოს არ იყო ამ ქვეყანაზე. ერთადერთი შვილის სიკვდილმა ამქვეყნიური სიხარული დაავიწყდა. ლამის გონი დაკარგა... შვილის საფლავზეც არ დადიოდა... მგონი არც ახსოვდა. ყოველ დილით დგებოდა, სულის მოსახსენებელ ლოცვებს წაიკითხავდა, სანთლებს აანთებდა. მერე შავადშემოსილი, მგლოვიარე დედა ავტობუსში ჯდებოდა და... მცხეთაში, წმინდა ნინოს დედათა მონასტერში მიდიოდა. მთელი დღე იქ იყო, საფლავებს უვლიდა; ფოთლებს, ქაღალდს, ძეძვს აგროვებდა, ეზოს გარეთ გაჰქონდა და წვავდა. ყოველივეს, თავისი სურვილით აკეთებდა, მამა გაბრიელის საფლავს უტრიალებდა, სანთლებს უნთებდა, ლოცულობდა... დაბნელდებოდა და, შინ ბრუნდებოდა. მხოლოდ კარებში შემოსვლისას მოდიოდა გონს... ჩურჩულს იწყებდა, მგონი ქმარს ებოდიშებოდა.

ერთი-ორჯერ კაცებმა ძალისძალად რომ ჩაიყვანეს გოგიტა ეზოში და უკან ნასვამი დააბრუნეს, არც ამისთვის მიუცია ქალს დიდი მნიშვნელობა, მისთვის ყველაფერი სულერთი იყო... ღამით, დაწოლის წინ, კაცს თბილ წყალში ბანდა ფეხს. მამა გაბრიელის საფლავიდან წამოღებული ზეთით მუხლებს უზელდა. სიამოვნებდა გოგიტას, მიძინებული სისხლძარღვები თითქოს გაცოცხლებას იწყებდნენ... ხეიბარ კაცს სკამიც შეუკრეს მეგობრებმა. სახელურიანი, ნახევრად რბილი სავარძელი. ხელს წაავლებდნენ და ციმციმ აიტაცებდნენ. რკინის საყრდენით გაამაგრა გურგენამ, მყარად რომ ეგრძნო თავი.

ერთ დღეს, ალალბედად წამოცდა გოგიტას: „ხონის წმინდა გიორგის ეკლესიაში არც მამაჩემს შეუდგამს ფეხი და არც მე... გვიკრძალავდნენ. არადა, პაპაჩემი ეკლესიის მნათე იყო. მგალობელთა გუნდში მღეროდა... ისეთი ხმა ჰქონდა, მთელ დაბას ესმოდა... ახლაც ჩამესმის მისი ხმა"... ეს თქვა და ჩაჩუმდა... რაც თქვა, საკმარისი აღმოჩდა, მეორე დღეს, ფეხებგაშეშებული კაცი, სავარძლიანად მანქანაში ჩაისვეს და ავჭალის ეკლესიაში წაიყვანეს. ადგილიც შეურჩიეს. შუა გალობისას, ხმებმა რომ იმატა, მოეჩვენათ, თუ მართლა, ეს გამხდარ-გაცრეცილი კაცი ერთბაშად ამღერდა. მათთან ერთად გალობდა: „ნათლისა მომცემელო და საუკუნეთა შემოქმედო უფალო, ნათელსა მცნებათა შენთასა დამამტკიცენ ჩვენ, რამეთუ ჩვენ შენსა გარეშე სახიერ, სხვა ღმერთი არ ვიცით". ტკბილხმებით გალობდნენ. სკამის სახელურს დაყრდნობილი, მშვიდი და გაწონასწორებული ჩანდა გოგიტა. და დარჩა ასე... უკეთეს ადგილს სად იპოვიდა...

* * *

ორი მათგანი ხომ გაგაცანი, მკითხველო,

სათითაოდ წარმოგიდგინე. მათ გალობაზე არაფერი მითქვამს, არც ჩაგუდულ ბანზე...

ჰო, ჩაგუდულმა ბანმა გამახსენა. ყველას უფროსი და გადამძღოლი — მთიელი კაცი, გოგია წიკლაური გახლდათ (არაგვის ხეობიდან). „ჰეი! თქვენ არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა! თქვენ საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა“... საკუთარ თავს თუ სუფრასთან ჩამომსხდარ მეგობრებს შეუძახებდა გოგია. ეს ერთი შეძახილი მთელ სუფრად ღირდა! თავად სუფრის თავში იჯდა, ფართო ბეჭებით, ოთკუთხა თავით, ძალოვანი მუხლებით, ჭაღარა თმის ბუწუწებით, ბუძგა წარბებით და ჭუტალა თვალებით... (ანცი სხივები უციმციმებდნენ!) გალოპრილ ტივს წააგავდა გოგია, წყალში ალალბედად შეცურებულს... (წინასწარი ხილვები მეძალება... სათქმელიც მასწრებს!)

მეხუთე სართულზე, ოთხოთახიან ბინაში, მარტოდმარტოდ ცხოვრობდა გოგია. დამფრთხალ ხარ-ჯიხვს ადარებდა საკუთარ თავს, მონადირის მიერ დამფრთხალი ხის ტოტებში რქებგაჩხერილი რომ დგას და დათოფვას ელოდება... „რომ ჩამოგთოფოს, ახია!“ ლექსიც ახსოვდა, პაპისგან განაგონი, მაგრამ... ყოველივე ამას ახლა არავითარი მნიშნელობა არ ჰქონდა. განაწყენებული ჩანდა გოგია. უპირველესად, საკუთარ თავს უნაწყენდებოდა, უცხო ჯიშის ქალზე დაქორწინების გამო. თუმცა!.. უყვარდა ცოლი, ენატრებოდა კიდეც... ოცდათორმეტი წელი ერთ დღესავით ჩალიეს, მუდამ ქმრის გვერდით იყო, თვალებში შესციცინებდა კაცს. მერე დაიჩემა, „გული მაწუხებსო, სული მეხუთებაო“, კი ბატონო, ცხელოდა ქალაქში. სხვა დროს ზღვაზე მიჰყავდა ცოლშვილი. მაგრამ ახლა... ჯერ ერთი საკურორტო დრო არ იყო, ქვეყანა იქცეოდა. „Березку хочу... Белую“. არ უსმინა კაცმა. „Гоги, прошу тебя, отпусти меня, позовы сына, пусть приедет... Заберем“.

რატომო, ჩაეძიებოდა კაცი. „Дедмароза хочу... пушистий снег... Ой, как хочу“. თავისი მშობლიური მინა-წყალი მონატრებოდა ქალს. თოვლიც და ყინვაც... მიდი და ელაპარაკე! „Клянусь тебя, обязательно вернус, без тебя не могу жить, не оставлю“... როსტოვის ერთ-ერთი საავადმყოფოს მთავარი ექიმი იყო უფროსი ვაჟი. იქ ისწავლა, ცოლი ექიმი შეირთო და საბოლოოდ დარჩა. იშვიათად ჩამოდიოდა მშობლებთან, საქართველოში სტუმრობას, საზღვარგარეთ მოგზაურობას ამჯობინებდა რძალი, ვერც დაუშლიდი!..

მაინც ასეთი რა მისწერა დედამ, რომ დაფეთებული ჩამოვარდა ვაჟი. („მთლად გარუსებულაო“, — მეზობლებმა თქვეს) გასინჯა დედა, გულზე მოუსმინა, ფილტვებიც შეუმოწმა, თვალებში ჩახედა და მკაცრი ხმით განაცხადა: „Завтра уезжаем“. მამაც მიიპატიჟა, მაგრამ... ისე, გულგარეთ, არც გოგიას გამოუდვია თავი. ყინვა და თოვლი არასდროს ჰყვარებია, მთელი თავისი სიცოცხლე, მთები და არაგვი უყვარდა. ბარგი შეკრა ცოლმა, წასასვლელად გაემზადა. დილაადრიანად ცენტრალური ბაზარი მოიარა გოგიამ, ხილით გაავსო ჩანთა (უყვარდა ცოლს!).

იმ ღამით, მარტო რომ დარჩა, ერთხანს ფანჯარაში, მამალივით თავწარგულმა შორეულ სივრცეებს უცქირა, ძველს იგონებდა, სევდიანად და მწუხარედ... შემთხვევით გაცნობილმა ქალიშვილმა როგორ შეაყვარა თავი, არც წამოსვლაზე უთქვამს უარი... „ცისფერთვალა კესანეს“ ეძახდა... მთელი გზა, მანდარინებით სავსე ბადურას მოათრევდა ქალიშვილი. ფცქვნიდა და ყლაპავდა. მანდარინის კანს ცალკე აქუჩებდა — სურნელოვანიაო... ხეირიანად არც ახსოვს, რომელ სადგურზე შეიძინეს მანდარინებით სავსე ბადურა... ყვითელი, მწიფე ნაყოფი ოქროსფრად ბზინავდა... ის მანდარინები აგონდებოდა ახლა.

თავი არ შეურცხვენია ქალს... სულ მალე ქართულად აჭიკჭიკდა. ყველა წესი ისწავლა, ყველა ჩვეულება. იმ დღეს წასასვლელად გამზადებულ ქალს ხილით სავსე პარკი რომ გაუწოდა, ატირდა ქალი: „Ой, Гоги, горе ты мое“. მალე დავბრუნდებიო, დაიბარა, მაგრამ... დაპირება — დაპირებად დარჩა. შენზე დარდობსო, ტირისო... — მოწერა ვაჟმა.

ისე გარდაიცვალა ქალი, ერთხელაც ვერ ჩააკითხა. ქვეყნები სამტროდ აირია, საზღვრები ჩაიკეტა... და დარჩა მარტოდმარტო. ბუჩქებში რქებით გახლართულ ხარჯიხვს კი არა, ხაფანგში გამომწყვდეულ ვირთხას ამსგავსებდა საკუთარ თავს. ოთხოთახიან ბინაში უგუნებოდ და უაზროდ მიმოდიოდა, ამოდენა ბინა რად უნდოდა, ერთ ოთახსაც იმყოფინებდა, მაგრამ... გერმანიაში გაქცეულ უმცროს ვაჟს, ერეკლეს უნახავდა...

საზღვარგარეთ, პირველ წამსვლელებს გაჰყვა ვაჟი. ახლადშერთული ცოლიც თან წაიყვანა, მცირეწლოვანი შვილიც. (იმასაც ერეკლე ერქვა) მარტო სახელი რა ბედენაა, ერთი სიტყვა ქართული არ იცის ბავშვმა. პირველები გაუდგნენ გზას. მამასავით ღონიერსა და მკვლავძლიერს შრომა და გარჯა არასდროს გასჭირვებია. თავის ქვეყანას არ აშენებდა, თორემ, გერმანელებს კარგ მუშასა და გამრჯე კაცზე არასდროს უთქვამთ უარი. დასახლდა. მეორე შვილიც გააჩინეს, ფულიც იშოვეს... ორასი დოლარი არც ისე მცირე თანხა იყო... ყოველთვიურად უგზავნიდა მამას. როგორც გაზის, ელექტრონის, წყლის გადასახადს იხდიან ხოლმე, ისე ვაჟი ყოველ თვის ბოლოს უგზავნიდა მამას ფულს. დაუგვიანებლად, განსაზღვრულ დროს. წერილის მოწერა რატომღაც ავიწყდებოდა. არც ჩამოსვლაზე უფიქრია... დღესასწაულებზე გადმორეკავდა, ახალ წელს თუ აღდგომას მიულოცავდა... და მორჩა, დანარჩენ დროს, თითქოს არც არსებობდა იგი. თავდაპირველად, ბანკს აკითხავდა გოგია, შვილის გადმოგზავნილ ფულს წყალობასავით იღებდა. მარტო რომ დარჩა, სამ თვეში ერთხელ შეივლის და ფულს გამოიტანს. ბაზარში დაიტვირთება. (საქონლის გულ-ღვიძლი უყვარს) ცხვრის ხორ-

�иц — ტარხუნასთან და ახალ ტყემალთან ერთად. თავად აათუხთუხებს ქვაბს, ძმაკაცებთან „ჩაქაფულით“ იწონებს თავს.

კარგა ხნის წინათ, ეზოში, მოზრდილი ავტოფარეხი ნამოიწყო გოგიამ, საკუთარი ხელით ააშენა კედლები, გადახურა ჭერი. საკმაო ფართის გამოვიდა. ავტოფარეხის აშენების ნებართვაც ჰქონდა. მეზობლები წაიხმარა, (გურგენა, გოგიტა, ლომკაცა...) მაშინ შეიკრა მათი საძმაკაცო. გოგიტა, საშენ მასალას უზიდავდა „კამაზით“. გურგენამ რკინის კარები დაჰკიდა, ლომკაცამ კიდევ კედლები შელესა და... მორჩა. გოგიას ხმა, ესუყე ბანი ფარეხის კედლებს აზანზარებდა. სუფრის თავშიც თვითონ იჯდა, გადაბრუნებულ ყუთზე ძველი ქულაჯა დაეგო.

ჯონჯოლის მწნილი, გრძელ-გრძელი შოთები და რაც მთავარია კახური ღვინო ძმაკაცს ჩამოაქვს, ქიზიყელ ვანოს. თვეში ერთხელ შემოუვლის, მინის ბოცას პირთამდე აუვსებს, თვითონაც გემოზე ჩაბუჟბუჟდება, ღამით ძმაკაცთან დარჩება, ჯიბეში ჩაჩურთულ ფულსაც მოისინჯავს (არც დაითვლის), დილაადრიან გაუდგება გზას. თავისი საქმისა თვითონ იცის...

...ამ ბოლო დროს, ერთობ დაბნეული, მზერაწართმეული ჩანს ლომკაცა. სხვებიც ამჩნევენ. თანაგუნდელები თანაუგრძნობენ... ვაჟის სატკივარი, მათი სატკივარია... ქალსაც იცნობენ. ოჩამჩირიდან მოქცეულს — შხვართალა „მეგრელ ცირას“ (ასე ეძახის გურგენა). ქალი ლტოლვილია. გადმოხვეწილი. ოროთახიანი ბინა შეიძინა მათ ეზოში. მეხუთე სართულზე, გოგიას მოპირდაპირედ. ერთობ იაფად, დაბალ ფასებში. არეულობა რომ დაიწყო, რუსი ინჟინერი (მანამდე ვინც ცხოვრობდა) წასასვლელად გაემზადა. რაც რამ გააჩნდა, საწოლები, კარადები, ფარდები... ყველაფერი გაყიდა. თვითმფრინავში ჩაჯდა და ჰაიდა! გაქრა ვასილ პეტროვიჩი, თავისი ნადიათი, ლუბათი და გალიათი... ვიღაც ლტოლვილმა შეისყიდაო, ასე თქვეს. გაჭირვებულ, სულშეძრულ ადამიანს რომ ელოდნენ, ხუჭუჭთმიანი, მარმაშაკაბიანი მხიარული ქალი აღმოჩდა. პოლიციელი მოჰყვა თან (ზორბა ტანის, მხრებშემართული კაცი). ნამდვილი ბუღა. ხშირად აკითხავდა.

ჩანთებით, პარკებით დატვირთული აუყვებოდა კიბეს. მანქანას ღიად ტოვებდა, „აბა, თუ ბიჭი ხართ, მიეკარეთო“... წარწერა — „პოლიცია“ — აფრთხობდა ხალხს. ყველაფერს ეჩვევა ადამიანი, პოლიციელის ხშირ სტუმრობასაც შეეჩვივნენ. შაბათ-კვირაობით იკარგებოდა ის კაცი... ოთხი შვილი ჰყავსო... — ესეც თქვეს. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, აივანზე გადმომდგარ, ეშხიან ქალს ყველაზე ხშირად ლომკაცა ეჭვრეტდა. ქალის გარდა, მგონი ვერავის ხედავდა, ვერც პოლიციელს, თავმომწონედ რომ გადმოვიდოდა მანქანიდან და კიბეს აჰყვებოდა. ასეთ დროს ცოტა იხტიბარდაკარგული ჩანდა ლომკაცა. მარჯვენა მხარე წინ წამოეწეოდა, კუზივით წამოეზრდებოდა ხოლმე.

თითქოს არავის არაფრად აგდებდა ქალი, მალიმალ კისკისებდა, მეზობლებს ესალმებოდა, გოგიას (კარის მეზობელს) შეუღებდა კარს. ჭარმაგ, ხანშიშესულ კაცთან საცდუნებლად შემსვლელი ნაკლებად ჩანდა, მარტოხელა ქალი, მარჯვე დიასახლისი მარტოობას გაურბოდა. ცხელი ღომი, სულგუნი, მეგრულად ჩახოხბილი დედალი, თეფშით შემოჰქონდა. ალალი და მხიარული ჩანდა. ასე აღეზარდათ, ამგვარად ესწავლებინათ... სხვანაირად ვერც წარმოედგინა. მერე იმ კერძს ყველანი მიირთმევდნენ... გოგია — მთიელი კაცი იყო და ღომზე დიდად არ მისდიოდა გული, კერძიდან ქათმის ნაჭერს ამოიღებდა, ნვენს გააცლიდა და მშრალად მიირთმევდა.

გურგენა კიდევ სვანი იყო და კუბდარზე ეკეტებოდა ტვინი. სამაგიეროდ, გოგიტა და ლომკაცა იყვნენ მუშტრები. გოგიტა მცირედს ნაკიკნიდა, (ერთი კოვზი ღომი ჰყოფნიდა), სამაგიეროდ, ლომკაცა უნდა გენახათ! დახარბებით კი არ ყლაპავდა. თითქოს მარჯვე დიასახლისის ნამზად კერძს ეფერებოდა, მის ხელშენავლებს, თეფშზე ამოღებულ ღომს, სულგუნის ნაჭერს, ჩამდნარსა და ერბოშეყენებულს... მეგრულ ხარჩოს, ქონდრით, ქინძით, წიწაკით, პრასის ძირებჩახარშულს... ეჩვენებოდა, ყველაზე გემრიელი, რაც ოდესმე გაესინჯა „მეგრელი ცირას“ შემზადებული ხარჩო იყო.

კაცის ჭკუა კუჭზე გადისო, ნათქვამია. ალბათ, ლომკაცას ჭკუაც კუჭზე გადიოდა. ორმოც წელს მიტანებული, უცოლშვილო კაცი შეყვარებული იყო ქალზე. განა გაურბოდნენ და ემალებოდნენ ერთმანეთს?! არაფერი შეგეშალოთ! საათობით იდგნენ გოგიას კარებთან, ზედ კიბის თავში... ეზოშიც. ფარეხის წინაც... მიეთ-მოეთობდნენ, ამბებს ჰყვებოდნენ. უმეტესად ქალი, მთელი დღე მარტო მყოფი, მოსაუბრეს დანატროდა... ეპოვა კიდეც. ყველაფერზე საუბრობდნენ, ბავშვობის წლებზე, აფხაზეთიდან გამოქცევის მძიმე წუთებზე, უდროოდ გარდაცვლილ მამაზე. ქალი იგონებდა ძმასაც... როგორც კი პოლიციელამდე მიაღწევდა სასაუბრო თემა, ვაჟს მზერა დაეძაბებოდა. მღელვარება შეეტყობოდა. ამას ქალიც ამჩნევდა. ქალი ეშმაკზე ადრე იყო გაჩენილი... უმალ გაყუჩდებოდა, რაღაცას მიკიბ-მოკიბავდა და გაეცლებოდა ვაჟს.

მოგვიანებით, ქალი ავჭალის ეკლესიაში იხილეს, თავდახრით მდგომი, მიხვდნენ — ქალ-ვაჟის საუბარს თავისი შედეგი გამოეღო. ბზის ტოტებით ხელდამშვენებულსაც მოჰკრეს თვალი. ბოლო ჟამს ისე ხშირად არ ჩანდა პოლიციელი. მანქანის კარს ძველებურად ნახევრად ღიად ტოვებდა, თითქოს ჩქარობდა, სწრაფი ნაბიჯით არბოდა კიბეზე.

უკან დაბრუნებისას ადგილიდან მოწყვეტდა მანქანას. თითქოს ჩქარობდა!

იმ დღეს, ეზოდან არც იყო გასული, სულ ახლოს, ერთი შეღმუვლა მანქანამ და... საბურავი ჩაეფუშა. მინის ნამსხვრევს თუ მიწიდან ამოშვერილ ლურსმანს დაუწყო ძებნა, საბურავიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცვალა, მეორედაც იგივე განმეორდა, ეზო გაიარა, დაღმართში დაეშვა და კვლავ ჩაიფუშა. გაგიჟდა კაცი! ასეთი რამ ბუნებაში არ ხდებოდა...

ყოველივე ამას შორიდან უცქერდნენ მგალობლები, ქალიც უჭვრეტდა. აივანზე გადმომდგარი, მაგრამ ძირს არ ჩამოსულა...

წინათ ქალის დანახვაზე სვანურ ქუდს მოიხდიდა გურგენა, სალამს უძღვნიდა. ახლა... ერთხელაც არ აუხედავს ზევით, მხოლოდ ლომკაცას უცქერდა... სანთლის სუნად გაჟღენთილს, დანაშაულზე წაჭერილ ყმანვილივით განზე მაცქერალს.

ქალმა ტაძარში სიარულს უმატა. წირვასაც ესწრებოდა... შემდგომი მოვლენები როგორ განვითარდებოდა, არავინ იცოდა.

* * *

გურგენა სვანი იყო. კვიციანი. მისი წინაპრები უშბასთან ახლოს ცხოვრობდნენ, სოფელ ბეჩოში. ცოლიც სვანი ჰყავდა, ზინა. სოფელ წვირმიდან. თაბეგ თამლიანის, ცნობილი ალპინისტის მკვიდრი ბიძაშვილი იყო. (თაბეგი ორი წლის წინ, ენგურში იპოვეს გაგუდული) დღესაც არავინ იცის, რა მოხდა... სამი ქალიშვილი ჰყავდა გურგენას. სამივენი ავსტრიაში ცხოვრობდნენ. უფროსმა, ჩასვლისთანავე ვიღაც უცხოელი ბიზნესმენი გაიცნო და იქორწინა. ოჯახში ჩაკეტილი გოგონები ჰყავდა გურგენას, დედის მეთვალყურეობის ქვეშ გაზრდილნი. სად გადაეყარა, როგორ გაიცნო ის ავსტრიელი, ვერ გაიგეს. ჩანს, მოეწონა გურგენას თეთრყირმიზა გოგო. უმალ წაავლო ხელი. უფროსმა დამ, უმცროსებიც აიყოლია, ქართველი ქმრებით. (ერთი ავჭალელი იყო, მეორე გლდანელი) ისინიც ავსტრიაში გადასახლდნენ.

სამსახურებიც იშოვეს, სახლ-კარი შეიძინეს, მანქანებს ხომ ხელთათმანებივით იცვლიდნენ. (განსაკუთრებით ავჭალელი სიძე გამოდგა მარმაწა, ცოლ-შვილთან ერთად ჩამოვა, ახლთ-ახალ მანქანას ჩამოიყვანს, მაღალ ფასში გაყიდის, (მუშტარი წინასწარ ჰყავს შეგულებული) მერე თვითმფრინავში ჩაჯდება და გაფრინდება. გამართული ბიზნესი აქვს!..

შვილიშვილებს მორიგეობით გზავნიან მშობლებთან. გურგენას ქართული ზნე-ჩვეულებებით სურდა აღეზარდა ბავშვები.

ჩუმი, უენო ქალი იყო ზინა. საბავშვო ბაღში მუშაობდა — აღმზრდელად. შვილიშვილებსაც თავისთან დაატარებდა. ქართულ ლექსებს ასწავლიდა, ზღაპრებს უამბობდა. ყველაფერი ეს, განსაზღვრულ დრომდე, მერე თავად მშობლები გააგრძელებდნენ მათ აღზრდას. ოღონდ, საბავშვო ბაღიდან დაბრუნებული ქერა ბიჭი (გერმანელის ვაჟი) როგორც კი ფარეხის კარს შემოაღებს და ბაბუას წაადგება თავზე, უმალ კითხვას შეაგებებს გურგენა: „ახალი რა ისწავლე, ბაბუ?! — ბავშვი შეიშმუშნება, ბებიას გახედავს და სხაპა-სხუპით იწყებს:

— „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს, სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“... ბიჭს მჭექარე ხმა აქვს, გერმანელი მამის ქერა თმა და დედის — თაფლისფერი თვალები.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, ბოლო დროს, უფროს ქალიშვილზე თუ სიძეზე ერთობ განაწყენებული ჩანს გურგენა. მართალია, ხმას არ იღებს, განაწყენების მიზეზს ნაკლებად ამხელს, მაგრამ... რამდენჯერაც ქალიშვილი ქმართან ერთად საქართველოს ეწვია, ღამე შინ არ გაათია. საუკეთესო სასტუმროში ჩერდებიან. ბავშვიც იქ მიჰყავთ. მოიარეს სვანეთი, ხევსურეთი, კახეთი, თაბეგ თამლიანის საფლავზეც იყვნენ. წვიმრში, ყველაზე მაღალ სოფელშიც ავიდნენ. ხოლო აქ, თბილისის გარეუბანში, მშობლებთან, ერთხელაც არ მოსულან. თითქოს, სიძე კი არა, ვინმე ტურისტი იყოს... ქალიშვილს ქმრის წინაშე თავისი მშობლების გამოჩენა ერცხვინებოდა, მგონი... საცხოვრებელი ადგილი არ მოსწონდა, არც ბინა და არც პირობები... არ მოსწონდა და ნუ მოსწონდა!

განაწყენებული ჩანდა გურგენა, სიტყვას არ ძრავდა...

* * *

სამაგიეროდ, ქართულ ენაზე მოჭიკჭიკე გერმანელი ბიჭის ხმა გოგიას აღიზიანებს. მისმა ოთხმა შვილიშვილმა (ორი რუსეთში და ორიც გერმანიაში) არც ერთმა ქართული ენა არ იცოდა. არც ბაბუას უკავშირდებოდნენ, თითქოს არც არსებობდა იგი. ალბათ, ცოცხალი არც ჰგონიათ. ზოგჯერ საოცარი განაწყენება შეიპყრობს კაცს, კარის გამოღება და ხმამაღალი ბღავილი უნდა. კიდევ ერთი სისუსტე აქვს გოგიას — თავისი ქვეყნის ისტორია უყვარს. მეფეების, გმირების ამბები. ისტორიული წიგნებიც უყვარს — „ქართლის ცხოვრება“, სულხან-საბას „მოგზაურობა“, ივანე ჯავახიშვილის შრომები, ექვთიმე თაყაიშვილი, თანამედროვეობისკენ ნაკლებად გაურბის მზერა. დღევანდელ ჟურნალ-გაზეთებს ალალბედად კითხულობს. საყვარელ მეფეებს, ომებს, მათ ამბებს ყოველდღიურ გაკვეთილებად უტარებს „ბიჭებს“. („ბიჭები“ ვინც არიან, თქვენც მიმიხვდებით).

გადაბრუნებულ ყუთზე, სათამადოდ თუ საპურმარილოდ შემზადებული, საქართველოს ისტორიის საყურადღებო ამბებს ჰყვება. ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, დიმიტრი თავდადებული. გულისყურით უსმენენ. დღევანდელმა „ჭკუისკოლოფებმა“ დიდი მეფის ძეგლი, დედაქალაქის ცენტრიდან რომ გამოიტანეს და თბილისის შემოსასვლელში, ხელგაწვდილი, ქუჩის ყაჩაღივით რომ დადგეს, ვერ უპატიებია გოგიას... იქით გავლა არ უყვარს, ავჭალა-გლდანის მიმართულებით გადაადგილდება ხოლმე.

ცოლის შერთვამდე, ისტორიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი იყო გოგია, სულხან-საბას სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა, წარჩინებული სტუდენტი

იყო... მერე ადრეულად დაოჯახებული, მიხვდა, სტიპენდიით ცოლ-შვილს ვერ გამოკვებავდა... სწავლას თავი დაანება და სილიკატის ქარხანაში (მეზობელმა წაიყვანა) მძიმე სამუშაოზე, ცხელ ღუმელთან (მაღალი ანაზღაურების გამო) დაიწყო მუშაობა. ის სამი კურსი, ყელზე საპეურივით შერჩა. რამდენჯერაც დააპირა სწავლის გაგრძელება, იმდენჯერ გაუძნელდა. ვერ ბოიცალა... მეორე შვილიც გაუჩნდათ. საცა იყო, ბინას მიიღებდნენ და შერჩა თავის საქმეს. ჭაობში რომ ჩაგეფლობა ფეხი, თანდათან იძირები და ამოსვლა გიჭირს, ამგვარად ჩაეფლო და... ჩარჩა. ფიქრობდა, შვილებს წამოვზრდი და მერე მივხედავ საკუთარ თავსო, თუმცა! შვილებიც წამოიზარდნენ, სხვა ქვეყნებშიც გაფრინდნენ, ყველაფერი გვიან იყო! თუმცა, ძველი ამბების კვლევა ბოლომდე არ განელებია. მსმენელიც ჰყავდა. საქართველოს ისტორიის გაკვეთილებს უტარებდა მათ. ერთ მონაკვეთს რომ მოილევდნენ, მეორეზე გადავიდოდნენ. ბრძოლები, მეფეები, წაგებული ომები. ...ხშირად ხმებიც ესმით, აბჯრის ჩხრიალი, ყიზილბაშები, ოსმალოები, ლეკები... სუნთქვა უკავდებათ, თვალებში ცეცხლის ალი უნთიათ.

შეიძლება ეს ყველაფერი იმ მადლიანი კახური ღვინის ბრალიც იყო... რას გაიგებ, ჭიქას პირამდე გაალიცლიცებდა გოგია და ისე ხარბად დაეწაფებოდა, იფიქრებდი, მთელი დღის მწყურვალიაო...

* * *

მგალობელთა გუნდის ოთხი წევრი უკვე გაგაცანი, მკითხველო! (მეხუთე სულ ახლახან გარდაიცვალა). მეექვსე და მეშვიდე ადგილზე დარჩნენ. ვიღაც ხომ უნდა დარჩენილიყო, ყველანი ხომ არ დაადგებოდნენ გზას. მანქანაში ოთხი კაცის მეტი არ ეტეოდა... თუმცა, მანქანის შოვნა არ გაუძნელდებოდა იმ მეექვსეს... თავისიც ჰყავდა!

ერთობ საშიში ვინმე გახლდათ. ციხიდან ახალი გამოსული, სასჯელმოხდილი, ტანადი, ერთობ თვალმისაზიდი ვაჟი, ნაკითხი და გონებაგახსნილი, საკმაოდ გონიერი, ციხეში მეტი საქმე რა ჰქონდა! იჯდა და კითხულობდა...

სამჯერ თუ ოთხჯერ იყო ნასამართლევი. ბობოქარი, ყველას მეგობარი და ამავე დროს უმეგობრო კაცი. ყველანი შიშით შეჰყურებდნენ, მანქანებს იცვლიდა, ქალებსაც... საქმეებს არჩევდა, სიტყვას ამბობდა. ავტორიტეტში იჯდა.

სანამ... მეოთხე პატიმრობისას, ღამით, სულისშემძვრელმა ტკივილმა ფეხზე არ წამოაგდო. ტკივილმა გააწამა. ლამის საკუთარი სხეული დაეღრღნა. გაწამდა და გაწვალდა. არაფერმა უშველა. არც ნარკოტიკმა (მთლად გააცოფა!) მორიგე ექიმმა, წამლებმა... საკანში თავმოყრილმა „ძმებმა“ ვერ უშველეს. ტკივილისგან ღრიალებდა. იკრუნჩხებოდა. (მოგვიანებით დაადგინეს, თირკმელში გაჩხერილი, მოზრილი კენჭი დაიძრა). მოკლედ, დედა უტირა...

ერთიანად აკანკალებული, ცივი ოფლით შუბლდანამული, მზერა წართმეული, უძრავად ეგდო საწოლზე. გამთენიისას... ხილვა ჰქონდა... თითქოს საკუთარი ცხოვრება გაეფინა თვალწინ, სად შეცდა და სად მიქარა... ვის წინაშე იყო მართალი და ვის წინაშე — მტყუანი. ყველაფერი ნახა, ტკივილის საფასურად იხილა, ოღონდ! იმ ღამიდან რაღაც შეიცვალა მასში... (ასე ერთბაშად შეცვლა მხოლოდ სიზმარში შეიძლება), ცხადში ნაკლებად...

ციხიდან განთავისუფლებულმა, მცირე ბარგით, ნაცნობ სამყოფელს კი არ მიაშურა, სადაც ელოდნენ. ავჭალის კოლონიიდან გამოსული, იქვე მტკვრის პირას, წითელი აგურით ნაშენ ტაძარში, სრულიად უცნობ მღვდელს, ჩრდილქვეშ ორ საათს ესაუბრა. უმეტესად თვითონ ლაპარაკობდა, მამაო დუმდა. მერე მამაო ალაპარაკდა... როდის გადავიდა ეკლესიის ეზოდან, არავის დაუნახავს. არც მამაო შეკარებია ტაძარში მრევლს... ციოდა... მარტის დასაწყისი იყო, ჯერაც არ გაშლილიყო კვირტი.

კვირტის გაშლა შემთხვევით არ გამხსენებია.

მესამე დღეს ვიღაც კაცთან ერთად მოვიდა. ძნელად შესაცნობი ასაკი უჩანდა თანმხლებს, ახალგაზრდა რომ ეთქმის და არც არის, კაცი უნდა იყოს დაბრძენებული და სინამდვილეში ბიჭია — წყლის მომტანი, ბარგის გადამზიდი, სხვისი დამხმარე და სურვილების ამსრულებელი.

მანქანით მოვიდნენ. ნერგები მოიტანეს. ბარი და ნიჩაბიც მოაყოლეს. ორმოები ამოთხარეს. ორთავე თავდახრილი მუშაობდა, ხეები დარგეს. ჯერაც შხორალი, წვრილ-წვრილი ნერგები, ჩანს ნოყიერ მიწაში მოხვდნენ. მდინარის შლამი ერთვოდა. იფეთქა ნერგმა. ნეკერჩხალი და ცაცხვი... ერთბაშად გაიფოთლნენ, ტანი აიყარეს. დღეს იმ ადგილს ცაცხვების ხეივანი ჰქვია.

ვაჟი თავადაც გაერია მრევლში. უკვე ამჩნევდნენ მას — სანთლით ხელში, თავდახრილს... მგალობელთა გუნდში მისი მონაწილეობაც ერთობ დაფარულად მოხდა. ჩანს საგალობლების მოსმენა სიამოვნებდა, სულისთქმას უმშვიდებდა. საკუთარი ხმაც მოსწონდა, ახალი ჟღერადობა შეეძინა, შორეულ სივრცეებში იჭრებოდა...

ქალები არასდროს ჰკლებია მეექვსეს. შეყვარებული ქალები ფარვანებივით ევლებოდნენ გარს.

იმ ქალს მისი ცოლობის ყველაზე დიდი მიზეზი ჰქონდა. შვილს უზრდიდა, ერთადერთ პირმშოს... მართალია, არასდროს მიუკითხავს, არასდროს ეცალა მისთვის. თითქოს დავიწყნოდა, სხვა ხმებში არეოდა. თუმცა, შვილის არსებობა ყოველთვის ახსოვდა...

იმ დღეს... საერთო თვალიდან მოფარებულად, უფრო საუნაში (რა მნიშვნელობა ჰქონდა!) დაჩოქილი ქალი იატაკს ხეხავდა. ხელები დასწითლებოდა, თმა თვალებში ჩამოსწეწოდა, ფხვნილის სიმძაფრეს თუ ცხელ წყალს სახე აემღვრია, ნამტირალევს ჰგავდა... მარჯვედ ხეხავდა, მონდომებით. თავზე წაადგა კაცი. შავი ტუფლების

წვერს, შარვლის კუთხეს ოდნავად გაედვა სველი ჩვარი... უხერხულად მოიბუზა ქალი, ახედვა ვერ გაბედა...

კონკია-ჟღარუნას სიყვარული არ ერქვა მათ შეხვედრას. ოღონდ, პირის დაბანა, კაბის გამოცვლა, თმის გადავარცხნა მოასწრო ქალმა. ბავშვი იკითხა, ექვსი წლის ბიჭი. თვალებხატულა, ცელქი და მოუსვენარი. „დედასთან დავტოვეო"... — ძლივს ამოთქვა ქალმა. „თვალს დააკლდა საბრალოს, ვეღარ კერავსო..." საკუთარ დედაზე ამბობდა, ამით ყველაფერი თქვა. უკვე მანქანაში ისხდნენ. ჩაკეტილ-ჩაგმანული ბინის კარი შეუღო, ბრმა დედით, ცელქი ბიჭუნათი. შეუშვა, თან დაუბარა, „რაღაცებს ვიყიდი და მოვალო..." მივიდა კიდეც.

მაშინ იყო, მგალობელთა გუნდში რომ ჩადგა...

უკვე მათიანი იყო.

...ესეც ექვსი მგალობელი... დაგვრჩა მეშვიდე წევრი. ახლადკონსერვატორიადამთავრებული, გრძელთმიანი, ფართოშუბლიანი ახალგაზრდა. შუქიანი თვალები ჰქონდა. დედისერთა იყო, შვილზე მლოცველი დედის ერთადერთი ვაჟი... რაც მთავარია, მგალობელთა გუნდში შვილის ხილვა უდაოდ ამშვიდებდა ქალს. თვითონაც იქვე იდგა, თავდახრილი. ახლოს არ ეკარებოდა შვილს, მის ტკბილ ხმას დანარჩენებში გამოარჩევდა. პირჯვარს იწერდა, ვაჟის ჯანმრთელობას შესთხოვდა უფალს. შვილის სუსტი ფილტვები ადარდებდა დედას... მემკვიდრეობით მოსდევდათ. სულ ახლახან, ქმარი გარდაცვლოდა. ვაჟის გაცივებას უფრთხოდა, ნესტიან ადგილას მის ხანგრძლივ ყოფნას ეკრძალვოდა. ამიტომ იყო, მხოლოდ წირვაზე მოდიოდა ვაჟი. საამო ხმა ჰქონდა. ყველასგან გამოარჩევდი. თუმცა, თავად რომ გეკითხათ, ალალად გეტყოდათ — ჩემს ნამღერს არავითარი ძალა არ ექნება, დიდ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს მსმენელზე, გვერდით ეს ჭარმაგი კაცები რომ არ მედგნენ. ისინი ამდიდრებენ ჩემს ხმას, მოსასმენად საააროს ხდიანო...

არც მსმენელი აკლდათ, სხვა ეკლესიებიდან მოდიოდა ხალხი, ეზოშიც იდგნენ... კედლებს აკვროდნენ...

* * *

მიქროდა მანქანა.

უკანა სავარძელზე გოგიტა და გურგენა იჯდა. სავარძელიც იქვე ედგათ. (ხომ არ დატოვებდნენ!) სიმაგრისთვის გურგენამ რკინის სალტეები დააყოლა. „მეფეს რომ ეკადრებაო, ისეთია..." დასძინა. თავადვე მოეწონა. ყველგან თან დააქვთ... გოგიტაც თან დაჰყავთ. აბა, მარტოობას ხომ არ შეაჭმევინებენ კაცს!

რა ხანია უკან მოიტოვეს მისაქციელი, მცხეთას მიუახლოვდნენ...

— განაგრძე, გოგი! — შეახსენებენ.

— 1797 წლის შემოდგომაზე — იწყებს გოგია — კახეთში ხმა გავარდა, ლეკების ბელადი ავარიელი ომარ-ხანი ყვარლისკენ დაიძრაო... მიმდებარე სოფლები გადაწვა და დაარბიაო... — მიჩუმდა გოგია.

შორს, სივრცეში აღმართული ჯვრის მონასტერი გამოჩდა. თითქოს ჰაერში იდგა... უძრავად. მყარად!

— მერე? — ვერ ითმენს გოგიტა.

ერეკლე საბრძოლველად მოემზადა, იარაღით აღიჭურვა, თავის გამორჩეულ ბედაურს რომ მიუხლოვდა, (ამდენ ხანს უზანგში ფეხშეუდგომლად მოახტებოდა) ახლა იგრძნო... ძველებურად ვეღარ შეფრინდებოდა ცხენზე. ჯანი არ მოსდევდა...

— ეჰ! სიბერე... — ჩაილაპარაკა გურგენამ.

— სასახლეში შებრუნდა, ტანთ გაიხადა და ლოგინში ჩაწვა. პირველად იგრძნო, უნაგირზე ჯდომას, ლოგინში წოლა რომ ერჩივნა.

— რამდენი წლის იყო? — იძიებს ლომკაცა.

— სამოცდაათზე მეტის... — ზუსტი ციფრი არ დაასახელა გოგიამ.

— ჩემსავით გაჭირვებული ყოფილა, — ჩაიღიმილა გოგიტამ.

— ქართლში შავი ჭირი მძინვარებდა, თბილისში ყოფნა საშიში იყო... მეფე თელავიდან იძლეოდა ბრძანებებს... — ერთბაშად შეწყვიტა თხრობა — მოდი, სადმე ჩამოვსხდეთ... შესანდობარი ვთქვათ, რას იტყვით? — იკითხა გოგიამ.

— შენ როგორც გინდა...

გოგიტა არ ჩარეულა, მეგობრებზე იყო დამოკიდებული, როგორც ისინი გადაწყვეტდნენ, თავადაც ისე მოიქცეოდა...

სვეტიცხოველის მოპირდაპირე მხარეს, არაგვს გამოღმა, „სალობიესთან" შეაჩერეს მანქანა, ფანჩატურისკენ მიმავალ ბილიკს გაჰყვნენ. თეთრხალათიანი ოფიციანტის გამოჩენა, სუფრის გაშლა, შიშხინა მწვადების შემოტანა თუ ღვინიანი ბოთლების ზედიზედ გახსნა... ერთდროულად მოხდა. მარმანა ჩანდა ოფიციანტი. გარბოდა და გამორბოდა.

— აფერუმ! — კვერი დაჰკრა გურგენამ.

შესანდობარი შესვეს, მწვადის ორიოდე ლუკმაც წაიკნეს და... ჩაწყნარდნენ. ხეივანის ბოლოს, სივრცეში ზვირთისცემით მდინარე მიედინებოდა.

— რა მდინარეა? — უაზროდ იკითხა გოგიტამ, თითქოს დავიწყნოდა.

— არაგვი, ბიჭო! — შეწყრა გოგია — რა გჭირს? დაგავიწყდა? ყველაზე მეტად ეს მდინარე მიყვარს. ჩემი ხეობიდან მოედინება... რამდენ სოფელს, ორლობეს გაივლის, ჭალებს, მინდვრებს, ყვავილების სუნს წამოიღებს, აქამდე მოიტანს... — თავი ჩახარა.

— რა მოგვიდა, გოგი?

— არაფერი... — თვალის უპე მუჭით ამოიწმინდა.

ჩუმად ისხდნენ, რაღაც უსიამოს უგრძნობდათ გული...

— დალიე, ლომკაც! — შესთავაზა გურგენამ.

— ჩემთვის არ შეიძლება, საჭეს ვუზივარ...

— საჭეს თორემ... დედამიწას ბოძი არ გაუვარდეს... ნამღერი სიმღერა ვართ!.. — ჩაილაპარაკა გოგიამ.

— რა მოგივიდა, გოგი?! — მხარზე ხელი მოხვია გოგიტამ. — რა გჭირს?! ჯობს, ერეკლეს ამბავი გვიამბო...

— თელავიდან იძლეოდა ბრძანებებსო... შავი ჭირი მძვინვარებდაო... — შეახსენა.

— ჰო... ფეხები დაუსივდა მეფეს, წყალმანკი სჭირდა. ექიმმა ლითონის პატარა ბასრი ხელსაწყოთი (ნეშტით) შესიებული წვივები დაუსერა და სითხე გამოუშვა...

— უხ! — გააზრიალა ლომკაცას.

— ფეხების დასიების მიზეზი ალბათ, გულის უკმარისობა იყო. შესიებული ადგილებიდან სითხის გამოშვება ვერაფერს არგებდა. — დაასკვნა გურგენამ.

— მეც მისივდება ფეხები... — ჩაილაპარაკა გოგიტამ.

— კარგი, შეეშვით, მერე, გოგი?!

— მეფემ ტახტის მემკვიდრე დაიბარა და დარიგებები მისცა.

— რა თქვი, რამდენი წლის იყო? — კვლავ ჩაეძია ლომკაცა.

— სამოცდათვრამეტის. თერთმეტ იანვარს გარდაიცვალა.

— ნათელში მისი სული!

— იმავე საწოლზე გარდაიცვალა, რომელზედაც დაიბადაო... მემატიანე სწერს...

— საოცარი...

— მიცვალებული განბანეს. ყველას აინტერესებდა რამდენი ჭრილობა ჰქონდა მეფეს სხეულზე... მტრის მოწინავე რაზმებს თავდაუზოგავად ეკვეთებოდა...

— რამდენი ჭრილობა ჰქონდაო? — ვერ ითმენს გურგენა.

— ცხედარი რომ გააპატიოსნეს, ზოგმა თქვა, ტანზე ადგილი არ მოეძევებოდა, იმდენი ნაჭრილობევი აჩნდაო... ზოგმაც... — მიჩუმდა გოგია.

— რაო?! — ერთხმად ჩაკითხეს.

— მეფის სიჩაუქის, სიმარჯვის თუ კარგი საომარი აჭურვილობის წყალობით, სხეულზე არც ერთი ჭრილობა არ ჰქონდაო...

— ეს როგორ?!

— მეფე იყო და ხალხს ასე სურდა... ერთს რომ დაჭრილ-დასახიჩრებული, ნაომარი კაცი უნდოდა ეხილა, მეორეს — საღსალამათი, ხმალი რომ არ ეკარებოდა, ტყვია არ ხვდებოდა, ლეგენდებიც სხვადასხვაგვარია...

— მართალს ამბობ!

მიჩუმდნენ, უსასრულობაში გაქცეოდათ მზერა. არაგვის ნაპირებიდან გრილი, კამკამა ჰაერი უბერავდა. ბალახ-ბულახის, გამშრალი თივის, მზეზე დამჭკნარი ყვავილების სურნელი მოჰქონდა. ლურჯმწვანე ფერი ედო მდინარეს. ზვირთთა თამაშით მოიწევდა, მონავარდობდა, მტკვართან შეერთების, შეყრის წუთებს აეღელვებინა იგი.

— მეფის ცხედარი, ორმაგად შეკრულ მუხის კუბოში ჩაასვენეს. ხალიჩებით და ხავერდით მორთეს. ქვეყანაში გლოვამ დაისადგურა. მთელი საქართველო ჭირისუფლობდა, ორმოცი დღე სამგლოვიარო წირვა-ლოცვა და სულის მოსახსენებელი პანაშვიდები სრულდებოდა. მერე ზარბაზნების ქუხილით ხალხს აუწყეს, რომ ერეკლეს ცხედარს მცხეთაში მიასვენებდნენ.

— რა უცნაურად ჰყვები, გოგი... — ჩაილაპარაკა ლომკაცამ — არასოდეს, არავისგან არ მომისმენია...

— სად უნდა მოგესმინა?!. — ჩაეცინა გურგენას — რომელ უნივერსიტეტში შენ სწავლობდი? — ვითომ გაეხუმრა ვაჟს.

— შეიძლება უნივერსიტეტშიც სწავლობდე, ლექციებსაც ესწრებოდე, მაგრამ... არაფერი მოისმინო...

— ასეც ხდება...

— მერე, გოგი!

— დიდძალი ხალხი დაიძრა თელავისკენ. ღამის გასათევი ადგილი ჭირდაო, მემატიანე იგონებს. სამძიმარზე მოსულნი, სახელდახელოდ გაშლილ კარვებში ათევდნენ ღამეს. ქართველებთან ერთად სხვა ერისა და სარწმუნოების მცხოვრებნიც დასტიროდნენ მეფეს. კუბო ოც დღეს სამეფო სასახლის დიდ დარბაზში იდგა, შემდეგ სასახლის ახლოს, ტაძარში გადაასვენეს და საკურთხევლის წინ, ამბიონზე დადგეს.

მიჩუმდა. ფიქრიანი ჩანდა გოგია, უგუნებო...

— განაგრძე, გოგი!

— გისმენთ.

— სასახლის ეზოში მეფის ნივთები გამოიტანეს, უძვირფასეს ხალიჩებზე განალაგეს ისინი — მეფის ტანსაცმელი, სამკაულები, საბრძოლო იარაღი, აბჯარი, უნაგირები, ჯილდოები. საქართველოს სამი დროშა... დააფინეს.

— უხ, დედასა... — ამოიხვნეშა გურგენამ.

— განაგრძე, გოგი! — ემუდარება ლომკაცა.

— ცხენებიც გამოიყვანეს, ძვირფასად შეკაზმული მეფის ცხენები. ირანული ჯიშის ორი ტაიჭი, ერთი — თეთრი, მეორე — მოწაბლისფრო-წითელი ფერის. ცხენს შავი ფაფარი და შავი ძუა ჰქონდა. ამ ცხენით მეფე მთიულეთში ავიდა კრწანისში წაგებული ომის შემდეგ...

— კარგ ცხენს რა ჯობია...

— საიდან იცი, გოგი, ესენი?! სად წაიკითხე?! — ვერ ისვენებს გურგენა.

— ვიცი... მეჯინიბეები მიწაზე ისხდნენ თურმე და ისე ეჭირათ აღვირი ხელში, ცხენებს ვერ იმორჩილებდნენ... ვერ აკავებდნენ.

— თითქოს ვხედავ...

— მეც...

— პროცესიის დროს, ტაძარში, დარეჯან დედოფლის გვერდით, ბატონიშვილები იდგნენ. შემდეგ — სამღვდელოება და წარჩინებული თავადაზნაურობა. თეთრი ცანსაცმლით მოსილი სეფექალები ტირილითა და სახის ხოკვით ხვდებოდნენ სტუმრებს...

— ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული...

— უამრავმა ადამიანმა დაიტირა მეფის ცხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარი. განსაკუთრებით ქიზიყელი ქვრივი ქალის მოთქმამ შესძრა თურმე იქაურობა. მისი ნამტირალევი მთელ საქართველოს გადასწვდა...

— მეც მსმენია... — ჩაილაპარაკა ლომკაცამ.

მერე არაგველები მოსულან, ჩემი კუთხის ხალხი... შემზარავი იყო მათი გალობაო. საქვეყნოდ ცნობილი ლექსით მიმართეს მეფეს... შენი დაღუპვა საქართველოსთვის რკინის კარის ჩამოხსნას უდრისო — უთხრეს.

— ეგ ლექსი მეც ვიცი... — ჩაილაპარაკა ლომკაცამ.

— იცი?!— მოხედა გოგიტამ.

— „ვერ გაიგეთა, ქართველნო? შეგეხსნათ რკინის კარიო“...

— ჰო. ეგაა... გცოდნია და ეს არის. — დაეთანხმა გოგია.

— მოდი, ერეკლე მეფის შესანდობარი დავლიოთ!

— დავლიოთ.

— ასე მტერი დაეცალოს! — წვეთი არ ჩატოვეს ჭიქაში.

— რუსი ისტორიკოსი წერდა: „ოცი ათასამდე ცხენოსანი და ქვეითი მებრძოლი მიაცილებდა ერეკლეს კუბოსო“.

— ყოჩაღ!

— ამით იცი რას გვეუბნება, მეფემ გადამწყვეტი ბრძოლისთვის ორი ათასი კაციც ვერ შეაგროვა. მის კუბოს კი ოცი ათასი მეომარი მიჰყვებოდაო.

— მართალია?!

— უბრალო ხალხი მივიდოდა, შეიძლება ოცი ათასზე მეტიც ყოფილიყო, მაგრამ... მაშინდელ ქართლ-კახეთში ოცი ათასი მეომრის შეკრება ერთობ ძნელი იყო... შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელების შიშით, ქართლიდან კახეთისკენ გადაადგილება შეზღუდული იყო. უბრალოდ დაგვცინის ის კაცი.

— ქართველი ისტორიკოსები რას სწერენ?

— „მცირედითა კაცითა და არა დღესასწაულებით გადაიტანეს გვამი მეფისა მცხეთას დასასაფლავებლადაო“...

— ეს იქნება სიმართლე. — კვერი დაუკრა გურგენამ.

— მაგრამ, შენ უნდა ნახო, სომეხი ისტორიკოსი რას წერს...

— რა მინდაო?

— არტემ არარატსკია იმ კაცის გვარი. პეტერბურგში გამოუცია წიგნი — 1813 წელს.

— რაო?

— კრწანისის ომის შემდეგ, ერეკლე მეფე ანანურის ეკლესიაში ვნახე დამწუხრებული, ცხვრის ტყაპუჭში გახვეული, კედლისკენ პირმიქცეული იჯდაო. ერთ დროს ძლევამოსილი და სახელგანთქმული მეფე ყველას მიეტოვებინა, ყველას ეღალატა — ოჯახის წევრებს, ახლობლებს, თანამებრძოლებს, ასაკოვან მეფეს ერთადერთი ერთგული კაცი შერჩენოდა. იგი სომეხი მსახური იყო, რომელიც ნამათხოვრებით ირჩენდა თავს და ნაწყალობევ პურის ნატეხებს, ერეკლესაც უნაწილებდა სამადლოდო...

— მე მაგისი დედა... — შეაგინა გურგენამ.

— რა გაიგონა ჩემმა ყურებმა?

— ნუთუ სიმართლეა...

— გოგი, შენ რას ფიქრობ?!

— რა უნდა ვიფიქრო... ისეთი რა გაუჭირდა ერეკლე მეფეს, რომ სომხის ნამათხოვრალი არ ეჭამა?! ქართველთა დასამცირებლად, სახელის გასატეხად შეთხზა იმ კაცმა. ანანურში მყოფ მეფეს გარშემო ოჯახის წევრები და ახლობლები ეხვია... საომრად ემზადებოდა...

— ნათელში მისი სული!

— ამინ!

* * *

ღვინით სავსე, პირამდე გალიცლიცებული ჭიქა ბოლომდე დასცალა ლომკაცამ. (თხელმა და ხიოჭამ) ამდენ ხანს რომ თავს იკავებდა, ახლა მეფის სადღეგრძელოს მოეხიბლა იგი. ერთი ჭიქა რას მიზამსო და ქარვისფერ სითხეს მხურვალედ დაეწაფა... ბოლომდე დასცალა. იგრძნო, ერთბაშად დაეტაკა სასმელი, ზღართანი მოადენინა...

მზერა წართმეოდა, თავდახრილი იჯდა ვაჟი, თითქოს ვიღაცას უღიმოდა...

— ერეკლე თელავში დაკრძალეს? — იძიებს გურგენა.

— თელავში? — გაოცდა გოგია, — საიდან მოიტანე?!

— შენ არ თქვი!

— რა ვთქვი, ბიჭო? სად არის დასაფლავებული მეფე ერეკლე არ იცი?!

— საიდან უნდა ვიცოდე?!

— შენ რა, სვეტიცხოველში არ ყოფილხარ?

— როგორ არა, რამდენჯერმე...

— მერე თვალებახვეული დადიოდი?

— თვალების ახვევა რა შუაშია?

— ბრმა უნდა იყო, ერეკლეს საფლავი რომ ვერ ნახო...

— გეთქვა და გავიგებდი...

— დაწყნარდით. რატომ კამათობთ! — ჩაერია გოგიტა. — განაგრძე გოგი! დაწვრილებით გვიამბე... უკეთესი რა უნდა მოისმინოს კაცმა...

— ორმოცი დღის შემდეგ, თელავის ეკლესიიდან გამოასვენეს მეფე. ხალხს გააგებინეს, რომ მეფის ცხედარს მცხეთაში მიასვენებდნენ. თავდაპირველად კუბო ხელით მიჰქონდათ.

— იმოდენა გზაზე?

— მეფის კუბოს ხელით ტარება დიდი პატივი იყო. გზისპირა სოფლებიდან ხალხი გამოდიოდა... ტირილით აცილებდნენ მეფეს...

— აუ! როგორ აღწერ, გოგი! ყოჩაღ!

— თბილისს რომ მიუახლოვდნენ, ოცდაათამდე კაცი ახლდა. შავი ჭირის მძინვარების შიშით, მეფე დედაქალაქში ვერ შეაბრძანეს, ვერც სიონში დაასვენეს. მახათას მთის ძირას შეჩერდა პროცესია. კუბო დასავლეთისკენ შეაბრუნეს, უნდოდათ, მეფისთვის საყვარელი ქალაქი უკანასკნელად დაენახვებინათ...

— უცნაურად ჰყვები, გოგი! ცუდად ვარ...

— ჰო. მეც...

— ავჭალისკენ დაიძრნენ. არაგვს მიადგნენ. კუბო ჩამოდგეს.

— გამოდის რომ... აქ... სადაც ჩვენ ვართ... — გაოცდა ლომკაცა.

— ჰო, ეგრეა...

ყველანი ფეხზე წამოიშალნენ.

* * *

რა ხანია ჩავიდა მზე. ბინდი მოეძალა სივრცეს, ნათურები აინთო. ერთიანად გაჩახჩახდა ჯვრის მონასტერი. სივრცეში გატყორცნილი, უთვალავ ნათებად ანთებული, საოცარი სანახავი იყო. მუხლის მოყრა და ლოცვა მოგინდებოდა. ასეც მოიქცეოდნენ, რომ... რესტორანში აინთო შუქი, ფერადი ლამპიონები გაბჟღვრიალდა. შემწვარი ხორცის, ხახვის, სანელებლის სუნი ტრიალებდა. იქვე ახლოს, ვიღაცეები მღეროდნენ. მამაკაცები იყვნენ. შეზარხოშებული ჩანდნენ... გულის ჭიას იხარებდნენ. კისკისიც ჩაესმათ, მხიარული ტკარცალი. ქალებიც ახლდათ. ზედიზედ ორი მანქანა მოასკდა შემოსასვლელს... მოქეიფენი არ აკლდა რესტორანს.

— უდარდელი ხალხი ვართ ქართველები... — ჩაილაპარაკა გოგიამ — ასე მგონია, სულ ასე მხიარულები ვიყავით, ომი იყო, ქვეყანა იქცეოდა, ჩვენ ვქეიფობდით... რისი ნიშანია?! უდარდელობის?!

არ უპასუხეს.

სიგრილემ დაჰკრა, წყლის სიახლოვის ბრალი იყო თუ ვარსკვლავებით მოჭედილი ცის, რატომღაც მანქანაში ჩასხდომა და შინ დაბრუნება არ ეწადათ. ერთმანეთს შესჩერებოდნენ...

— სათქმელი მაინც არ დაამთავრე, გოგი. — მოხედა ლომკაცამ.

— რა სათქმელი?!

— როგორ დაასაფლავეს მეფე... მაშინ ხომ ხიდები არ იყო... მდინარეზე გადაიყვანეს? რა ადგილას? — პირისპირ ეკითხება ლომკაცა. პასუხს ითხოვს. თვითონ დაბალი, თხელი და გალეული. გოგია კიდევ, მაღალი, ვეება მხრებით...

— ნაპირს მიადგნენ.

— რა ადგილას? — იკითხა ლომკაცამ.

— სადღაც, აქ... კახეთიდან მოსულებს აგვიანდებოდათ. ნაპირზე დაასვენეს მეფის ცხედარი და უკან გაბრუნდნენ.

— როგორ?! თავად არ გადაიყვანეს?!

— შავი ჭირით დაავადების ეშინოდათ. სვეტიცხოვლის ეზო და ტაძარი ავადმყოფებით იყო სავსე... ბერები უვლიდნენ. ადამიანები უფალს გადარჩენას შესთხოვდნენ.

— გამოდის, რომ... ჭირისუფალთაგან არავინ გაჰყოლია ცხედარს. — ჩაილაპარაკა გოგიტამ.

— ასე გვაუწყებს მემატიანე...

— მერე?

— ქრისტეფორე ბადრიძემ, მეფის მოძღვარმა ოჯახს აღუთქვა, საკუთარი სიცოცხლის ფასად აღასრულებდა ქრისტიანულ წესს და საკადრისად დაკრძალავდა მეფეს.

— ამას ჰქვია მამულიშვილობა. ნათელში მისი სული!..

— ნეტავ სად გადაიყვანეს... რა ადგილას? — კვლავ იძიებს გოგიტა. თავად ფეხებწართმეული, საპყარი, სხვისი მარჯვენის მოიმედე. იმ ადგილების მონახულებას ითხოვდა, სადაც, მდინარეზე გადმოსულმა მცხეთელებმა თაყვანი სცეს მეფეს, დაიჩოქეს, მერე მხარზე აიდგეს კუბო და არაგვზე გადაატარეს.

— რა ადგილას, არ ვნახოთ?! — ვერ ისვენებს ლომკაცა.

— ვნახოთ... ერთი ჭიქა კიდევ დავლიოთ. დავილოცოთ! — ჭიქებს ავსებს გოგია.

ბოლო ჭიქის ბრალი იყო თუ... მწყურვალეს ღვინოო და მხურვალეს — წყალიო... ერთბაშად მხურვალენიც გახდნენ და მწყურვალენიც. მდინარის ნაპირს ფეხდაფეხ შეჰყვნენ. ზევით და ზევით. ბუჩქნარს ქვიანი, ღორღიანი ადგილები ენაცვლებოდა. ერთმანეთის წახმარებით, წაშველიებით მიიწევდნენ წინ. გოგიტაც თან მიჰყავდათ, სავარძელზე ჩამომჯდარი. მალიმალ გახედავდნენ სივრცეს, გაღმა ნაპირს, სად უფრო ვიწრო ჩანდა მდინარე, სად შეიძლებოდა გადასვლა, რა ადგილას...

ამ ადგილებში ძველი მცხეთელები ფეხით გადმოდიოდნენო... გაშლილ, ფლატე ადგილებს ირჩევდნენო... იპოვეს კიდეც ის ადგილი... წყალში ჩასვლაღა აკლდათ.

ოღონდ ეგ იყო, როგორც კი მიაღწიეს შერჩეულ ადგილს, (ხარბი მზერით შეათვალიერეს იქაურობა!) სავარძელში მჯდომი გოგიტა, სადღაც ქვემოთ, მდინარის პირას დატოვეს, თავად ინება ასე... ქვიშიან ნაპირთან ახლოს. ორიოდე ნაბიჯის იქით მდინარე მიედინებოდა... რამდენჯერაც მოხედეს, წყნარად იჯდა გოგიტა. არ იძვროდა. მდინარის ზვირთებს, მაღალ ცას თუ რაღაც საფიქრალს აჰყოლოდა.

საკმაო მანძილზე გასცილდნენ გოგიტას, უკვე აღარ ჩანდა იგი. ბუჩქები ფარავდა. როგორც იქნა მიაღწიეს... მიაგნეს... დაბალ, ფლატე ადგილს, ადვილად გადასასვლელს.

და ამ დროს იყო, თითქოს ხილვა გაუმძაფრდათ!.. გაღმა ნაპირიდან გამოსულ მცხეთელებსაც ხედავდნენ — ჩირაღდნებით, კვარებით, სანთლებით... ნაპირს მოდგომოდნენ. ფეხშიშველები, ჩოხაკაპიწებულები, ნაღდები. უჩოქებდნენ მეფეს. ყოველ მათგანს სურდა ხელი წაეშველებინა, მხარი შეეფარებინ, ზურგით გაეტანათ ორმაგი ხისგან შეჭედილი მუხის მძიმე კუბო. არადა, სრესდა... ახალგაზრდებს, ბებრებს, ჭაღარათმიანებს, მელოტებს. წყალში იძირებოდნენ, იგუდებოდნენ. მაინც ფეხზე იდგნენ. კუბო გადაჰქონდათ, ნაბიჯით არ იხევდნენ უკან, წინ მიიწევდნენ, ზამთრის ცივ ჩქერში, დამრეც ლოდებზე გადადიოდნენ... იქ, მეორე ნაპირზეც ხალხი იდგა, გრძელანაფორიანი ბერებიც მოჩანდნენ... სვეტიცხოვლიდან,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბებრისციხიდან მოსულიყო ხალხი, გლეხები, ახლო-მახლო სოფლებიდან. თავიანთი სურვილით შეკრებილიყვნენ. ქალებიც ჩანდნენ, გრძელი კაბებით, თავსაფრებით. ტალიკა ბიჭებიც. ლამის თავადაც შესულიყვნენ წყალში... თებერვალი იდგა, ციოდა... სუსხი მოჰყვებოდა წვეთებს. კაუჭიანი, გრძელი ჯოხები ეჭირათ, მოდებდნენ და თავისკენ დაითრევდნენ. არ გასჭირვებიათ... ტახტრევანზე იწვა მეფე... გმირი მეფე... მრავალჯერ დაჩეხილი, მაინც მთელი. სამართლიანი და ძნელად გასამეტებელი... ჯარი შემოცლოდა, კახელები უკანვე გაბრუნებულიყვნენ... სამაგიეროდ, მცხეთელები მოსულიყვნენ... ნაღები გაეხადათ... ქალამნები გაეძროთ, დოგა-დოგა შეჯგუფულიყვნენ.

— უფალო, გვიშველე! უფალო, შეგვიწყალე! — შესთხოვდნენ.

სახეებსაც ხედავდნენ... მეფის კუბო მიჰქონდათ. წყალდაწყალ, უხიდოდ. ადგილობრივ მცხოვრებლებს, მეომრებს, მწყემსებს, გუთნისდედებს, გაღმა ნაპირიდან გამოსულებს. ერთ მათგანს ყური არ უჩანდა, ხმლით ჩაჩეხილს ჰგავდა... მაინც მთელი კაცი იყო. მაინც ვაჟკაცი. ნახევარი კაცი ნაკლებად ეთქმოდა, ნაჭრილობევი აჩნდა. ძველი ჭრილობა. ამდენ ხანს უნდა შეხორცებოდა, მაგრამ დაძაბულ წუთებს, წყალში გდებას, მხრებზე გადებულ მძიმე ტვირთს თავისი ექნა, ახლად ჩამონათალივით, სისხლიანივით უღვიოდა ჭრილობა...

გაქრა სახება. სხვები გამოჩდნენ. (საოცარი წუთები იდგა!) ქალები თუ კაცები, მწყემსები თუ გუთნისდედები... გაღმა ნაპირიდან დაძრული ხალხი. წყალზე გამოდიოდნენ, უხილავ სივრცეში მოაბიჯებდნენ... მთლად უბრალოები, ჩამოხეულ-ჩამოძენძილნი, ჩოხააკაპიწებულნი. ცხვირიდან ცინგლი სდიოდათ (ეგებ წყლის წვეთები იყო)!

სიჩუმე იყო ირგვლივ, უცნაური სიჩუმე, მხოლოდ ზვირთის ტყლაშუნი ისმოდა. ამ ხმამ ყველაფერი მიაყუჩა, კაშკაშა შუქი, ტრასაზე მანქანების მალიმალ ქროლვა. ყველაფერი, რაც ზურგს უკან დარჩა. ერთხელაც არ მოუხედავთ უკან. მხოლოდ წინ მიიწევდნენ.

ამ ადგილებში ბავშვებს ნათლავდნენ.

...არადა, კვლავ უმზერენ დარდიან მეფეს. წყალმანკისგან ფეხებშესიებულს. მის ყიზილბაშურ, პომპოზა ქუდსაც ხედავენ. ნეტავ, რად მოსწონდა ამგვარი ქუდი? თუმცა!.. მეფე იყო, მეცხვარის ფაფახს ხომ არ დაიხურავდა. როგორც მოსწონდა, იმგვარად ირჯებოდა, უცხო ქვეყნების ელჩები მოდიოდნენ და მოწიწებით უხრიდნენ თავს. ხალხიც ემორჩილებოდა და ჯარიც... ცოლ-შვილი ვერ დაიმორჩილა, ერთმანეთში ქიშპობა ჰქონდათ. ვერც ქალები მოთოკა — რძლები, ასულები, დედოფალი, ფარჩა-ატლასზე მისდიოდათ სული. აბრეშუმსა და ქათიბზე... ვალებში ჩავარდა მეფე. ორი ათასი, სუფთა ოქრო. ასეთი კიდევ რამდენი... ეგებ იფიქროთ, რა გასჭირვებოდა ქართლ-კახეთის მეფეს, რომ ვალის გადახდა გაძნელებოდა. თუმცა, სადღა იყო ძველი დიდება! შავი ჭირი, წაგებული ომი და დაქცეული ქვეყანა. (ფარჩა-ატლასისთვის სად ეცალა მეფეს!).

სადღაც უკან დარჩა გოგიტა. თავად ინდომა. სანამდე უნდა ეთრიათ სავარძელი. სილიან ნაპირთან ინება სულის მოთქმა, წუთშესვენების გამოცხადება. არაგვთან ჩამოსვეს. თუ მოინდომებდა ფეხების ჩაწყობასაც მოახერხებდა შიგ.

...კიდევ ერთხელ მოხედეს გოგიტას და... დაიძაბნენ. აღარსად ჩანდა კაცი! თითქოს გამქრალიყო. აორთქლებულიყო... შორიახლო, სვეტიცხოველის დიდებული შენობა მოჩანდა, წითელკრამიტიანი, დაბალბანიანი მცხეთური სახლებიც ჩამოემწკრივებინათ მდინარის პირას.

ნაპირთან ახლოს გოგიტას ცარიელი სკამი იდგა...

* * *

...ერთხანს წყალს უცქირა გოგიტამ, მღვრიე მდინარეს, ჯვარსაც ახედა, მერე განიერი პირჯვარი გადაიწერა და წყალში ბორძიკ-ბორძიკით, წინ წასვლით და უკან დახევით შეაბიჯა. ფეხი უცურდა, ერთგან გაუსხლტა, ვერც თავი შეიკავა, პირქვე გადაემხო წყალს. არ დაბნეულა, პირიქით თითქოს გამაგრდა, მკლავი მოუსვა, ცხენისწყალში ნაბანავებს და მის ზვირთებში გაზრდილს, ასეთები არ უკვირდა. კარგა მანძილზე გაცურა, მერე გულაღმა ამოტრიალდა... არადა, ეამა! მის გაშეშებულ ფეხებს... რა ხანია შვება არ უგრძვნია. თავდაპირველად, ცივი ეჩვენა წყალი. გააძაგძაგა. მერე, თითქოს ჩათბა. დინებას მიჰყვა. პირაღმა მწოლს, ვეება სივრცე დამხობოდა თავს. ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შესცქეროდა. უსაზღვრო შვებას გრძნობდა! (აღარაფერი ტკიოდა, არც ძვლები ხრავდა!) მდინარეც იყო, ცაც — უსაზღვრო და უკიდეგანო, ვარსკვლავებიც — ურიცხვი. შორიახლო ჯვარი აღმართულიყო... მდინარის მეორე მხარეს სვეტიცხოველის დიდებული ტაძარი ლივლივებდა. სხვა რაღა უნდოდა!..

ღმერთო, ეს რა სიხარული მოუვლინე, კურთხევა არ უნდა, არც დალოცვა... საოცარი შვება იგრძნო!

არადა, წაიღო და წაიღო წყალმა, რაც ემოსა ტანზე, დალბა და დარბილდა, თითქოს არც ეცვა. ფეხზეც გასძვრა. მკლავებგაშლილი, დინებას მიჰყვებოდა. ქვემოთ მიაქანებდა. შიში არ უგრძვნია, არც ფორიაქი... ერთი-ორჯერ ზვირთმა გადაუარა, ჩააყურყუმელა, კვლავ ამობრუნდა, ხელახლა გაშალა მკლავი...

რაოდენ სავალალო არ უნდა ყოფილიყო, მარტო მას როდი მიაქანებდა არაგვი, აჩქარებით და აფოფინებით, ელეთმელეთით, დანარჩენებსაც — მასზე დადევნებულებს, მის გადასარჩენად შემზადებულებს. უკან მოჰყვებოდნენ ისინი — დგაფუნით, ქშენით, ერთმანეთზე გადაძახილით. შეხმიანებით. ძალაგამოცლილები, ჟინ-

26 679

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

იანები, თავისნებები — გოგია, გურგენა, ლომკაცა. მოგვიანებით, ალბათ, მათ სხეულებსაც გადაუვლის ტალღა, წყლით გაჟიჟინებულებს, სახეშეცვლილებს, გატიკნულებს გამორიყავს ნაპირზე, მაგრამ ყოველივე ამაზე ნაკლებად ფიქრობდნენ...

ყველაზე დიდხანს ლომკაცამ შეინარჩუნა გონი. ცოტა დალია... უცნაურ გულისტკივილს ვრძნობდა. ყველაფერზე წყდებოდა გული... მთებზე, ციმციმა ვარსკვლავებზე... ქალზეც. ჯერაც უკოცნელ, გულში ჩაუკრავ ქალზე... სხვა არაფერი ახსოვდა. არც წყენა, აღარც სიხარული. პირველად ახლა იგრძნო, არც ის ქალი ეტყოდა უარს... ვაჟის გამდნარ სხეულს, დამახინჯებულ კიდურებს, ისე ჩაიკრავდა, როგორც ბედისგან ბოძებულ მადლს. მიუსათუთებდა... მაგრამ!!! ყველაფერი გვიან იყო... წყალი ასკდებოდა სახეზე, მკერდზე. თანდათან ფარავდა... ლომკაცას ახლოს გურგენა მოცურავდა, სვანი კაცი. მტრედის გუნდივით აფრენილ თავის ქალიშვილებზე დარდობდა მუდამ. „რომ მოვკვდე, ვინ მიტირებსო", — იცოდა თქმა — „ჩემს შვილებს, ჩემთვის არ სცალიათო". ახლა რატომღაც შვილების ნაცვლად, ცოლის სევდიანი თვალები მოელანდა... ფიქრმაც კი შეაწუხა. გვერდით მყოფნი უკვე აღარ ჩანდნენ. ვერც გოგიას ხედავდა გურგენა, ვერც ლომკაცას, გოგიტა საერთოდ გამქრალიყო...

უკანასკნელ ხილვებში, აცაბაცად გამსხლტარ ფერებში ლომკაცას თუ სანატრელი ქალი მოელანდა, გურგენას კიდევ ცოლი და ქალიშვილები, გოგიას, გალოპრილ ტივივით მკლავებგადაშლილს, ყრმობისდროინდელი ხილვები მოეძალა რატომღაც. ბერლინის ხედები, (არც არასოდეს დაუდგამს ფეხი!) ეს სურათები, ომში დაღუპული მამის ბარათებს მოჰყვა. უცხო ქალაქის ხედები, მშვიდობიან წლებში გადაღებული და სხვაც — იგივე ხედი, დანგრეული ქალაქი, ჩაშლილი ხიდები, ტანკის ლულასთან ჩამომსხდარი მეომრები. გოგიას მამაც მოჩანდა მათ შორის, ოღონდ მკრთალად, ძნელად შესაცნობად. ახლა, იმ ქალაქს, მის ახლო უბნებს, გოგიას უმცროსი ვაჟი ერეკლე აშენებს, სასახლეებს აგებს. რა ხდება? პაპის შეცდომებს შვილიშვილები ასწორებენ თუ „პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოჰკვეთა კბილი". გაფანტულად აზროვნებდა... შეუსვენებლად მიჰყავდა ტალღას...

* * *

ხმებიც ჩაესმა გოგიტას. მგალობელთა ხმები. თანამოძმენი მღეროდნენ. თვალებში ჩამოწეწილი თმა ხელაღებით გადიხვეტა სახიდან. მიაყურა.

გალობდნენ. წყლის დინებას, გადასარკულ ცას, ბუნების უცნაურ გარინდებას აყოლილნი, ზვირთებს შეფარებულნი; თითქოს ქრისტეს მცნებას აღასრულებდნენ, ძნელად სავალ გზაზე, წინ სუსტი და უძლური წაიძღოლეო, წინ წაიგდე და უკან მიჰყევიო... გოგიტას უმოძრაო, გაშეშებული ფეხები იყო ამის დასტური... „გული წმიდაი დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა".

ქრისტეფორე ბადრიძესაც ხედავდნენ, (გულზე ჯვარი უჩანდა) გრძელანაფორიან, ბრტყელბეჭიან, ხმელ კაცს... მეფის ჭირისუფლის წინ დადებული მისი პირობაც ახსოვდათ — თავად გადიყვანდა მეფეს — ნაომარს, დაჩეხილს, საკუთარ მხრებზე აიღებდა ყველა სიმძიმეს.

ყოველივეს ხედავდნენ... ხმებიც ესმოდათ — შორეული გალობა, გაღმა ნაპირზე მგალობელთა გუნდი გალობდა თითქოს — სანთლებით, ჯვრებით, კელაპტრებით...

სულ ახლოს, ასიოდე მეტრის იქით, ორი მდინარე უერთდებოდა ერთმანეთს. ტალღა — ტალღას ერთვოდა, ზვირთი — ზვირთს. სხვადასხვა ხმებით, ფერით, გემოთი თუ სურნელით გაჯერებული. მიწების გამორეცხვით, კენჭების წამოხვეტით, ხის ძირების გამოთხრით რომ უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. თითქოს ორი სამყარო ერთვოდა ერთმანეთს. ერთ დინებად იქცეოდა....

მკლავებგაშლილნი, თავგადაგდებულნი, ამქვეყნიურობიდან გაღწევის ჟინით აღვსილნი ხმაშეწყობილად გალობდნენ...

არადა, ერთი და იგივე ხილვა მრავალჯერ განუმეორდათ... თითქოს ხედავდნენ და ვერც ხედავდნენ. — „დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა!" ხეირიანად ვერც იმას მიხვდნენ, შორეული ხმები იყო, გაღმა ნაპირიდან გამოღწეული, თუ თავად მღეროდნენ: „მოვედით, თაყვანის ვსცეთ მეუფესა ჩვენსა, ღმერთს"...

დიდებული წუთები იდგა, ყოველივე ამისთვის ღირდა სიცოცხლე, სიკვდილიც ღირდა...

ნათელით იდგა მთვარე. ყოველ კუთხეს ანათებდა. ცაზე ვარსკვლავები ისე ჟიკჟიკებდნენ, ისე ბრწყინავდნენ...

* * *

გათენდა. სამყარო განათდა, მგალობლები არ ჩანდნენ. ოთხი კაცი — გოგია წიკლაური, გოგიტა ეძგვერაძე, გურგენა კვიციანი და ლომკაცა. (გვარი ვერ გავიხსენე, ან კი რა მნიშვნელობა ჰქონდა!)

ოთხი კაცის დაკარგვა (ერთბაშად გაქრობას რომ ჰგავდა!) არ იყო ადვილი. მომკითხავი საკმაო ჰყავდათ, მომძიებელიც...

სულ პირველად, მეშვიდე მგალობელმა მოიძია. მათ გარეშე გალობის დაწყებას მადლი არ ჰქონდა... უკვე დილის წირვა იწყებოდა. ისინი კი არ ჩანდნენ. მათი ხმების შემცვლელი არავინ იყო. მეექვსე მომღერალთან ერთად, რაც არ უნდა მოენდომებინა, მთავარ სათქმელს ვერ იტყოდა. როგორც საჭირო იყო, ისე ვერ დააგუგუნებდნენ...

სხვა რა ძალა იყო, უნდა მოეძებნათ, ეპოვათ და მოეყვანათ. არადა, რაღაც ცუდს უგრძნობდა გული. ასე ერთად, ყველანი... დაუჯერებელი ამ-

ბავი იყო. დილის წირვის გაცდენას არ იკადრებდნენ. ეჭვმა იმდენად შეაწუხა ვაჟი, ააფორიაქა, მოცდა და ლოდინი არ შეეძლო. მეექვსე მგალობელის ახალთახალი „ბმვ“ ჭიშკართან იდგა. ლურჯი ფერის... დიდად ვერ ეწყობოდა ამ კაცს, ასეთებს ყოველთვის გაურბოდა, შიში ჰქონდა... მაგრამ ახლა სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. რაც მთავარია, ისიც... მეექვსე მგალობელი, ქუჩაში იდგა და გზას გასცქეროდა... მათ ელოდა. მერე მანქანა აამუშავა — ნავიდეთ, — უთხრა ვაჟს.

სახლში მიაკითხეს. ეზოში შევიდნენ. ფარეხის კარი ღია დახვდათ. ბოქლომჩამოკიდებული, დაუკეტავი. მეზობლებმა — არც ერთი არ გამოჩენილაო, გოგიას ბინაში შუქი ენთო. (ალბათ დარჩა!) ზარი აწკრიალეს, ეძახეს, არავინ გააღო.

სახეგანაცრისფერებული მოასკდა გურგენას ცოლი, ჩუმი, უენო ქალი, ზინა. „დასაფლავებაზე წავიდნენ, ჯერაც არ დაბრუნებულან, ბავშვები ვერ მივატოვე (შვილიშვილებს გულისხმობდა) მთელი ღამე მოლოდინში გავატარე. მერე ვიფიქრე, ალბათ, წირვაზე წავიდნენ-თქო...“ შეშფოთებას შეეპყრო ქალი.

ლომკაცა არავის მოუკითხავს.

ოღონდ, მეოთხე სართულის აივანზე, ბოძივით გაშეშებული იდგა თმახუჭუჭა, ლტოლვილი ქალი, არც ძირს ჩამოსულა, არავისთვის ჩრაფერი უკითხავს, მაგრამ, მდუმარე დგომით მეტ წუხილს გამოხატავდა, ვიდრე ხმაურიანი „ვაით და ვიშით“.

გზას დაადგნენ.

ზუსტად იმ გზას, რომელსაც გუშინ, დღისით, მზისით გაჰყვნენ მგალობლები. მისაქციელში ავიდნენ, ჭირისუფალიც ნახეს. ქელეხის სუფრიდან ადრიანად წამოიშალნენო, უთხრეს. რა დიდი მანძილი მაგათ ჰქონდათ გასავლელი, რომ მოსვლა გაძნელებოდათო... მაგრამ, რაღაც არ იყო ისე, როგორც ეგონათ... ალბათ, სადმე შეუხვიესო. არაგვის პირს ჩამოჰყვნენ. „სალობიესთან“, ფანჩატურში, წუხანდელი ოფიციანტი იპოვეს, ოთხივენი გაიხსენა, გოგია, გურგენა, გოგიტა და ლომკაცა. სუფრაზე მიტანილი მწვადიც... ფული, მაღალმა და ზორბა კაცმა გადაიხადაო. ასლარიანი ჩამიდო ჯიბეშიო... შესანდობარი გვინდა მეგობარს ვუთხრათო... უმეტესად ის მაღალი ლაპარაკობდა, თამადაც ის იყო. რაღაცას ჰყვებოდა, ერეკლე მეფეზე... მის დაკრძალვაზე... ცალი ყური მათკენ მქონდაო. მერე აიშალნენ და ზევით არაგვის ნაპირს შეჰყვნენ. რა ადგილას შეიძლება მდინარეზე გადასვლაო, იძიებდნენ, ნასვამები ჩანდნენ. თვალი ვერ მივადევნე, კლიენტების სიჭარბე იყო... — ბოდიშობდა ოფიციანტი.

ქვის სატეხ კარიერთან ახლოს, კარებმოღებული თეთრი „ნოლშვიდი“ იპოვეს. გოგიას მანქანა. თითქოს კარები გაეღოთ და გადასულიყვნენ. მდინარის დამრეც, კლდოვან ნაპირს გაჰყოლოდნენ.

ქვემოთ, წყალთან ახლოს გოგიტას სავარძელი იპოვეს. თითქოს იჯდა და წამოდგაო. გაშეშებული ფეხებით წყალში შეაბიჯა. მდინარეში შესვლა მოიწადინა... ალბათ ეამა, ტკივილები დაუამდა... ან ეძახდა ვილაც, უფრო გადევნებულს ჰგავდა. დანარჩენები სად წავიდნენ? მათი ნაფეხურებიც არ ჩანდა. არც ქვიშას ეტყობოდა, არც კლდიან ფერდობს.

* * *

მთელი კვირა ეძებეს. ახლომახლო ადგილები მოჩხრიკეს. გურგენას უფროსი ქალიშვილი გადმოფრინდა ავსტრიიდან. მეზობლებიც ეძებდნენ. ძებნაში ავჭალის ეკლესიის მთავარდიაკონმაც მიიღო მონაწილეობა... ყოველი ბუჩქი, ეკალბარდი დაათვალიერეს. გაღმა თუ გამოღმა ნაპირი, ვერც ერთი ვერ იპოვეს. ან სამოსი ან ფეხსაცმლის ლანჩა. კვლავ მდინარეს გაჰყვნენ... უკვე მტკვართან შეერთებულს, წყალუხვს. ქალაქშიც შეაღწიეს. ყველა ხიდი გაიარეს. მყვინთავები წაიხმარეს, მეთევზეებიც, ფულიც საკმაოდ გასცეს. გურგენას ქალიშვილი (გერმანელი ბიზნესმენის ცოლი) უაზროდ ფანტავდა ფულს, ძალისძალად აჩეჩებდა მყვინთავებს. თხოვდა, ემუდარებოდა. განუწყვეტლივ ტიროდა. ვერა და ვერ იპოვეს.

გამოცდილი ადამიანებიც წაიხმარეს, მრავალგზის ნაცადნი. ყველა ხერხი იხმარეს. წყლის საცავები ჩაკეტეს. არა და არა! არსად ჩანდნენ. თითქოს გაქრნენ. აორთქლდნენ. ოთხი კაცი, ოთხი მგალობელი. ჯვარსა და სვეტიცხოველს შორის, ბებრის ციხესთან ახლოს, არაგვის ჩქერში, როგორც უსასრულობაში, ისე განქარდნენ...

„მომიხსენენ, უფალო, ჩვენცა, მდაბალნი და ცოდვილნი და უხმარნი მონანნი შენნი“.

2009 წ. აპრილი. აღდგომა.

ბელა პავლოვი

მო, მომაგონეთ!

აჰა, ღიმილი გადამავიწყდა,
სიმღერაზე ხომ სიტყვაც მეტია...
მიმიჩუმათდა გული სამინე
და მზაფრავს ქარი შარახვეტია.
აღარც სხვებს უჩანთ ღიმილის მსგავსი,
რომ გადამდონ და ამიყოლიონ,
უღიმილობა, ეს სნება ნავსი,
რომ მოვისროლო როგორც ფოლიო.
რა ეწამლება შავი ჭირივით
ქალაქს მოარულ უღიმილობას,
მო, გაიღიმეთ, თქვენი ჭირიმე,
დამითქვით თითო ღიმის პირობა.
თორემ წამლეკა უღიმილობამ,
ცივად მოკუმულ ბაგეთა ჭვრეტამ,
სულზე ჭრილობა, გულში ჭრილობა
და... ერთიანად ვქცეულვარ რეტად;
თუმცაღა, შავი დღეების მომსწრეს,
რატომღა მიკვირს უღიმილობა...
და მაინც, უნდა პირობა მომცეთ, -
დამითქვათ თითო ღიმის პირობა.
გამომიწოდეთ ღიმილი, როგორც
ერთურთს ვუწვდიდით ვარდსა და იას...
ღიმილი არის პატარა გოგო,
უღიმილობა – ვერაგის ტყვია.
მო, მომაგონეთ როგორ იღიმით,
როგორ ლამაზად, ფართედ და ამოდ...
როგორც შროშანი, როგორც ღილილო, -
სულ უმიზეზოდ, არაფრის გამო.

და ვერ ვპოულობ

მე ისევ ვეძებ სიტყვას, რომელიც
ყველაზე ცხადად, გარკვევით გეტყვის,
როგორ მიყვარხარ, როგორ მოგელი,
როგორ მძულხარ და რარიგად გეტრფი.
მე ისევ ვეძებ ერთადერთ სიტყვას, -
რომლითაც უნდა შეიქნას ცხადი, -
ის, რაც დუმილით მრავალგზის ითქვა,
რარიგ მიყვარდი და რარიგ მძაგდი.
ფოფინებს დილის უმწეო სხივი,
ვიდრემდის მართლაც იქცევა სხივად...
სათქმელიც ასე ფოფინებს, ღვივის,
ვიდრემდე იტყვი რარიგად გტკივა.
მე კი ერთადერთ სიტყვაზე ვწუხვარ,
რომლითაც უნდა გარკვევით გითხრა:
მძულდი, მიყვარდი, მიყვარხარ, მძულხარ
და ვერ ვპოულობ საჭირო სიტყვას.

ასწი თასი...

ასწი თასი, საყვარელო, ასწი თასი,
და სიმართლეს აეხდება ფარდა,
არაფერი იკარგება ბუნებაში
ახდენილი ოცნებების გარდა.
ასწი თასი, საყვარელო, ასწი თასი,
მტერს – დარჩენა ამ დაწყევლილ თავთან...
არაფერი იკარგება ბუნებაში
ჭეშმარიტად დასაკარგის გარდა.
უჩინარით გადიქროლებს ყოფა რაშით,
საჩინოსას დაგვიტოვებს ქარგას...
ყველაფერი სწორად ხდება ბუნებაში,
მოკვდავისთვის არასწორს რომ გავდა.
დასაკარგი რაღა არის... ასწი თასი,
რომ სიმართლეს აეხადოს ფარდა...
ყველაფერი იკარგება ბუნებაში
აუხდენელ ოცნებების გარდა.

***

მე ნავიკითხე მაგ შენს თვალებში
გულგრილობა და ფერისცვალება,
რაღა მოხდება სხვა, უარესი,
რაგინდ იავდრონ თებერვალებმა.
არცა რამ სიტყვა, არცა რამ მოთქმა,
გამოგეთხოვე ლაღს და მშვენიერს...
აწი სიკვდილი ვეღარც კი მომკლავს,
თუკი მე თავად არ ჩავერიე.

როდის?

როდის ისვენებს არაგვი,
რა დროს იძინებს მტკვარი...
ნეტავი როცა არა ქრის,
მაშინ სად არის ქარი.
რად ვერ მოშუშდა აქამდე
ქვეყნად ამდენი წყლული...
და თუ რამე არ აღანთებს,
როგორ ისვენებს გული...

ქეთევან წამებული

ვარდების, სინაზის,
პოეტთა შირაზი,
შენ კი შემოგბედეს
შანთი და მარწუხი...
ქეთევან! – ტირიან
ქართველი დედები,
ეც შენი იარა მაწუხებს.
ვარ შენი რწმენის და
სიწმინდის მორჩილი,
მინდა შენ გედარო...
მე მარჯვენს მოგისვამ
მკერდზე და მორჩები,
მორჩები, ნეტარო!
მაგრამ ის მაოცებს,
მაგრამ ის მაწუხებს,
სინაზისა და ვარდების
შირაზში...
როგორ შემოგბედეს,
ვითარ შემოგბედეს
დედოფალს –
შანთი და მარწუხი!

სათნოებას ჰბადებს

სიმწვანეა ირგვლივ გულის გასახარი,
სიმწვანეში ძლივსღა ვხედავ ატენს,
დგას ასკილი, - ვარდის შორი წინაპარი
და მიდამოს სინაზესა ჰმატებს.
არაფერი უჩვეულო არა ხდება, -
ასკილის ტოტს ანანავებს ქარი...
და ასკილი, ძალზე ცხადად მეჩვენება,
არის უფლის დანთებული კვარი.
არაფერი უჩვეულო არა ხდება,
მაგრამ ყოფნა მიხარია ერთობ...
მით უფრო, რომ ყვავილები –
მიწის გზნება,
მრავლისმთქმელად მოჰფენია ფერდობს.
და ყოველი არის გულის გასახარი, -
ისიც, ქალი რომ მიდენის ბატებს...
რომ ასკილი, ვარდის წყნარი წინაპარი
დგას და... უზღვავ სათნოებას ჰბადებს.

არასგზით...

გიორგიწმინდის ბოლოზე
დგას მარტოსული ატამი,
თუმც... მარტოსული რად ეთქმის
ამ ყვავილობაატანილს;
რაც იფურჩქნება ალალად
და თანაც – ვარდისფერებად,
მარტოსულიო, მის ყოფას
არასგზით შეეფერება!

ეს ყოფითობა

ყოველდღიური მიმოქცევა, ზრუნვა, ტრიალი,
ათასში ერთხელ – მოვარდნილი ლირიზმი
ხილად...
ეს ყოფითობა – პოეტის სულს გაწნული სილა, -
მისვლა და მოსვლა, პური, ხორცი, გულის
ფრიალი.

მხოლოდ ჟამიჟამ მობერილი ამო ნიავი –
ბოლოს და ბოლოს ერთ სტრიქონთან
დარჩენა წყვილად...
სიტყვის ჭიდილში მოფრენილი
ფერადი დილა, -
შენი მარცხის და გამარჯვების თანაზიარი.

მიდის, ილევა რომანტიკის ჟამი ტიალი,
საცაა კიდეც მიიქცევა საღათას ძილად,
მიინავლება მოვარდნილი ოდეს გრიალით...

ზათქით მოსული მისულია ჩაქრობის პირას,
პოეტის სულში ჩამკვლელია ცეცხლის
ბრიალის
ეს ყოფითობა – პოეტის სულს გაწნული სილა.

ოდით...

თქვენ ჩაუარეთ
ჩემს სიყვარულს უსიტყვოდ –
ნიშნავს:
ვერ შეამჩნიეთ
მოყვავილე ალუბლის
ტოტი...
და მე არ მიკვირს,
მშვენიერის
გვერდით ჩავლისას,
თვალდავსებულნი
ასე უხმოდ ვიდოდნენ
ოდით.

ასეთ გარემოში

გლეხის ქალიშვილი – ტირიფი,
თავდახრილი და მორცხვი,
წიფელი –ჩაცმული შილიფად,
ზურმუხტგადაკრული ბორცვი.
ნიავი – მოჩურჩულე აბრეშუმი,
ღელე – აწყვეტილი კვიცი,
ძროშანი – კრთომა-შარიშური,
გვირილა – ქალწული მკვირცხლი;
იები – წმინდანთა იერი,
ჰაერი – ჯანსაღი, ხმიერი,
ბუჩქები – ბოხვერა ბელები,
გაცრიატებული ბაიები...
ხენი – ცადაწვდილი ხელები,
ჭრიჭინობელები – ველური არიები,
ჭაბუკი უფლისწული – ალვა,
მზეთუნახავი – მინდორი,
შინდი – მოყვავილე ქარვა,
გული – ხალასი და მიმნდობი...
ეჰ! აქ სიცოცხლეა გავლა, -
ასეთ გარემოში მინდოდი.

***

აჰა, დარდებმა წამშალა ისე,
აღარც შემომრჩა ტკივილის ძალა,
როგორ მიყვარდა ყურება ცისკენ,
როგორ მხიბლავდა ფერადი ჭალა...
ახლა თალხი და ცრემლების ღვარი
და ტკივილებით გვემული გვამი...
რომ შეევედრო - „შეჩერდი, წამო!"
აღარსადა ჩანს ამგვარი წამი.

ჩიტები წუხან თავის ენაზე

ჩიტები წუხან თავის ენაზე,
ჩიტურად უყვართ ჩიტებს გალობა;

ვერ იმღერებენ სხვათა ენაზე, -
ჩიტური ენა ეძღვნათ წყალობად.

ჩიტებს – ჩიტური, ქართველს – ქართული,
გზნება – სიმაღლე-გრძნობა დართული...

ვით ჩიტს ჩიტურად, გალობისათვის
ყელი ქართულად მაქვს მომართული.

რომც დავიმღერო სხვათა ენაზე,
ის ვერ იქნება ჩემი ნამღერი;

იმა სიმღერით მე ვერ შემიცნობთ,
ვერ გამოჩნდება ჩემი ნაღველიც;

ჩემი ზეობის გამოჩინებას
შესწვდება მარტო ქართულის ძალა...

ჩემი წუხილის დაფარვაზედაც
ქართულმა უნდა მიშველოს კვალად.

შევერთებივარ ყოველი წვეთით
მშობელი ენის უსიერ წიაღს...

მაღლით ქართულად დამნათის მთვარე,
ქართულად გააქვს შრიალი ნიავს.

მხოლოდ ქართულად მოხტის არაგვი, -
გრძნობა-სილაღე-გზნება დართული...

ვით ჩიტს ჩიტურად, გალობისათვის
ყელი ქართულად მაქვს შემართული.

მცირე სურვილი

ქუმლის ციხე, ცეცხლის ჯვარი,
სიხაურის მთა...
ძერას ირაოსებურად
დაუშვია ფრთა...
საკბილოს თუ გამოძებნის,
თუ არადა, რა, -
თავის არსებობაზე ხომ
მოგვაწვდინა ხმა...
ზოგჯერ კაცსაც ამის მეტი
არა უნდა რა.



ზურაბ ქოხსარიძე

მ ბ ზ ი ი ი

ოქროსფერი, ნათიბი ფერდობი პატარა, ხორბლისფერი ზვინებითაა მოჩითული. ხანდახან ნიავი დაუბერავს და შემოდგომის მზით დასიცხულ მეთივეებამდე სოფლის ხმაური და არაგვის ჩხრიალი ამოაქვს.

მამუკამ თოკგადაკოჭილი ზვინი დაითრია და თივის საზიდ მარხილზე, სხვა ბულულების გვერდით მიაგდო.

— ადუაუ! ჰაი, ადუაუ! — გაეხმიანა მოშორებით მომუშავეებს. — გაიგეთა, რა ანბავ ას ეილღვას?

— რაო? — ადუამ ძირს დაგდებული თოკი აიხვია მკლავზე. შვებულებაში წამოსულს, არც საათი წამოუღია, არც რადიო. ისვენებდა — არც ტელეფონი, არც გაზეთი, არც ტელევიზორი, არც ოჯახის ზია-ზია ...

— ომ ას, ომ! — მამუკას ნაცვლად, შალვამ უპასუხა ძმას.

— ხოო! ალბათ, ეგაა მიზეზი, ხახმატელებმა რომ თქვეს, ნადირმა იმატა მთაშიო! — ჭაუხებს გახედა ადუამ. ძალიან ლურჯ ცაში, ძალიან დაკბილულ-ყინულიანი მწვერვალები ბრჭყვიალებდა. სუნთქვა შეეკრა. სულ ენატრებოდა აქაურობა.

— ჰეე, ნადირ კი არა, ხიზან გამასჩნდა შატილსა და არდოტს! — მამუკამ ბულულებზე აალაჯა და თივის ტკეპნა დაიწყო.

ისევ დაუბერა ნიავმა და თივის მოტკბო სურნელი მოიტანა.

— იწვიმებს! — შალვამ ცას ახედა და ოფლით დაცვარული შუბლი გახუნებული, მწვანე პერანგის სახელოთი შეიმშრალა.

— ჰაი, გუდანის ჯვარმა! ერთ-ორ დღე დაგვაცადას! — თივის ტკეპნა განაგრძო მამუკამ. მერე, ძმებს გამოხედა.

— ისე, ძველებს უთქვამთ, სადაც ბაბრია, იქ სხვა ნადირ ფეხს ვერ მაიკიდებსო. ჩვენცა გვყაავ ერთ მგზირ!

ადუამ ვერაფერი გაიგო და გაკვირვებულმა გამოხედა.

— აარ ერთ, შავ მგელაი. ჩამაივლის მეფის მგზირივით. რასაც თვალს დაადგამს, იმისია! — თქვა მამუკამ და ნიჩაბივით ტორი ასწია. – აე, ეს ხელ ჩავატიე მაგის ნაკვალევში, იმხელაა ეგ ტიალი!

— აგერა, გაღმელებს უნადირიათ კალოთანაში. ჯიხვებს ვზდიეთაო! — შალვამ ფიწლით თივა აიტაცა და მარხილზე დაზვინულს, შრიალით დაამატა. — ნადირ უნახამთ. ათზე მეტი დავთვალეთაო. აე, ამ თივაის ფერებ ყოფილან! დიდრონებ ყოფილან! თურმ, ერთ წითაი რევიათ!

ადუამ გაღიმებულმა გახედა ძმას და კოკა-კოლას ბოთლიდან წყალი მოსვა.

— მგელ, ლეგა უნდა იყვას, ბიჭავ! წითალ— ყვითალ ვის გაუგიან? — მამუკა მარხილიდან ჩამოხტა და შარვლის ტოტები ჩამოიფერთხა. — ვიღაცას შაჰშინებავ და იმაად მაჰჩვენებავ!

მათი ომახიანი ხორხოცი გაღმა კლდეს ეტაკა და ზეით, ტყეში, ექოდ დაიკარგა.

„— დუშეთის სოფლებს უჩვეულო, წითური, 1,5მ, სიგრძის მგელი შეეჩვია, არადა, ცნობილია, რომ ქართული გარემოსთვის დამახასიათებელია რუხი მგელი. ამბობენ, წითური მგლები ან ჩეჩნეთიდან უნდა იყვნენ გადმოხვეწილი, ან ისევ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის „ჰუმანური“ მიზნების შედეგად მომრავლდნენ“.

(ამონარიდი გაზეთ „სოფლის ცხოვრებიდან“)

* * *

წვიმიან, ჩასკვარამებულ ღამეს, ხანდახან ელვა გაკვეთავდა და მძიმე ღრუბლებით ჩამოჯანღულ ფშავის მთებს ანათებდა.

წამიერად გაკვესილი სინათლე, ტოტებდაშვებული დიდი ნაძვის ძირში, თერთმეტმა წყვილმა თვალმა აირეკლა.

წვიმის შრიალს, ყრუ გუგუნი შეერია. მერე, თანდათან მოახლოვდა და ბოლოს, მძლავრმა გრიალმა შეაზანზარა გარემო. მგლების ხროვა შეიშმუშნა, აწრიალდა და მშრალ წიწვებზე მორკალულები, უფრო მჭიდროდ მიეკვრნენ ერთმანეთს.

თოვლიანი მთების გადაღმა, საიდანაც ეს ჩალისფერი ხროვა გადმოიხვეწა, ჭურვების

გრიალ-გრუხუნი დღედაღამ არ წყდებოდა. ამიტომ მგლებს მეხთატეხა კი არა, სულ სხვა რამ აშფოთებდათ — უკვე მერამდენე ღამე იყო, ნიავს უცხო მგლის სუნი მოჰქონდა და გადმოხვეწილებს მოსვენებას უკარგავდა. ამას გარდა, უზარმაზარი ნაკვალევის პატრონი, ერთი ნაბიჯით ასწრებდა და საკბილოს უფრთხობდა ხროვას. ლტოლვილებს შიმშილი უკვე, სერიოზულად აწუხებდათ. ალბათ, მიატოვებდნენ აქაურობას და სადმე სხვაგან გადაინაცვლებდნენ.

„ერთი უცნაური თვისებაც აქვს მგელს — საზოგადოებრივი მდგომარეობის ინდიკატორია. საკმარისია ქვეყანაში მოიშალოს მშვიდობიანი ცხოვრება, მაშინვე იწყება მგლის სწრაფი გამრავლება“

(ამონარიდი გაზეთ „სოფლის ცხოვრებიდან“)

* * *

თითქოს, მიწიდან ამოძვრაო, ალისფერი მგელი ისე გაჩნდა ნახირს ჩამორჩენილი, თეთრშუბლა დეკეულის წინ. ხან ფეხებში გაუძვრა. ხან ცხვირწინ გაუგორდა. იმდენი ეღლაბუცა, თეთრშუბლა თამაშში აიყოლია და ბექობს იქით, ფლატისკენ გაიტყუა. ჩალისფერ ხროვასაც ეს უნდოდა — ელვის სიწრაფით ეკვეთნენ დეკეულს და ფრიალო ხრამში გადაჩეხეს. მერე, ციცაბოს ქვევიდან დაუარეს და ერთ წუთში, ღელის პირას გაჩნდნენ.

მაგრამ, უკვე გვიანი იყო — რუხი მგელი, მათ ნადავლზე წინა ფეხებით შემდგარიყო. სისხლიანი ლაშებიდან აელვებული ეშვები გამოეჩინა და ავად ილრინებოდა.

ეს იყო უზარმაზარი, მარტოხელა მგელი — ბაბრი, რომელსაც აქაურებმა „მგზირი“ შეარქვეს.

მგზირს, ცხვირიდან დაწყებული, ხერხემლის გაყოლებით კუდის რიკამდე, ნახშირივით შავი ზოლი ერთი-ორად საზარელ შესახედავს ხდიდა.

რუხი მგელი ნელ-ნელა გადგა განზე. ღრენა არ შეუწვეტია, ისე ჩადგა ლეშსა და მწითურს შორის. ხროვას საშუალება მიეცა ნადავლს მისეოდა.

მწითურმა ვერაფრით მოახერხა მგზირისთვის გვერდის ავლა...

მცირე ხანში თეთრშუბლა დეკეულიდან გალოკილი ძვლებიღა დარჩა.

ახლაღა დაცხრნენ შიმშილითა და სისხლით გახელებულები.

აღარც საშინელი ლეგა ჩანდა სადმე და აღარც ალისფერი...

მას შემდეგ მგზირი მარტო აღარ იყო. მისი მწითური, მწვანეთვალება მეწყვილე, ელამბოროტი მზერით, საოცრად საზრიანი და მოხერხებული გამოდგა.

ღონისა და გონის შეერთება სოფელსა და ტყეს ორმაგად ძვირი დაუჯდა.

* * *

ზამთარში მონადირეებმა შეამჩნიეს, რომ მგზირის თანმხლების ნაკვალები საგრძნობლად გაფართოვდა.

მერე მზემ თანდათან მოიკრიბა ძალა. ტყემ მომწვანო-მოყვითალო ფოთოლი გამოიტანა.

ძუს მუცელიც გაეზარდა და სუნიც შეიცვალა. მის გაძღომას ხომ აღარ დაადგა საშველი. ადრე ძალიან ფრთხილი, საკბილოს საშოვნელად აღარაფერს ერიდებოდა.

* * *

მთას ამომცდარი მნათობი ბალახის ცვარში აბრჭყვიალდა. ლეგა—წითურმა წყვილმა ძველ ფერმებთან აიარა. ასე, ზევით სერზე ავიდოდნენ და იქიდან დაზვერავდნენ მიდამოს.

ტყემდე არ იყვნენ მისულები, რუხი მგლის მახვილ სმენას ხევიდან ჩქამი მოესმა. ყურებდაცქვეტილი ჩააცქერდა ფერდობს. ჯობდა, მალე გასცლოდნენ აქაურობას. მოტრიალდა და მოულოდნელობისაგან ყეფისმაგვარი აღმოხდა — კისერწაგრძელებული ალისფერი, მაყვლოვანისკენ მიისწრაფვოდა. მგზირი რამდენიმე ნახტომით წამოეწია მუცელგაბერილს. მკერდით შეასკდა და გვერდზე მიაგდო.

სასხლეტის ღრჭიალი, ძვლის ჭახანი და სასოწარკვეთილი ხავილ-ყმუილი ერთად გაისმა.

დამფრთხალი ჩხიკვი, ქოთქოთით გადაფრინდა ტყის სირღმეში და კვლავ, სიჩუმემ დაისადგურა.

ხაფანგში წინა ფეხით გაბმულ რუხ მგელს უზარმაზარი, შავშუბლა თავი მიწაზე დაედო. სიმწრით დახუჭული თვალებიდან სისველე ჟონავდა. ძუ, ჩუმი წკმუტუნით გარს უვლიდა. დიდი სიფრთხილით ყნოსავდა გასისხლიანებულ რკინას და ახლოს მისვლას ვერ ბედავდა.

ქვევიდან, ჭალის მხრიდან, ხალისიანი გადაძახილები და სიცილი მოისმა. სანამ ღრუბელი მზეს მოეფარებოდა, ხმები უფრო მოახლოვდა. ძაღლმაც დაიყეფა, გაბმით.

ხვადმა ავად შეუღრინა ძუს.

ის კი, მწვანე, ელამი თვალებით მისჩერებოდა და არსად წასვლას არ აპირებდა.

როცა ბილიკზე მონადირეები გამოჩნდნენ, ალისფერმა მათ თვალწინ, ფერდობი ცერად გადაჭრა და მეჩხერ ტყეში თავქვე დაეშვა.

კარგა ხანს ისმოდა ძაღლის ყეფა და თოფების გრიალი.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ მწყემსებმა ძველ ფერმებთან, ხაფანგის დაკბილულ ყბებში, მგლის გადაღრღნილი, უჩვეულოდ დიდი თათი იპოვეს.

მონადირეებმა — მგზირისაა!

— მორჩა ბაბროო, შენი მგზირობა! კოჭლა მგელაი რისი მაქნის ას! — გაიძახოდნენ სოფლებში.

ერთხანს, მართლაც მოისვენა ხალხმა. მაგრამ, მერე უარესი დაიწყო...

„— ამბობენ, მგელმა საშინელი შურისძიება იცისო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართალია. შარშან კიდევ დაიჭირეს ბიჭებმა მგლის ლეკვები. გაგიჟდა ძუ. სოფელში ოჯახი არ გაუშვა, რომ არ დაეზარალებინა“.

(ამონარიდი ჟურნალიდან „მონადირე და მეთევზე“)

* * *

ზამთარში, რომ ჩამოთოვა, მაშინღა გამოჩნდა, ვინ იყო დამნაშავე — ახალდათოვილს გარკვევით ეტყობოდა სამფეხა მგლის კვალი.

„მგზირი დაბრუნებულაო!“ — მეხივით გადაუარა სოფლებს. დაკოჭლებული მგელი აღარაფერს და არავის ინდობდა, როგორღაც ახერხებდა და ქოფაკებს ისე აშინებდა, ეზოებიდან ცხვირს ვეღარ ყოფდნენ გარეთ.

დაცარიელებულ ორღობეებში, მართლაც გზირივით დადიოდა სამფეხა ბაბრი.

ყველაფერს ყნოსავდა, ყველგან შედიოდა...

„მოსახლეობას აქამდეც შეეძლო ან ჩვენთვის მოემართა, ან ჩვენივე რაიონული სამსახურისთვის. ვითარებას სულ რაღაც ათიოდ დღეში შევისწავლიდით და სათანადო ღონისძიებებსაც გავატარებდით, თუმცა არც ახლაადაგვიანებული. აუცილებლადგავეცნობით რეალურ ვითარებას. თუ საჭირო შეიქნება, დავადგენთ მტაცებლის ხელოვნურად შესამცირებელ კვოტას, ეკოსისტემამ დისბალანსი რომ არ განიცადოს“.

(ამონარიდი გაზეთ „სოფლის ცხოვრებიდან“)

* * *

ისევ მოვიდა შემოდგომა.

ისევ აოქროსფერდნენ ნათიბი ფერდობები.

ისევ ამოვიდა ქალაქიდან, ძმის საშველად, „ნასწავლი“ ძმა.

* * *

მზე შუბის ტარზე იდგა.

თივის ხვეტით დაღლილებმა, წყაროსთან, კლდის ჩრდილს შეაფარეს თავი. ტილოს აბგიდან საგზალი ამოალაგეს და ცოტა წაიხემსეს.

შალვამ ბოთლს საცობი კბილებით ამოაძრო და პატარა ყანწში არაყი ჩამოასხა.

— ეეხ, მამუკაის სულ გაანათლას ღმერთმა. კაა ვაჟ იყო ჩემი ძმობილი, კაა!

გადაჰკრა და ძმას შეუვსო.

— განანათლოს! — ჯერ სათიბს გახედა ადუამ, მერე ლურჯ ცაში აიხედა და ყანწიც ასწია.

უხმოდ ილუკმებოდნენ.

კლდეზე გადმოკიდებული წყალი ჩხრიალებდა. სადღაც წიწკანა წივწივებდა სევდიანად.

— მაინც რა მოხდა? — იკითხა ადუამ — ქალაქამდე ჩამოაღწია ამბავმა: ხევსურეთშიო, ერთ კაცსო, ღვთის ნიშნიანი ნადირი მოუკლავსო. წესისამებრ, თოფი მიწაში არ ჩაუმარხავსო და სასჯელმაც არ დაიგვიანაო.

შალვა უგემურად ღმურძლავდა პურს და სადღაც, გაღმა იყურებოდა.

— ჰო! ნადირ წითა იყო! ცეცხლისფერაი! — ამოთქვა ბოლოს — იმ მგელაის ტყავ სახლში ეკიდა მამუკას. შენაც გააქ ნანახი, თუ გახსომს!?

ხელში შერჩენილი პურის ნატეხი, ყველის გვერდით დადო შალვამ.

— წინადღით ერთად ვიყათ. ხატობისთვინ შეშა ვამზადეთ. მერე, რომ ვნახე, ვეღარ ვიცან. თმა სულ გასთეთრებოდა! რაღაც დიდი ელდისგან მამკვდარიყო, საწყალი. აღარც ის ტიალი ტყავი იყო სადმე! მიმსვლელ-მამსვლელ ბევრებ იყვნენ. ვინ რას მაჰხელავს მარტოკაცის სახლში, რას გაიგეფავ?

ცაში ქორი ბოინობდა, ფრთაშეურხევლად.

თივის მოტკბო სურნელი იდგა.

— ნადირთა მწყემსმა არ აპატია, ალბათ? — სიტყვაძვირ ძმას შეეშველა საღერღელაშლილი ადუა.

— აარ! მაშინ, მე უნდ მავეკალ! — თვალებში შეხედა შალვამ ძმას. — ის მგელაი მე მავხკალ!

ბალახზე მჯდომი მუხლებს მკლავებით გადაეყრდნო.

— ფშავლებს ვეხმარეთ. საფარში ზედ მოგვადგა. ერთად ვესრიეთ. მამუკამ დაიქადა, მე მოვარტყიო. მარცხენაში ჰჭირდა ნატყვიარი. მამუკაი მარჯვნიდან ეჯდა. ძუს, ლეკვიანობა რომ დავატყე, სულ ამეყარა გული და აღარც მამუკას მივსდავებივარ.

შალვამ ასტრა გააბოლა. ტუჩს შერჩენილი თუთუნი ცერა და არათითით მოიშორა.

— მერე იმ ადგილს სამფეხა ბაბრი შეეჩვია და დიდი ზიანი უყო ხალხს. ფშავლები ბევრჯელ დაუსაფრდნენ. მარ, ვერ მაიხელთეს. მემრ, მთავრობამ ხალხ გამაგზავნა. მთელი ხეობა შაჰკრეს. მეც იქ ვიყა. საცა იმ წითას ვესრიე, იქ ვნახე კოჭლას ნაკვლევ. ახალ შეღამებულზედ გამასჩნდა! ბნელოდა, მაგრამ იმხელას რაისად დავაცდენდი. სამი ვესრიე. მაინც წავიდა! ბნელაში დაჭრილ ნადირ საშიშ ას. გათენდა და ძაღლებ მიუშვეს. მუქოს ზეით, ერთ უდაბურ ხევში ჰქონავ ბუნაგი. შესასვლელ მავსთხარეთ და რაი ვნახეთ, იცი?

ადუას ლუკმა ხელში შერჩენოდა.

შალვამ კვლავ გაავსო ყანწი.

გადაჰკრა.

ერთხანს დამანჭული ჩასჩერებოდა მიწას. მერე ძმას შეხედა და უთხრა:

— წითელი მგლის ტყავზე მიწოლილი მამკვდარიყო, ბეჩავი!

ლილი მეშვილიანი

გაზაფხული

აყვავდა ვაშლი, რომ ვთქვა მხატვრულად
სკვინჩა ალუბლის ტოტზე აცეკვდა
ჩიტის სხეულის ტემპერატურაც
ჰყოფნით ჩემს ლექსებს გამოსაჩეკად.

ქარი კი არ ჩანს, ამ დროზე ის ხომ
შორს აჭრელებულ მთებზე თარეშობს,
სკდება მსხლის კვირტი კომბოსტოს
სიმსხო
და ფერწასული მოჩანს მთვარე შორს.

აქ როგორ იცვლის იერს გარემო
(იყო სიზმარიც, იყო ნამდვილიც)
როს მთვარის შუქით აქერცლილ ბინდში,
მიუყვებოდი წუხელ ამ ბილიკს.

გარდასახვა

მთის მაღალ ქედზე,
სიმშვიდეს ვეძებ,
გულაღმა მწოლი ცას ვუმზერ მხოლოდ
ვგრძნობ მხოლოდ მიწას,
და ყვავილები მეზრდება მკერდზე.

მზემ ჩამომიდნო სათუთი სახე,
მიწამ კი ზურგი ამიბალახა
სისულელეა...
ნუ დამიძახებთ
ადამიანის სახელს ამაღამ.

სადღაც, ჩემს მიღმა ქალაქებია
ჰგვანან ქუჩები ჩამოშლილ ქანებს,
აქ კი, სივრცეთა გადაკვეთაზე,
ეჯახებიან ქარები ქარებს.

აქ ჰორიზონტზე ბილიკი გადის
და ჩემი ლანდი სამხრეთით უხვევს.
მე ვიცი ბედი რასაც მიქადის
მე შემიწოვეს სიზმრებმა წუხელ.

მთიდან

რახან სიჩუმეს ახლა ვერ ვიტან,
დუმილის თხელ აპკს გახვრეტს ჩიტი და
ჩაბნელებული ხევის ფსკერიდან
კვლავ განთიადი ამოტივტივდა.

ასე მგონია სიმღერა მე რომ
არ შემძლებოდა, ყოფნა დამღლიდა,
ხარი ხარს როგორც, ტენორი ტენორს
ყვირილით აჰყვა ქედის გაღმიდან.

და ტანზე მასხამს მუსიკა ოფლად,
მთა მე რომ მხიბლავს ისე არავის.
სიცოცხლე მინდა, ყოფნა არ ყოფნა,
ეგ საკითხავი ნაღდად არ არის.

კაფე რუსთავში

ვზივარ ერთ ჭიქა ვისკის ამარა
სხვა ყველაფერზე მეთქმის უარი
ვფიქრობ შენზე და ახლა ეს ფიქრი
ჩემთვის პირველი მენიუ არი.

სიგარეტის ღერს ვიღებ „კენტიდან“,
მოვქაჩავ დარდიც დამემოყვრება
და უნებლიე ხვნეშას მკერდიდან

სურნელოვანი კვამლი მოყვება.
ახლა თორმეტის ოცი წუთია
და ღამე ქუჩის დიზაინს ხვეწავს
ძვირფას ჭინჭებით შეუფუთნია
იაფიანი სხეული მეძავს.

ძვლებს ატკაცუნებს ზმორებით ქუჩა
ვწყვეტ სამყაროსთან ყოველგვარ
კავშირს,
კვამლს ამოვუშვებ თვალებს დავხუჭავ
და გავიბნევი თამბაქოს კვამლში.

სახლი

სახლის თავზე, რომ ცა მოჩანს ლურჯი,
სახლის უკან, რომ სუნთქავს უღრანი,
ფანჯრებიდან, რომ იშლება ყანა
და ა.შ.
ახლა ამ სახლში გულაღმა ვწევარ
და გამჭვირვალე გახდნენ კედლები,
და არა მარტო სახლის კედლები,
ბინდის სქელი და მსუბუქი ფენაც
გამჭვირვალეა თვალის გარსივით
წაშლილა ზღვარი დღისა და ღამის,
ფიქრის გრძნეული განშტოებებით.
ჩემს სახლს შპალერად უღრანი აკრავს,
ჭერად ღამის ცა მთვარის ნათურით.
ფანჯრები, როგორც ორი სურათი
ერთში სიმინდის ყანა შრიალებს
მეორეში კი ვაშლის ხეები.
ღია კარები მთის ნაპრალივით,
ამოლესილა ქარით და ნისლით.
ამ ყველაფერში მე ვსუნთქავ ეხლა
და ჩემში სუნთქავს ეს ყველაფერი.

* * *

მეხსიერების ბნელ უფსკრულში კვლავ
აციმციმდა
შუქი მავალი, ფერმკრთალ გოგოსკენ
ხელებს ქათქათა, ღრუბლით ვიწმენდ
და ფუფუნებით ვცხოვრობ სოკოს ქვეშ
ჩუმად ვმეზობლობ ღამის ფსკერზე
ლოკოკინასთან
დილით კი ყურებს ქარიშხლით ვიფხან
გვიან ჩამესმის ჩემზე წინასწარ
რაც უნდა მითხრან.

***

(განთიადის ჩიტები)

ანაპერწკლებენ გარიჟრაჟს,
გაფილტრულ ჰაერს კვესავენ,
სისხლში მორფივით გამიჯდა
მუსიკა.
ჩიტის ნაჩხვლეტი
მატყვია ვით ნანემსარი.
დილამ ფოთლები დაფურცლა,
ტვინი არ ფეთქავს ტყუილა,
რა მოხდა?
ჰაერს გაბურძგლა,
თუ ქარმა ჩაიშხუილა.
ისე მინდოდა გაფრენა,
რომ ცამ უარიც ვერ მითხრა.
რა მოხდა?
ყნოსვამ გამბერა,
თუ ელვა გადამეყლაპა.

პოეზიას

(კაფე ნიკალაში)

ვზივარ, ვეწევი უხმოდ სიგარეტს
კვამლში ხითხითებს, ფიქრი — იუდა,
პოლიტიკოსმა ძმებმა მიჰქარეს,
რომ ამოგიღეს, დღეს მენიუდან.
მე კი ყოველდღე მაინც ვახერხებ,
რათა მიგირთვა ვახშმად, სადილად.
მე თვითონ გკმაზავ, ფრთხილად გახებ
ხელს,
რადგანაც შენთვის კვლავ მოზარდი ვარ.

შემომეყარე როგორც ინსულტი,
შენში გათხრილა ჩემი სამარხიც.
აღგზნებული ვარ ატომის სუნთქვით
და ოხშივარი ამდის ბალახის.

* * *

თამბაქოს კვამლით, გაჭვარტლულ ფილტვებს
ეხახუნება ჰაერი სოფლის...
აფრენა მინდა, უნდა ავფრინდე,
რომ მივეჩვიო ფრენას მასობრივს.
სამშობლოს გარეთ ალერსს მოკლებულს
აქ ყველაფერი გულში მიხუტებს.
აფრენა მინდა, მშობლიურ ქარში
ფრენით სხეული რომ გამიხურდეს.

გზა მამულისაკენ

იასამნის ტევრი

მოხდა ისე, რომ ქვეყნის ერთ პატარა ქალაქში უბნის ინსპექტორად დავინიშნე. სწორედ ამაზეა ნათქვამი, სადაურსა სად წაიყვანო. თუმცაღა, სადაც არის ბედი შენი იქ მიგიყვანს თავი შენიო. აფორიზმულ წიაღსვლებს რომ შევეშვათ, ერთი ნაღდია, ამ პატარა ქალაქში არა თავმა, არამედ ჩემივე ფეხებმა მიმიყვანეს. უცხო ალაგი არცთუ უინტერესო აღმოჩნდა. ძველი ჩინელების განთქმული წყევლა ამიხდა, საინტერესო დროში, ასევე მეტად საინტერესო ადგილას აღმოვჩნდი.

ქალაქი ხმამაღალი ნათქვამი რომ არ გამომივიდეს, იგი მიახლოებით ოთხკილომეტრიან ცენტრალურ ქუჩას წარმოადგენს, დანარჩენი კი აღმა-დაღმა ჩიხებია. აღმა გორებზე ქალაქელები ღორებს და ძროხებს მწყემსავენ, ხოლო დაღმა მინდვრებში სასოფლო-სამეურნეო ჭირნახულს იმკიან.

პატარა ქალაქს უწყლობა აწუხებს მეტად მტკივნეულად. წყალი ონკანებში გრაფიკით დილა-საღამოს საათებში უნდა მოდიოდეს, მაგრამ მოდის რო? თუკი სხვაგან ცხრათვალა მზე მაცოცხლებელ ენერგიასთან ასოცირდება, ამ ქალაქში მზის რამდენიმედღიანი ჯიუტი ნათება უწყლობასთან არის გაიგივებული. სამაგიეროდ ჟუჟუნა წვიმა აქ იმას ნიშნავს, რომ ქალაქელები საგანგებოდ შავი დღისთვის მომარაგებულ ბაკებს პირთამდე გაავსებენ და მზის ჯინაზე კარგადაც იჭყუმპალავებენ. ამიტომაც წვიმიან ამინდში ქალაქში რომანტიკულად მოსიარულეს სანთლით რომ ეძებოთ ვერ ნახავთ, ყველას სახლში მოჩხრიალე ონკანებისკენ მიეჩქარება.

რევოლუციაგამოვლილი ქვეყნის ბევრი ქალაქის მსგავსად, აქაც ცენტრალური ქუჩის სახლები შეღებილია, მაგრამ ეს ქალაქში გამეფებულ საერთო-პესიმისტურ განწყობას ვერ შველის. მოძრაობა თითქმის არ არის. მხოლოდ ქალაქის პოლიციაში და საავადმყოფოშია დიდი ჟრიამული. სხვებთან შედარებით, ექიმები ჯანმრთელად და ჯანზედ გამოიყურებიან, მათ ხომ პაციენტი და საქმე არ ელევათ. ერთხელაც რომ გაიაროთ ქალაქში, ადვილად შეამჩნევთ, რომ საავადმყოფოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სიცოცხლე დუღს და გადმოდუღს.

გრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ქალაქში ადამიანების მხოლოდ ორი კატეგორია ცხოვრობს – ექიმები – პოლიციელები და მათი პოტენციური ავადმყოფი – დასაჭერი მოქალაქეები. რაღა გასაკვირია და ამ ორ სისხლსავსე დაწესებულებას შორის კარგი თანამშრომლური სულისკვეთებაც სუფევს. ხოლო ამის კიდევ ერთ დასტურად ქალაქის პოლიციიდან მე გამიშვეს საავადმყოფოში ორი დაჭრილის საყარაულოდ. თანამშრომლობა რისია და ეს დაჭრილები ამავდროულად ჩვენი პოტენციური დასაჭერებიც იყვნენ. ოღონდ, რა თქმა უნდა, გამოჯანმრთელების შემდგომ.

დაჭრილ-დასაჭერების საყარაულობა სამ დღე-ღამეს მომინია. ჭეშმარიტად დაუვიწყარია ეს დღეები ჩემს ერთფეროვან ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები იქ თითქმის ყოველდღე ~~იდებოდნენ~~, სიცოცხლის რიტმი ამ ქალაქში ყველაზე მეტად მაინც ამ საავადმყოფოში იგრძნობოდა. ექიმ-ექთნებს ისეთი ჟრიამული აქვთ ატეხილი, რომ მათ სიკვდილი კი არა, სამყაროს წარღვნა ვერ წაუხდენს ნირს. თეთრხალათიანი ესკულაპები თავიანთ საქმეს აკეთებენ, ღვთის საკეთებელ საქმეში კი არ ერევიან. ყოველდღიურად მათ თვალწინ იმდენი ადამიანური ტრაგედია თამაშდება, რომ მათ ადამიანური ბუნებრივი რეაგირების უნარი დაკარგეს. სხვაგვარად იქ ყოველდღიური მუშაობა წარმოუდგენელია.

მაგრამ ვაი, რომ ადამიანური რეაგირების უნარი მე ჯერ არ მქონდა წართმეული. ვაკ-

ვირდები ექიმების, პაციენტების ქცევებს და საკუთარი თავი ვერცერთ კატეგორიაში ვერ აღმოვაჩინე. ექიმები და ექთნები ერთიანად ახალგაზრდა, ბოროტმოქმედი, გაცისკროვნებულნი მიდიმოდიან, ხუმრობა და სიცილ-კისკისი მათი მოგონილია. მრჩება შთაბეჭდილება, შესაძლოა მცდარიც, რომ ავადმყოფების თვალებში შიშჩამდგარი გამოხედვა მათ მკურნალ სულებს მალამოდ ედება და ისინი ჩვეულ ხტუნვა-კუნტრუშს კიდევ უფრო უმატებენ. ჭეშმარიტად, ამოუცნობია ადამიანის ბუნება.

ექიმებს სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ პაციენტის მდგომარეობა, მთავარია, რომ ამ ტოტალურ უმუშევრობაში მათ საქმე არ ელევათ. მერე რა, რომ პატარა ქალაქის ექიმები დიდი ესკულაპური ცოდნით არ გამოირჩევიან. მკურნალობის პროცესში დაშვებულ შეცდომას აქ ხომ არავინ გამოეკიდება, რადგან ლეტალურად დასრულებულ შემთხვევაზე იტყვიან ხოლმე, ადამიანმა ამ ცხოვრებისგან ძლივს დაისვენაო. ვიღაცას შეცდომით ბრმა ნაწლავი ამოკვეთეს, არადა მუცელი სტკიოდა, უბრალოდ, მოზრდილ ბავშვს ძირა კბილები ამოუღეს, ახალი ამოგივაო და აღარაფერიც ამოსვლია და ა.შ. ექიმებს კი უხარიათ, მათ საქმე აქვთ ულევი. შეცდომა კი ვის არ დაუშვია, თვით ქრისტე ღმერთსაც კი.

აი, ავადმყოფებზე რა მოგახსენოთ. ერთიანად მოშვებულ-მოტეხილები, ჩამქრალები, ტაატით მავალნი. ექიმებში თანაგრძნობის მაძებელნი, თუმცა ამაოდ. იმხელა უფსკრულია მათსა და ექიმებს შორის, რომ ძნელია აქ ისეთ ღრმად ადამიანურ კატეგორიაზე საუბარი, როგორიცაა თანაგრძნობა.

მორიგეობის პირველივე ღამეს ახალგაზრდა ქალი დაიღუპა. თავის ტვინში თრომბმა დაარტყა და იმწამსვე იმსხვერპლა, არადა მძიმე ოპერაცია უკვე გადატანილი ჰქონდა. გარდაცვლილის ახლობლების რეაქცია უაღრესად ტრაგიკული იყო. კორიდორებში გიუებივით დარბოდნენ და იატაკსა და კედლებს ეხეთქებოდნენ. თან ახალგაზრდა ქალის დაღუპვით გამოწვეული ტრაგიზმის დიდი ნაწილი ჯერ ბოლომდე გაცნობიერებულიც არ ჰქონდათ. მოზრდილმა გოგონამ პატარა ბავშვივით ფეხზე გაიხადა და იატაკზე უგონოდ გაიშხლართა. იგი გარდაცვლილის შვილი აღმოჩნდა. ექიმ-ექთნები კი თავიანთ საქმეს ხელის აუკანკალებლად აგრძელებდნენ. სიცილ-კუნტრუშს კი სულ მცირე ხნით იძულებითი წესით შეეშვნენ. ამასობაში დაღუპულის ახლობლებიც ცოტა მიყუჩდნენ და გარდაცვლილი საავადმყოფოდან სასწრაფოს მანქანით გაიყვანეს.

ჩემი მორიგეობის მეორე დღეს საავადმყოფოს მორგში შუახნის მამაკაცის გვამი მოიტანეს. დიაგნოზი მარტივი და გენიალურია – გული გაუსკდა. მორგი საავადმყოფოს უკანა ტერიტორიაზე, სულ მწვანეშია ჩაფლული. მის გარშემო ისეთი პირველყოფილი ბუნება და სილამაზეა, რომ სიკვდილი და გვამები აქ რა მოსატანია. საავადმყოფოში ჩემთვის გამოყოფილი ოთახის ფანჯრები ზედ მორგს გადაჰყურებს. ხანდახან იქით ვიხედები, იქაურ ბინადრებს კი აღარც ცოცხალი აინტერესებთ, აღარც მკვდარი.

მორიგეობის მესამე დღეს განწირული პატარა ბიჭი შემოიყვანეს. გზაზე გადადიოდა და მოსახვევიდან მოულოდნელად გამოვარდნილმა მანქანამ დაარტყა. ბავშვი ჯერ ჰაერში გაფრინდა და მერე ასფალტს დაენარცხა. პალატის საწოლზე წვეთოვან სისტემას მიერთებული ისე წყნარად იწვა, რომ პროგნოზს ექიმი კი არა, თვით ნოსტრადამუსიც ვერ განსაზღვრავდა. ექიმები ახლობლებს გადაჭრით ვერაფერს ეუბნებოდნენ, პროგნოზის გაკეთებისთვის გარკვეული დრო იყო საჭირო.

სურათი მოულოდნელად დამძიმდა. ასაკოვანი, გინდაც შუახნის პაციენტების შემთხვევაში ყველაფერი გასაგები იყო – ადამიანმა ამ ცხოვრებისგან დაისვენაო, ეს ყოფილა მისი ბედიო, ექიმებმა რაც შეეძლოთ გააკეთესო... მაგრამ ამ ბოლო შემთხვევაში ამგვარი სიტყვების რახარუხი აშკარად უადგილო იყო.

ორი დღე-ღამე და ერთი დღე ამ საგიჟეთს გავუძელი, რადგან მე პოლიციელი ვარ და აკი გითხარით, პატარა ქალაქში ექიმები და პოლიციელები კარგად თანამშრომლობენ-მეთქი. მაგრამ საავადმყოფოს პალატის სარეცელზე უღონოდ მიგდებულმა ბავშვმა ერთიანად შემძრა.

ფერმიხდილი, სრული უმწეობის განსახიერება იყო და იქვე ახლოს ჩასაფრებულ სიკვდილს ებრძოდა. სწორედ იმ სიკვდილს, რომელიც ამ კედლებში ერთი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მოვლენა, რომლის გამოც მოხტუნავე-მოკუნტრუშე დასტაქრები ნირსაც არ წაიხდენდნენ.

პატარა ბიჭი სწორედ იმ სიკვდილს ებრძოდა, რაიც ამ პატარა ქალაქში მცხოვრები დიდი ადამიანებისთვის აღარანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა. დიდები ერთადერთ რამეზე ოცნებობდნენ, რომ „ჯიგრულ სიმთვრალეში" გაპარულიყვნენ ამქვეყნიდან.

„ღვინით მთვრალი ვარ, ღვინით სიმთვრალეში უნდა მოვკვდე" - ეს იყო ამ ქალაქელების საყვარელი სიმღერა. მაგრამ ამ შეხმატკბილებულ სურათში ეს პატარა უღონო ბიჭი რაღაც ავადმყოფურად ვერ ჯდებოდა. შესაძლოა მომეჩვენა, მაგრამ მრავლისმნახველი ექიმებიც შეფიქრიანდნენ, მათშიც აღარ იგრძნობოდა ის სისხარტე და სილაღე, რაც ნებისმიერ სხვა დროს ხდებოდა ხოლმე. ამ უდანაშაულო პატარა ბიჭმა ქალაქის საავადმყოფოში ყოვლად გაუფასურებული სიკვდილის მითი ერთ წამში დაანგრია და ამაზე დიდ-პატარიანად ყველა ჩააფიქრა.

მორიგეობის ბოლო დღე იყო და საავადმყოფოს კორიდორში ბოლთას ვცემდი. უკვე ყველაფერში სიკვდილის აჩრდილს ვხედავდი. სპეციფიკური სუნიც კი დავაფიქსირე – სისხლის, ტანჯვის, ავადმყოფობის, სიკვდილის... და ეს სუნი სულ უფრო ძლიერდებოდა. საინტერესო ის იყო, რომ მორიგეობის წინა დღეებში ამ, ერთი შეხედვით, საავადმყოფოს ჩვეულებრივ სუნს არ შევუწუხებივარ, მაგრამ ამ პატარა ბიჭის მოყვანის შემდეგ ეს სუნი ყოვლად აუტანელი გახდა.

ნერვულ ბოლთას ცემას თავი დავანებე და მეორე სართულიდან ქვემოთ ეზოსკენ დავეშვი თავქუდმოგლეჯილი. მძაფრი სუნი კი არაფრით არ მშორდებოდა და უკან ფეხდაფეხ მომყვებოდა. ცოტაც და გულისრევას ვერ ავცდებოდი... და სრულიად მოულოდნელად ცხვირში იასამნის საოცრად არომატული სურნელება მეცა. დაზაფრულმა მიმოვიხედე და თავი ულამაზესი იასამნების ტევრში მქონდა ამოყოფილი. სურნელება იგი იყო ძლიერ საამო, არომატული, სიცოცხლით სავსე.

იასამნების ტევრის გასაოცარმა სილამაზემ და სურნელებამ აზრზე მომიყვანა. ერთიანად მოვეშვი და წამის რაღაც მეასედში საავადმყოფოდან წამოკიდებული სიკვდილის სუნი და მგონი თავად სიკვდილი დავამარცხე. პატარა ქალაქის საავადმყოფოს დიდ ტერიტორიაზე ეს იასამნების ტევრი ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ქალაქში და მითუმეტეს საავადმყოფოში გამეფებულ სიკვდილს სიცოცხლე ამარცხებდა. სიკვდილის შემაძრწუნებელ სუნს სიცოცხლის არომატი, იასამნების გასაოცარი სილამაზე და ბუნებრიობა დევნიდა.

რამდენიმე წუთით უკვე ამ მიწიერ სამოთხეში დამშვიდებული ბოლთას ვცემდი და უჩვეულო არომატისგან მონიჭებული ძალუმი სიცოცხლის ნექტარს ვისრუტავდი. სამი დღეღამის მორიგეობით გადაღლილი ახალი სასიცოცხლო ენერგიით აღვივსე და უკან საავადმყოფოს მეორე სართულზე, პატარა მომაკვდავი ბიჭის პალატისკენ გავეშურე. გზად არავისთვის შემიხედავს, რადგან ჩემი ღრმა რწმენით, ისინი ყველანი სიკვდილის სუნის ზემოქმედების ქვეშ იყვნენ.

პირდაპირ მივიჭერი საავადმყოფოს ე.წ. კოიკასთან და მოხდა საოცრება. პატარა ბიჭმა ერთიანად ჩაშავებულ-ჩაბნელებული თვალები ფართოდ გაახილა და ენერგიულად გამოიხედა. ამის შემდეგ ხელების, ფეხების მოძრაობაც დაიწყო და დასტაქრების რეაქციიდან მივხვდი, რომ იქ გამეფებული სიკვდილი დამარცხებული იყო. გარშემო ყველა მე მიყურებდა, როგორც მხსნელს.

სამწუხაროდ, მათგან არავის ჰქონდა გააზრებული, რომ იქვე ორ მეტრში მიწიერი სამოთხე იასამნების ტევრი ეგულებოდა, სადაც ასე ახლოს მყოფი სიკვდილის სუნს, შიშს და შემაძრწუნებელ მოლოდინს, მარადიული სილამაზე და მისი თანმდევი სურნელება ამარცხებდა. ვინ იცის, იქნებ იმ პატარა მომაკვდავ ბიჭს არაცნობიერად იასამნის გასაოცარი სურნელება მივუტანე და მის ღვთაებრივ ძალაში აღმოჩნდა მისი ხსნა? ვინ იცის!



ანი მაისურაძე

ოცდაშვიდი

სიყვარული ჩამოთოვა დეკემბერმა...
ღმერთის ნებას მე ვერაფერს დავუშლიდი.
ეს დღე იყო... იყო... ჰოდა თეთრმა მტვერმა
შენთან ერთად მომახარა ოცდაშვიდი.

არ ვიცოდი, ვერაფრით რომ ვერ წაგშლიდი.
დამიფარე, არ ჩამიქრო ფანტაზია,
არ წამართვა შენი წლები – ოცდაშვიდი,
შენთან ერთად ტირილიც კი ლამაზია.

შენთან ერთად... დღეს რომ იქცა,
იქცა ერთწლად...
ის წუთები ვერ მტოვებენ. რა თბილია
შენი გული, ცა რომ აყრის მიწას ვერცხლად...
მიწაზე კი ყველა წამი დათვლილია.

როგორ შევძლო დავიწყება, რომ გონებას
არ ვუთმობდე სიზმრის ღამეს და მისს-ჰასეს?!
... სილამაზეს ვერ წაართმევ მოგონებას,
მოგონებას უფრო მეტად — სილამაზეს.

სიყვარული დამითოვა დეკემბერმა...
პირველია წელს ეს თოვლი ასე მშვიდი.
შენი თავი მომანატრა ყველაფერმა.
დამიღამდა. გაქრა... გაქრა ოცდაშვიდი.

ჯვარცმა

გაბეთა...
დაკვეთა
ბოროტთა...
გოლგოთა
იარა იესომ... იარა...
ეკლები ეფარა... ებარა
სისხლღება სიკვდილის სიშორის.
ოსანა, ოსანა! ...ორშორის.
წყურვილი...
წუხილი...
ტირილი...
ტკივილი...
დევნიან...
წყევლიან!
...„ელია,
ელია!...”

ერისიონი

(ეძღვნება შობის დღესასწაულს)

მოანათე, აირეკლე მომედა-**რე**,
ზენიტში ვარ შენთან ერთად მომთაბა-**რე**.
ელეონზე ალიონი გაიშა-**ლა**
შენს სითბოში ნათევი და მონარნა-**რე**.
იარუსზე გადმოდექი დამეფა-**რე**,
ნუღარ დაგვღვრის ღრუბლის სველი
მოსასახა-**მი**,
ადუღებულ გულში გუბე ამოაშ-**რე**.
დაგიბრუნდი ნათელში, რომ დავიბა-**დო**
ასტრალში და შენთან შობა განვიცა-**დო**.
მომათავსე არილში და მადლს მიმგვა-**რე**,
ზესკნელში შენს ძალისხმევას დავუცა-**დო**.
ელის სხივებს შემოგადნა პარაკლი-**სი**.
გარიჟრაჟზე მეუფება დაამყა-**რე**.
ამბიონზე შემომკრთალს გთხოვ,
დამეხმა-**რე**
რაავ, ჩემი ნაპერწკალი მიიბა-**რე**...
ემანუელს ნაყოფს ართმევს დასაბა-**მი**.
თოვლი დნება, ნაკვალევი გაიკა-**ფა**...
ათინათებს გვირგვინი აქვთ დასადგა-**მი**.
მიაგებეთ, მიაგებეთ ღმერთს სალა-**მი**.
ზვარაკს იკრავს ალეწილი მზე, მდუმა-**რე**,
ეუფლება მთებს ციური ყელსაბა-**მი**.
ვერ ჩააქრო ღამის სეტყვამ დღე მდუღა-**რე**.

შორეული მოწოდების სათამა-**დო**
იცდის, ზეცის საიდუმლოს თავი ვან-**დო,**
ნადიმს ვუძღვნა სა-დღე-გრძელო და
ბარძი-**მი**
შევსვა, რადგან ვევედრე და ვემუდა-**რე,**
ერისიონს შევხვდე, სული გავუმზა-**დო,**
მოდი მზეო, ვიცი, როგორ შემიყვა-**რე**
ოდიდგანვე, თუმცა არ ვარ ამის ღირ-**სი,**
დამამადლე უკვდავების შენი ძა-**ლა**
ისევ შევსვა ბრწყინვალების ეს ფია-**ლა...**
(ორთაბრძოლის გამარჯვების დასაწყი-**სი**).

კოორდინატთა სისტემა

შენ ღერძი ხარ აბსცისთა
და გინათებს ცა მზისგან.
მე კი ფეხქვეშ მდებარე
ათვლის წერტილს ვემთვარე.
აჩრდილში მოგექეცი
და ნულს გამოვექეცი,
იდუმალი იქსის ხაზს
ვუკვალავდი შენს წინ გზას.
მოგიზიდე იგრეკი
წრფეთა ქედს რომ გიდრეკდი.
სანამ სუნთქვა გავკმინდე,
მოდი, ხელი ჩამკიდე,
ჩაიხატოს მზის მკერდმა
გულში სხივთა სისტემა.
ჩვენი კოორდინატთა
გადამკვეთი ცისკართა.

ჩემი საბა

შეღინღლული ცხელი თავი
დედის ტუჩთან გაინაბა...
დაკოცნილი თოთო კანი,
ჩვილის სუნი, ცხვირთან ფაფა;
დაჭყეტილი ორი თვალი,
თბილ მუჭაში სველი „ბაბა";
დადორბლილი, ქვეშ, ღაბაბი –
ჩემი შვილი, ჩემი საბა.

A- დან B-მდე

საღამოს მზე გაწვა ზღვის ზღურბლის
წვრილ წრფეზე,
ცეცხლოვან წრეწირზე დაწნულან სხივები,
საწყისთა წერტილებს,
წყლები რომ ირწევენ
ალივრცეში წირებად გაწვდილან
ბრწყინებით.
წითელი წვივები აეწვა კაბადონს,
მწუხრის ცა შვეულად ისწრაფვის
ბორგვამდე.
სურს, მონაკვეთებმა კავშირი დახატონ
და ტერფებს ტეხილი ტალღები მობანენ.
წყვეტილი ხაზების ლივლივი ულევი
კამკამა სიბრტყეებს რკალებად უვლიან.
დაღლილი ქარები, ქაფს დანაუფლები,
ითვლიან თრობამდე რამდენი ყლუპია.
კუთხეთა გრადუსებს გრადუსით ივლიან
მზის რადიუსებიც გადავა ნელ-ნელა
და - ს შორისაც დრო და მანძილია,
სიბერის სიბნელე სინათლეს ელევა.

***

(პატარა გეგას)

თბილ ხელისგულებს დაგიკოცნი
ასიათასჯერ
და მაგ პატარა, სულ პატარა დედიკოს
თითებს,
მერე მივყვები იმ ფეხუნებს, ძლივს რომ
ბაჯბაჯებს,
ღრუტუნა ღიპზე სულ ცოტათი,
სულ ოდნავ გიკბენ.
საყვარელ სიცილს არ დავტოვებ
ორ ცალ კიჭიანს,
ამხელა ლოყებს კიდევ უფრო მეტად რომ
გიჩენს.
არ გამოვტოვებ კისერს და თავს,
ძლივს რომ გიჭირავს,
არც ცხვირს, არც თვალებს,
არც ციცქნა გულს, ჩქარა რომ გიცემს.
მთელი სიცოცხლე უთვალავჯერ
მოგეფერები
და ჩაგიხუტებ სულ ყველაზე ძლიერი
გრძნობით.
შენი უმწეო სიყვარულით მომეწებები,
მე და შენ, ბარტყო, ასე ერთად ვიქნებით
წლობით.
ეს წლებიც გავა და ძალიან შემეშინდება,
მომენატრება რომ ბავშვური ტირილი
მორთო.
ვიცი, სახეზე ცრემლი ცრემლზე შემეწმინდება,
თავს შემოგწირავ, შენ კი ამას არასდროს
მოგთხოვ.
მოდი, ჩაგიკრა, თორემ ფიქრით გადავირევი,
რადგანაც ვიცი, დრო ძალიან, ძალიან
გარბის.
მოვასწრო ჩქარა, სანამ კაცად
გადაიქცევი...
დასანანია, რა ლამაზი წუთები გადის.

ᲥᲜᲣᲢ ᲰᲐᲛᲡᲣᲜᲘᲡ „ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲐ"

წინათქმა

„შიმშილის", „მისტერიებისა" და „პანის" შემდეგ რომანი "ვიქტორია" კნუტ ჰამსუნის ყველაზე ლირიკულ და პოეტურ მოთხრობად შეიძლება მივიჩნიოთ, პროზაული თხზულება თითქოს ლექსად არის დაწერილი. 1898 წელს, როდესაც ჰამსუნი რომანზე მუშაობას შეუდგა, იგი ჩაიფიქრა, როგორც ორი-სამნაწილიანი წიგნი, ასეთი მცირე ფორმატის ნაწარმოები კი განსხვავებული იქნებოდა „სქელტანიანი" რომანებისგან, რომლებიც იმ პერიოდში მოდაში დამკვიდრდა ევროპულ ლიტერატურაში.

ცნობილ კრიტიკოსსა და ლიტერატორს გეორგ ბრანდესს ჰამსუნი წერდა: „ვიქტორია" — ეს „პოეტური ნაწარმოებია", და ისევე როგორც „პანში" მასში ცენტრალური ადგილი უჭირავს „სასიყვარულო კონფლიქტს". ᲒᲧᲕᲘᲚᲔᲑᲘ შორის მუდმივი კონფლიქტი და ფატალური განწირულობის განცდა ჰამსუნის რომანების გამჭოლი მოტივია, იმ განსხვავებით, რომ „ვიქტორიაში" ამ კონფლიქტის საბაბი სოციალური ფაქტორია, რაც ასე აბრკოლებს არისტოკრატული წრის ვიქტორიასა და მეწისქვილის ვაჟს — იოჰანესს. ჰამსუნი ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის ყმაწვილი იყო, როდესაც თავისი პირველი სასიყვარულო მოთხრობა „ბიურგერები" დაწერა და წიგნად გამოსცა, მაგრამ მას წარმატება არ მოუტანია დამწყები მწერლისთვის. ამ პატარა მოთხრობაში ჰამსუნის ავტობიოგრაფიულ პასაჟებსაც ამოიკითხავდით — გლეხის შვილს ამაოდ უყვარს მდიდარი ვაჭრის ქალიშვილი. მართლაც, ჰამსუნი თოთხმეტი წლის იყო, როდესაც ნურლანში, ერთი მოვაჭრის დუქანში მოჯამაგირედ მუშაობდა, ამბობენ, ნურლანელ ყმაწვილს ვაჭრის ქალიშვილი ლაურა შეყვარებია, მაგრამ გლეხის შვილ კნუტს სიყვარულში არ გაუმართლა, ამის შემდეგ მოჯამაგირეობას თავი დაანება და გამოუსწორებელ მოხეტიალედ იქცა, შიმშილი და მარტოობაც იწვნია, მხოლოდ წიგნების წერა უკლავდა ხეტიალის ჟინს. მთელი სიცოცხლის მანძილზე ახსოვდა თავისი პირველი სიყვარული მწერალს...

სხვა რომანებისგან განსხვავებით, „ვიქტორია" აღიქმება, როგორც თანამედროვე ზღაპარი. აქ არ არის ის ძლიერი, ბობოქარი, მწველი და მგზნებარე გრძნობები, ვნებათაქროლვა, რომელიც ქალ-ვაჟს შორის ღია ორთაბრძოლაში გადადის და რაც ფატალურად ზემოქმედებს თვით გმირთა ცხოვრებაზე — სიყვარული ნამდვილი მისტერიაა, რომელიც განსაზღვრავს წიგნის პერსონაჟთა იმპულსურ, ზოგჯერ ალოგიკურ საქციელს. სიყვარული მათ აქცევს დევნილებად და ტანჯულებად — გლანი რომანში „პანი" თავაწყვეტილი გაურბის საკუთარ „მეს" და ნორვეგიის ცივი ფიორდების შემდეგ შორეული ინდოეთის პირველქმნილ ბუნებას აფარებს თავს, აღმოსავლური ცივილიზაციის წიაღში. სიყვარულისგან დევნილი გლანი ქვეცნობიერად დაეძებს სიკვდილს, საბედისწერო ვნებებით შეპყრობილი სიკვდილში ჰპოვებს მარადიულ შვებას. „პანი" აღტაცებისგან წარმოთქმული ლოცვაა სამყაროს მშვენიერებაზე, არსებობის გამო უსაზღვრო სიხარული და მადლიერება, ამასთან ერთად, ეს არის მშვენიერი და შემზარავი სახის სიყვარულის ღმერთისადმი აღვლენილი ჰიმნი". — წერდა მწერალი კუპრინი „პანის" შესახებ.

ერთი შეხედვით, „ვიქტორია" თითქოს ზღაპარია, თუ როგორ შეუყვარდება ღარიბი მეწისქვილის ვაჟს მშვენიერი ციხე-კოშკის ბინადარი, მებატონის ქალიშვილი ვიქტორია. თუმცა ზღაპრის ნარატივი მხოლოდ მაცდური სქემაა და იმასაც მიგვანიშნებს, რომ მწერალი რომანტიზმის ტრადიციების ერთგული რჩება, იმ რომანტიზმისა, რომელმაც XIX საუკუნის ბოლოს ამოწურა მხატვრული „რესურსები" და ამ საუკუნესთან ერთად დასრულდა მისი ეპოქა. „ვიქტორიას" ზღაპრის სქემის მიღმა რომანის გაცილებით რთული სტრუქტურა იკითხება — რომანი მოიცავს

სხვადასხვა ტექსტებს — მცირე ნოველებს, სიზმრებს, სუბიექტურ წარმოსახვებს, ფანტაზიებს და ავტორისეული განსჯას, შეფასებებს, ყოველივე ეს იმისთვისაა, რომ ბოლოს და ბოლოს შეიცნოს მკითხველმა, თუ რა არის სიყვარული?

ნაივურია და გულწრფელი რომანის ზღაპრული ნარატივი, სუბიექტური თხრობა – თავად ავტორი კი კეთილ მეზღაპრეს მოგვაგონებს, რომლის მონათხრობი ყველა ასაკის მკითხველს გულს აუჩუყებს და კიდევ ერთხელ დააფიქრებს, „და მართლაც, რა არის სიყვარული?". ეს კითხვა ხომ მუდმივად თავგზას უბნევს, თავსატეხს უჩენს ჰამსუნის გმირებს, მკითხველისთვისაც ბოლომდე ამოუცნობია და გაუშიფრავი, თუ რატომ უყვართ და რატომ შორდებიან ერთმანეთს ჰამსუნის გმირები. იქნებ ჰამსუნის „ვიქტორიამ" გასცეს პასუხი მარადიულ კითხვაზე, „მართლაცდა, რა არის სიყვარული?" ამ რომანში კიდევ ერთხელ შეეცადა ჰამსუნი ამ მარადმტანჯველი კითხვისთვის გაეცა პასუხი.

როდესაც ჰამსუნი რომანს „ვიქტორია" წერდა, ის უკვე აღიარებული მწერალი იყო, პოპულარული რომანების „პანისა" და „მისტერიების" ავტორმა უკვე გადააბიჯა ახალგაზრდობის ასაკს, სწორედ ამ პერიოდში დაქორწინდა კიდეც ბერგლოტ ბეკზე. ამიტომაც ხომ არ არის, რომ „ვიქტორიაში" ჩაცხრა ის ბობოქარი, ცეცხლოვანი ვნებები, რაც ასე ფატალურად იპყრობს, საბედისწეროდ „აღანთებს" ჰამსუნის წინა რომანის გმირებს და თავაშვებით მიაქანებს რომანტიზმის შორეულ, უკიდეგანო სივრცეებში. „ვიქტორიას" ნარატიული სტილი უფრო სადაა, დამჯდარი, განსჯითი. იქნებ ამ რომანით დასრულდა ჰამსუნის მშფოთვარე ცხოვრების კიდევ ერთი ეტაპი? იქნებ ამ რომანით კიდევ ერთხელ გაიხსენა მწერალმა თავისი პირველი სიყვარული, ყმაწვილობისდროინდელი რომანტიზმი და სასიყვარულო ისტორია, რაც მსუბუქ რეფრენად გასდევს ვიქტორიას? „ვიქტორია" უფრო ზღაპარს მოგვაგონებს, ლირიკულ ისტორიას, ოღონდ ზღაპარი სევდიანი და ტრაგიკულია. აქ არ არის ბედნიერი ფინალი და სოფლის ღარიბი მეწისქვილის ვაჟი ვერასოდეს დაქორწინდება მდიდარი მებატონის ლამაზ ქალიშვილზე, ისინი ვერასოდეს იქნებიან ბედნიერები, მაგრამ თუკი ზღაპრების სიმბოლური გმირები პიროვნულობას მოკლებულნი არიან, ჰამსუნის გმირები სიკვდილში ჰპოვებენ უკვდავყოფას, სიკვდილში მოიპოვებენ პიროვნულ "მეს."

უნდა აღინიშნოს, რომ „ვიქტორია" ჰამსუნის კავკასიაში მოგზაურობამდეა დაწერილი – 1898 წელს. ერთი წლის შემდეგ ნორვეგიელი მწერალი საქართველოს ეწვია და დაწერა სამოგზაურო წიგნი „ზღაპრულ ქვეყანაში", რომელიც ჰამსუნის „ცხოვრების წიგნად" იქცა. მასში ბევრი ალუზია მოიძიება მწერლის ბავშვობასთან, ყმაწვილობასთან, მოგზაური ჰამსუნის დაკვირვებებიც უფრო ლირიულია და სათუთი. მკითხველი კიდევ უფრო ნათლად შეიცნობს ფაქიზი განცდების, უკიდურესად მგრძნობიარე და ადამიანის ფსიქოლოგიური განჭვრეტის დიდოსტატს — კნუტ ჰამსუნს.

ჰამსუნის რომანებში სასიყვარულო კონფლიქტის ფარულ არსს გრიგოლ რობაქიძეც ფილოსოფიურად ჩაწვდა: „ჰამსუნის ქალებს ჩუმი დუელი აქვთ ვაჟებთან... და ასე... სიყვარული დუელია, საცა ხშირად ორივე კვდება: ქალიც და ვაჟიც... დუელია, რადგან უკეთესია პიროვნული სიკვდილი, ვიდრე უპიროვნო უკვდავება... ამისთვისაა, რომ უნათლეს სიყვარულს თან სდევს სევდა უკურნები... აქედანაა, რომ სიყვარულის აგზნებისას სიხარულს შიში ერთვის... დიახ, სიყვარული დუელია...".

უნათლესია სიყვარული ვიქტორიასი და პოეტ იოჰანესის, მაგრამ უნათლესი სიყვარული ფარულ დუელსაც იწვევს, ამ დუელის მსხვერპლი კი ვიქტორიაა — სიყვარულმა რომ უკურნებელი სენი შეყარა. ჰამსუნმა კი თავისი რომანით უკვდავყო ვიქტორია.

დაბოლოს დავძენთ, რომ „ვიქტორია," რუბრიკით „უცხოელი მწერლები" პირველად ქართულ ენაზე 1913 წელს გამოვიდა. ქართველმა მკითხველმა ჰამსუნის რომანებიდან განსაკუთრებით „ვიქტორია" შეიყვარა. მეოცე საუკუნის 20-იან წლებში დემნა შენგელაიას მიერ შექმნილ მოთხრობას „ვიქტორია" ჰქვია, მთავარ პერსონაჟს კი ჰამსუნის "ვიქტორია" ცამეტჯერ აქვს წაკითხული. ეს თავისთავად მიგვანიშნებს საქართველოში რომანის პოპულარობაზე. „ვიქტორიას" პირველი ქართული თარგმანი ეკუთვნის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, მთარგმნელსა და პუბლიცისტს ილია აგლაძეს. ჩვენი ტექსტი სწორედ ამ თარგმანს ეფუძნება, რომანის სხვა უცხოური თარგმანების გათვალისწინებით. ამჯერად, მკითხველს ვთავაზობთ, თარგმანის თანამედროვე და თავისუფალ ვერსიას. ჰამსუნის რომანებიდან ყველაზე პოეტური და ლირიკული ეს ნაწარმოები შეიძლება არ იყოს ისეთი სრულყოფილი და დახვეწილი, როგორც ამ რომანის ავტორს შეეფერება, მაგრამ ამ შედევრის ორიგინალთან ადაპტირებას მაინც შევეცადეთ.

ოლიკო ჟღენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ჯამბარი

ვიქტორია

მეწისქვილის შვილი მიდიოდა და ფიქრობდა. თოთხმეტი წლის მოზარდი იყო, ძლიერი აღნაგობის, მზისა და ქარისგან გარუჯული. თავში ათასი აზრი და ფიქრი უტრიალებდა.

აი, გაიზრდება და საქმეს მოეკიდება — ასანთს გააკეთებს. მშვენიერი ხელობაა, მაგრამ ხუმრობა არ გეგონოთ: თითები სულ გოგირდში ექნება ამოგანგლული და ვერავინ გაბედავს მისთვის ხელის ჩამორთმევას. სახიფათო ხელობაა, მაგრამ ამხანაგებისგან პატივს დაიმსახურებს.

ტყეში ჩიტებს თვალს ადევნებდა, ისინი ხომ მისი ძველი ნაცნობები იყვნენ. იცოდა, სად ჰქონდათ ბუდე, ესმოდა მათი ენა და თვითონაც სხვადასხვა ხმით პასუხობდა, მამის წისქვილიდან წამოღებული ფქვილითაც არაერთხელ დაუპურებია.

ბილიკის გაყოლებაზე თითოეული ხე იცოდა. გაზაფხულზე ხეებისგან წვენს აგროვებდა, ოლო ზამთრობით მზრუნველობას არ აკლებდა: თოვლს აცლიდა და ძირს დახრილ ტოტებს გამართვაში შველოდა. ზემოთ, ქვის მიტოვებულ სამტეხლოში, თითოეული კენჭიც კი მისთვის ნაცნობი იყო. ქვებზე ასო-ნიშნები გამოკვეთა, შემდეგ ისე ჩაამწკრივა, გეგონებოდათ — მრევლი შემოჰხვევია მოძღვარსო. საკვირველი ამბები ხდებოდა ქვის ამ ძველ სამტეხლოში.

ბილიკიდან გადაუხვია და წისქვილში დაეშვა. წისქვილში ბორბალი ბრუნავდა და შემზარავ ხმებს გამოსცემდა. იოჰანესი დაჩვეული იყო ამ ადგილებში სიარულს და საკუთარ თავთან ლაპარაკს. მდინარის მარგალიტებად გაბნეული თითოეული შხეფიც კი მისთვის ძვირფასი იყო, იმდენად ძვირფასი, რომ მასზე საუბარი არ მოგაწყენდა. მდინარე პირდაპირ ღართან ეშვებოდა, მზეზე გასაშრობად გამოდებულ ბზინვარე ქსოვილს მოგაგონებდათ. ქვემოთ, არხში თევზი იცოდა, იქ ანკესით იდგა ხოლმე და თევზაობდა.

როდესაც გაიზრდება, უსათუოდ მყვინთავი გახდება. გემის ბაქნიდან ზღვაში გადაეშვება და საარაკო მხარეში ამოჰყოფს თავს, სადაც ზღვის ტალღები ველურ ტყეებს ღამის ზღაპარს უამბობს, ფსკერზე კი მარჯნის კოშკია აღმართული, ხელმწიფის ულამაზესი ქალიშვილი ხელს დაუქნევს ფანჯრიდან და დაუძახებს: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“

ამ დროს ვიღაცამ დაუძახა, მამამისი იყო:

„იოჰანეს! » .

— ციხე-დარბაზში გიხმობენ. ახალგაზრდა ბატონები უნდა გადასხა კუნძულზე.

იოჰანესი კოშკისკენ გაეშურა. ღვთის წყალობა ერგო წილად მეწისქვილის შვილს.

***

მებატონის კარმიდამო მწვანედ ბიბინებდა და პატარა ციხე-დარბაზს ჰგავდა, ზღაპრიდან გაცოცხლებულ სასახლეს. სახლი ხის იყო, თეთრად შეღებილი. კედლებსა და სახურავზე მრავლად მოჩანდა მრგვალი ფანჯრები, ხოლო როდესაც სტუმრებს იღებდნენ, მრგვალ კოშკზე ბაირაღი ფრიალებდა. ხალხმა ამ კარმიდამოს ციხე-დარბაზი შეარქვა. მის ერთ მხარეს ზღვის ყურე, მეორე მხარეს კი ხშირი ტყეები იყო გადაჭიმული. შორს კი გლეხის ქოხები მოჩანდა.

იოჰანესი ნავსაყუდელთან მივიდა, ყმაწვილები ნავში ჩასხდნენ. მათ ადრეც იცნობდა — მებატონის შვილები და მათი ქალაქელი ამხანაგები იყვნენ. ყველას მაღალყელიანი წაღები ეცვა, რადგან წყალში უნდა გაეტოპათ. მხოლოდ ვიქტორიას ეცვა პაწაწინა ფეხსაცმელი, რადგან ათი წლისაც არ იყო, ხელით გადასაყვანი გახდა, როდესაც კუნძულს მიუახლოვდნენ.

— გინდა, გადაგიყვანო? — ჰკითხა იოჰანესმა.

— მე გადავიყვან! — თქვა ქალაქელმა ყმაწვილმა ოტომ, თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ვაჟბატონმა და ვიქტორია ხელში აიყვანა.

იოჰანესი იდგა და უყურებდა, როგორ გადაიყვანა ოტომ ვიქტორია მაღალ ნაპირზე. ისიც გაიგონა, როგორ გადაუხადა მადლობა პატარა ქალბატონმა, მერე ოტომ დაუყვირა იოჰანესს:

— ეი, შენ, ნავს მიხედე! რა ჰქვია ამ ბიჭს?

— იოჰანესი, — მიუგო ვიქტორიამ. — ჰო, იოჰანესი ნავს უყარაულებს.

იოჰანესი მარტო დარჩა. ბატონიშვილები კი გარეული ფრინველის კვერცხების მოსაგროვებლად კუნძულზე გაეშურნენ, ხელში კალათა ეჭირათ. იოჰანესი ერთხანს იდგა და ფიქრობდა. მასაც გული იქით მიუწევდა. ნავს კი რა დიდი პატრონობა უნდოდა — ნაპირზე გაათრიე, მორჩა და გათავდა! ვითომ მძიმეა? რა სალაპარაკოა! იოჰანესი მთელი ძალ-ღონით ნავს დაეჭიდა და ნაპირზე გაათრია.

ესმოდა ვაჟბატონების სიცილი და ლაპარაკი. თანდათან შორდებოდნენ ნაპირს. კეთილი, რაკი ასეა, კარგად ბრძანდებოდეთ, მაგრამ ხომ შეეძლოთ ისიც თან წაეყვანათ, ბუდეები იცოდა, მიიყვანდა და აჩვენებდა. იცოდა მთებში მიმალული გამოქვაბულები, სადაც მტაცებელი ფრინველები ბინადრობდნენ, მერე როგორი ფრინველები, ნისკარტზე ყველას ბუმბული ჰქონდა. იოჰანესმა ერთხელ ყარყუმიც კი ნახა.

იოჰანესმა ნავით წყალში შესცურა და ნიჩბების მოსმით კუნძულს წრეს უვლიდა.

კარგა მანძილი გაცურა ნავით, როდესაც დაუყვირეს:

— დაბრუნდი, უკან დაბრუნდი, ფრინველს დააფრთხობ!

— მინდოდა მეჩვენებინა თქვენთვის სად ცხოვრობს ყარყუმი, — მიუგო იოჰანესმა და პასუხს დაელოდა, — მერე, შეგვეძლო გველები გამოგვეგდო სოროდან. კვარიც თან მაქვს.

არავინ უპასუხა. მაშინ იოჰანესმა ნავი მოატრიალა და თავის ადგილს დაუბრუნდა. ნავი ისევ ნაპირზე გაათრია.

როდესაც გაიზრდება, სულთანისგან კუნძულს იყიდის და ბრძანებას გასცემს, მის სამფლობელოში არავინ შეუშვან. ზარბაზნიან გემს სადარაჯოზე დააყენებს ნაპირთან. ეახლებიან მონები და მოახსენებენ: „თქვენო უდიდებულესობავ! კლდეს ნავი დაეჯახა და იძირება. იქ ყმაწვილები სხედან, მათი სიცოცხლე საფრთხეშია“. „დაე, დაიღუპონ!“ — მიუგებს იოჰანესი. „თქვენო უდიდებულესობავ! — ისევ ეტყვიან მონები, — შველას გვთხოვენ, ჯერ კიდევ არ არის გვიანი, მათთან თეთრკაბიანი გოგოა.“

„გადაარჩინეთ!“ — რიხიანად უბრძანებს იოჰანესი. და აი, მრავალი წლის შემდეგ, ხელახლა შეხვდება მებატონის შვილებს. ვიქტორია მუხლებში ჩაუვარდება და გადარჩენისთვის მადლობას ეტყვის. „სამადლობელი არაფერია, მე მხოლოდ ჩემი ვალი შევასრულე. აი, ეს სამფლობელო მე მეკუთვნის, სადაც გენებოთ, გაისეირნეთ“. და ბრძანებას გასცემს გააღონ ციხე-დარბაზის ჭიშკარი, ოქროს ჭურჭელით კერძებს მიართმევენ სტუმრებს, ხოლო სამასი შავგვრემანი მხევალი მთელი ღამე სიმღერითა და ცეკვით გაართობს სტუმრებს. როცა წასვლას დააპირებენ, ვიქტორია აღარ მოისურვებს შინ დაბრუნებას, მას ხომ იოჰანესი უყვარს: „ნება მიბოძეთ, თქვენო აღმატებულებავ, აქ დავრჩე, თქვენი მონა-მორჩილი...“

აღელვებული იოჰანესი ჩქარი ნაბიჯით კუნძულისაკენ გაემართა. რა თქმა უნდა, ის გადაარჩენს მებატონის შვილებს. ვინ იცის, იქნებ გზა აებნათ კუნძულზე, ან იქნებ ვიქტორია გამოქვაბულში გაიჭედა და გამოსვლა უჭირს. ბევრი კი არაფერი უნდა, — ერთი ხელის გაწოდება და მორჩა.

მაგრამ იოჰანესის დანახვა ბატონიშვილებს გაუკვირდათ. ნუთუ ნავი ბედის ანაბარა დატოვა?

— იცოდე, პასუხს აგებ ნავისთვის! — უთხრა ოტომ.

— არ გინდათ, გაჩვენოთ სად ხარობს ეოლო? — შესთავაზა იოჰანესმა.

პაუზა. მხოლოდ ვიქტორიამ იკითხა:

— მართლა? სად არის?

მაგრამ ქალაქელმა ვაჟბატონმა უმალ მოისაზრა და თქვა:

— რა დროს ეგ არის.

იოჰანესი თავისას აგრძელებდა :

— ისიც ვიცი, სად გროვდება ნიჟარები.

ისევ პაუზა.

— მერე შიგ მარგალიტი არის? — ჰკითხა ოტომ.

— მართლა რომ იყოს მარგალიტი! — წამოიძახა ვიქტორიამ.

იოჰანესმა კი მიუგო:

— მარგალიტი არ ვიცი, მაგრამ ნიჟარა კი შორს ზღვის ფსკერზეა, თეთრ ქვიშაზე. ნავი დაგვჭირდება, წყალშიც უნდა ჩავყვინთო.

ყველას გაეცინა. ასეთი ახირება ჭკუაში არავის დაუჯდა.

— ესეც გამომიჩნდა რა მყვინთავი! — დასცინა ოტომ.

იოჰანესმა სუნთქვას მოუხშირა.

— თუ გინდათ, აი, იმ კლდეზე ავძვრები და იქიდან ლოდს გადავაგდებ ზღვაში. — თქვა მან.

— რატომ?

— ისე, დაინახავთ, ქვა როგორ ჩავარდება წყალში.

მაგრამ ამ წინადადებითაც ვერ მოხიბლა ბატონიშვილები და დარცხვენილი იოჰანესი გაჩუმდა. შემდეგ კვერცხების ძებნას შეუდგა, სხვებისგან განმარტოებით, კუნძულის მეორე მხარეს.

როდესაც ყველანი ნავთან მოგროვდნენ, იოჰანესს ბევრად მეტი კვერცხი აღმოაჩნდა, ვიდრე დანარჩენებს. ქუდში ჩაენყო და ფრთხილად მოჰქონდა.

— ერთი მითხარი, მაგდენი კვერცხის შეგროვება როგორ მოახერხე? — იკითხა ქალაქელმა ოტომ.

— ბუდეები ვიცი, — მიუგო გახარებულმა იოჰანესმა. — ახლა ამას შენს კვერცხებს მიუმატებ, ვიქტორია.

— არ გაბედო! — შესძახა ოტომ, — ვითომ რატომ?

ყველამ ოტოს შეხედა.

— ვინ დაგიჯერებს, რომ ქუდი სუფთაა.

იოჰანესმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ მოიღუშა. შეტრიალდა და კვერცხებით სავსე ქუდით ისევ კლდისკენ გასწია.

— რა დაემართა? სად მიდის? — იკითხა მოუთმენლად ოტომ.

— სად მიხვალ, იოჰანეს? — დაუყვირა ვიქტორიამ და უკან დაედევნა.

იოჰანესი შეჩერდა და ჩუმად მიუგო:

— კვერცხებს ისევ ბუდეში ჩავაწყობ.

ერთხანს იდგნენ და ერთმანეთს შეჰყურებდნენ.

— სადილის შემდეგ კი სამტეხლოში წავალ, — თქვა იოჰანესმა.

ვიქტორიამ ხმა არ ამოიღო .

— შემეძლო გამოქვაბული მეჩვენებინა შენთვის.

— ხო, მაგრამ, რომ მეშინია! — მიუგო ვიქტორიამ, — შენ არ ამბობდი, იქ ძალიან ბნელაო.

იოჰანესს თავისი დარდი აწუხებდა, მაგრამ ამ სიტყვებზე მაინც გაეცინა და მხნედ მიუგო:

— მე ხომ შენთან ვიქნები!

***

იოჰანესი მთელ დღეებს ძველი ქვის სამტეხლოში ატარებდა. შორიდან გაიგებდით, როგორ ჩხირკედელაობდა და საკუთარ თავთან საუბრობდა. ზოგჯერ მღვდელივით ქადაგად იყო გადაქცეული.

ქვის სამტეხლო დიდი ხანია გააუქმეს, ქვები ხავსს დაეფარა. სამტეხლოს სიღრმეში გამოქვაბული ეგულებოდა. მეწისქვილის შვილმა ეს გამოქვაბული რუდუნებით გაწმინდა და თავის ჭკუაზე მოაწყო. აქ ხომ მთელ დედამიწაზე უმამაცესი ყაჩაღთა ბრბო ცხოვრობდა, რომლის წინამძღოლიც იოჰანესი გახლდათ.

აი, ვერცხლის ზარს აწკარუნებს. პატარა, ჯუჯა კაცი შემოდის. ქუდს ბრილიანტის სამკაული უმშვენებს. ეს მისი მსახურია. ის მოწიწებით უხრის თავს. „როცა პრინცესა ვიქტორია მოვა, აქ შემოიყვანეთ!“ — ბრძანებს იოჰანესი. ჯუჯა კაცი თავს კვლავ უხრის და უჩინარდება. იოჰანესი სიამოვნებით ეშვება რბილ სავარძელში და ფიქრებს ეძლევა. სწორედ აქ დააბრძანებს ვიქტორიას და ბრძანებს, ოქრო-ვერცხლის ლანგრით საუცხოო კერძები მოართვან. გამოქვაბულში კოცონი გიზგიზებს, ვიქტორიას საძინებელს უმზადებენ. წინ ფარჩის მძიმე ფარდას დაუშვებენ და თორმეტი რაინდი უდარაჯებს.

იოჰანესი წამოხტა, გამოქვაბულიდან გამოძვრა და სმენად იქცა. ბილიკიდან ფოთლების შრიალი მოესმა.

— შენ ხარ, ვიქტორია? — დაუძახა იოჰანესმა.

— ჰო, — მოისმა პასუხად.

იოჰანესი მიეგება.

— მეშინია! — ამბობს ვიქტორია.

იოჰანესი უდარდელად პასუხობს:

— ახლა იქ ვიყავი. ეს-ესაა იქიდან მოვდივარ.

გამოქვაბულში შედიან. იოჰანესი ქვაზე ანიშნებს დაჯექიო და ამბობს:

— ამ ქვაზე დევგმირი იჯდა.

— გაჩუმდი, ნუ ამბობ, ნუ! და, არ გეშინოდა?

— არა.

— ხომ ამბობდი, ერთი თვალი აქვსო. ბოროტი სულებივით არიან.

იოჰანესი ჩაფიქრდა.

— დევგმირს ორი თვალი ჰქონდა, მაგრამ ცალით ბრმა იყო, თვითონ მითხრა.

— კიდევ რა გითხრა? არა, არ მინდა, ნუ მეტყვი!

— მკითხა, მსახურად თუ დამიდგებიო?

— უარი ხომ უთხარი? ღმერთმა დაგიფაროს!

— უარი არ მითქვამს.

— ხომ არ გაგიჟდი! გინდა კლდეში ეამოგამწყვდიონ?!

— რა ვიცი, მიწაზე რით არის უკეთესი.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— შენ ხომ ქალაქიდან ჩამოსულ სტუმრებთან ერთად დაიარები. — თქვა იოჰანესმა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, იოჰანესი თავისას აგრძელებდა:

— მე ხომ მათზე ღონიერი ვარ, მათზე უკეთესადაც აგწევ და ნაპირზეც გაგიყვან. შემიძლია ერთი საათი ხელში ატაცებული გატარო. აი, უყურე!

ხელში აიყვანა. ვიქტორიამ კისერზე მოჰხვია ხელი.

— კარგი, ახლა დამსვი.

ჩამოსვა. ვიქტორიამ უთხრა:

— იცი, ოტოც ღონიერია. დიდ ბიჭებთანაც კი უჭიდავია.

იოჰანესმა ეჭვით ჰკითხა:

— დიდებთან?

— ჰო, დიდებთან, ქალაქში.

სიჩუმე ჩამოვარდა, იოჰანესი საგონებელს მიეცა. ბოლოს თქვა:

— თუ ასეა, რა გაეწყობა. ახლა კი ვიცი, რასაც ვიზამ.

— რას იზამ?

— წავალ, დევგმირს ვუერთგულებ.

— რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდი! — დაიყვირა ვიქტორიამ.

— რა მენაღვლება. ზუსტად ასე მოვიქცევი.

ახლა ვიქტორია ჩავარდა საგონებელში, რითი ეშველა იოჰანესისთვის.

— ვინ იცის, შენი დევგმირი იქნებ აღარც კი გამოჩნდეს.

— გამოჩნდება.

— აქ მოვა? — უცებ ჰკითხა ვიქტორიამ.

— ჰო.

ვიქტორია წამოხტა და გასასვლელისკენ გაიქცა.

— სჯობს აქედან წავიდეთ!

— რა გეჩქარება, — თქვა იოჰანესმა, თუმცა კი სახე გაფითრებოდა. — დაღამებამდე არ მოვა, ზუსტად შუაღამემდე.

ვიქტორია დამშვიდდა. უნდოდა ისევ თავის ადგილზე დამჯდარიყო, მაგრამ ახლა იოჰანესი აიტანა შიშმა, თვითონ გამოიწვია დევგმირი, ახლა მაგას რა გაუმკლავდება. — გამოქვაბულში ყველაფერი საეჭვოდ ეჩვენება და ვიქტორიას მიუბრუნდა:

— გინდა აქედან გავიდეთ. გარეთ ერთი ქვა მეგულება. ზედ შენი სახელია ამოტვიფრული, გაჩვენებ.

გამოქვაბულიდან გამოძვრნენ და ქვა მონახეს. ვიქტორია ამაყია და ბედნიერი. იოჰანესს გული აუჩვილდა. კინაღამ ცრემლი წასკდა.

— როცა აქ აღარ ვიქნები, შეხედავ ამ ქვას და გაგახსენდები. კეთილად მომიგონებ.

— ჰო, — თქვა ვიქტორიამ, — მაგრამ ხომ დაბრუნდები?

— ვინ იცის, შეიძლება აღარც დავბრუნდე.

სახლისკენ მიმავალ გზას დაადგნენ. იოჰანესს ცრემლი მოადგა.

— მშვიდობით, — თქვა ვიქტორიამ.

— არა, ცოტას კიდევ გაგაცილებ.

იოჰანესს ეწყინა, ვიქტორიამ ასე გულგრილად რომ უთხრა „მშვიდობით“-ო. თავი დამცირებულად იგრძნო. შეჩერდა, ბრაზი მოერია:

— აი, რას გეტყვი, ვიქტორია... სხვა ვერავინ და ვერასოდეს მოგეპყრობა ისე, როგორც მე, ვერავინ-მეთქი.

— ოტოც ხომ კარგად მექცევა, — არ შეეპუა ვიქტორია.

— მაშინ მასთან წადი!

ცოტა ხანს უხმოდ მიდიოდნენ.

— დარდი ნუ გექნება, დევგმირთან არაფერი მიჭირს. რომ იცოდე რა საჩუქარი მელოდება.

— მართლა? რას მიიღებ საჩუქრად?

— ნახევარ სამეფოს, აი რას.

— უჰ, რას ამბობ?!

— და კიდევ მზეთუნახავს.

ვიქტორია შეჩერდა.

— ჰო, ჰო, როგორ არა!

— მართალს გეუბნები, თვითონ თქვა.

პაუზა. ვიქტორია ჩუმად იტყვის:

— ნეტავ, როგორია მზეთუნახავი?

— განა არ იცი, დედამიწაზე არავინ არის მასზე ლამაზი. ვისაც გინდა ჰკითხე.

ვიქტორია შეცბა.

— მაშ გინდა, რომ მზეთუნახავი შენი იყოს? — ჰკითხა ვიქტორიამ.

— მინდა, — პასუხობს იოჰანესი, — რატომაც არა.

როცა დაინახა, ვიქტორია მართლა შეშფოთდა, დასძინა:

— მაგრამ შეიძლება ოდესმე დავბრუნდე კიდეც. ცოტა ხნით ვესტუმრები დედამიწას.

— მზეთუნახავს ნუ წამოიყვან, — სთხოვა ვიქტორიამ, — აბა, აქ რაში გჭირდება?!

— კარგი, მარტო მოვალ.

— პირობა მომეცი.

— თუ გინდა, პირობასაც მოგცემ. მაგრამ შენ რა, განა ჩემი თავი გადარდებს?

— ასე რატომ ამბობ? — იუარა ვიქტორიამ. — დარწმუნებული ვარ, მზეთუნახავს ისე არ ეყვარები, როგორც მე.

გული სიხარულისგან აუჩქროლდა იოჰანესს. დამორცხვებული, ბედნიერებისგან ცას ეწია. ვერ გაბედა ვიქტორიასთვის შეეხედა, თვალი აარიდა. მერე ტოტს დაწვდა, მიწიდან აიღო, კბილით ქერქი გააცალა და ხელზე შემოირტყა. აფორიაქებულმა ისღა მოიფიქრა, რომ სტვენა დაიწყო.

— აბა, დროა შინ წავიდე. — თქვა მან.

— ნახვამდის! — მიუგო ვიქტორიამ და ხელი გაუწოდა.

II

მეწისქვილის ვაჟმა სოფელი დატოვა. დიდხანს აღარ დაბრუნებულა — სკოლაში დადიოდა და ბეჯითად მეცადინეობდა. ტანი აიყარა, დავაჟკაცდა. ზედა ტუჩი ბუსუსით შეემოსა. ქალაქი შორს იყო, წასვლა-მოსვლას ბევრი ფული უნდოდა და ხელმომჭირნე მეწისქვილეს მრავალი წელი შვილი ქალაქიდან არ წამოუყვანია, არც ზამთარში და არც ზაფხულში. იოჰანესს დღედაღამ თავი წიგნებში ჰქონდა ჩარგული.

გაიზარდა, თვრამეტი წელი შეუსრულდა, შემდეგ ოცის გახდა.

და აი, ერთხელ, გაზაფხულზე, ნაშუადღევს, იოჰანესი გემის ბაქნიდან ნაპირზე გადმოხტა. ციხე-დარბაზის კოშკზე ბაირაღი ფრიალებდა, რადგან ამავე გემით, მემამულის ვაჟი დიტლეფი არდადეგებზე შინ დაბრუნდა. ნავსადგურზე ეტლი მიაგებეს. იოჰანესმა თავი დაუკრა ციხე-დარბაზის პატრონს, მის მეუღლეს და ვიქტორიას. როგორ გაზრდილა, გამაღლებულა ვიქტორია! არ მიესალმა. იოჰანესმა მეორედ მოიხადა შლიაპა და გაიგონა, როგორ ჰკითხა ვიქტორიამ ძმას:

— მისმინე, დიტლეფ, ვინ არის, თავს რომ გვიკრავს?

ძმამ მიუგო:

— ეს ხომ იოჰანესია, მეწისქვილის შვილი.

ისევ შეხედა ვიქტორიამ. მაგრამ იოჰანესს ეუხერხულა მესამედ თავის დაკვრა. ეტლი წავიდა.

იოჰანესმა კი შინ გასწია.

ღმერთო ჩემო, რა პატარა და სასაცილო მოეჩვენა მშობლების სახლი! სანამ წელში არ მოიხარა, კარში ვერც კი გაეტია. სამაგიეროდ, მშობლები სიხარულით ცას ეწივნენ, დიდი ზარზეიმით დახვდნენ. იოჰანესს გული აუჩუყდა. ბავშვობის სახლმა ტკბილი მოგონებები აღუძრა. მოხუცი დედ-მამა შვილს გულში იკრავდა და შინ დაბრუნებისთვის ღმერთს მადლობას წირავდა.

იმავე საღამოს იოჰანესი სოფლის განაპირას ხეტიალობდა, საყვარელი ადგილები ფეხით დაიარა. იყო წისქვილში, სამტეხლოში, ნახა გუბურა, სადაც ერთ დროს თევზაობდა. მისი ნაცნობი ფრინველები ხეებზე უკვე ბუდეებს იმზადებდნენ. იოჰანესი ნაღვლიანად ყურს უგდებდა მათ ჭიკჭიკს. ჭიანჭველების ბუდეც არ დაივიწყა.. გამქრალან ჭიანჭველები, ბუდე ცარიელია. გაქექა, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა... ხეტიალის დროს შეამჩნია, რომ ბატონის ტყეში უამრავი ხე გაეჩეხათ.

— იცანი ძველი ადგილები? — გაეხუმრა მამა. — შეხვდი შენს ძველ ნაცნობ ფრინველებს?

— ზოგი რამ ვერ ვიცანი, ტყე გაუჩეხავთ.

— გაჩეხეს მებატონის ტყე, — მიუგო მამამ. — რა ჩვენი საქმეა სხვისი ხეების დათვლა. გაჭირვება ვის არ მიადგება კარზე, ბატონს კი ბევრი ფული სჭირდება.

***

დღეები ერთმანეთს მისდევდნენ. იდგა მშვიდი და ნათელი დღეები. ყოველი წუთი აგონებდა ბავშვობას, წარსულს, ნეტარი დრო უკან იწვევდა, კვლავინდებურად ფიანდაზად ეგებოდა ცა და დედამიწა, მთა და ნაცნობი სივრცეები.

ციხე-დარბაზისკენ გზა მიდიოდა. იოჰანესი ამ გზას დაადგა. დილით კრაზანამ უკბინა და ზედა ტუჩი გაუსივდა. ახლა თუ მებატონის სახლიდან ვინმე გადაეყრება, არ შეჩერდება, თავს დაუკრავს და საჩქაროდ გზას გააგრძე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს. ციხე-დარბაზის ბაღში ვიღაც მანდილოსანი დაინახა. როცა გაუსწორდა, მოწიწებით თავი დაუკრა და გზა გააგრძელა. მანდილოსანი ციხე-დარბაზის დიასახლისი გახლდათ. გული ისე აუჩქროლდა, როგორც ერთ დროს, ბავშვობაში. ასე ემართებოდა უწინაც, როდესაც ციხე-დარბაზს ჩაუვლიდა ხოლმე. ეტყობოდა, სისხლში ჰქონდა გამჯდარი პატივისცემა, რასაც მემამულის დიდი სახლი, მისი უამრავი ფანჯარა და თვით მემამულის მკაცრი, ქედაღლური იერი იწვევდა.

იოჰანესმა ნავსადგურისკენ გაუხვია.

მოულოდნელად დიტლეფსა და ვიქტორიას წააწყდა. არ ესიამოვნა, ვინ იცის, იქნებ იფიქრონ — უკან დაგვდევსო. ეს ტუჩიც ახლა დაუსივდა! ნაბიჯი შეანელა, არ იცოდა, გზა გაეგრძელებინა თუ არა. მაინც გააგრძელა გზა. ჯერ შორიდან მიესალმა, როდესაც გვერდით გაუარა, ქუდი ხელში ეჭირა, ნაბიჯს უკლო. სალამზე ორივემ დინჯად უპასუხა. ვიქტორიამ თვალი გაუსწორა, სახე მოეღრუბლა.

იოჰანესმა სანაპიროსკენ გასწია. აღელდა, აფორიაქებულმა ნაბიჯსაც კი მოუჩქარა. არა, კაცმა რომ თქვას, როგორ გაიზარდა ვიქტორია, დაქალდა! მერე რა ლამაზია, ასეთი არასოდეს ყოფილა. წარბები ისე გადაბმოდა, გეგონება, ხავერდის ორი პაწია ზოლიაო. თვალები გამუქებოდა, მუქი ცისფერი გახდომოდა. უკან გამობრუნებულმა იოჰანესმა იმ ბილიკისკენ გაუხვია, რომელიც ტყე-ტყე მიდიოდა და ციხე-დარბაზს შორდებოდა. ოღონდ, არავის ეთქვა, ახალგაზრდა ბატონებს ფეხდაფეხ დასდევსო. მაღლობზე ავიდა, ქვა მოიგულა და დაჯდა. ფრინველები გაჰკიოდნენ, მათ ძახილში იყო გამოწვევა და ნდომა, ნისკარტით ტოტები გადაჰქონდათ. ჰაერში იდგა მიწის მოტკბო სურნელი, დახეთქილი კვირტებისა და ლპობაშეპარული ხეების სუნი.

ჰოი, საოცრებავ, იოჰანესი სწორედ იმ გზით მიდიოდა, რომელზეც ვიქტორია გამოჩნდა. ვიქტორია მეორე მხრიდან მოდიოდა.

იოჰანესი სინანულმა შეიპყრო — ჯობდა ფეხქვეშ მინა გასკდომოდა. ახლა კი ვიქტორია ნამდვილად იფიქრებს, უკან დამდევსო. კიდევ დაუკრას თავი თუ არა? იქნებ, სჯობს, მეორე მხარეს გაიხედოს. კიდევ ეს შესიებული ტუჩი!

მაგრამ, როდესაც ვიქტორია გაუსწორდა, იოჰანესი წამოდგა და ქუდი მოიხადა. მან გაიღიმა და სალამზე თავი დაუკრა.

— საღამო მშვიდობისა! კეთილი იყოს შენი დაბრუნება, — თქვა ვიქტორიამ.

იოჰანესმა შეამჩნია, რომ ვიქტორიას ტუჩები ოდნავ აუთრთოლდა, თუმცა უმალ ძეიკავა თავი.

— უცნაურია ჩვენი შეხვედრა, არ ვიცოდი, თუ შენც ამ გზით წამოხვიდოდი.

— აბა, საიდან გეცოდინებოდათ, — მიუგო ვიქტორიამ, — მოულოდნელად მოვისურვე ამ ბილიკით წამოსვლა.

ხედავთ, იოჰანესმა კი „შენობით" დაუწყო ლაპარაკი!

— დიდხანს დარჩებით? — ჰკითხა ვიქტორიამ.

— სწავლის დაწყებამდე.

იოჰანესმა ძლივს ამოილუღლუღა, ისევ შორეული და მიუწვდომელი მოეჩვენა ვიქტორია. თუ ასეა, მაშ, რატომ გაესაუბრა?

— დიტლეფი ამბობს, რომ თქვენ, იოჰანეს, ძალიან ნიჭიერი ხართ. მშვენივრად ჩაგიბარებიათ გამოცდები. იმასაც ამბობს, ლექსებს წერსო, მართალია?

იოჰანესმა მოკლედ მოუჭრა:

— რა არის აქ უჩვეულო. ვინ არ წერს ლექსებს!

ახლა, ალბათ, წავა ვიქტორია, რაღა აქვს სათქმელი!

— წარმოგიდგენია, დღეს კრაზანამ მიკბინა, — დაარღვია სიჩუმე იოჰანესმა და ტუჩზე ანიშნა,

— ამიტომ გამოვიყურები ასე.

— დიდი ხანია აქ არ ყოფილხართ, კრაზანები ველარ გცნობენ.

აბა, ამას რაში ენაღვლება — კრაზანამ უკბინა თუ არა იოჰანესს. დგას არხეინად, მხარზე ოქროსტარიან, წითელ ქოლგას ატრიალებს, სხვა არაფერი ედარდება. მერე, უცხო მაინც ყოფილიყო, ვინ იცის, რამდენჯერ აუყვანია და ხელით უტარებია ეს ამაყი ქალბატონი.

— ვერც მე ვცნობ კრაზანებს, — უპასუხა იოჰანესმა — ერთ დროს კი ჩემი მეგობრები იყვნენ.

მაგრამ ვიქტორია ვერ მიუხვდა ამ სიტყვების საიდუმლოს და არ უპასუხა. იოჰანესმა ისევ განაგრძო:

— აქ ველარაფერს ვცნობ. ტყეც კი გაუჩეხავთ.

ვიქტორიას სახე მოეღუშა.

— ალბათ, ამიტომაც, აქ ველარ წერთ ლექსებს, — მიუგო მან, — ვითომ რა იქნება ოდესმე მეც მომიძღვნათ ლექსი? ღმერთო ჩემო, რას ვამბობ? ხომ ხედავთ, რა ცოტა რამ მესმის ასეთ საქმეში.

იოჰანესი ჩუმად იდგა და მიწას დაჰყურებდა აღელვებული. ვიქტორია ვითომ თავაზიანი ვარო, მაგრამ უეჭველია დასცინის, ქედმაღლური ტონით ესაუბრება, ელოდება, როგორ იმოქმედებს ჩემი სიტყვებიო. მაგრამ, ნურას უკაცრავად, იოჰანესი მარტო ლექსების წერაში როდი ხარჯავდა დროს, სხვებზე არანაკლებ კითხულობდა და სწავლობდა.

— მაშ კარგით, ალბათ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს. ნახვამდის.

იოჰნესმა ქუდი მოიხადა და წავიდა. ხმაც კი არ გაუცია.

რომ იცოდეს ვიქტორიამ მისი ლექსების ამბავი, ყველა ლექსი მას ეძღვნება: ისიც, სადაც ღამეს ესაუბრება და ისიც, სადაც ტბის კეთილი ფერიაა აღწერილი. ვიქტორია ვერასოდეს გაიგებს ამას

თარგმნა **ოლიკო ჟღენტმა**

გაგრძელება იქნება

ზორა
ანდღინიშვილი

ხენჭები

(საბჭოთა დროის პარადოქსები)

ამყოლს აჰყევი და ჩამყოლს ჩაჰყევი

დედაჩემი 1957 წელს გარდაიცვალა. ანდერძი აუგო და პანაშვიდი გადაუხადა ალავერდის ეპისკოპოსმა, მეუფე დავითმა, ჩვენმა ნათესავმა და მახლობელმა, — ჩემი მამიდაშვილების პაპა იყო და მეც მას პაპად ვთვლიდი და ასეც მივმართავდი. მაშინ საეკლესიო რიტუალებს ოფიციოზი ალმაცერად უყურებდა და არც იყო დანერგილი.

მეუფემ მგალობლები მოიყვანა და ის იყო უნდა შესდგომოდა წესის აგებას, ახალგაზრდა ქალი, ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების ექთანი, რომელიც დარბაზის კუთხეში იჯდა, ერთბაშად წამოდგა, ისე ჩაილაპარაკა, რომ ყველას გაეგონა: რელიგიურ რიტუალში მონაწილეობის მიღება მე არ შემიძლიაო, ქუსლების პაკაპუკით გადაჭრა დარბაზი და გავიდა. დედაჩემი პროფესიითაც და პიროვნულადაც საპატივსაცემო ადამიანი იყო და მართლა ყველა პატივს სცემდა, — ასე იყო მეუფე დავითიც, ... და ცხადია, მე მოღუშული მზერა გავაყოლე თავხედ ექთანს. „ვაპატიოთ, გენაცვა, ვაპატიოთ“, მომმართა მეუფემ და მაშინვე შეუდგა წესის აგებას ...

გავიდა წლები, თითქმის მთელი მეოცე საუკუნე. ამ ათიოდე წლის წინ ავლაბრიდან „მარშრუტკით“ მოვდიოდი სახლში, ვერაზე. მოგეხსენებათ, ავლაბრის გადასახედიდან, გაღმა რამდენიმე ეკლესია მოჩანს. მგზავრებს შორის ზოგიერთები პირჯვარს იწერდნენ. მაგრამ ერთი ქალი, რომელიც სწორედ ჩემს გასწვრივ იჯდა, ისე მკვეთრად და დემონსტრატიულად იქნევდა ხელებს და იწერდა პირჯვარს, თანაც ერთხელ კი არა, თითო ეკლესიის დანახვაზე სამჯერ, რომ უნებლიედ მიიქცია ჩემი ყურადღება. იყო რაღაც გროტესკული ამ ქალის ხელების ქნევაში. ამ კარგა შეხნიერებულ ქალში მე ვიცანი ის შორეული ექთანი. მოხდა ისე, რომ ზემელზე ერთად ჩამოვედით. მე გვერდით გამოვყე და ვუთხარი: „თქვენ ეს როგორი რელიგიური გამხდარხართ, რა გამალებით იწერდით პირჯვარს. მახსოვს ცეცხლმოკიდებულივით დატოვეთ ჩვენი დარბაზი დედაჩემის პანაშვიდის დროს.“ მეგონა იმას მაინც მეტყოდა, დროთა ვითარებაში შეიძლება ადამიანმა შეიცვალოს რწმენაც და შეხედულებებიც. მაგრამ არა. ქალს რაღაც, თითქოს სარკასტულმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე და უცერემონიოდ მითხრა: „შენ ეტყობა არ გაგიგია ქართული ანდაზა, ამყოლს აჰყევი და ჩამყოლს ჩაჰყევიო. დაიხსომე, გამოგადგება.“

„თქვენ გამოგადგათ?“

„გამომადგა, გამომადგა.“— ჩქარ-ჩქარა თქვა ქალმა და შებრუნდა, ...

„აბა, თქვენ იცით!“ — სიცილით მივაძახე, — „მხოლოდ ეცადეთ ხელი არ მოიტეხოთ პირჯვრის წერაში.“

„იდეური“ კომკავშირელი

ჩემი ახალგაზრდობიდან მოყოლებული კომკავშირი და, ხშირ შემთხვევაში, პარტიაც აუცილებელ საფეხურად იქცა ცხოვრების გზაზე გასული ადამიანისათვის, და უმეტეს შემთხვევაში ფორმალურ აუცილებლობას წარმოადგენდა. იმდროინდელი ენციკლოპედიები და ცნობარები რომ გადაშალოთ, ყველას, მსახიობი იქნება, მომღერალი, მეცნიერი, მწერალი, თუ მოწინავე სტახანოველი, უკვე აღარაფერს

დასასრული. დასაწყისი იხ. №6

ვამბობ ხელისუფლების წარმომადგენელზე, გვარის გასწვრივ, როგორც საბჭოთა დამღა, ასე უზის კომუნისტური პარტიის წევრობა ამა და ამ წლიდან, სრული ფორმალობა, მაგრამ ერთხელ მე გავიცანი რაღაც უცნაურად, ნამდვილად აბსურდულად „იდეური" ახალგაზრდა ქალი, კომკავშირის რაიკომის მდივანი ერთი პატარა პროვინციული ქალაქიდან და დარწმუნებული ვარ, ასეთი „მრწამსის" პიროვნება ერთადერთი იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ტურისტად მივდიოდი ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების კრუიზში. ჩვენ უკვე გემის მოაჯირთან ვიყავით გადმომდგარი და დაგვიანებულ მგზავრებს გამოვყურებდით, მექორწილეები რომ მოგრიალდნენ, ... მეფე-პატარძალს ახალგაზრდების დიდი ჯგუფი აცილებდა ჟრიალულით, სიცილ-კისკისით, ყვავილებით, ღვინის ბოთლებით და წარმოიდგინეთ, ლანგარზე დაბრძანებული, მორთულ-მოკაზმული ტორტიც! ამ ტორტით ქართველ ტურისტებს გაგვიმასპინძლდნენ მერე კაიუტ-კამპანიაში. სიმპატიური წყვილიც გამოდგა, ახალგაზრდა მეფე, კობა, საყოფაცხოვრებო კომბინატის უფროსის მოადგილე იყო, თურმე, პატარძალი კი, ზეინაბი, მქრქალი და მწყაზარი, ჭიკჭიკა ხმით მოლაპარაკე, კომკავშირის რაიკომის მდივანი. მეფე კარგად იყო დალეული, სამი დღეა გადაბმითა ვქეიფობთო, ბორძიკით ამბობდა და არც დამიძინიაო, სულ ყანწებით მიდიოდა სმაო, აი, ასეთი სამდღიანი ქარწილი გვქონდაო და თუ მაგრად არ გამოვიძინე, ცუდად არის ჩემი საქმეო.

შემდეგ დღეებში მათ, ცხადია, ხშირად ვხედავდი, მით უმეტეს ჩემს გვერდით კაიუტაში იყვნენ, ვხედავდი გემბანზეც, კაიუტ-კამპანიაშიც, სადილ-ვახშმებზე და მიკვირდა: კობა თითქმის გამუდმებით უგუნებოდ გამოიყურებოდა, პირზე ღიმი არ მოსდიოდა, მოუსვენრად მიმოდიოდა გემბანზე და თავისი მშვენიერი პატარძლის მიმართ დიდ ყურადღებას არ ამჟღავნებდა, არავითარი ჟღურტული და არავითარი „ჩონგურს სიმები გავუბი."

მათი შემხედვარე ჩემთვის ვფიქრობდი: ასეთი უცხვირპირო ქმრის ხელში, ახალნანეფარი რომ ასეა, მერე რაღა იქნება-მეთქი და სიმართლე ვთქვა, მაინტერესებდა, რა იყო მიზეზი ასეთი მოჟამვისა. და ერთ მშვენიერ შუაღამეს გავიგე მათი უსიამოვნების თავი და ბოლო, კაიუტის კედლებში ცხავივით გადიოდა ხმა და ისეთი დაუჯერებელი იყო მათი უსიამოვნების მიზეზი, ისეთი აბსურდული, საგანგებოდ მივუგდე ყური და აი, რა მოვისმინე:

„რამდენჯერ გაგიმეორო, კობა, უნდა გამიწიო ანგარიში!" — ცოტა არ იყოს, წიკვინა ხმით მოუწოდებდა ზეინაბი თავის ქმარს.

„რა შუაშია ანგარიშის გაწევა! დაფიქრდი, რა სისულელესა მთხოვ, როცა არსებობს მოვალეობა, ცოლის უპირველესი მოვალეობა, გესმიიის? გესმიიის?" — მკაცრი ხმა ჰქონდა კობას, — „შეუშვი მაგ თავში, შეუშვი!!"

„მრწამსის წინაშეც ხო არსებობს მოვალეობა! კაცი არა ხაარ, ორი კვირა ველარ უნდა მოითმინოო, მაშ, ჯარში წასულებმა რა ქნან, რაა!"

„რათა და რისთვის უნდა მოვითმინო, თორემ ჰოო! რად უნდა ჩავიმწარო ეს მოგზაურობა, რათა! რამდენი ვირბინე ამ საგზურებისთვის, რამოდენა ცნობები, ავტობიოგრაფიები, შეკითხვებაზე პასუხები! და იმისთვის, რომ ჩამშხამებოდა ყველაფერი, გავწამებულიყავი? ტვინს მიბურღავს შენი სისულელე, ტვიინს!" ბობოქრობდა კობა.

„უიმეე, უიმეე, დღე ერთია და შენი შემოტევა უანგარიშო! რა გჭირს ასეთი მოუთმენელი, გამაგებინე რაა!"

„მჭიირს, მჭიირს, აი, სწორედაც მჭიირს! კაცი რას არ მოითმენს, მაგრამ სისულელე რად უნდა მოითმინოს, რადა! პრინციპულად ველარ მოვითმენ, მეე დედალ-მაშო კი არა ვარ, კაცი ვარ, კაცი ვარ, კაცი ვარ, გაიგე და შეიტყე!!"

„შენც გაიგე და შეიტყე, ჩემთვისაც ეს პრინციპული საკითხია, ათასჯერ გითხარი და გიმეორებ, ჩემთვის მრწამსი ყველაფერია, ცოცხალი თავით კაპიტალისტურ სამყაროში ჩემს უბიწობას ვერ დავკარგავ, ვერა! ვერა და რა ვქნა!" — ტირილის ხმაზე დაინიკვინა პატარძალმა.

„მე ვინა ვარ შე ... შე ... რად მალანძღვინებ თავსა, შე ცალტვინავ, შენა, ფორდი ვარ თუ როკფელერი, თუ შენი კანონიერი ქმარი, თან პარტიაში შესვლის კანდიდატი, აქ ვიქნები თუ ცხრა მთას იქით!" — გრგვინავდა კობა, ყელამდე მოყრილი აღარ დაგიდევდათ თავშეკავებასა და ხმის კილოს.

„მადლობთ, მადლობთ, შეურაცხყოფაზედაც გადახვედი, მაშ, იცოდე, ჩემთვის სამშობლო ყველაფერია და ყველა მნიშვნელოვანი აქტი, — იქნებ თქვაა, რო ქალწულობის დაკარგვა უმნიშვნელო რამ არის, — პირადად მე ჩემს სამშობლოში უნდა აღვასრულო, აი, ასე!"

„ნუ მაგიჟებ, ქალო, რა შუაშია სამშობლო და ლოგინი?! მაშინ თქვიი, რო ავადა ხარ და არ შეგიძლიან! თქვიი, რო რაღაცა მოურჩენელი გჭირს, ან არადა კრამიტი დაგიცურდა, დაგიცურდა, დაგიცურდა! და რაღაცას მიედმოედები!"

„ჩემს მტერსა და დუშმანსა სჭირდეს მოურჩენელი, ჩვენს ავად მახსენებელს დაუცურდეს კრამიტი! ღმერთო, ღმერთო, ეს რა სიტყვები გცოდნია, ეს რა შეურაცხყოფა, არავის, არავის რო არ უკადრებია ჩემთვის, გაიგე, კომკავშირის რაიკომის მდივანი ვარ, უბატონოდ ხმა არავის გაუცია და შენ კიდევ ... შენ კიდევ ..." — ასლუკუნდა ზეინაბი.

„არა, არა, არა, შენ ქალი არა ყოფილხარ, შენა ყოფილხარ მარტო კომკავშირის რაიკომის მდივანი და რათა თხოვდებოდი, რათა, ყოფილიყავი შენთვის და მეც ჩემ გზასა ვნახავდი, რად იდებდი ჩემ ცოდოს, რათა!!"

„შენ გზასა ნახავდი არაა, კარი და ბანი არ დამიგდე, გამომყევი-გამომყევიო და ეხლა აიცრუე გული, აღარ გიყვარვაარ, არაა?!"

„უყურე, საიდან მომიარა?! მე აღარ მიყვარხარ თუ შენ აღარ გიყვარვარ, რო არ გინდა ჩემთან დაწვე, გავალ და პირდაპირ ზღართანს მოვადენ ზღვაში, წადი მერე და უყარე კაკალი!!"

„რაებს ამბობ, ბიჭო, რაებს! რა ვქნა რო ჩემთვის ჩემი სოციალისტური სამშობლო ყველაფერია, მე ერთგული ვარ, ერთგული ჩემი სამშობლოსი!!" — ხმა გაიმტკიცა ისევ ზეინაბმა, — დავბრუნდებით უკან და შენი ვარ, შენი!!"

„ვაიი!" — გეგონებათ გულიც თან ამოატანა კობამ, — „კრებებზე რო ცეცხლი გეკიდა, ეს იყო მარტო შენი უნარი? როცა მართლა ცეცხლი უნდა მოიკიდო, რა ღმერთი გიწყრება შე, გაუგებელო, შენა! არ მინდა არა, არა , არაფერი აღარ მინდა, მე ხვალვე უნდა წავიდე აქედან! რათა, კაცო, რათა, ჩემი ფულით მევე დავიტანჯოო, დარჩი შენა და შენ ქალწულობას ნანინა დაჰღულუნე, მოგიხდება!"

... ნეაპოლის შემდეგ ისინი აღარ გვინახავს, არც ვიცი როგორ მოახერხეს გემიდან გადასვლა, მაშინ ასე, ინდივიდუალურად წასვლა-წამოსვლა ძნელი იყო. მე კი მეგონა, რომ ამ ზეინაბს რაღაც ჭირდა, გამეგონა კიდეც, რომ არის ასეთი შემთხვევები, როცა ადამიანს იპყრობს შიში და ურთიერთობა არ შეუძლია, ზეინაბის თავსაც ეტყობა ეს ამბავი იყო-მეთქი, ეფიქრობდი, უბრალოდ აბსურდულ მიზეზს ასახელებდა და დარწმუნებული ვიყავი დაბრუნებისთანავე ეს მშვენიერი წყვილი, კობა და ზეინაბი გათვისდებოდნენ, მაგრამ იმ ჩვენი კრუიზიდან სამი წლის შემდეგ ...

ჩვენი ოპერის დირექტორმა მაყურებლის მოზიდვისა და ქართული ოპერის რაიონებში გავრცელების მიზნით, რაღაც ხნის განმავლობაში, ყოველ კვირა დღეს დანიშნა „დაისი" აღმოსავლეთ საქართველოს შედარებით ახლოს მდებარე რაიონების მცხოვრებთათვის. ყოველ კვირა დღეს გამოწერილი გვქონდა „დაისი" და რაიონების მაყურებელი. ისინი ავტობუსებით ჩამოდიოდნენ, ჩვენ ორი საათით ადრე ვიწყებდით სპექტაკლს, რომ დროულად შესძლებოდათ უკან დაბრუნება. და აი, ერთხელაც, პირველი აქტის შემდეგ, ის იყო ორკესტრიდან გასვლას ვაპირებდი, ვიღაცამ დამიძახა ბარიერთან მიდიო. გავიხედე და კობა და ზეინაბი შემრჩნენ, — მათი სახეები მკაფიოდ მქონდა ჩაბეჭდილი, — იდგნენ გაბადრულები და ხელს მიქნევდნენ. გავიგეთ, რომ დიდი ანტრაქტიაო, მითხრეს, გთხოვთ ამოხვიდეთ, ბუფეტში დავსხდეთო. მაშინ გავიგე მათი ამბავი, რომ თურმე ბედნიერად ცხოვრობდნენ და პატარა ბიჭუნაც უკვე ჰყავდათ, კობა თანაშემწე კი არა, საყოფაცხოვრებო კომბინატის დირექტორი იყო, ზეინაბი კი რაიკომის მესამე მდივანი. „იწვის, იწვის საქმისათვის" — მითხრა კობამ, — „მეტისმეტად იდეური მყავს"— და გულიანად გაიცინა, „ნუთუ არ გაგიკვირდათ იმ არაჩვეულებრივი კრუიზიდან ჩვენი გაუჩინარება?" „სიმართლე გითხრათ, მართლა უცნაური იყო თქვენი ამბავი," — ვთქვი მე. —„ან როგორ მოახერხეთ უკან დაბრუნება?" „ჰკითხეთ ამ ქალბატონს, აიჩემა მინდა თაფლობის თვე სამშობლოში გავატაროვო, როგორც იყო ჩამოვაღწიეთ მოსკოვში და მერე მთელი ორი კვირა სასტუმრო „მასკვაში" ვცხოვრობდით და მართლა გადასარევი დრო გავატარეთ, უნდა გითხრათ, აღარცა ვნანობდი დაბრუნებას." — კობა ისევ გულიანად იცინოდა, აშკარა იყო აგონდებოდა თავიანთი შეხლაშემოხლის ამბავი და ახლა უკვე ეს ახალისებდა.

მე კი შევყურებდი მათ და ვფიქრობდი: ნეტავ თუ იციან რა შორიდან მომდინარეობს ზეინაბის ის აბსურდული იდეურობა-მეთქი და როგორა აქვს ფესვი გადგმული ცრუმორწმუნეობაში-მეთქი. მაგონდებოდნენ პირველყოფილი აბორიგენები, ცრურწმენებით შეპყრობილები, დაუკავშირებელს რომ აკავშირებდნენ ერთმანეთთან და რასაც პარტიპიკაციის კანონი უწოდეს. აი, მაგალითად, ჩამოვარდა კედლიდან ინგლისის დედოფლის სურათი, აბორიგენებს ეს საშინლად შეაშინებს, რადგან შეიძლება ამინდის გაუარესებას, მოსავლის გაცუდებას, ვიღაცის სიკვდილს, ან სხვა რაიმე უბედურებას დაუკავშირონ და გარკვეული რიტუალიც ჩაატარონ ამ ნიშნის გასაქარწყლებლად. და თურმე, ჩემდა მოულოდნელად, თანამედროვე ადამიანიც შეიძლება შეპყრობილი იყოს ასეთი ცრუ რწმენით. ისე კი მინდოდა ჩამენისკარტა: რომ გაიძახოდი სამშობლო, სამშობლოვო, გამოდის, რომ სოციალისტური მოსკოვია შენი სამშობლო-მეთქი, მაგრამ ამისი წამოძახება ხომ შეუძლებელი იქნებოდა.

შეხვედრა ძია სტალინთან

ღრმა ბავშვობიდან მოყოლებული ვიცოდით ერთი არაჩვეულებრივი ამბავი, რომელსაც მითისა თუ ლეგენდის იერი დაჰკრავდა: რომ ჩვენი ამხანაგის, საბავშვო ბაღისა და შემდეგ სკოლის თანაჯგუფელის, საშკა ქარუხნიშვილის პაპა, მინა პაპა, სემინარიაში თვით ძია სტალინთან ერთად სწავლობდა. თან გვჯეროდა და თან აბა, როგორ უნდა წარმოგვედგინა, რომ ისეთი ჩვეულებრივი პაპა, თავის სიცოცხლეში რევოლუციონერიც რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ყოფილა, არამედ იყო მღვდელი, შემდეგში ბაკრეჭილი, მერე კი ერთ-ერთ სკოლაში რუსულის მასწავლებელი, უკვდავ ბელადთან იჯდა მერხზე, ისევე როგორც ჩვენა და საშკა. დევებისა და ალქაჯებისა გვჯეროდა, კუდიანებისა და ეშმაკებისაც, პაპა მინასი და ძია სტალინის ამხანაგობის დაჯერება კი ადვილი არ იყო.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენ მაშინ უკვე მეხუთე კლასში ვიყავით და გაგანია ომიც მძვინვარებდა, ოღონდ უკან აღარ ვიხევდით და პირიქით, სტალინგრადის შემდეგ სულ წინა და წინ მივიწევდით და საზღვარიც გადავლახეთ, ჩვენს მშობლიურ თელავში ხმა დაირხა, საკვირველი და საოცარი, დიდმა ბელადმა პაპა მინას ნახვა მოინდომაო, მოენატრა სიყრმის ამხანაგიო, ... მერე ვისა! დიდ სტალინსაო!!

„მართლაა, საშკა, მართლაა?! ეს რა გავიგეთ, ეეე!! ნუთუ მართლა??"

„ჰოო, რაა, ჩვენთან ფორმიანი კაცები მოვიდნენ და პაპას უთხრეს, მოემზადეთო, ორ-სამ დღეში თბილისში და შემდეგ მოსკოვში უნდა წახვიდეთო, ასე და ასეო ..." — ვითომ უბრალოდ თქვა საშკამ, თითქოს ამაზე ჩვეულებრივი რამ სხვა რაღა უნდა ყოფილიყო. არ დაიმჩნია, თორეემ, რა თქმა უნდა, მისი გული ზღვას ერეოდა... „ოჰოჰოჰო, სად ამოჰყოფს პაპა მინა თავს!?"

„გენერალსიმუსთან!!"

„ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორთან!!"

„და პაპა მინა კრემლში, წარმოგიდგენიაათ??"

„საშკა, საშკა, ალბათ, როგორა ღელავს, არაა, ნამდვილად ძილიც გაუკრთებოდა!"

„ღელავს, მაშ არაა?! მამამ წურბელები დაასხა ყურებთან, ... ნამეტნავად იმაზე დარდობს, ამ შნოთი სოსოს როგორ ვეჩვენოვო?"

„სოსოსაო?"

„ეგრე თქვა?"

„უყურე შენ!"

„ჰოო, რაა... ბებიამ უკვე ორ-ორჯერ ვადაუბრუნ-გადმოუბრუნა პალტო აქეთ-იქით, მაგრამ მთლად დაეძონძა ტყეში გუდურაზე სიარულით. პაპა მაშინვე მამაჩემის პალტოს ეტაკა, არც კი ის არის ახალი, მაგრამ მამა ხომ ტანდაბალია და სუ მთლად მოკლე მოუვიდა."

„მერე, ბიჭო, მერე, რას იზამს ამ უშოვნელობაში? ან რო იშოვოს კიდეც, როგორ იყიდით, ყველაფერს ხო ცეცხლი უკიდია?" — ვქოთქოთებდით ჩვენ.

საშკამ თავისი ხშირწამწამიანი, თაფლისფერი თვალები გაგვიჟუჟუნა: „გუშინ იყვნენ მეორედ ის კაცები, ჩვენც იქ ვიყავით და ეგაო თქვენი საზრუნავი არ არისო, თქვენაო გული შიგნითა გქონდეთო, თქვენ მარტო იმაზე იფიქრეთ, რას ეტყვით დიდ ბელადს და რა ტკბილ მოგონებებს გაიხსენებთო, აი, ეგრე უთხრეს პაპასაცა და ჩვენცა. მერე კიდევ მოაგრიალეს ვილისი და სადგურზე გააქანეს." ჰოდა, წავიდა, წავიდა პაპა მინა მოსკოვში, ჩვენ კი ისღა დაგვრჩა, საშიკოსთანა და მთელ ქალაქთან ერთად დავლოდებოდით მის დაბრუნებას ...

პაპა მინა კი მხოლოდ სამი კვირის შემდეგ დაგვიბრუნდა. ოო, რა ზარზეიმით შეხვდნენ, რა ცუმპაცუმპითა და ყვავილებით, სიტყვებითა და ლექსებით ... სად აღარ მიიწვიეს, სად აღარ, ვინ აღარ ხვდებოდა დიდ სტალინთან ნამყოფ მეგობარს და წარმოიდგინეთ, საშკას გამოისობით ჩვენს კლასშიც მობრძანდა, შვილიშვილის თანაკლასელებთან შესახვედრად. ჩვენმა დამრიგებელმა და სასწავლო ნაწილმა ხელიხელ შემოაბრძანეს პაპა მინა. ჩვენ მყისვე ფეხზე წამოვცვივდით და ერთხმად შევძახეთ, ისე როგორც წინასწარ დავისწავლეთ: „სალამი პაპა მინას! ძია სტალინის მეგობარს!" და თვალებდაჭყეტილები მივაჩერდით ... ვიდექით ფეხზე, თვალს ვერ ვაშორებდით, დავსხედით და თვალმოუცილებლად მივჩერებოდით, ეს ფრანტივით გამოწყობილი მოხუცი კაცი თან მინა პაპა იყო, თან მინა პაპა არ იყო, ... ოღონდაც!! ლურჯი დრაფის კოხტად მომდგარი პალტოთი, ველურის მუქი შვინდისფერი შლიაპით, რომელიც შემოსვლისთანავე მოიხადა და მაგიდაზე დადო, მერინოსის ფუმფულა, შვინდისფერივე კაშნეთი და რაც ყველას ოცნებას წარმოადგენდა, რადგან უმრავლესობას გაცვეთილ ფეხსამოსსა და განაცრისფერებულ, გათხელებულ და გახვრეტილ კალოშებში წყალი შესდიოდა, ახალთახალი, მკვრივი, შავად ბრჭყვიალა კალოშებით, ... და მითუმეტეს, სულ სხვანაირი, რქის დიდჩარჩოიანი, ლამის ნახევარ სახეს რომ უფარავდა, დიდლინზიანი სათვალეებით, რომლის იქიდანაც სასაცილოდ დამსხვილებული და თითქოს საიდუმლოებით სავსე თვალები გვიმზერდა, — ყველაფერი ეს პაპა მინას სულ მთლად უცხო იერს სძენდა. განა არა, საშკა გვეუბნებოდა: ბებომ რო დაინახა მოსკოვიდან დაბრუნებული პაპა, ხელები გაშალა, მინა, მინა, ეს რა ოსის მკვდარივით მორთულხარო?! პაპამ კიდევ: აბა, რა უნდა გელაპარაკოვო? დაგავიწყდა რა ჩამცმელი ვიყავიო? რანაირ ანაფორებს დავაფრიალებდიო? ბოლო დროს გამიხუნდა ლილა და შემომხედე და გაიხარე, აი, სოსომ როგორ დამავაჟკაცაო, როგორი მოგევლინეთო?! მართლა რომ მოგვევლინა, სადღა იყო პაპა მინას ჩავარდნილი ყბები, დაწვრილებული ნიკაპი და ყვითლად ჩანაოჭებული სახე? აღორძინებულიყო, ლამის გაღაჟღაჟებულს ლოყები კოხტად ჰქონდა ამომჯდარი, ნიკაპიც შევსებული და ნაოჭებიც თითქმის გასწორებული, ... სახეზეც ალერსიანი ღიმილი დასთამაშებდა, თან არავითარი პირზე ხელის მიფარება კბილების ნამუსრევის დასაფარად, არამედ ჩვენი პაპა მინა კოხტად ჩაწიკწიკებულ ქათქათა კბილებს აელვარებდა და გვიღიმოდა და გვიღიმოდა.

„პატივცემულო მინა,“— მიმართა საპატიო სტუმარს სასწავლო ნაწილმა, სახე-გადატკეცილმა, თმებ-გადატკეცილმა, ლამაზმა და მშვენიერმა ელენე მასწავლებელმა, — „გთხოვთ დაწვრილებით გვიამბოთ თქვენი დიდებული მოგზაურობის ამბავი.“ ...

„კი მოვამზადეთ თქვენთან შესახვედრად ლექსები და სიტყვები, ჩვენო კარგო სტუმარო,“ — განაგრძო სიტყვა კლასის დამრიგებელმა, ჩვენმა თიკო-მასწავლებელმა, პაპა მინასი და საშკას ახლო ნათესავმა, — „მაგრამ ბავშვებს ერთი სული აქვთ უპირველესად სწორედ თქვენ მოგისმინონ, ... მოხალვათდით, დაბრძანდით და შეუდექით თქვენს წმინდა საქმეს, დიდებულ ადამიანთან დიდებულ სტუმრობას.“ ჩვენს თიკო მასწავლებელს ამაღლებული კილო ჰქონდა, ... საგანგებოდაც გამოწყობილიყო, ანუ კურდღლის ბეწვის გაქუცული ჯუბა ჩაეცვა და ჭაღარა თმებიც ძველმოდური ძვლის სამაგრებითა და პატარა სავარცხლებით აკურატულად აელაგებინა.

პაპა მინამ პალტო გაიხადა, კაშნესთან ერთად საკიდზე ჩამოკიდა და ჩვენ თვალი მოგვჭრა შევიოტის ბრწყინვალე კოსტუმმა...

„ჩემო კარგო ბავშვებო, ჩემი საშიკოს მეგობრებო,“ — მოგვმართა პაპა მინამ, — „მართლაც, რომ ბედმა გამიღიმა ამ სიბერეში და ასეთი საჩუქარი მიძღვნა, სიყრმის მეგობართან შეხვედრა ნახევარი საუკუნის შემდეგ ... თანაცა ... (პაპა მინამ წამიერი პაუზა გააკეთა და ხელი აღმართა) რა მეგობართან! ქვეყანას რო აზანზარებს და ქვეყანა შეჰხარის!! შეხვედრა... სიტყვით რომ ვერ ითქმება და კალმით ვერ აღიწერება!!“ — და ისეთ მაღალ ფარდებში ავიდა თავისი განცდების გადმოსაცემად ჩვენი პაპა მინა, რომ სანამ გული საბოლოოდ გაგვიწვრილდებოდა, საშკამ შესძახა: — „პაპა-პაპა, ისა თქვი, როგორ გამზადებდნენ და შენ კიდევ სიცილი რო აგიტყდა რაა!!“. „საშკა!“— თიკო მასწავლებელმა საშკას თითი დაუქნია, — „ახლა პატივცემული მინა არც ჩემი მამიდაშვილია და არც შენი პაპაა, არამედ არის დიდი სტალინის მეგობარი და სიტყვა არ უნდა გააწყვეტინო!“

„არა უშავსრა, ჩემო თიკო, არა უშავსრა ... ვეღარ ითმენს ჩემი შვილიშვილი, ვეღარა, გაიგონ ბავშვებმა, რა ციბრუტივით დამატრიალეს, რამოდენა ხალხი დამახვიეს და რა გულდაგულ მომამზადეს ჩემი სიყრმის მეგობართან შესახვედრად, მართლაც და ხუმრობა საქმე ხომ არ იყო ეს ამბავი ...“

და ჩვენ გავიგეთ, როგორ დაასახლეს საუკეთესო სასტუმროში მთელი ათი დღით, როგორ მიაშუქეს პაპა მინას თვალისმომჭრელი სინათლეები, რომ დაენახათ თავით ფეხამდე როგორ ფეთქავდა მისი მჭლე სხეული, ან რით იყო შემოსილი, ან რას ჭამდა და რას სვამდა ...

„ჰოდა, ჩემო კარგო ბავშვებო,“ — ხალისიანად განაგრძო პაპა მინამ. — „ჩვენაო,“ მითხრეს, „ეგრე გადამღრძვალსაო ბელადთან ვერ წარგადგენთო, უნდა მოგაფერიანოთო, ამისათვის მოგვახსენეთ რას მიირთმევთო, რა გიყვართ კერძებში ყველაზე მეტად და რა გენატრებათო, ... მე არც დავფიქრებულვარ, იგრე ვუთხარი რაც მენატრებოდა და რაც მიყვარდა: კატლეტი! კატლეტი და ისევ და ისევ კატლეტი მეთქი.“ — და პაპა მინამ ისეთი რიხით წარმოთქვა უკანასკნელი სიტყვები, ცხადია ეჭვი არ ეპარებოდა, კატლეტის უპირატესობას სხვა კერძების წინაშე წყალი არ გაუვიდოდა. — „როგორ პაპა მინა!“ — წამოიძახა მღელვარედ უკანა მერხიდან აყლაყუდა მახნიაშვილმა, ორჯერ დარჩენილმა ბიჭმა, ყველას თავზე რომ დაგვცქეროდა და ჩვენ ხუმრობით „ძია ვახოს“ ვეძახდით, — „ხინკალიც არ უთხარით, ხინკალიი?“

„მახნიაშვილო!“ — მკაცრად მიმართა თიკო მასწავლებელმა, — „შენ როცა მიგიწვევენ და შეგეკითხებიან, შენ უთხარი ხინკალი და ტოლმა, გესმიის?!“

„მე მართლა ტოლმას ვეტყოდი!“ — ლამის შეჰღრიალა მიშა ელიანცმა. ისიც დარჩენილი იყო და სულ უკანა მერხზე მახნიაშვილთან ერთად იჯდა.

„ელიანცი! ხმა არ გავიგო!“ — ახლა უკვე სასწავლო ნაწილმა დატუქსა ელიანცი. პაპა მინამაც ხელი აღმართა, გაჩუმდითო და თავის სიმართლეში დარწმუნებული ოპონენტივით ხმა გაიმკაცრა: — „მე სწორედ კატლეტი მენატრებოდა ყველაზე მეტად! მაგრამ, ბავშვებო, თურმე რამდენნაირი კატლეტი უკეთებიათ!?“ — და აქ პაპა მინას ერთბაშად ჩაუტკბა ხმა, — „ყოველდღე სულ სხვადასხვანაირები მოჰქონდათ, ნაირნაირ გარნირთან ერთადა! მაგალითად ერთგვარი კატლეტია, რა თქმა უნდა, დიდებული კატლეტი, ერთ მხარეს ძვალი აქვს გაყრილი, ... კიდევ სხვანაირი კატლეტია, ოჰოჰოჰო, მთლად უცხო კატლეტი, რომელსაც შიგნით ღრუ აქვს და დამდნარი კარაქია ჩასხმული, ნეტავი კი როგორ ასხამენ შიგა?! გემრიელი, გემრიელი რომ რაღა! ჩავკბიჩე და კარაქი პირდაპირ ახალთახალ ხალათზე შემესხა ...“ — და პაპა მინა ისე გაიტაცა კატლეტების აღწერამ, კლასში ერთი წუთით ღრმა სიჩუმე ჩამოწვა. აშკარად ყველა ჩავიძირეთ დამდნარი კარაქით სავსე ღრუში და ლამის სურნელიც კი მოგვწვდა იმ უცხო კატლეტებისა ... და განა გასაკვირია, რომ მშიერ-მწყურვალსა და ყველაფერს დანატრულებულ ბავშვებს, წყალწყალა წვენებით, უცხიმო შეჭამანდებითა და ორასგრამიანი ტალახივით პურით გულგადალეულებს, მეორე წუთსავე სრულიად ბუნებრივად, მწვავე მონატრების გმინვა აღმოგვხდა.

„პატივცემულო მინა! პატივცემულო მინა!“ — შესძახა სასწავლო ნაწილმა, რომ პაპა მინაცა და ჩვენც სასწრაფოდ გამოვეხსენით კატლეტების ტყვეობიდან, — „აი, ჩახვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით მოსკოვში, აი, მოვიდნენ თქვენს წასაყვანად კრემლში, ბელადთან წარსადგენად, ჩვენ ყველაფერი გვაინტერესებს, შეხვედრის დეტალებიც კი!"

„მინა, მინა! ბავშვები სულის კაწკაწით მოელიან დიდი ბელადის გამოჩენას!" — თიკო მასწავლებელმა, ჩვენი სულიერების სადარაჯოზე გოროზად აღმართულმა, ლამის საბრძოლო დავალებასავით მოუწოდა პაპა მინას სასწრაფოდ გადასულიყო მთავარ სათქმელზე, კრემლსა და ბელადზე.

„ნუ აღელდით, ქალებო, ნუ აღელდით, ეხლავე ყველაფერს წვრილად მოგახსენებთ!" — თქვა პაპა მინამ და გვიამბო: როგორ ჩააბრძანეს საოცარ მანქანაში, მიიყვანეს ჯერ მავზოლეუმში დიდი ლენინის ნეშტის სანახავად, მერე კი, ო, მერე კი, კრემლში შეხვდა ხალხთა მამას, ძია სტალინს, რომელიც გრძელი ტალანის სიღრმეში იდგა თანამებრძოლებთან ერთად, პაპა მინას დანახვაზე გამოემართა მისკენ, პაპა მინაც მოსწყდა ადგილს, შუა ტალანში გადაეხვივნენ ერთმანეთს და ძია სტალინმა „თავისი შესანიშნავი ხმით, ყოველთვის რო ტენორივით უჟღერდა" გულითადად შესძახა: „ბიჭო, ბიჭო მინა, რასა იქმ და როგორა ხარო? როგორ იმგზავრეო, გზაში ხო არაფერმა შეგაწუხაო?!" მე კიდევა იმისთანად ავღელდი, ბავშვებო, იმისთანათა, რომა ცრემლები მომერია და გულაჩუყებულმა ესღა ვუთხარი: „სოსო, სოსო, შემომხედე, შენთან შესახვედრად როგორ გამარემონტეს-მეთქი?"

„ჩვენ კიდევ ჟრუანტელმა დაგვიარა, პაპა მინა!" — დაიძახეს შუა მერხებიდან.

„ჩვეენც! ჩვეენც!" — აჟრიამულდა მთელი კლასი.

„სტალინმა კიდევა," — განაგრძო გახალისებულმა პაპა მინამ, — „ხო ყველაფერი გაგირემონტესო, ხო არაფერი დაუტოვებიათ გაურემონტებელიო? არაფერიო, არაფერიო, ვუთხარი მე სიცილით, ... თან მომხვია ხელი და ოთახისკენ წამიყვანა, სუ მიღიმოდა და მეხუმრებოდა, ამ ჩვენს მოსკოვში ხო არ შეგცივდაო? რაიმე ისეთი ხო არ გაგიცივდა ან ხო არ მოგეყინაო?" თან თავისებურად ჩაიცინებდა ხოლმე." — და პაპა მინამაც ჩაიქირქილა.

„ალბათ, ნაშენობასა გულისხმობდა, არაა, პაპა მინა?!" — როყიო სიცილით წამოიძახა ისევ მახნიაშვილმა.

„ოჰ, მახნიაშვილო! ნეტავი კიგაკვეთილების დროს იყო ეგეთი აქტიური! თანაც რა ნაშენობა, რის ნაშენობა, კრემლის ტალანში შენებას ია უნდოდა!!" — გაწყრა თიკო მასწავლებელი, რომელსაც, ისევე, როგორც ჩვენ, არ სცოდნოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა. პაპა მინა ჩაკუჭკუჭდა, საშკა კი მყისვე ფეხზე წამოხტა: — „პაპა-პაპა, შენ ხო უთხარი არაა, ძია სტალინს, რო არაჩვეულებრივი საცვლები მოგიტანეს და არაფერიც არ მოგეყინებოდა?"

„სანიმუშო!" — შესძახა პაპა მინამ, „თივთიკისა! ისე ვარ ჩაღუნღულებული-მეთქი, რომ რაღა! თანაც სამ-სამი წყვილი."

აქ კი მივხვდით ეს „მდაბიური" სიტყვა რასაც ნიშნავდა, და თან პაპა მინასთან რომ იყო დაკავშირებული, მე, ბელასა და ელიკოს, — ჩვენ ერთ მერხზე ვისხედით, — ისეთი სიცილი ამოგვსკდა, ვერა და ვეღარ ვჩერდებოდით ... ჩვენი სიცილის ატეხას რა უნდოდა? თითი რომ დაენახვებინათ, ვიცინოდით და ვიცინოდით ... და მითუმეტეს ახლა ... ბელამ სიცილსა და სიცილს შუა გადმოგვჩურჩულა „პაპა მინა ჩაკალოშებულ-ჩანიფხვებულ-ჩანაშენებულიაო და მოდი ენის სატეხი შევადგინოთო. ..." მერხზე გავწექით ... ჩვენს წინ მერიკო, ეთერი და დიანა ისხდნენ, ისინიც იცინოდნენ, მერიკოს გარდა. მერიკო სოლოღაშვილი ყველაზე მგრძნობიარე იყო ჩვენს შორის, ცოტა ხნის წინ გაგვანდო კიდეც საშკა მიყვარსო და ჩვენ, საძაგელმა და დაუნდობელმა ბავშვებმა, სახუმარო ლექსიც გამოვუთქვით, რის გამოც ისედაც ამრეზილი იყო ჩვენზე და ახლა ეს სიცილი პაპა მინას შეურაცხყოფად ჩაგვითვალა, თქვენ ბოროტი ბავშვები ხართო, მხარუკუღმა მოგვაძახა და ტირილი დაიწყო. მასწავლებლებმა ტაში შემოჰკრეს, ეს რა ამბავიაო, პაპა მინამ იმარჯვა და მყისვე ნაირნაირი კერძებითა და ძვირფასი ღვინოებით გაწყობილ სტალინის სუფრასთან ამოგვაყოფინა თავი. რა თქმა უნდა, შემწვარ-მოხრაკულებმა ბავშვებში მღელვარება გამოიწვია. მაგრამ ჩვენ კი გადართულები ვიყავით ენის სატეხის შედგენაზე, სიცილში ჩანავლულიყო ძია სტალინთან შეხვედრის ინტერესი და ცალი ყურითღა გვესმოდა კერძების ჩამონათვალი, ... ხოლო როცა ფლავზე მიდგა საქმე და თამაზ აივაზაშვილმა და ბერდო თავაძემ მღელვარედ იკითხეს „შილა იყო თუ ფანტიაო," ბელამ გადმოგვილაპარაკა: „იცოდეთ, ენის სატეხისთვის „ჩაფანტულ-ჩაფლავებულიც გამოიყენეთო, რადგან ამ შემთხვევაში ფანტია ფლავით მაგრად დანაყრებულ პაპა მინას ვიგულისხმებთო."

რა ჩვენი ბრალი იყო, სიცილის ისეთ ტალღაზე ვიყავით, ვერა და ვერ ვჩერდებოდით. ისე რომ ხეირიანად ვერც აღვიქვით ბურსაკების ოპერაში სიარული დახატული ბილეთებითა და კონტრამარკებით. — „იგრე ვხატავდით, მიკროსკოპშიაც რომ შეგედოთ, ნამდვილისაგან ვერ გაარჩევდითო." — ამბობდა პაპა მინა. და სათანადო ყურადღება ვერც ოპერის პონჩიკებს მივაქციეთ, თუმცა კი მეტად ხატოვნად აღგვიწერა სწრაფად აღებულ ორ პონჩიკს ისე ოსტატურად შეაწყვილებდნენ, ერთი გეგონებოდათ, უცებ გაადენდნენ ყლაპანს და ერთისას იხდიდნენ. ესა და სხვა ონავრული ამბები მოჰყვა, მაგრამ ჩვენ სხვა აღარ გაგვიგია.

სულ საბოლოოდ სასწავლო ნაწილმა გულითადი კილოთი მადლობა გადაუხადა პაპა მინას მობრძანებისთვის, თან დასძინა: — „ალ-

ბათ, როგორ დაგწყდათ გული, სიყრმის მეგობარს რომ გამოეთხოვეთო."

„დამწყდა მაშ! ძალიანაც დამწყდა!" — თქვა პაპა მინამ, — „მაგრამ არ დაგიმალავთ, კიდევ იმაზე დამწყდა გული, ჩემი ძველი პალტო ... რო ველარა ვნახე ... რეტი მქონდა დასხმული, ვერ მივადევნე თვალი და მერე კი შემრცხვა მომეკითხნა, ალბათ სანაგვეში გადაუძახეს, არადა ჩემს მეუღლესაც საშინაო ხალათად გამოადგებოდა და მეც ტყეში, აბა, რიღათი ვიარო?!"

შეიძლებოდა განა არ გაგვცინებოდა? ჰოდა, გამოსვლისას საშკა მოგვეპარა და კინკრიხოში ისეთი წკიპურტები დაგვცხო, თვალებიდან ნაპერწკლები წამოგვცვივდა და თავიც კარგად გვიჟუოდა.

სტალინის სიკვდილის დროს ...

მოგეხსენებათ სტალინის სიკვდილის დროს ქვეყანა მოიცვა გლოვამ. ამ გლოვის ამსახველი ქრონიკა არაერთხელ გვინახავს. ტირანს, რომლის მსგავსი ლამის არ იცის მსოფლიო ისტორიამ, როგორ დასტირიან მისგანვე ჩაგრული და ჩაწიხლული საბჭოთა ადამიანები. მაგრამ ჩვენს ოჯახში, და ცხადია, მრავალზე უმრავლესი იყო ასეთი ოჯახები, უკიდურესად კრიტიკულად იყვნენ განწყობილი სისტემისა და სტალინის მიმართ, უბრალოდ რომ ვთქვა, სძულდათ სასტიკი სიძულვილით. მე ექიმი ვარ, ამბობდა დედაჩემი, ყოველი ადამიანის სიცოცხლე ჩემთვის ღირებული უნდა იყოს, მაგრამ სტალინსა და მის ეგრეთწოდებულ თანამებრძოლებს მე ადამიანებად კი არა, ყაჩაღთა ხროვად ვთვლი, ბოროტებისა და სიცრუის მთესველებად და ნამდვილად მეპატიება, რომ არც მათი სიცოცხლე ჩავაგდო რამედ და არც მათმა სიკვდილმა დამამწუხროსო. მართლაც, კი არ დაამწუხრა, ძალიან გაახარა, ეგონა რაღაც უკეთესობისკენ შეიცვლებოდა. მაგრამ რა ოინი მოუვიდა: სიხარულის გამომჟღავნება ბომ შეუძლებელი იყო, დედაჩემიც შებლშეკრული მიდიოდა სამსახურისკენ. საავადმყოფოს კართან სანიტარი ვასო ღრიალით შემოეგება, თავში ხელის ცემითა და შეცხადებით: ეს რა მოგვივიდა, ექიმო, რა მეხი და მედგარი დაგვეცაა... რა გვეშველებაა... და დედაჩემს, არაჩვეულებრივად თავშეკავებულ ადამიანს, — ამას რომ გავიხსენებ, ყოველთვის ძალიან მეცოდება, — ისტერიული სიცილი აუტყდა, კიდევ კარგი, მაშინვე სახეზე ხელები აიფარა და სანიტარ ვასოს ეგონა ქვითინებსო... შეწუხდა თურმე ვასო, ჩემს შეცხადებაზე ექიმიც როგორ ავაქვითინეო და დამშვიდება დაუწყო, რაზეც დედაჩემს სიცილის ახალი კასკადი ამოსკდა. ამას რომ მიამბობდა, გული მწყდებოდა, იმიტომ რომ ასეთი მოკისკისე არასდროს მინახავს, ნეტავ მეც შევსწრებოდი-მეთქი, ვუთხარი. და რა საინტერესოა, ზუსტად მსგავსი რამ შეემთხვა ჩემს მეგობარ მედიკო გოგიაშვილს, რომელიც ოჯახთან ერთად ყაზახეთში იყო გადასახლებული, როგორც ტყვედ ნამყოფის შვილი. რაიონის ცენტრში ჩავიდნენ თურმე რაღაც ცნობისათვის და იქ გაიგეს სტალინის სიკვდილის ამბავი. სასწრაფოდ სამგლოვიარო მიტინგი გამართეს და ისინიც დაასწრეს; თურმე მედიკოს სიხარულით სიცილი აუტყდა და ველარ ჩუმდებოდა, მანაც დედაჩემივით სახეზე ხელები აიფარა, ვითომ ტიროდა. პაპაჩემის უმცროსი ძმა კი, პაპა შიო, ამბობდა: აი, რა მიკვირს და გამკვირვებია, ქვაც არა გორავს სტალინის მადლიერი და ქვაც კი იმ არაკაცს დასტირის, ნეტავ გამაგებინა, რას ნიშნავს ეს და რისი მომასწავებელიაო.

ყოჩაღი ბიჭუნა

მე კი 1953 წლის მარტის 5-ს, ანუ სტალინის სიკვდილის დროს, შუადღისას, უნივერსიტეტიდან გამოვედი, გადმოვჭერი ქუჩა და იქვე ჩავუხვიე, ახლანდელი ნიკოლაძის შესახვევისაკენ. იქ, სადაც ქუჩა ფართოვდებოდა, ბავშვებს „აკადემია" დაეხაზათ ასფალტზე და თამაშობდნენ, ასე 10-11 წლის გოგონები იქნებოდნენ, არბიტრად კი თავისივე ტოლი ბიჭუნა ჰყავდათ. იგი ფხიზლად ადევნებდა თვალს მათ თამაშს, ხაზზე ფეხი არ მოხვედროდათ, „სალა" სროლის დროს სწორად დაცემულიყო, ასკინკილისას მეორე ფეხი შეუმჩნევლად არ დაეშვათ და სხვა... იყო „შიშხამატები", კინკლაობა, ხმამაღალი შეძახილები... მე ერთიორი წუთით შევჩერდი და სიამოვნებით მივადევნე თვალი თამაშს, ბავშვობა გამახსენდა, „აკადემიას" ამ ხნის განმავლობაში თურმე არავითარი ცვლილება არ განეცადა. სწორედ ამ დროს აქეთკენ შემოუხვია კაცმა, ხელში ბადურა ეჭირა ორი მრგვალი რუხი პურით. კაცს თავზე კეპი ეხურა, შუბლშეკრული და პირმოკუმული მოდიოდა, შეიძლება ითქვას, სახე ჩამოსტიროდა, ზოგჯერ თავს გადაიქნევდა ხოლმე. მოთამაშე ბავშვებს რომ მოუახლოვდა, თავის ქნევას უმატა და დატუქსვითა და საყვედურით, ლამის მწყრალად წარმოთქვა: „ასეთი გლოვაა ქვეყანაზე, არც ისეთი აღუები ხართ, ბავშვებო, არ გესმოდეთ! უბედურება დაგვატყდა თავს, სტალინი აღარა გვყავს და თქვენ თამაშობთ? თამაშოოობთ!!"

ბავშვები შეცბნენ, ის ვინც ასკინკილას უვლიდა, ფეხი ჩამოიღო და დარცხვენით ჩაღუნა თავი, მეორე გოგონაც უხერხულად შეიშმუშნა და განზე გაიხედა... მაგრამ ბიჭუნა ფიცხლავ მოეგო გონს, გულხელი დაიკრიფა დიდი კაცივით და დაქადნებით ეუბნება კაცს: "თქვენ რომ პური მიგაქვთ? უნდა ჭამოთ? უნდა ჭამოთ?"

„როგორ," — შესძახა კაცმა, „რა შუაშია

ეროვნული ბიბლიოთეკა

პური! უფროსს ასე უნდა ელაპარაკო?!"

„შუაშია, შუაშია!" — არ შეეპუა ბიჭუნა, ხმასაც კი აუწია, „რაც თქვენთვის პურია, ის ჩვენთვის თამაშია!!"

„უზრდელი ბავშვები!" — შესძახა კაცმა, წყრომის ნიშნად ხელი აიქნია და თავის გზაზე წავიდა და თვალს მიეფარა თუ არა, ბავშვებმა მყისვე განაგრძეს თამაში.

შურისძიება

ყველა იმას ამბობდა, უდიერად ბოროტი და სასტიკიაო, სხვებს თუ რამდენიმე დღე და იქნებ კვირაც დაჭირდეთ პატიმარს ცრუ ბრალდებები აღიარებინონ, „დორბლიან გეპეუს" ისეთი ილეთები აქვს წამებისა და ნვალებისა, ერთ-ორ დღეში, რაგინდ კირკიტი კაკალი იყოს საწყალი ტუსაღი, რაგინდ ქვა და კლდე, გასტეხავს და დაფშვნისო. აი, ასეთი ყოჩაღიაო. სახელი კი ნუ გაგაკვირვებთ, იმ წარსულ დროში რაღას არ არქმევდნენ, მე მაგალითად, ჩემს ბავშვობაში ვიცოდი ადამიანები, რომელთაც „რაიონა" ერქვათ, „ტროლეიბუსა" და „ბაგინია", რაც შეეხება ბელადების სახელ-გვარებიდანა და რევოლუციური ლოზუნგების მარცვლებიდან ნაწარმოებ სახელებს, ამას ხომ თვლა არ ჰქონდა. „დორბლიან გეპეუსაც" ნამდვილად „გეპეუ" ერქვა, ბავშვთა სახლში დაერქმიათ, სადაც, სადღაც ხიდის ქვეშ ნაპოვნ, მოხვეტილ და წამოკრეფილ სხვა უპატრონო ბავშვებთან ერთად „აბლავის" დროს იზრდებოდა. შეიძლება იმ საშინელი დაწესებულების შიშითა და პატივისცემით დაარქვეს, და შეიძლება კი იმიტომ, რომ შეუბრალებელი ბავშვი იყო, თურმე ქვასა და ჯოხს ვერ აგდებინებდნენ ხელიდან, არც ცხოველი ებრალებოდა, არც ფრინველი, ბავშვებსა და აღმზრდელებს ხომ ლამის თმებს აგლეჯინებდა. მერე, როცა მართლა გეპეუში შევიდა, ამბობდა თურმე: მეძახიან მელქოსაო, მოდი ბარემ მერქოსაო. რაც შეეხება ამ მშვენიერ ზედსართავ „დორბლიანს", ეს უკვე პატიმრებმა შეარქვეს თურმე, რადგან მათი წამების დროს დორბლი სცვიოდა და ხშირად მხოლოდ „დორბლიანს" ეძახდნენ. რა არის კარგი სახელი, არა? ციხის კედლებსაც გამოჟონავს და ცხრა მთასაც გადაივლის. ისე რომ, დარჩა და დარჩა ეს სახელი. შინსახკომი ჩვენს ქუჩაზე იყო, ჩვენი სახლის მოპირდაპირედ, ორსართულიან ყვითელ შენობაში, ჯორჯაძეების ყოფილ სახლში და ცხადია, მონაფეობის დროს დორბლიანი ხშირად მხვდებოდა, ლამის ყოველდღე, ... სკოლაში მიმავალი შორიდანვე მოვკრავდი თვალს აქეთკენ მომავალს და მყისვე ვცნობდი მის მაღალ ფიგურას, „დამტვრეულ" მიხრა-მოხრას, მონაცრისფრო-მოშავო სახეს, თითქოს მოქცეულს შუბლიდან ნიკაპამდე გადაკაწრული ჭრილობის ნაწიბურით. ტურას გავდა, გამურულ ტურას. ამბობდნენ, პატიმარმა დაჭრა კალმის წვერითო. საკვირველი კი იყო, რა წვერი იყო ამისთანა. ოო, რა წვერი იყო და ამბობდნენ: როცა მოეჩვენება, რომ დაბეზღებათა რაოდენობა საკმარისი არ არის, მთელ ღამეებს საკუთარ დასმენებში ატარებსო, სწერს და სწერს თავისი რონდო პეროთიო, მსხვილი მსუქანი ასოებით, ჩიქორთული ქართულითა და უამრავი შეცდომებითო. მაგრამ მოგეხსენებათ, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მსხვერპლის დაპატიმრებისა და წამებისთვისო და პატიმართა წამებით აფართხალება ხომ მაგისი მოგონილიაო.

მრეცხავი ქალი გვყავდა, ახმახი, ჯანიანი მანუშკა, ძველ გალავანში ცხოვრობდა, დორბლიანის უბნელი იყო, ორ კვირაში ერთხელ მოდიოდა, ჩვენთან, ბებიაჩემს უამბობდა თავისი უბნის ამბებს და მეც ცალი ყურით მესმოდა ხოლმე, და მიკვირდა, რომ დორბლიანი ოჯახშიც თურმე ნამდვილი მტარვალი იყო. საწყალი მაგისი ცოლი, უბანში რო გამოვა და საუბნო სკამზე ჩამოჯდება, ქალებთან, იქ იოხებს გასიებულ გულსაო. ქალებო, თქვენ ღმერთმა გაბედნიეროთ და მე რაღა დავაშავე, სულ ამას ამბობსო, პირველივე დღიდან ამ კაცთან რომ ვცხოვრობ, უბედური ვარო. ისე გავაჩინე ორი შვილი, ჩემთვის არ უკოცნია, საერთოდ კოცნა რა არის, არ იცისო. ჩვენი შეუღლების პირველ დღეებშივე იყო, რო მოვიდა სამსახურიდან, შეეგებე და მოვეხვიე, კისერზე ჩამოვეკიდე, მოიშორა მაშინვე ჩემი ხელები, დამიბღვირა, ვინ გასწავლა ბოზობაო, დამძახა, ის იყო და ისა, აღარც გავკარებივარ. იმ ამბავშიც, დამახტება მამალივით, უცებ მოითავებს თავის საქმეს, სხვაზე ფიქრი არ შეუძლიან და რა ქნას, ზოგჯერ მებრალება კიდეცო.

ბავშვებს, გოგოსა და ბიჭს, ეშინოდათ მამისა, იმისი მოსვლისა, თან უმეტესად ხომ არყით გალეშილი ბრუნდებოდა, თუ ჯერ არ ეძინათ, ტახტის ქვეშა ძვრებოდნენ, ბიჭს სულ დაჰყვიროდა და პატარა რამეზეც მაგრა უთაქებდა, გოგოს კიდევ, მიყვარს, მიყვარსო, ჯმუჯნიდა და ჯმუჯნიდა. რამდენჯერ გამოუგლეჯია დედას ხელიდან, შეღონდა ბალღიო. ეს ამბავი იმით დამთავრდა, რომ შეეშინდა ქალს, ამ საზიზღარ კაცს ადამიანური არაფერი მოეთხოვება, მთვრალმა გოგოს ცუდი არაფერი დამართოსო. სანამ აქ იყო, სულ იმას ცდილობდა მოერიდებინა მამისთვის, მერე კი ნათესავები ჰყავდა თურმე როსტოვში. წამოიზარდა თუ არა და შვიდწლედი გაათავა, იქ გაგზავნა. იმას აქეთ პირი აღარც უქნია, ჭირივითა სძულდა თავისი მამა, მაინცდამაინც დედაც არ ეხატებოდა გულზე, თუმცა ეცოდებოდა, ამისთანა მხეცს როგორ გაჰყეო, ან მერე როგორ იცხოვრე მაგ არაკაცთანაო. რაც შეეხება ბიჭს, დორბლიანს უნდოდა ბიჭი გენერალი გამხდარიყო. ეს იყო ამ უბირი კაცის სანუკვარი ოცნება, ამიტომაც ათი წლისას რუსეთში უკრა თავი, სუვოროვის

სკოლაში. დარჩა საწყალი დედა შვილების გარეშე, ცოფიანი კაცისა და იმისი დორბლების ამარა და აგრეთვე ცემა-ტყეპისა. მთვრალი რო დაბრუნდებოდა, მით უმეტეს თუ იმ დღით ტუსაღთა წამებით გული მოჯერებული არა ჰქონდა, მთელ ბოღმას ამ საწყალ ქალზე იყრიდა, რამდენჯერ მაგიდის ფეხზეც მიუბამს და ისე უცემია. მაგრამ რა არის უცვლელი და მუდმივი ამ ცის ქვეშ, ვის შერჩენია ერთი დრო და დორბლიანი გეპეუც ერთ მშვენიერ დღეს გადაიყვანეს პენსიაზე, მაღალი პენსია დაუნიშნეს, გამოსათხოვარი საღამოც მოუწვყეს და ხელი დაუქნიეს. რა ექნა, რა ექნა და იშკილებიდან რომ ჩამოვარდა, მეწვრილმანეობა დაიწყო. ბაზრის ბოლოს, სადაც სხვა მეწვრილმანეებიც ჩალიჩობდნენ, პატარა ჯიხური გახსნა და წვრილმან რაღაცეებს ყიდდა: შიბაქებს, ხის პატარა ყუთებს, კონფისკაციის დროს მითვისებულ რაღაც ნივთებს, ვთქვათ ვერცხლის საშაქრეებს და საკანფეტეებს, უფრო მსხვილი მიტაცებული ნივთები, როგორიცაა სადაფებით მოჭედილი ძველებური თოფი და დამბაჩა, მიძღვნილ-წარწერებიანი აზარფეშები, ასევე ვერცხლის დიდი, კუნუბიანი სინები, სახლში ჰქონდა, სკივრში ჩაეტილი და მხოლოდ სანდო მუშტართან დაიჭერდა ხოლმე საქმეს. და აგრეთვე ვითომ ჩამოწერილი სატაბელო იარაღის ნაწილები, ყველაფერი საქმეში გადიოდა. და ასეთი საქონლის პატრონს განა ზევიდან არ უნდა ეყურებინა იქვე მოვაჭრე მეწვრილმანეებისთვის, „ბატიბუტა" იქნებოდა, ჯერ სახელი თქვით, ბატიბუტს რომ ჰყიდდა, თუ „ზინგერ-კოტე", საკერავი მანქანების შემკეთებელი, კეთილი, მომღიმარი კაცი, რომელიც ძირითადად ნისიაზე მუშაობდა და ფული ხელში ვერ უჩერდებოდა, თუ „ჭიმია-კოლა", გაჭიმული რომ იჯდა თავის პატარა დახლთან და კევებსა და მამალოებს ჰყიდდა... სხვებიც იყვნენ მათ სიახლოვეს და არავინ არაფრად მიაჩნდა. „ერთი ძველებური ქარი უნდა მიქროდეს, რო თქვენთვის ზურგზე ბოლი ამედინაო," ეუბნებოდა ხოლმე. მაგრამ ისინიც ჩირად არ აგდებდნენ და არც ეპუებოდნენ, ის კი არა, ერთხელ რაცრაცით მიმავალი რო დაინახეს თავისი ჯიხურისკენ, ბატიბუტამ ურიგო სიტყვაც აკადრა: „ეე, ქაჩალ-გეპეუუ, დორბლიანოო, ცხვარი გყაავს ფეხზე გამობმული, კაცო. ნეტა როგორც გაზაფხულზე, მწვანე ბალახს ვეღარ დააფსამ, ვეღარაა!!"

აუხდა, აუხდა დორბლიანს ბატიბუტას სიტყვები და სწორედ იმ დღეებში გაჟონვა მოუვიდა. მაგრამ გაჟონვა რას ჰქვია, თუმცა სამი თვით ჩააგდო ლოგინში, ისეთი საშინელება დაემართა თვითონ მასაც და მის ირგვლივ მყოფებსაც... ყურო, ნუ გაიგონებ. ადრეც ამბობდნენ, ფსიქიკური დარღვევა აქვს, რომელიც ხან მოეძალება, ხან უკუდგებაო, ზოგი პარანოიას ამბობდა, ზოგი შიზოფრენიას და ამ მოძალების დროს, აკვიატებული მანია დაეუფლება ხოლმე, მონამვლისაო. ამჯერადაც, როგორც სხვა დროსაც, მანიის ნესტარი მიმართული იყო ცოლისკენ. ერთად ცხოვრების მანძილზე ამ საწყალ ქალს ბევრჯერ უფიქრია და უოცნებია კიდეც, რა ბედნიერება იქნებოდა, შემეძლოს თავზე ხელის აღება და ეს საზიზღარი კაცი მომეწამლაო, ჩხუბის დროს წამოუძახებია კიდეც, ღმერთს ნეტავ ის ძალა მოეცა ჩემთვის, დედამიწა ერთი არაკაცით შემემსუბუქებინაო. ეს რომ ახსოვდა, უკანასკნელი ავადმყოფობის დროსაც, ლოგინს მიჯაჭვულს, განსაკუთრებით მოეძალა მონამვლის მანია და რას აკეთებდა, რა დაუჯერებელ რაღაცას, ზოგს რომ აძრწუნებდა და ზოგს კი აცინებდა მისი საქციელი, ვინც კი მივიდოდა, ყველა ცოლისაგან მიგზავნილი ეგონა მის მოსაწამლად, ამიტომ ხელში ეჭირა საკუთარი განავალი, დაგუნდავებული და კარების გაღებისთანავე ისროდა. შემსვლელი, ცხადია, ცდილობდა აეცდინა, განავლის გუნდა კედელს ხვდებოდა, მთელი კედელი ამ გუნდებით იყო მოფენილი, ამის გამო ძალიან ჭირდა მომვლელის შოვნა, ხელებს შეუკრავდნენ, ჩამოფხეკავდნენ, მოიყვანდნენ ახალ მომვლელს და ყველაფერი თავიდან იწყებოდა, არ შეისვლებოდა მათ სახლში, სიმყრალით იყო აქოთებული იქაურობა. ყველას უკვირდა, ნუთუ თვითონ არ წუხდებაო, მაგრამ აბაა!? დროდადრო საქმიანად ჩასჩერებოდა თავის ლაჯებს და როგორც კი კუჭში გასვლის დრო დაუდგებოდა, შეუშვერდა ხელს და ერთ გასვლაზე ორი-სამი გუნდა მზადა ჰქონდა ბალიშთან ჩამწკრივებული, თვალებს მილულავდა, ვითომ სთვლემდა, ნამდვილად კი მსხვერპლს ელოდა, ნაბიჯების ხმას გაიგონებდა თუ არა, განავლის გუნდით შეიარაღებულ ხელს შემართავდა. ბოლოს, სამი თვის თავზე, ისე ჩაექცა სისხლი, რომ სულიც განუტევა. მეზობლებს ესმოდათ თურმე შუაღამისას ცოლის ლანძღვა-გინება და წყევლა-კრულვა, დაადგა თურმე ახალგარდაცვლილს თავზე და ერთი კარგად იჯერა გული: „ჩაძაღლდიი! ჩაძაღლდიი?! შე ადრე და მალე ჩასაძაღლებელო! ხო გაჭიმე ტყავი! ხო ამოგძვრა სული, შე აქოთებულო შენა, შე ავსისხლავ, შენა! ხო ჩაძვერი, ხო ჩაძვერი, ველარ ამოძვრები, ველარ! ზოგი ეხლა მესროლე შენი ქაქი! ზოგი ეხლა მცემე, შე გაოხრებულო, შენა! სიცოცხლე რო გაგვიმწარე ჩვენცა და სხვებსაც, შინაურსაც და გარეულსაც! გარეწარო, გარეწარო, გარეწარო!" დასძახოდა და ისე განარდა თურმე, ისე აბობოქრდა, დასტაცა ხელი იატაკის ჯოხსა და ერთი თუ ორი, უთავაზა კიდეც ... და არავინაც არ ამტყუნებდა.

ვაჟიშვილი, რომელიც ჯერ გენერალი არა, მაგრამ პოლკოვნიკი კი იყო და ხაბაროვსკში მსახურობდა, იცოდა მამის ავადმყოფობის ამბავი, საკმარისი ფულიც გამოგზავნა და შემოთვალა, სამწუხაროდ, მე ვერ ჩამოვალ და გთხოვ, დედა, მამას არაფერი მოაკ-

ლოთო, არც მუსიკა, არც ყვავილები და არც კარგი ქელეხიო. და მართლაც, ცოლმა, თუმცა ჭბილების კრაჭუნით, პოლკოვნიკი შვილის სიტყვა დაბლა არ დაუშვა და ყველაფერი შეუსრულა, კარგი ქელეხიც გადაუხადა. ქალები ოთახში დასხეს, მაღლა, კაცებს კი ხეივნის ქვეშ გაუშალეს სუფრა, მეზობლები იყვნენ, ბაზრის კაცები და ერთი-ორიც ნაცნობის ნაცნობი, ხაშლამის საჭმელად მოსული, და აი, სწორედ იმ ქელეხზე გადაწყვიტეს კაცებმა დორბლიანზე შური ეძიათ. ბატიბუტამა თქვა: შარბათივით შეერგება დორბლიან გეპეუსაცა და ჩვენცა ეს შურისძიებაო. რაო და თამადად არავინ უნდა დადგესო! კაცებმა მყისვე აიტაცეს ბატიბუტას ნათქვამი, ჩვენც მაგასა ვფიქრობდით და არც ვაპირებდითო, როგორ იქნება იმ არაკაცის ჭირის სუფრაზე თამადობაო. მეორეც კიდევ, განაგრძო ჭიმიამ, არავითარ შემთხვევაში იმისი შესანდობარი არ უნდა დავლიოთო. ამასაც ყველა დაეთანხმა, იმისი შენდობა არ იქნებაო. ზინგერ-კოტემ სცადა წინააღმდეგობის გაწევა: „კაცებო, ჩვენ ხო მაინც ქრისტიანები ვართო?" „ჩვენ კი ვართ, მაგრამ ის არც ქრისტიანი იყო და საერთოდ არავის ღმერთთან იმას საქმე არა ჰქონიაო. იმას არც ღმერთისა სწამდა, არც კაცისაო."

„ის ხომ ეშმაკეული იყო და ეშმაკის შენდობა აპაპაპა, არ იქნებაო!"

„თუ ვინმე მოიპოვება ისეთი, ჭიქით ხელში ძოიგონებს დორბლიანს, ტყუილია-ტყუილია, იმას მაინც ცხონება არ უწერიაო." აქეთ-იქიდან დააყარეს ზინგერ-კოტეს.

„მაშინ, კაცებო," სცადა ისევ წინააღმდეგობის გაწევა კოტემ, „მაშინ, ალბათ, ქელეხშიც არ უნდა წამოვსულიყავითო."

„სწორედაც უნდა წამოვსულიყავითო!" ლამის ერთხმად შესძახეს კაცებმა, „აბა, მაშ, შური როგორღა გვეძიაო? სწორედაც მაგის ქელეხში უნდა ვსვათ, ვჭამოთ და მაგისი ჭირის სუფრის საუცხოო ღვინით მაგისი შენდობა და ცხონება არა ვთქვათო!"

„რაც მაგან სისხლი სვაო!"

„რაც მაგან საწყალ ხალხს ძვლები უმტვრია და ხორცები აგლეჯინაო!"

„რაც მაგან კაიკაცობას დედა უტირაო!"

„რაც მაგან სამართლიანობას დედა მო-----აო!"

„ამიტომ, კაცებო", ერთმა დარბაისელმა მეზობელმა მიმართა მექელეხეებს, „მოდით, დორბლიანის მიერ ნაწამები ხალხის შესანდობარი ვთქვათ, ვინც ვის იცნობდით, ვისაც ვინ ნათესავი და ახლობელი გყავდათ, მე თქვენ გეტყვით, ცოტანი არიან და იქნებიან, ვისაც ვისი ხსოვნა აბია გულზე, არავინ უნდა გამოგვრჩესო!"

„მაშ, მოდით, ცოლიც არანაკლებ წამებული იყო მაგის ხელში და ამ საწყალი ქალის სადღეგრძელოთი დავიწყოთო." მეორე მეზობელმა თქვა.

„მართალია, ცოლისა და შვილების დღეგრძელობა ვთქვაათო..." დაეთანხმნენ კაცები. ჰოდა, ისხდნენ, ბოზბაშს, ხაშლამასა და შილაფლავს შეექცეოდნენ და საუცხოო ღვინით გეპეუს კლანჭებში მოხვედრილ, ნაწამებ ნათესავ-მეგობრებს, ახლობლებს, ნაცნობებს და საერთოდ ყველა წამებულს იგონებდნენ და ცხონებას უთვლიდნენ.

აი, ასეთი შურისძიება დაუწესეს იმ არაკაცს.





მოზაიკე საქართველოისა

(შოთა ნიშნიანიძე)

მიწაზე აღარ მედგომება
იცვლება ბედის ამინდები.
მალე ღრუბელი მომაკითხავს,
გამიტაცებს და გავფრინდები.

იცოდა, რა თქმა უნდა იცოდა, რომ უნდა გაფრენილიყო და მთელი ცხოვრება საამისოდ ემზადებოდა, იცოდა, რომ ამ ცოდვილ მიწაზე ძცირე ხნით იყო მოვლენილი ქართველთა მამაცი, ამაყი, მშვენიერი ჯიშის გამოსაფხიზლებლად და მალე, სულ მალე უნდა დაბრუნებოდა ზეცას, მისი მარადიული არსებობის სამყოფელს.

იცოდა, ძალიან ბევრი რამ იცოდა, ბევრ რამეს სხეულით გრძნობდა და მოლოდინი ავი წინათგრძნობისა არ ასვენებდა, სულს უფორიაქებდა, აიძულებდა მნათესავით სულ სამრეკლოზე მდგარიყო და გამუდმებით ერეკა ზარები ჩვენი ცოდვილი, მირიადი მიწიერი პრობლემით დამძიმებული სულების გამოსახსნელად...

შოთა ნიშნიანიძე!

პოეტი და ერისკაცი!!

წინასწარმეტყველი XX საუკუნის საქართველოსი!!!

სუფთა და უბრალო, მართალი ერთან და ბერთან, ერის საკურთხეველთან მუდმივად მლოცველი და მღაღადებელი, ლოცვის, დაფნისა და ლეგენდების ანდამატით გათანგული პილიგრიმი ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნისა.

ვის შეიძლება შევადაროთ შოთა ნიშნიანიძე? იქნებ მიქელანჯელოს „მოსეს", რომელსაც საოცარი ძალის სტრიქონები უძღვნა. ბევრი რამ ჰქონდა მასთან საერთო და იმიტომ. ისიც ხომ ბიბლიის შემქმნელი ერის ბადალი და დარი ხალხის შვილი იყო, ბიბლიური საუკუნეების უდაბნოში მოხეტიალე, გადაღლილი, გადაქანცული ხალხის შვილი, ხელში კვერთხივით რომ ეჭირა ქართული სიტყვა და სადაც კი ამ სიტყვას გრძნეულივით მოიქნევდა, იქ ღვთაებრივი ნექტრის სურნელი დატრიალდებოდა ხოლმე...

იქნებ ხარი იყო, უბრალო ხარი წიქარა, იმ ხარების შთამომავალი, რომელთა ქედზეც გადაიარა საქართველოს წარსულმა, სისხლის კალოების საუკუნეებმა, რომელთა რქებსაც მუდამ აჩნდათ უწმინდესი სანთლის ნაღვენთი...

ანდა სულაც მწყემსი იყო, მხარზე სახრეგადებული მწყემსი, ქართული ცნობიერების სათავეებიდან რომ მოერეკებოდა ჩვენსკენ უმშვენიერეს და უნატიფეს რითმებს, მეტაფორებს, შედარებებს, გამაოგნებელ სახეებს, სალბუნად და მალამოდ რომ გვედება და ყოფას გვიადვილებს.

ალბათ პირველიც იყო, მეორეც და მესამეც, ერთი კია, რა სახითაც არ უნდა მოგვვლინებოდა, ყოველთვის ეტყობოდა არსთაგამრიგესთან ნილნაყარობა, ყოველთვის ასდიოდა მისი მადლისა და მირონის სურნელი.

პირველი ლექსი მეცხრეკლასელმა ბიჭმა დაწერა და მას შემდეგ მართლაც წიქარასავით ეწეოდა იმ უმძიმეს და, ამავე დროს, საოცრად შვების მომგვრელ უღელს, მშობელი ქვეყნის თავდადებული და უანგარო სამსახური რომ ჰქვია.

შოთა ნიშნიანიძის მაღალმხატვრულმა, თანამედროვეობის უმძაფრესი განცდებით დამუხტულმა შემოქმედებამ ორგანულად განაგრძო და განავითარა მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის საუკეთესო ტრადიციები, გაამდიდრა ქართული ლექსი, როგორც თემატურად, ასევე ახლებური მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით. მისი ღვთიური ტალანტის წყალობით ბევრისმნახველი ქართული პოეტური სიტყვა ახალ სიმაღლეებს ეზიარა.

შოთა ნიშნიანიძის პოეზია მკითხველის მუდმივ თანამგზავრად იქცა. ღრმა, ორიგინალური სათქმელის უზადო მხატვრული ფორმით გადმოცემის განსაცვიფრებელმა უნარმა, ვირტუოზულმა სალექსო ტექნიკამ, ფეიერვერკულმა მეტაფორულმა აზროვნებამ იმთავითვე დაუმკვიდრა დიდი პოეტის სახელი... მისი ლექსები ზეიმია ქართული სიტყვისა, რომელიც ახლებური შუქით ააელვარა.

მთელი სამყარო მისთვის უსასრულო ღვთის ტაძარი გახლდათ, ქრისტეს რჯული კი ზარი კეთილი, რომელიც მარადიულად უნდა რეკავდეს, გრგვინავდეს, გუგუნებდეს და გვაფხიზლებდეს, მარადიულად უნდა შეგვახსენებდეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არ გვაქვს მოდუნების, ჩამუხლვის უფლება, რადგანაც სხვანაირად დრო, სასტიკი და ჩასაფრებული ავაზაკივით დაუნდობელი დრო დაუფიქრებლად გაგვსრესს და გაგვანადგურებს. არ ჩაგეძინოთ, არ ჩაგთვლიმოთო — მუდმივად ჩაგვძახოდა, გვემუდარებოდა და ჩვენც სასწაულის მომსწრენი გავხდით — თავად იქცა იმ ზარის ალიკვალად, თავად იქცა იმ ზარად და მთელი ცხოვრება მშობელი ქვეყნის გამოფხიზლებას მოანდომა.

მეისტორიეც იყო, ფილოსოფოსიც, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, პოეტი, ნაღდი, ჩაკირული პოეტი და ალბათ ამიტომაც ნებისმიერ ჟამთააღმწერელსა თუ ფილოსოფოსზე უკეთ გვაგრძნობინებდა დროის მაჯისცემას, თავისი ფიქრიანი, ტკივილიანი სტრიქონებით ადამიანის სულის უღრანებშიც გვახედებდა და იმ ორიენტირებსაც გვისახავდა, საითკენაც უნდა ვისწრაფოდეთ, თუკი გადარჩენა გვინდა, თუკი გვინდა კვლავ ამაყად და სულის შემძვრელად გაისმოდეს „მრავალჟამიერი" და „წინწყარო", „ლილეო" და „ოდოია"...

სანახევრო — ამ სიტყვას ვერ იტანდა, ეჯავრებოდა. იცოდა, სანახევრო არც სიმართლე არსებობს, არც ჭეშმარიტება და არც სიყვარული. იცოდა, რომ ქვეყანას ნახევრად გიჟი ღუპავდა და არა თხემით ტერფამდე გიჟი. მეტი წინასწარმეტყველება რაღა გინდათ, ბატონებო!

საქართველო მისთვის უთვისტომო, ობოლი ქვეყანა გახლდათ, რემას ჩამორჩენილი ერთ დროს უმშვენიერესი ბედაური, საუკუნეების მანძილზე ათასი იარა თუ სატკივარი, ათასი დარდი და საფიქრალი რომ გასჩენია. ამიტომაც სტკიოდა ბეთანიასთან ჩამოვარდნილი ანგელოსის მოტეხილი ფრთა. ფაფარივით აწეწილი საუკუნის შფოთი აღელვებდა, შიშობდა, თითქოს სხეულით გრძნობდა სამშობლოს ცაზე შემოჯარულ ტყვიისფერ ღრუბლებს და როცა ზოგიერთი ჩიტირეკია ყინჩად აცხადებს, რა მოხდა ამისთანა, სულ რაღაც ორი რაიონი დავკარგეოო, იმ მიწის თითოეული გოჯი მის გულთან ხილული თუ უხილავი არტერიით იყო მიბმული და შოთა ნიშნიანიძესაც და ყველა სხვა ჭეშმარიტ პატრიოტსაც სისხლით კვებავდა და ამარაგებდა (ორი რაიონი რა ბედენააო და ეს ქვეყანა ხომ სულ ორი რაიონია, სულის ერთი შებერვა). ალბათ ამიტომაც ეგლისებოდა მშობელ მიწას, როგორც გადამსხვრეულ ციხის ხერხემალს, როგორ ეფოფინებოდა, ელოლიავებოდა იმ აზრს, რომ ქართველები საქართველოსთვის კი არ უნდა მოკვდნენ, არამედ საქართველოსთვის უნდა იცოცხლონ, ამისათვის კი ციხე-კოშკების გამაგრებაა საჭირო, უპირველესად კი ჩვენს ხსოვნასა და მახსოვრობაში. დროთა მანძილზე თავად შოთაც დაემსგავსა ციხეს, დიახ, მოსიარულე ციხე იყო, ურიცხვი მომხდურით გარშემორტყმული, მაგრამ მეციხოვნენიც როგორი ჰყავდა იმ სულკურთხეულს – დავითი და თამარი, ცოტნე და თევდორე, პაატა და სამასი არაგველი, სააკაძე და არაბი აბო, ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები. ციხიონთა ამ კრებულს მარადისობა ჰქვია. მარადისობის იავარქმნა და მოსპობა კი ვერარა ძალას ძალუძს. ამიტომაც იყო ამაყი და ქედუხრელი, მისი სიდიადის განცდას ისიც აძლიერებდა, რომ სათაყვანებელი სამშობლოს წარსული აბჯრად ჰქონდა ასხმული...

ბრწყინვალე ლექსები უძღვნა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს, რომელთა შორის „აფხაზური კანტატა" გამოირჩევა. როგორ მოეფერა, როგორ მიესათუთა აფხაზეთს, მკერდმოჭრილ ამორძალს. ეს ლექსი ხომ გვერდში უდგას აკაკის, კონსტანტინე გამსახურდიასა და ლეო ქიაჩელის უკვდავ ქმნილებებს, აფხაზეთისადმი აღვლენილს...

სილამაზისგან შეშლილი იყო და თავის უმშვენიერეს და უსათნოეს მუზას — ქალბატონ თამარ ჩიჯავაძეს ღრუბლებს ჩუქნიდა, ფერადოვანსა და სიზმარივით საოცარ ღრუბლებს. აკი მისი პირველი წიგნიც „მე და შენ", ისევე როგორც მთელი შემოქმედება შოთა ნიშნიანიძისა, ქალბატონ თამარის სიყვარულითაა გაცისკროვნებული და შთაგონებული. არადა, როგორ გაუმართლა! საპასუხო სიყვარულიც არაფრით არ იყო მისაზე ნაკლები. ქალბატონი თამარიც ხომ სიცოცხლის ბოლომდე მხარში ედგა პოეტს, ფაქტიურად დიდ ბავშვს და არსებობას უადვილებდა ამ ცოდვილ დედამიწაზე. თავად თამარ ჩიჯავაძის წიგნი „შენ და მე" ერთი უმშვენიერესი საგალობელია სიყვარულისა, რომელზეც თაობების აღზრდა შეიძლება...

და მაინც, როდის იყო შოთა ნიშნიანიძე ბედნიერი? როდის და როცა ერთ მისთვის აგრერიგად სასურველ კეთილ ჯადოქარს ხვდებოდა, მარტოობა რომ ერქვა სახელად. როგორ გაილაღებდა ხოლმე მაშინ მისი სული გალუმპული ხილვების თქეშით, როგორ ამსხვრევდა პირობითობის ბორკილებს და თავის ყველაზე სანუკვარ ზმანებებში გლადიატორივით ებრძოდა უსამართლობას, ავკაცობას, უზნეობას, ებრძოდა და იმარჯვებდა კიდევაც. სწორედ მარტოობის ჟამს სტოვებდა მისი სული სხეულს და შორეულ გალაქტიკებს მიაშურებდა — იქ ციური ბილიკები ეპყრა კვერთხად, ფეხზე ქაოსი ამოეცვა, წელზე კი ქამრად ელვა ჰქონდა შემორტყმული, მიწის სული, ცის ფიქრი ღრუბლად მოებურა და თუ ერთი წამით მაინც წარმოიდგენთ ამ სანახაობას, მიხვდებით, რომ შოთა ნიშნიანიძე სწორედ იმ გალაქტიკების მკვიდრი, იმ გალაქტიკების ბინადარი გახლდათ.

დადგა დრო და შოთა ნიშნიანიძეც მოჭიხვინე რიონივით შეებრძოლა სიბერეს, ბოლომდე იბრძოლა და ბოლოს, როგორც მზე უძღვის ჩალისფერი ქართლის მხედრობას, ისე გაუძღვა თავის სულს მარადისობისაკენ.

ოთხმოცი წლის უნდა გამხდარიყო წლეულს, მარტის თვეში. საქართველო ფეხზე უდგება თავის დიდ პოეტს, შოთა რუსთაველის, ვაჟაფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიების ლაურეატს და უდასტურებს თავის სიყვარულსა და პატივისცემას.

ბიოსბი ყიფიანის პოეზია ხსებული „კავკასიონის“ ფურცლებზე

ვიკტორ ნოზაძე, შალვა ამირეჯიბი, ედუარდ პაპავა, პროკოფი აბულაძე (რეო ამონი), აკაკი და თამარ პაპავები, გიორგი გამყრელიძე, გიორგი ყიფიანი — ეს ის სახელებია, რომელთა ღვაწლი და შემოქმედება აისახა კრებულ „კავკასიონის“ ფურცლებზე. „კავკასიონის“ ბოლო გვერდზე აუცილებლად წავიკითხავთ თითოეული ნომრის გამოსაცემად როგორ გაიღებდნენ ხოლმე ქართველი ემიგრანტები საკუთარი ჯიბიდან ფულს. ამ სახელებშიც აუცილებლად შეგვხვდება პოეტ გიორგი ყიფიანის სახელი...

1930 წელი, მეოთხე ნომერი. სამეცნიერო წერილის, მოთხრობისა თუ სხვა პოეტთა ლექსებს შორის, „კავკასიონში“ გიორგი ყიფიანის პოეზიაც შემოდის. ამას მოჰყვება 1931, 1932 წლის კრებულებში დაბეჭდილი ლექსები. შემდეგ 1964, 1965 წლის ნომრები მოდის და ასე გრძელდება 1966 წლამდე...

გიორგი ყიფიანი 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის შემდეგ იძულებული გამხდარა სამშობლოდან წასულიყო. პარიზში ჩასული მიკედლებია ცნობილ ქართველ ლიტერატორებს — ვიქტორ ნოზაძეს, ედუარდ პაპავასა და ისიდორე მანწკავას. ამ პერიოდში, პარიზში, სწორედ ისინი გამოსცემდნენ კრებულ „კავკასიონს“. 1930 წელს კი იბეჭდება გიორგი ყიფიანის პირველი ლექსები. და „კავკასიონი“ სხვა ჟურნალ-გაზეთებთან ერთად სახეა საქართველოდან გადახვეწილ ქართული სულისა...

სამშობლოდან გახიზნული სულის შესახებ მოგვითხრობენ გიორგი ყიფიანის სტრიქონები. ნაკითხვისას, მეხსიერებაში, თავს იყრიან სათაურები და თითოეული ლექსი თავისი სულით შემოდის ჩვენში... აქ უდიდესი დატვირთვა აქვს სათაურებს: „თბილისი“, „შავი საათი“, „გრძნობის ძახილი“, „საიდან სად?!.“

ვკითხულობთ მის ლექსს „თბილისი“. თითქოს ვერ ვხედავთ თბილისს, მაგრამ ვხვდებით, რომ პოეტი უცხოეთიდან თანდათანობით „ტკბილი ოცნებით“ უახლოვდება დედაქალაქს. ყოველი ლექსის წაკითხვისას მას სურს, მიგვახვედროს: ოცნებასთან მუდამ უძლურია გიორგი ყიფიანი. ეს ოცნება შორეული სამშობლოს ნახვის სურვილია. უძლური იმიტომ, რომ ვინ იცის, ნახავს ოდესმე?!.

იქ, უცხოეთში, იშლებიან ის მოგონებები, რომლებიც ჩაბუდებულან პოეტის მეხსიერებაში. ინერება საქართველოს ზმანებით გამთბარი ლექსები:

„თითქოს მოადგეს საწერ მაგიდას
მთები თეთრ-გულა კავკასიონის...“

იღვიძებს შორეული, მაგრამ, ამასთანავე, ძალიან ახლობელი „რაღაც“: მწვანე ბალახი, სამშობლოს ბილიკებზე მოსიარულე კაცი. ამ ყველაფრის შემდეგ კი:

„ასე გავცილდი ნათხოვარ მიწას,
შავი ხმელეთი სცურავდა ზღვაში
დაღუნულ ცაზე ღრუბლები იწვა...“ — ამ სტრიქონებში მკითხველს, ალბათ, ყველაზე მძაფრად ფრაზა: „ნათხოვარი მიწა“ მოხვდება ყურში. „ნათხოვარი მიწა“ საქართველოა. ნათხოვარი იმიტომ, რომ პოეტმა თავისი ცხოვრების სულ მცირე ხანი დაყო სამშობლოში. შემდეგ კი, უცხოეთის მიწამ ითავა მისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი. ეს ფრაზა არ უნდა მივიღოთ უარყოფითად. პირიქით, ეს სიტყვები უფრო აორკეცებს სულის ტკივილს. გიორგი ყიფიანის ცხოვრებაში თბილისი „ტანჯვის ქალაქად“ ქცეულა:

„ჰეი... თბილისო, ტანჯვის ქალაქო.
დღეები გიქსოვს ცრემლიან ამბებს,

რომ გორდა ხმლებმა გაინავარდოს
სად გყავს ირაკლი და სააკაძე!“, — ისტორიულ გმირებს ნატრობს პოეტი გიორგი სააკაძესა და ერეკლე II-ს. XVII-ცა და XIX საუკუნეც მძიმე იყო საქართველოსთვის, მაგრამ იმ ავბედით დროშიც გამოუჩინა უფალმა ქვეყანას მხსნელი. XX საუკუნეს ასეთი გმირები აკლია. ქართული სული უცხოეთში მოწყურებულია ძველ დიდებას და კითხვა კითხვად რჩება — „სად გყავს ირაკლი და სააკაძე?!“.

მაგრამ ახლა ახალი დროება დამდგარა. თბილისს XX საუკუნე შემოუხურავს, რომელშიც მკაცრი სინამდვილე სულდგმულობს. ჩამოწოლილა მარადიული ღამე სამშობლოში. ამას ხედავს პოეტი და კიდევ ერთ სასტიკ რეალობას ეუბნება თბილისს:

„თვალ-არიდებით გიცქერს მსოფლიო,
და დგახარ ისე, როგორც ობოლი,
ამ საუკუნის უარმყოფელო...“

თბილისი „წითელ საპყრობილეშია“. მივიწყებულან გასულ საუკუნეთა ნაფიქრალნიც:

„არვის აწუხებს ფიქრნი მტკვრის პირას,
დუდუნებს მტკვარი ძარღვებ-აშლილი,
გაფრენილ მერანს ცრემლებში სძინავს,
ტირის რომ არ ჰყავს ბარათაშვილი“.

შავი სტრიქონებით სავსე ლექსში სასოება, ანდა, „უძლური ოცნება“ ინათებს და გიორგი ყიფიანსაც სჯერა, რომ „ბაზალეთის ტბა ოქროს აკვნით“ არ დაკარგულა. ბოლოს, რაც ყველაზე მეტად სურს სულს პოეტისას — „აფრენილ გრძნობით შენთან ვიქნები“ — ეუბნება თბილისს...

ერთ-ერთ უსათაურო ლექსში დღევანდელ დროს წითელი ჩექმა აცვია და კვლავ გვესმის ღაღადი ადამიანისა:

„წითელი ჩექმით გადანათელი
ჩემი აკვანი და სანეტარო!..“ წითელი ფერი სისხლი და სიკვდილია. აკვანი, ანუ წარსული სიკვდილისფერმა ჩექმამ გადათელა...

საყურადღებოა ლექსი „ქარხანაში“. პოეტის წარმოდგენაში ეს არ არის ჩვეულებრივი ქარხანა. იგი საბჭოეთის წითელ სახესთან ასოცირდება. ლექსში ახალი დროის „ფენომენია“ ჩადებული. აწმყოს სამშობლო და მშობლიური ენა აღარ სჭირდება. ყველა ქარხანასავით უნდა იყოს მოწყობილი. ლექსის შინაარსი თავისი სიუჟეტით ძალიან კონკრეტულია, მაგრამ, ამასთანავე ღრმა აზრით გაჯერებული... მანამდე კი ისევ უცხოეთია. დღეები მიჰყვება დღეებს. თითოეული ყოფითი ნივთიც კი თავისებურ დატვირთვას იღებს გიორგი ყიფიანის ცხოვრებაში, პოეზიაში. ლექსში გვხვდება საათი, მაგრამ ეს საათი შავია და სათაურად გამოტანილია: „შავი საათი“...

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პოეტის ლექსებში შავ ფერს უდიდესი ადგილი უკავია. შავი ფერი, გიორგი ყიფიანის აზროვნებაში, ტრადიციულად, უარყოფითთან ასოცირდება და ვხვდებით ასეთ ეპითეტებს: „შავი შარა“, „შავი ხმელეთი“, „შავი არსება“, „შავი მიწა“, „შავი ღრუბლები“, „შავი ღამე“ და „შავი საათი“...

საათი აღვიძებს პოეტს და ლირიკული გმირი ერკვევა სიზმრიდან. ჩნდება ფიქრი: „ნეტავ ამ ძილში მოვეკალ ვინმეს“. ნატვრა კი ასეთი იმიტომ არის, რომ სიზმარში:

„მზე მთის მწვერვალზე გადმომდგარიყო
მიწას აყრიდა ოქროსფერ მძივებს...“

— ეს ისევ ოცნების მხარეა, შორეული და მიუწვდომელი, არარეალურ დროში. სიზმარი კი არარეალური დროა, რომლის მეშვეობითაც საოცნებო მხარეში, სამშობლოში ხვდება ხოლმე პოეტი. ამიტომაც არ სურს გამოღვიძება. სიზმარი მიჯნავს მას რეალური დროისგან, ანუ საათისგან. რეალურმა დრომ კი მიახვედრა, რომ სინამდვილეს უნდა დაუბრუნდეს მისი არსება. მანამდე კი, სიზმარში ნატვრის ახდენაა:

„თქვენ, მეგობრებო, იქ იყავთ ყველა,
მოგონებებით გული ხარობდა!..“ შემდეგ კი „საათმა მორცხვად დაინკრიალაო“ — ამბობს. თითქოს საათსაც შერცხვა სასოებისფერი სიზმრიდან ადამიანის გამოღვიძება. პოეტი უბრუნდება აწმყოს, მაგრამ ცხოვრობს წარსულით...

აღნიშნული თემატიკა არაერთი მეცნიერის ინტერესის სფეროდ ქცეულა. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ნაჩვენები, თუ როგორი დიდი დატვირთვა აქვს სიზმარს ქართულ ემიგრანტულ მწერლობაში.

მრავალი პოეტი ბეჭდავს ლექსებს სათაურით: „სიზმარი“, მაგრამ გიორგი ყიფიანმა სიზმარსა და ამ სიზმრიდან გამოღვიძებას „შავი საათი“ დაარქვა. „შავი საათი“, ანუ აწმყო. აწმყო კი უცხოეთია და არა სამშობლო...

გიორგი ყიფიანთან შავი ფერი ფიგურირებს, მაგრამ ვხვდებით ლექსს სათაურით: „ფერადი სურათები“. ეს ლექსიც თითქმის იგივე სიუჟეტური დატვირთვით ვითარდება, როგორც „შავი საათი“. აქაც სამშობლო და მეხსიერებაში ჩარჩენილი კადრები იელვებს ხოლმე. ლექსში ბავშვობის კადრები ჩნდებიან და ამიტომაც ჰქვია მას „ფერადი სურათები“. აღარ გვხვდება ორი კონკრეტული ფერი: შავი და თეთრი. გიორგი ყიფიანის თითქმის ყოველ ლექსს აქვს თავისი დამოუკიდებელი სიუჟეტი საკუთარი დასაწყისითა და დასასრულით. სწორედ ეს არის „რაღაც“ მისტიკური, რაც პოეტის შემოქმედებას საოცარ მუხტს სძენს.

„ფერადი სურათების“ წიგნში ვხედავთ: ცა მოწმენდილია, ისმის წისქვილის ღიღინი, შვილის ძებნაში დაღლილა დედა. ამ იდილიას კი „წითელი ველურის“ სახე ენაცვლება და ისევ ღაღადი პოეტის:

„მზიან დღეებში უცქერ მაისებს,
მშობელო მხარევ, ნუ მემდურები!
სანამ გავყვები ცრემლის დაისებს
გულ-გადამტვრეულ სალამურებით“.

— ეს იმედები ნატვრად რჩება და ამასღა ეუბნება სამშობლოს: „თუ ძვლები დამრჩა, მას შენ მოგიძღვნი“. ეს „თუ“ ძალიან მძაფრი და ტრაგიკულია. იხურება გახუნებული სურათების წიგნიც...

მომდევნო ლექსში ქუთაისია და ფრაზა: „ჩემი სამშობლო, დაბადება და ქუთაისი“. ვიგებთ: დაბადება სამშობლოსთან არის დაკავშირებული, სიკვდილი კი იქნება სხვაგან...

გიორგი ყიფიანის პოეზიაში სიტყვები დინამიკურად, ნელა მიჰყვება ერთმანეთს, მაგრამ

ვხვდებით, რომ ეს მარადიულად არ გაგრძელდება, სადღაც აუცილებლად იქნება კულმინაცია. და მის პოეზიაში გრძნობამ ამოხეთქა, იქცა „გრძნობის ძახილად". ჩანს კიდეც — ეს ლექსი განსხვავდება რიტმული წყობით, თითქმის ერთი ამოსუნთქვით იკითხება:

„ამობრწყინდი ისევ შავ ღრუბლებიდან,
ტიტველ კლდეზე დაბანაობს ლანდები,
გული ტირის, რატომ აღარ მოვიდა
ამობრწყინდი, ნუღარ დაგვიანდები!.."

ამ სიტყვებით სხვათა სათქმელიც ითქვა. და პოეტს სამშობლოდან წასული სხვა ქართველებიც არ ავიწყდება. პროკოფი აბულაძეს (რეო ამონს) უძღვნის თავის ერთ-ერთ ლექსს, რომელსაც 1932 წელს „კავკასიონის" მეშვიდე ნომერში ბეჭდავს:

„შავებში გმოსავს შენ სიმწუხარე,
ნაზი ოცნების წმინდა ხვეული,
გიცქერის ისა, ვით მესაფლავე
შავი ღრუბლებით ცა დახეული..."

ჰყვება გიორგი ყიფიანი გარდაცვლილი პოეტის ცხოვრებას, რომელიც იყო ავი და ცრემლებით სველი. ეს მის პოეზიასაც ეტყობოდა:

„კავკასიონში" ისევ სტირიან ცრემლებით სველი შენი ლექსები". — ამის შემდეგ კი ამბობს:

„ნაცვლად კი ნახე ცივი საფლავი
საფლავი უცხო და სიმწუხარე"... ეს ორი სტრიქონი არაა მხოლოდ მკითხველისათვის ტრაგიკული, არამედ გიორგი ყიფიანისთვისაც ძალიან მტკივნეულია. მან ძალიან კარგად იცის, რომ ეს მისი ცხოვრებაცაა. პოეტი რეო ამონისადმი მიძღვნილი ლექსით საკუთარ ეპიტაფიასაც წერს.

1964 წლის მეცხრე ნომერში კი გრიგოლ რობაქიძის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი ლექსი იბეჭდება. იქვე, მინაწერში ვხვდებით: ლექსი 1962 წელსაა დაბეჭდილი. აქაც თვალებში ვუყურებთ სიკვდილს, სიკვდილს უცხოეთში. გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიაში კი ვკითხულობთ, რომ 1962 წლის 19 ნოემბერს საიდუმლო ეითარებაში გარდაიცვალა. უკანასკნელ გზაზე კი მხოლოდ რვა ადამიანს — ნინო დადიანს, კალისტრატე და ნინო სალიებს, დიკა კედიას, სანდრო ფანჩულიძეს, ხარიტონ შავიშვილს, კიტა ჩხენკელსა და ნიკოლოზ ჩხოტუა-მაყაშვილს მიუცილებია... გიორგი ყიფიანიც ამბობს:

„გრიგოლ, გიხილე მოხუც მამებში,
ქართული სიტყვის დიდი გენია,
შენი გრძნობები დამწვარ ღამეში
ნაკვერჩხლებივით იყურებიან". ამ სიტყვებთან ერთად, პოეტი, „ჩაკლული სულის" ავტორისადმი მიძღვნილ ლექსში, ასეთ ფრაზასაც გაურევს:

„მიწას დაკრული ვეღარ ვშორდები
ხმა უცხოეთის ჯვარზე გაკრული". მოგონებებში მოდიან გრიგოლ რობაქიძის პიესები: „ლამარა", „ლონდა", „მალშტრემ"...

„იგონებს ბერლინს, იგონებს პარიზს,
მალშტრემი — ლონდას, ლონდა ლამარას,
კუბოს ყვავილთა გვირგვინი აზის,
ვით ფიროსმანის ფერთა კამარა... "

50-იანი წლების „კავკასიონის" ერთ-ერთ ნომერში გიორგი ყიფიანი ასე ახსნის გრიგოლ რობაქიძის ღვაწლს: **„შენ გადახსენი ევროპის**
გულში,
ქართული ძარღვის, სისხლის უჯრედი".

კრებულ „კავკასიონში" ვხვდებით გიორგი ყიფიანის ლექსს სათაურით: „ასი წლის პოემა". იგი მცირეა და უფრო ლექსს ჰგავს, მაგრამ პოეტს ასე დაუსათაურებია. „ასი წლის პოემა" ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში გმირი ქალს მიმართავს:

„დაქნილ თითებით ათამაშებ ბროლის
კლავიშებს,
უცქერს წუხილი მელოდიას ლურჯი
თვალებით,
ღამე ღრუბლებში ნაბადივით გაშლის
ბალიშებს,
ვზივართ ორივე შორეულის მძიმე
ბრალდებით..."

შემოდის განშორების სევდა და მელოდია ნაცნობი და შორეული. ეს მელოდია გმირისთვის ისტორიული სინამდვილის ამშლელია. ილანდება საუკუნეები თამარისა და „ვეფხისტყაოსნის", მონღოლებისა, შაჰებისა და კრწანისის.

მეორე ნაწილში ძაძებით მოსილი აწმყო მოჩანს და გმირი კითხულობს: „ნუთუ არ არის სხვა ადგილი თავშესაფარი..." „ვინ გამოკვეთა ეს გრძნობათა შავი არსება?!." კითხვები უპასუხოდ რჩება და კვლავ უბრუნდება სული საწყის მდგომარეობას: ისევ მუსიკა და განშორების სევდაა. დასასრულ, თხოვნა:

„კვლავინდებურად გთხოვ შეეხო სათუთ
კლავიშებს,
გამომაღვიძო მიტოვებულ სატრფოს
ძახილით!..." ვხვდებით, რომ სატრფოს კონკრეტულ სახეში ისევ საქართველო მოიაზრება და ეს თხოვნაც სამშობლოსკენაა მიმართული. ეს თემა ქალი, სატრფო — იგივე სამშობლო, არ არის უცხო ქართული პოეზიისთვის და გიორგი ყიფიანმაც ამას მიმართა. მას სურს, ყველა ქართველი, ვინც კი მის ლექსებს წაიკითხავს, მიუხვდეს, რას გულისხმობს იგი თითოეულ სტრიქონში...

1966 წელს, „კავკასიონის" XI ნომერში ვხვდებით ლექსს სათაურით — „შოთა რუსთაველს" — ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ეს უკვე 1966 წელია. 1930 წლიდან, ანუ კრებულის პირველ ნომრებში დაბეჭდილი ახალგაზრდა პოეტის ლექსებიდან 30 წელზე მეტია გასული. ეს უკვე სხვა ცნობიერების, სხვა ასაკის პოეტია და სტრიქონებს შუა მისი ცხოვრებაც იკვეთება:

„გადმოიხედე, მგოსანო,
ნუ დააყოვნებ ამ ჟამსა!
მინდა, რომ ლექსი მოგიძღვნა
რვა საუკუნის ვაჟასა!.."

პოეტი, თავისი ფანტაზიით, რვა საუკუნის წინ მოგზაურობს და ხედავს „ვეფხისტყაოსნის" გმირებს, აღმაშენებელს, რუსთაველს, თამარს, ათონელებს, პეტრიწს, ანუ ნატრობს იმ სულიერ თუ ფიზიკურ ერთიანობას, რაც ასე უჭირს თავის ქვეყანას...

1955 წელს დაბეჭდილ ლექსში კი მკითხველის ყურადღებას იპყრობს პოეტის ლექსს წამძ-

ღვარებული ხალხური სტრიქონები:

„მე რომ ბედი მქონებოდა
აგვისტო არ დადგებოდა!..“

და გიორგი ყიფიანის სტრიქონები შეგვახსენებენ:

„რა მიზანი აქვს ლექსების წერას,
თუ არ სიმართლის ქვეყნად მხილება?!“.

ვხვდებით, რომ ის, რაც სულში ტრიალებს, ვერ ჩავკლავთ და სწორედ ამიტომ და არა დაუსრულებლად, ანდა, გაუაზრებლად ხდება მოგონება „თებერვლის ღამისა“.

„რისთვის გაგვწირა ჩვენ ჩრდილოეთმა,
გთხოვთ, შეეკითხოთ თებერვლის ღამეს!..“

„თებერვლის ღამე“ კი სხვა ლექსშიც ჰპოვებს ადგილს: „თქვენ გიამბობდით დაღუპვას მზისას, დღეს ჩრდილოეთის ქარით უჩინარს, როგორ გაწითლდა ჯვარი ვაზისა, ფერს რომ წმინდანი გადაერჩინა“. ასეთია ხვედრი სამშობლოსი. ამ ხვედრს ვერ შეურიგდება გიორგი ყიფიანი და ამბობს:

„პოეტს რად უნდა სახელის მტვრევა,
მას საქართველო ერქმევა გვარად“.

გვახვედრებს: მას, სხვის ქვეყანაში, პატარა საქართველო დააქვს გულით. ამ სტრიქონების შემდეგ კი, თავისთავად მოდიან სიტყვები: „საიდან სად?!“, „ვის გავეხიზნე, ვის შევეხიზნე?!“ სული ნავსაყუდელს ნატრობს, მაგრამ ესეც მიუგნებელია, რადგან „კავკასიონის“ ფურცლებიდან ერთი ლექსი ისევ გვიმხელს პოეტის სევდას:

„გულის დანგრეული სამლოცველოში
მე არ მასვენებს ლექსი და ქრისტე...“ ამ ფრაზით მხოლოდ ნაცნობი ავტორი არ ჩანს თავისი „ნაცნობი ტკივილებით“. აქ ადამიანის შინაგანი ტრაგედია და შინაგანი სამყარო შერწყმულან ერთად...

ბოლოს სტრიქონები ამასაც ამბობენ:

„დაკარგული გზიდან ყვავილებს ვზიდავ,
ვარ შებრალება უწყინარ ღმერთის“... ასე გაშლილა პოეტის სული კრებულ „კავკასიონში“..

გურამ შარაძე, წიგნში „უცხოეთის ცის ქვეშ“, შემდეგი სიტყვებით ასრულებს გიორგი ყიფიანის ბიოგრაფიას:

„გიორგი ყიფიანი გარდაიცვალა 1986 წელს, პარიზში. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე. მის საფლავს ამშვენებს მარმარილოს ქვის ძეგლი, რომელზედაც ამოტვიფრულია ეტრატის გრაგნილი კალმით და ფრანგული წარწერით: „პოეტი“ („Le Poete“).

წარწერა — „პოეტი“ მხოლოდ ამ ადამიანის „ღვაწლს“ მეტყველებს. ეს, ისე, დასაფასებლად, გარეგნულად...

სიტყვა — „პოეტი“ არაფერს გვეუბნება, რომ აქ მარხია „ხმა უცხოეთის ჯვარზე გაკრული“, რომლის, ისევე როგორც სხვა ქართველ ემიგრანტთა საფლავები, ალბათ, გიორგი ყიფიანისვე სიტყვებს ითხოვენ: „საიდან სად?!.“

გიორგი ყიფიანი

თბილისი

საით მიგყევარ, ტკბილო ოცნებავ,
რათა ვარ შენთან მუდამ უძლური!
ჩემში ხომ ტანჯვა გაორკეცდება,
გლოვის კარვებით გადმოხურული.

აჩრდილი მოდის შორს შავ დარდიდან,
სახე მიცქერის თვალებ-დიდრონი,
თითქოს მოადგეს საწერ მაგიდას,
მთები თეთრ-გულა კავკასიონის.

მწვანე ბალახი ფარავდა ციკნებს,
კვლავ აიშალა გრძნობები ცხარე,
და მეც გავყევი ლამაზ ბილიკებს,
როგორც მთიული, როგორც მეცხვარე.

ასე გავცილდი ნათხოვარ მიწას.
შავი ხმელეთი სცურავდა ზღვაში.
დაღუნულ ცაზე ღრუბლები იწვა,
ლურჯი ტალღები მომდევდა ტყლაშით.

თეთრი ჩანჩქერი კლდეზე გადმოქუხს,
იქ სიპზე აგდებს გველივით ენას,
ჩასძინებია დაქანცულ მოხუცს,
მოსჩანს კოჯორი და ტაბახმელა.

ჰეი... თბილისო, ტანჯვის ქალაქო,
დღეები გიქსოვს ცრემლიან ამბებს,
რომ გორდა ხმლებმა გაინავარდოს,
სად გყავს ირაკლი და სააკაძე.

შემოგიხურავს ეს საუკუნე
თეთრი ჩონჩხებით გადმოტეხილი,
დღეს სინამდვილე ისე გაწუხებს,
როგორც სულთანის მძიმე მახვილი.

ასი წლის პოემა

დაქნილ თითებით ათამაშებ ბროლის
კლავიშებს,
უცქერს წუხილი მელოდიას ლურჯი
თვალებით,
ღამე ღრუბლებში ნაბადივით გაშლის
ბალიშებს,
ვზივართ ორივე შორეულის მძიმე
ბრალდებით;
შემომაგებე შურდულივით სახე ნაწყენი,
ვხედავ მე, ქალო, თითთა თრთოლამ
ხმები დათოვა,
განმეორებით ალბათ დღესაც ისევ

დასწყევლი,
ვინც რომ სატრფოს გზა დაივიწყა და მიატოვა.
ისევ დაუკარ ეს მუსიკა სიმების
თრთოლვით,
ისევ გაშალე სურათები მოგონებიდან,
ამხელს შორეულს საშიშარი ტალღათა
ქროლვით
დღეს სინამდვილე დაწყებული
მონგოლებიდან.
მაშინ შარაზე შურის თვალით შხამი
სდიოდა,
დაიწვა მიწა უნუგეშო ცეცხლის
ზმანებით,
სისხლის ღვარებად კლდის ჩონჩხებზე
ჩამოდიოდა
ათასი შახი და მაჰმადი
ნადირ-ხანებით...
ტალღათა მღერას თითქო მოაქვს
თამარის ხმები,
ფაფარ-აყრილი ფრთის კალამი აწყობს
ტყაოსანს,
მაგრამ შეჩერდა სინამდვილე და
განრისხებით
დაიწყო ზეცამ შეტევებზე სისხლით
გადმოსვლა...
ორ ზღვათა შორის დაიქანცა ძვლების
კუნძული,
კრწანისის მიწა გადახაზა ხმალის
ჭრილებმა,
გაიღო კარი და ზვირთების იყო
ჩურჩული:
დავეცეთ კუნძულს, როცა ცეცხლებს
ჩაეძინება!
გრძნო ღალატი მოღუშულმა მთების
არწივმა,
მოადგა ქალაქს ამღვრეული ცხელი
სულთანი;
დაცხრილულ ზეცამ დედა-მიწას სისხლი
აწვიმა,
ჩონჩხის ტყეებით გადიარა გზა
ნაბურთალი...

ფერადი სურათები

ოქროს შტოებით ევლება მიწას,
ნაძვის ფოთლებში უხვად ბანაობს,
ჭარიჟრაჟიდან ცამ მოიწმინდა,
დაჭრილ ზანგივით ღამე ქანაობს.

რაკ... რუკ... რაკ... სცემს სარეკელი,
ჩაძინებია ფქვილში მურიას,
და მეწისქვილეს წისქვილის მტვერი,
თმებზე ქუდივით გადმოხურვია.

გადმორბის ღარში წყლის ჩანჩქერები,
შხრიალებს ფრთებში, ბრუნავს
ბორბალი,
ხარხარებს ხმები, მივეჩქარებით
გლეხის ოცნება, მე და ხორბალი.

გადმოზნექილა მწვანე გორები,
სოფლის ორღობე, შარა გაშლილი,
გზაზე გორდება ურმის ბორბლები,
მისდევს სიმღერა გრძნობა აშლილი.

ხმა ჩახლეჩილი ზარავს ზარივით,
ღარიბ ქოხიდან ბავშვის ლიკლიკი,
მიიკლაკნება დაღლილ მგზავრივით
მთის ფერდობებზე ვიწრო ბილიკი.

ფხვიერ მიწაზე ხიხინებს თოხი,
გორდება ოფლი ერთგულ გარჯაში,
თეთრი ფიცრებით შენდება ქოხი,
ძველ ნაძვის ძირებს ჯიჯგნის ნაჯახი.

ბიბინებს პური თავ-თავ ჭაღარა,
ვით ზღვიდან ზვირთის ლურჯი გორები,
ღამემ ნახშირი გადმოაყარა,
მოდის შორიდან გიშრის თვალებით.

ტყე ყაჩაღივით ჩასაფრებულა,
შეშინებული გაშლილ შტოებში,
იქ დანით დაჰკრა წითელ ველურმა
სატრფოს ძახილში აგვისტოელი.

თრთიან ფოთლები, ეშვება საფლავს,
დგანან ხეები თავებ-დახრილი,
მწარე ქვითინით გადივლის აღმართს
შვილის ძებნაში დედა დაღლილი.

ვიღაც ხითხითებს, ვიღაც იცინის,
სოფელს კი გლოვა უჭერს მარწუხებს,
შავ სინამდვილის მოკლე მანძილი
მწარე წვიმების მიწას აწუხებს.

სოფელო, ისევ ცეცხლის გრგვინვიდან
თავზე გემსხვრევა სახე ველურის,
მე კი ცრემლებით დამიგვირგვინდა
შენი ალერსი და სიყვარული.

მზიან დღეებში უცქერ მაისებს,
მშობელო მხარევ, ნუ მემდურები!
სანამ გავყვები ცრემლის დაისებს
გულ-გადამტვრეულ სალამურებით.

კიდევ მაწვალებს ყოფა დიდი-ხნის,
ცოცხალ ხორცს სჯიჯგნის მძიმე ფიქრები,
თუ ძვლები შემრჩა მას შენ მოგიძღვნი
ჩემი ბავშური კმაყოფილებით.

ღამე ეშვება შავ ღრუბლებიდან,
უცხო ოთახში წვება ზანგივით,
და სურათები მოგონებიდან
ყელზე მეხვევა მეგობარივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნოდარ ჯანიძე

ჯანსაღი ავადმყოფი

ჯუმბერ ტიკარაძის გახსენება

„თანამედროვე მწერლობას ორი უმჯობესი გაუზარმაცდა“-ო, დაიჩივლა პოეტმა: „გიორგი ᲗᲐქანიძემ კალამს ანკესი ამჯობინა, ჯუმბერ ტიკარაძემ ჭიქა არაყი“-ო.

სვამდა ორნახადს და ატანდა მწნილს. მწარე წყალი დილის ლოცვასავით სიამოვნებდა. მაშინ აეშლებოდა წერის საღერღელი და ცინცხლდებოდა მისი ტვინის ნეირონები. ინტელექტუალური დაუდევრობა გახლდათ ძალზე ცოტას რომ ქმნიდა, მაგრამ შეძლო არაორდინალური სიტყვა ეთქვა და საწუთროდან გადასახლებულიყო.

ძალუმი აზროვნებითა და ტექნიკით დიდ შემოქმედთ ეტოლებოდა. მათი შეგირდი, ამყოლ-მიმდევარი როდი იყო. ეს თავის უბნისას გვაუწყებდა, ახლო-მახლო ქუჩებისასა, რაც კარგად ცოდა და რიგიანად დაამახსოვრდა.

2007 წლის ნოემბრის თვეში მწერლის ქვრივმა ჯუმბერის არქივი შინ გამატანა. ნარუდუნევი მთლად დაენაკუწ-გაენადგურებინა. თავსატეხ მოვალეობად სულაც არ მქცევია. ვუსადაგე ერთურთს, ვაერთ-ვაწებე ნაფლეთები „თითების ფარჩხი“-თ.

მასალის აღდგენას სამ თვეზე მეტი შევალიე. განახლდა ბევრი კარგი ჩანახატი თუ ლექსი. გამონათქვამთაგან ერთი შემოქმედის ეპიტაფიად ივარგებდა:

„ესეც ასე, გავლილია გზანი ჩემი გასავლელი,
სად მეფური სუფრა იყო, თავი იქა ვტუცე,
არ დავაკელ გვამსა ამას ტრაპეზი და ღვინო ძველი,
ხოლო სული შემოქმედის ვააბდლე და ვატუტუცე!
თუ მელანი ვღვარე ცოტა, მომიტევებს ალბათ, ღმერთი,
წინ, წინ ჩემი სამარეა, სამოთხე და ჯოჯოხეთი!“

ძვირად გვახსენდებოდა ტიკარაძის ნათლისახელი. რა არ შევარქვით: ჯოყოლა, გალექებული, აბორბოცებულ-აქერქეტებული. ასე ვესაყვარულ-ველაციცებოდით მეგობარს. მისი გარეგნობა მწერლის შესახებ მოარულ წარმოდგენას ესადაგებოდა. ერთობ არაორდინალური პიროვნებისთვის, სრულყოფილად ბუნებრივი და თავისუფალისთვის ყოველგვარი ხელოვნურისაგან, უცხოარიყოშემოქმედისთვის დამახასიათებელი თავმომწონეობა და იმპერატივი. ბოჰემის მიღმა კი ყოველთვის იგრძნობოდა კალმოსნისთვის მკვეთრად ნიშნეული მტანჯველი ყოფა.

კაცმა რომ იკითხოს, არის ანგარიშგასაწევი, ამოიფრქვევა თუ არა წარსული ისეთივე ხელუხლებელი? განახლება თბილისის სურათების, ავლაბრული ამბების, ტიკარაძეს რომ ზრდიდა, ასაზრდოებდა და შთააგონებდა? ახლა რეკლამებით აჭრელებულ მის „სოღდებილ“-ში ვდგავარ! სომხურ თეატრთან იქვე ახლოს „კეთილი დუქანი“-ა. აგერ პოლიციელი ვანო-ჯანო, ვინმე კარლოც ქაღალდში წეკოს ახვევს. გოგილოს აბანოდან უშიშროების სექსოტი „შაკრულო“ მოჩლახუნდა. სამიკიტნოში ჩაწალიკ-ნალიკდებიან. მალე გაჩნდება კასრის თავზე ჭაჭის არაყი, მწნილი, მწვანილი. გადაყლურჭავენ და „კილკას“ შეექცევიან. თბილისის „გეენიაც“ ხომ ასეთ ვახშმობებში ვლინდება ხალას ბრწყინვალებით. მერე ლამპიონები მტკვარში თავის დახრჩობას დააპირებენ, მაგრამ წარუმატებლად და იქნება სული მტირალა კლდიდან ნადენ ცრემლივით კამკამა.

კი, მნიშვნელოვანია! წარმოვიდგენ ამ ყოველივეს და ერთარსობაში ვლხვები. მთელი ქვეყანა უჩინარდება, როცა გარინდება მოგეძალება. წარმოსახვის ცხოველმყოფლობით ქრება აწმყოც.

„არა! ქუჩა არ ყოფილა ჩემთვის აკადემია! სტუდენტობას რა ვუნოდო?!“ — მხოლოდ ბრუჩუნი!-ო.

მაინც როგორ ჩამოყალიბდა იგი მწერლად? ერთმა კალმოსანმა დამუხტა და შთააგონა. პროზაიკოსმა, რომელიც ფილოსოფიისა და პოეზიის მიჯნასთან იდგა. სწორედ მისგან მიიღო შემოქმედისთვის საჭირო მუხტი: „აღიარება იმისა, რომ ჩვენმა ერთდროულმა ღრეობებმა, ზოგჯერ კი ლოცვასავით ფიქრიანმა სმამ მწერლად მაქცია-მეთქი, ოტოს ააბუხუნ-ააროხროხებს, ჩემს პაჭკორიას დანახვა ჩემი გაეხარდება, იქ მისვლა კი ეტკინება — დამკრავს ბეჭებზე ხელს —

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დროს შენი სიკვდილი იყოო — შემომბღავ-ლებს!“

თითოეული ნოველა რუდუნებითაა შექმნილი. როდის იცლიდა იგი რუდუნისათვის?

ძალ-ღონეს არ ზოგავდა გუმანი გაეხედნა და გამოცდილება დაეგროვებინა. სხვაგვარად კალამს ხელს ვერ მოჰკიდებდა, შინაურთაც უნდა ებლიკვნათ მისთვის. სხვაფრივ გრძნობას ვერ დაიგულვებდა. ამბავი რომ მომხდარიყო, დათო ერისთავი და ვილემ ალავიძე უნდა ყოფილიყვნენ, ტიმირიაზევის სასწავლებლის საერთო საცხოვრებლის ოთახში რომ გამოკეტეს — რომანი დაწერე!-ო.

არ დაიცვა მისთვის მიჩენილი საზღვრები, გაიპარა გამთენიისას, მოიარა არტახებს მიღმიერი მხარე, გონებაგახსნილებს რომ მიჯნავს ჭკუათხელთაგან, სტანდარტულებს არასტანდარტულებისაგან. ტაქსმა „მიტიშისთან“ მიიყვანა. ჯურღმულში ომისდროინდელ ბლინდაჟთან ლოთებს არაყი ეხვრიპათ. ამან დაპატიჟა. მებრუვეთ მოკვლა დაუპირეს. ბოთლი გატეხა, ნიკაპი გაისერა. საკუთარი სისხლი ლოკა და მწარე წყალი მიაყოლა. ბებუთებმა ბეტონის იატაკზე გაიწკრიალეს. „თუკი შენივ სისხლთან ერთად არაყს დალევ — სხვას მოკლავ და თავსაც მოიკლავ“-ო.

რეალურ სამყაროს მოჩვენებითობის საბურველი ახლდა და პროტესტანტული იდეები იქადაგა.

უნდა დავაკვირდე, რას სჩადიან თავის თავთან განმარტოებული ადამიანებიო, — უმეთვალყურა!

რამდენ წელიწადს ვუკირკიტე ვითომ პატიოსან ქალთა და კაცთა უწმაწურობებს, წერამ ამიტანა ბოლოსო.

წერამ აიტანა!

უწმაწურობანი მხოლოდ სქესობრივი როდია, სხვა რამეებშიც ვლინდება, იმ რაღაც-რაღაცეებსაც გავკრავ ხოლმე კლანჭსაო!

გაჭვანგა კიდეც და სამწერლობო მისიაც გაასრულა!

არა მხოლოდ სულგაცლილ, მოხვიხვინე ბრბოში, თვით ჩვენს, თანამოკალმეთა შორის მახსოვს მოწყენილ-მოთენთილი. თითქოს სული ხუთებოდა — ამაღლებული, კეთილშობილური გრძნობები რაღაცამ თუ ვიღაცამ ჩაუხშოო, უეცრად გონებას მხსნელი აზრი უნათებდა. წუთიერი აღტყინებისთვის ხარკი ხომ უნდა გადაეხადა. ანცი, ქარაფშუტული აღფრთოვანება თავიდან ცოტა სასეიროდ გვეჩვენებოდა. სულიც ხომ ჰპოვებს სწორედ იმას, რაც ზუსტად იმ კრიტიკულ წუთში სჭირდება. ონავარი ყმაწვილივით შეკრთებოდა, შეიმართებოდა, პატარა ბიჭად გარდაისახებოდა, ამღვრეული თვალები უკამკამდებოდა და ფარად და აბჯრად ჩვენივ მეგობრისა და თანამეინახის ლექსს იშველიებდა:

„სატრფო რომ თმებს ივარცხნიდა, დაბლა
დაცვენილ თმის ღერებს,
ჰკრეფდი თითების ფარჩხითა ვით სიმებსა და
სიმღერებს,
პატიოსნებამ გაგხადა ხალათი, ერთგულებამ
გაჩუქა ღალატი,
ახლა ვის ნაწნავს გრეხ... ეჰ! ეჰ! ეჰ!“

სტროფის წარმოთქმის დროს ოდნავ შიზოიდურ სულიერ წყობას ავლენდა. კვლავ ფიქრის მორევში ყურყუმელავდებოდა, ძილს ეძლეოდა? — ოცნებას! დაუწერელი თხზულების სიუჟეტები ლაგდებოდა...

თითოეული ჩვენგანის თავგადასავლის მომყოლი სიტყვა, ჩვენივ საკუთარ სულიდან ამომართული, გულს გვიჩუყებდა. ჩვენში მოსაწყენ, მტანჯველ შეგრძნებას იწვევდა, თანაგრძნობას აღგვიძრავდა.

სად იყო კაცის გულის გასახარელი სტრიქონები? ქადაგების მერე უსასოობა მოგიცავდა, მანდილოსნის მიმართ მადლიერი ლმობიერების გამომხატველი კი არა — სამდურავისა. მასში ვერ აღმოაჩენდი მხიარულ, სადღესასწაულო სულს. იქ სწორედ სასიყვარულო ვნებას არ უღიმოდა ბედი, გაცრუებულიყო იმედი, უცოდველობდა ეროტიკული აღტყინება, მორცხვი, კდემამოსილი და ნირწაშლილი.

მის სიახლოვეს მორთულ-მოკაზმულ გასართობ ხარახურას, ფუფუნების საგნებს უსახურთ და თვალში საცემთ ვერაფერს ნახავდი. კედელზე ირაკლი ფარჯიანის „ქეთევან წამებულის“ ხატი ეკიდა — ოთახის ერთადერთი უბრალო მშვენება. ნუცუბიძის ფერდობზე ცხოვრება განცალკევებისაკენ სწრაფვას შეესატყვისა, ხოლო 16-ე სართული ცალფილტვა ტიკარაძეს — „ყველა მწერალზე მაღლა ვცხოვრობ“-ო, გულს ეფინებოდა.

1995 წლის 31 დეკემბერს შინ მიმიწვია. კალანდას ერთად შევხვდით. გამომიტყდა, იმხანად თავი უბედურად მიაჩნდა. უკვე მორეოდა კაეშანი. მაგიდასთან პირქუში სახით ჭაბუკი იჯდა. ბიჭური, მრეში ქოჩორი უსწორმასწოროდ ჩამოშლოდა კისერზე. გარიყულსა და ტანჯულ „მე“-ს მიამიტ თვალებში მეოცნებე სხივი აღარ ჩასდგომოდა. სათუთად ეფერებოდა არყით სავსე ჭიქას. ნატიფი ხელის თითები მის გონიერებას ავლენდა.

მარტივი არაა იმ შავსვიანობის სახელდება და შეფასება რაც 90 იან წლებში გადაგვხდა, მაგრამ იმ წლებამდეც დალხენილნი როდი მივედით!

თქვა: როცა 37 წლის შევსრულდი და საწერ მანქანას მივუჯექი, ისეთმა განცდამ მომიცვა, თითქოს უკანასკნელად ვბეჭდავო. მკითხა: შენ თუ იცი რა მანძილია სიბრძნესა და უწმაწურობებს შორისო. არ ჩავეძიე უფრო დაწვრილებით მოეთხრო ნათქვამში რას გულისხმობდა.

ვისაუბრეთ ცხოვრებისეულ ფილოსოფიაზე, ოჯახურ ჰარმონიაზე, ჭირ-ვარამზე, ხალისიანად ვიმასლაათეთ, ერთმანეთს მივაპყარით ფიქრიანი მზერა, ვიყუჩეთ, ვიოცნებეთ და სრული იდუმალების განუზომელ სიკეთეს ვეზიარეთ.

გრძელი ღამე ფიქრებში გავათენეთ. მცირე ხნით თვალი მოვატყუეთ.

რომ ჰკითხო ახლა გიგლა სარიშვილს, ვეება ხეიბარს, როგორ ფიქრობთ, რას გიპასუხებდათ მის მიერ სპეტაკად განვლილ ცხოვრების შესახებ?! კურცხალი წასკდებოდა! სიცოცხლესთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოთხოვების გამო? — არა!

გასულ ზაფხულს მკითხა ჭაბუა ამირეჯიბმა, როგორ მოკვდა სარიშვილიო. ვუამბე, მაგრამ საძნელო და ცრემლიანად საკითხავ-მოსათხრობი სწორედ ის ფურცლებია — დაფლეთილი არქივიდან რომ აღვადგინე:

„ვესტუმრე იმ დღეს გამოკეტილ თავის ბინაში, საპყარ-ხეიბარ გიგლა სარიშვილს. რაც ვილოთ-ვიბაზრ-წავიბოჰემ-წავიხარხარეთ, ცრემლიცა ვღვარეთ, იმ ცრემლისას გეტყვი მთლად. მალე: ლექსი ვთქვით, პროზა, თარგმანები ახალ-ახალი. ჭაშნაგირი და მჭვრეტელ-მჩხრეკელი ჩვენი ქართულის, თუმც იქ არ გახლდათ, სუფრასთან იჯდა თამაზი ჩვენი, ჩვენი ჩხენკელი. გვიწონებდა ლექსს, პროზას, თარგმანს და ნება-ნება წრუპავდა ღვინოს.

აგემოვნებდა შიპლიყრულად, პირს ისველებდა არც ის გახლდათ იქ, კიკნაძე ზურაბ. მონატრების ცვიოდა ცრემლი. სიკვდილ-სიცოცხლის წაშლილიყო ყველა სამანი. საიქიოდან შემოგვირთდა ელ. კერძევაძე, შარშანწინ რომ მიბარდა უფალს. ისიც გარეჯს მიირთმევდა და ქირქილებდა: „ცოცხლებს მკვდრები ჰგონიხართ და მკვდრებს ცოცხლები"! რა ეთქვა, ანდა რა ექნა მეტი კერძევაძეს, წამომდგარს მკვდრეთით. სუფრა იყო და ჰოი, რა სუფრა, ერთად ვხვრეპდით მკვდრები, ცოცხლები, ვღრეობდით ერთად, მონატრების ცვიოდა ცრემლი, სიკვდილ-სიცოცხლის წაშლილიყო საზღვარ-სამანი."

უკიდურესად ნატიფნი ვიყავით! თითოეულს სიტყვა გვასაზრდოებდა, სემანტიკა, არტიკულაცია გვართობდა, ათენას თვალით გვათენდებოდა და ჰერას შუქით გვისაღამოვდებოდა.

ვინ იმოგზაურა მეტაფიზიკურში? რომელმა მოიხელთა წამი საუფლო? ხელთ სხვა რეალობა — სასიკვდილოდ შემუსვრილი გული მრჩება და კიდევ სევდა მეტყველებასთან, კაზმულსიტყვაობასთან, აზროვნების უნართან გამოთხოვების ბალღამი.

დედა ენას ვერ შელეოდა სამარის პირად მისული ირაკლი აბაშიძე. რიტორიკას ემშვიდობებოდა ჩვენი მეგობარიც, არა მხოლოდ იგი, ყველა რამდენი გამოვიგლოვ-გამოვიპარაკლისეთ, მათ არ ეთმობოდათ თავ-თავიანთი ლინგვისტური დაუმორჩილებლობა.

ეჰა, ჯოყოლავ, გალექებულო, აბორბოცებულ-აქერქეტებულო! მარტისთვის მოქუფრულ და უღიმღამო დილას შენი საფლავისკენ წამოვედი. ფეხი ვითრიე, ეს სტრიქონები გზა და გზა ცალაგე, წმინდა მიმღეობისათვის განვეწყვე, ცრემლიან დილას ჩემი კურცხალი შევუერთე.

მცირე ხანს ვადარდუბალე წარსული, მიამიტ თვითდაკვირვებასაც მივეტიალე, თუმცა ბორგნეულმა სისადავემ სძლია ფანტაზია!

რავა უწყალწმინდოდ გაგისტუმრეს საიქიოში?! ქესატობა ვინ გაკმარა?! — ცალფიჟუამ ხაიერიც ვერ გამეიცვალე-ისტე გატყაბარდი. აფერი გიხიჭინებდა ჯიბეში და არც შენ აგცდა ხურხნა ცივი მჭადისა. სად გქონდა ფარას შივნის ყაიდობა?! ჯობდა ძაან ყოფიერი ქალი გეთხუა — შენ ლურჯთვალა ია ითხუე. ხოლო როცა ქართულ ენის განმარტებითი ლექსიკონი გასაყიდად გაწირე, იმ ლურჯთვალა იამ გადაგირჩინა და სახლიდან ჯვრისწერის ბეჭედი გაიტანა.

ღურძაბაი ხალხის ნაქნარია ყოლისფერი. ერთად რომ იმდონ ფულს გადაყლინწავს კაცი, იმისი აფერი დეიჯერება. ქისიმში უნდა ჩავდიო მაგათ საქმეს, მაგრამ ახლა სხვა ფიქრი მებულრავება! ჩვენ სულიერ მეს სწორედ ენასთან მივყავდით! ის იყო ჩვენი მარტოობაცა და თავისუფლებაც! ცალკეობის შეგრძნებას მით ვახალისებდით.

ვის უნდა წახდეს, განაცარმტვერდეს? ჰოდა, რადგან აზრი უფრო შორს ვერ მიდის, რასაც ახლა დავწერ, ვფიქრობ, ადამიანური ცხოვრების გარდუვალ შედეგს ეწინააღმდეგება. ცოტას მაინც ვიცრუებ, თუმცა პატიოსან პწკარედებს გავლარავ ჩვენი ჩიჩახვცარიელი ოფოფებივით და როგორც პოეტი ბრძანებდა „სისხლზე უფრო უმწიკვლო მელნით". უწყინარი იქნება ჩემი ტყვილი-მწუხრების კრიალოსანი, მინდება ურჯუკი სისადავე ფანტაზიას დავაძლევინო!

ჩემს ირგვლივ და ჩემში ბუნებასა და სულს შორის არსებული მიჯნა გაივლო. აი, მივიღე გულუხვი საზღაური გარინდებისა, თითქოს კვლავ ვიგზნე შენი სუნთქვა. ჩემივ სამშვინველის ყოველ კუთხე-კუნჭულით შევიცან ჩემივ დაუოკებელი წარმოსახვის შედეგი. გვწრდით ნდობით ამომიდგა შენი საფლავის გეენია, მე კი სიცოცხლესთან გამოთხოვების მიმართ ყოველგვარ სიძულვილს საბოლოოდ გამოუტანე წირვა!

46 წლის ვარ თქვენი უმცროსი მეგობარი და ასე მგონია, უკანასკნელად ვბეჭდავ! ვაჩხაკუნებ რემინგტონს, ვაღვარღვარებ თვალებს, დამიქამდა გიმნასტური და ქაღალდი. მომბეზრდა ოჯო ტაბუცად პანტური ოროხმოროც უსტმასტორ გზებზე. ისტე ცხავს ერთმანეთის გუუტანლობა-სიცხემ შემანუხა ძალუანი. ქოროთოი დგანა საირაოში იმფერი — მიიხარჩება კაცი, გელივით უღარღილებენ თვალებს ერთმანეთს, ნამეტანი დიდი ჭენჭეხოი აქვილარიენ გულებში. სიკვტილს ინატრებ, მაგრამ, ეხ, მეგობარო, ჩვენი სულებიც ხომ იმხანად არ ეყრება ხორცს, როცა აბრაამის წიაღსა შინა განვისვენებთ, არამედ მაშინ, როდესაც ღირსეული მიზნის მსახურებას ვკიდებთ ხელს — მწერლობას!

არა, ჯუმბერ! სივრცეში სხვა არა გამოდის! დაწერილი სიტყვაა ჩვენი უკვდავება და მეც მივაყენებ ყიყვეზე საქმეს, მუალ ელანძე. ჩვენი მაწყევარი იქნას ცალკეთაი. იმინუტში სუფრის კედეროსთან ყორნის ნიკარტად ჩამოგიჯდებით. აღვადგინოთ გურულების სუფრა, რიზა არ მოვირახათოთ ცხოვრებისგან დარეჯგვილებმა, ცეცხლი გევიღაღადუროთ, შემოვიდგათ ნათავაით სავსე ფიჩხაური. ერთად ვიქნებით: მე, შენ, სამყარ ფეხუცა, ია ყაშმიერი ტუტრუცანე, მაგრამ სამარიტელი და დასტურ პოეტი, გიდელის ღაღვილს რომ უგავდა ცხვირი. ვიბოგინებთ არხეინად ჩვენდა ყმაყოფილი. დაე, ლურჯ სუფრას ერთი ლანდიც შეემატოს — აჩრდილი ჩემი თითების ფარჩხის!

ნუნუ დუღაშვილი

მისი ნაცნობობა, თუ ხელის ჩამორთმევა ბევრისთვის პატივი იქნებოდა, მე კი წილად მხვდა მისი გულითადი მეგობრობა, რომელმაც თითქმის მთელი შეგნებული ცხოვრება მოიცვა. სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული ჩემს თვალწინ შლიდა ფრთებს და ძალებს იკრეფდა მისი შემოქმედებითი ნიჭიერება. მისი სიმღერები მთელ საქართველოს მოეფინა. ხალხმა გზადაგზა აიტაცა, აამღერა და შეიყვარა ისინი.

ნუნუ დუღაშვილი... მე მას იღბლიან ადამიანს ან თუნდაც ბედის ნებიერს დავარქმევდი, რადგან ბუნებამ უხვად დააჯილდოვა კარგი გარეგნობით, სხარტი გონებითა და განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემებით.

მასში თითქოს ურთიერთგამომრიცხავი ნასიათისა და შეუთავსებელი ბუნების მქონე რამდენიმე პიროვნებაა ჩასახლებული: ნიჭიერთა შორის უნიჭიერესი ქალბატონი, რომელსაც აშკარად აკლია „მწვერვალთა დაპყრობის ჟინი. მან კარგად იცის თავისი თავის ფასი, მაგრამ ქართული ხელგაშლილობითა და უშურველობით (როგორ ვკადრო, ბედოვლათობით მეთქი) „ფანტავს" ღვთით ბოძებულ ამ იშვიათ სიმდიდრეს.

ერუდირებული, პრინციპული, სიყალბესთან შეურიგებელი და ზოგჯერ გულფიცხი, ქიზიყურ-კახური პირდაპირობით გამორჩეული ადამიანი, რომლის თბილი და მანუგეშებელი სიტყვა არასდროს მოკლებია გასაჭირში მყოფ მოყვასთ.

ქართული საზოგადოებრიობისათვის კარგად ცნობილი და წარმატებული პერსონა, საინტერესო მთხრობელი, ხელმარჯვე და ჩინებული დიასახლისი, ამ თვისებებთან სრულიად შეუსაბამო, მაგრამ მისთვის ჩვეული ცხოვრებისეული პასიურობით.

პოპულარული (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით), ზნეობრიობისა და მაღალი იდეალების მსახური ხელოვანი, რომლისთვისაც უცხოა საკუთარი გამორჩეულობით კეკლუცობა და მედიდურობა.

ნუნუ დუღაშვილის პიროვნული მრწამსისა თუ შემოქმედებითი ესთეტიკის არსი თითქოს მისსავე გვარშია კოდირებული – აზრის, იდეისა და გრძნობათა დუღილი. მასში დუღს ემოცია, საზრისი, შეთქვეფილ – შედუღაბებულია სამშობლოს განცდა და სიყვარულის უზენაესი გრძნობა. ნუნუ დუღაშვილი – ესაა მღელვარე ძიებები, მიგნებები და ჭიდილი საკუთარ თავთან. ხოლო მისი შემოქმედება — ამაღლებული განცდებით აღვსილი სამყარო, რომელიც მელოდიური მღერადობითაა გაჟღენთილი და მაღალი ხელოვნების მადლით ბრწყინავს. გულში ჩამწვდომ ლირიკულ მხატვრულ სახეებთან ერთად მის სულსა და მუსიკაში ომახიანი და ვაჟკაცური სიმამაცის სულია ჩაბუდებული.

სწორუპოვარი ქართული ტრადიციული სიმღერისა და ამ ჟანრის სახელმოხვეჭილ შემოქმედთა ქვეყანაში ძნელია ჭეშმარიტი ოსტატის, პროფესიონალი მუსიკოსის სახელის დამკვიდრება და მაღალი გემოვნების მსმენელის აღიარების მოპოვება.

როგორც ცნობილია, ეროვნული ვოკალური კულტურის განვითარებაში უმნიშვნელოვანესია ქართველი კომპოზიტორების მძლავრი კოჰორტის წარმომადგენელთა, ქართული სიმღერის მესაიდუმლე ავტორთა – რევაზ ლაღიძის, სულხან ცინცაძის, არჩილ კერესელიძის, გიორგი ცაბაძის, ჯანსუღ კახიძის, ბიძინა კვერნაძის, გია ყანჩელის, ვაჟა აზარაშვილის, ნუგზარ ვაწაძისა თუ, ნოდარ გიგაურის, გურამ ბზვანელის, ნუნუ გაბუნიას, მარიკა კვალიაშვილისა თუ სხვათა შემოქმედებითი წვლილი.

ქალაქურ სიმღერებში მათ მიერ ტრადიციულისა და ახლის ორგანული სინთეზის საფუძველზე მძლავრად წარმოჩინდა ეროვნუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სამუსიკო აზროვნებისათვის ნიშანდობლივი ინტონაციურ-რიტმული თუ კილო-ჰარმონიული თავისებურებანი, რომელთა პროფესიული გააზრება მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა ამ ჟანრის წინსვლა-განვითარებისათვის. ნუნუ დუღაშვილმა ღირსეული სითამამით შეაბიჯა ქართული სიმღერის სავანეში და ხალხის ერთსულოვანი სიყვარული დაიმსახურა.

კომპოზიტორს „მშობელ მიწაში უდგას ფესვები" და მისი შემოქმედება ეროვნულ წიაღში იღებს სათავეს, თუმცა ტრადიციული ფოლკლორული პლასტები ცალკეული ციტატების სახით როდია მიმოფანტული მის მუსიკაში. იგი უარყოფს მექანიკური ნასესხობის პრინციპს, რაც ნათლადაა გამოვლენილი ავტორის მუსიკალურ ენასა და ხელწერაში, აზროვნების სპეციფიკურ სტილში, მხატვრულ სახეთა და გამომსახველობითი ხერხების ორიგინალურ მახასიათებლებში, მელოდიური ქარგის მრავალფეროვნებასა და მუსიკის ზოგადქართულ ხასიათში.

მის მუსიკაში ერთის მხრივ სოფლური მუსიცირების სინამდვილეში დაკრისტალებული არქაული ტრადიციები, მეორე მხრივ კი ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის ევასავლურ განშტოებად წოდებული სტადიალურად მკვეთრად განსხვავებული ისტორიული და გენეტიკურ-სტილური საფუძვლების მქონე ქალაქურ მრავალხმიან თუ ერთხმიან სიმღერათა ნაკადი აირეკლება. ეროვნულ აუთენტიკურ სამუსიკო-ენობრივ ლექსიკონში ჩაბეჭდილი თვითმყოფი ნიშანთვისებანი, თუ მოგვიანებით ჩამოყალიბებული მელოდიურ-ჰარმონიული კანონზომიერებანი შემოქმედებითად გარდაისახა და განზავდა კომპოზიტორის თანამედროვე ხელწერასთან.

ნუნუ დუღაშვილს შემოქმედებითი პოტენციალი უპირატესად ვოკალურ მუსიკაში, კერძოდ კი სასიმღერო ჟანრში გამოვლინდა. ამასთანავე მის კალამს ეკუთვნის ინსტრუმენტული ნაწარმოებებიც – პრელუდიები, საფორტეპიანო კონცერტი, სონატა, პიესა, ტელეგადაცემათა მუსიკალური ქუდები და ა. შ. კომპოზიტორი კინო-მუსიკის სფეროშიც მოღვაწეობს. იგი ავტორია მუსიკისა კინოფილმებისათვის: „სათაფლია", „რიონის ხეობა", „ქალაქი მთებში", „ციმბირელი პაპა", „ხსოვნა", მხატვრული ტელე-ფილმი „სექტანტები" და სხვა.

ნუნუ დუღაშვილის ვოკალური კომპოზიციები ეროვნული სულით, გულწრფელობითა და კეთილშობილებით გაჟღენთილი, მუსიკის ენაზე ამეტყველებული სიყვარულია. მისთვის ცხოვრება სიცოცხლისა და სიყვარულის უშრეტი ზღვაა, მაგრამ ამგვარი წარმოსახვა მარტოოდენ პოეტურ-მხატვრული აზრის დეკლარირებასა და პათოსში კი არ გადადის, არამედ ცხოვრებისეული მშვენიერებისა და სიყვარულის ფაქიზი შეგრძნების დამკვიდრების გზნებით, მრავალფეროვანი ფსიქოლოგიური ნიუანსებითა და დინამიკური კონტრასტებითაა გაჯერებული. ყოველივე ეს ძირითადი საწყისის — თვით ლირიკული განწყობის ნაირსახოვნებით მაღალზნეობრივი ხასიათის კონტექსტშია წარმოდგენილი. ასე, მაგალითად, იოსებ ნონეშვილის შესანიშნავი ლექსის მიხედვით შექმნილ სიმღერა-საგალობელს „ღმერთი სიყვარულისა" სრულიად უპირისპირდება განსხვავებული ენერგეტიკისა და ემოციური ტონუსის შემცველი „გადამრიე" (დავით დადიანის ლექსზე).

ნუნუ დუღაშვილის შემოქმედებითი კრედო და ზნეობრივი პრინციპები ასე იკითხება: ადამიანის ცხოვრება არარაობაა სამშობლოსა და უზენაესი სიყვარულის გარეშე. მის ლირიკას სხვადასხვა პოეტური ასპექტები აქვს.

მისი შემოქმედებითი იდეალი მამულისადმი – ამერ-იმერის – აჭარის, იმერეთის, კახეთის, გურიის, სამეგრელოს, საქართველოს დედაქალაქისა თუ სხვა ქალაქებისადმი მიძღვნილ სიმღერებში აისახება: „ქუთაისო, ქუთაისო" (ლექსის ავტ. ნუნუ დუღაშვილი და დავით კვიცარიძე), „იმერეთის ნიავო" (პეტრე გრუზინსკის ლექსზე), თუ „სიმღერა აჭარაზე" (ჯემალ ქათამაძის მიხ.), ან ბოლოხანს ნოდარ ჯალაღონიას მიხედვით დაწერილი „სამეგრელო".

სამშობლოს სიყვარული მას არავისგან ესწავლება: „გვიყვარდეს საქართველო მეტად, უფრო მეტად... სიცოცხლეზე მეტად"

– კომპოზიტორის ეს შემართება დიდი მხატვრული ძალითაა გაცხადებული სიმღერაში „გვიყვარდეს საქართველო" (იოსებ ნონეშვილის ტექსტზე). ყოვლისმომცველია მისი სიყვარული სამშობლოსადმი სიმღერაში „ქართულო მიწავ" (მიხეილ ქვლივიძის ლექსზე): „თურმე რამდენი სიმღერაც მითქვამს, სულ ყველა შენთვის დამიმღერია."

მაგრამ განსაკუთრებული საფიცარი მაინც კახეთი და მშობლიური ქიზიყია, ამ დალოცვილი კუთხის სადიდებელ ნაწარმოებად იქცა იოსებ ნონეშვილის ლექსზე შექმნილი „ჰიმნი კახეთს" სადაც განსაკუთრებული მკაფიოებით გამომჟღავნდა მისი სწრაფვა ამაღლებული საწყისის, უძლეველ მამა-პაპათა გმირობის განდიდებისაკენ. მასში ქართული სამუსიკო ფენომენის განმასახიერებელ ანონიმ-ავტორთა შემოქმედებითი პოტენცია და გმირ წინამორბედთა რაინდული სულია ჩაქსოვილი. კონსტრუქციული თვალსაზრისით იგი ბურდონული მრავალხმიანი სიმღერების ტიპობრივ საგუნდო სპეციფიკას ეხმიანება. სიმღერის ფაქტურაში აისახება მელოდიური ორნამენტულობის გამოყენების პრინციპი, თუ სასიმღერო პროცესის აღმავალი დინამიკა და „მონუმენტალიზმისაკენ" სწრაფვა. სოლო-იმპროვიზაციული საწყისის მთელი სისრულით გამოვლენას ერწყმის კახური „სუფრულების" დეკლამაციური ეპიზოდებისათვის დამახასიათებელი ჰანგისა და პოეტური ტექსტის იდენტური თანაფარდობა. ეს ნაწარმოები პოეტურ-მუსიკალური აზრის დატვირთულობითა და მხატვრულობის ხარისხით ლამის ხალხურობამდე მაღლდება.

მუსიკალური წარმოსახვის სრულიად განსხვავებულ საშუალებებს ემყარება სიმღერების ჯგუფი („იმერეთის ნიავო", „სიმღერა ქუთაისზე" და სხვ.), რომელთა მუსიკალური ენა ჰარმონიული სტრუქტურისათვის ნიშანდობლივი აკორდული ჩარჩოებით, მკვეთრად ჩამოყალიბებული მეტრო-რიტმული საწყისით ერთგვარად ენათესავება ქართული ქალაქური ლირიკული სიმღერის მოდელს. ამ უკანასკნელის ტიპურ თვისებებს ვოკალური ხაზის მელოდიური მღერადობა და მწყობრი სისადავე წარმოადგენს. ქალაქურ მელოდიასთან სიახლოვის მიუხედავად კომპოზიტორი ახალ მხატვრულ-ესთეტიკურ შეფერილობას სძენს თავის ნაწარმოებებს და მარტივი, მაგრამ ოსტატურად მიგნებული შტრიხებით მის ტრანსფორმაციას ახდენს, რითაც თავს აღწევს კიდეც ქალაქური სიმღერის არტახებს.

ნუნუ დუღაშვილი ოცნების, მგოსნების ქალაქ თბილისისა და მის მრავალეროვან მკვიდრთა ტრფიალია. დედაქალაქისადმი მიძღვნილი სიმღერებით მან მხარი დაუმშვენა მის მეხოტბე რჩეულ ხელოვანთ. ამ სიმღერათა ციკლი ე.წ. თბილისურ ალბომში გაერთიანდა. ამჯერად კომპოზიტორისათვის შთამაგონებელ წყაროდ იქცა აღმოსავლური კოლორიტით შეფერილი თბილისური მოტივები, რომელიც ქარტული ქალაქური სამუსიკო ფოლკლორის ასევე მნიშვნელოვან შენაკადს წარმოადგენს.

ეს ვოკალური კომპოზიციები მხატვრულ სახეთა და გამომსახველობითი ხერხების ოსტატური გამოყენებით, კონტრასტულად გააზრებული მუსიკალური ქსოვილით, შინაგანი დრამატიზმით, მშფოთვარე ცხოვრებისეული რიტმითა და ფერადოვანი ჰარმო-

ნუნუ დუღაშვილი, უცნობი, გიზო ნიშნიანიძე, დონარა კინწურაშვილი



ნუნუ დულაშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, ნათია ამირეჯიბი

ნიული ენით ხასიათდება. მათი უმრავლესობა მუსიკისმოყვარულთა ერთსულოვანი მოწონების საგნად იქცა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მგზნებარე „თბილისო სიყვარულო" (მორის ფოცხიშვილის ლექსზე), თუ „მე თბილისის მოტრფიალე ვარ" (ნიაზ დიასამიძის ლექსზე), ანა კალანდაძის პოეტურ სტრიქონებზე შექმნილი კოლორიტული „არაბი ხარ", თუ ქალაქური რიტმიკით აღბეჭდილი „თათრის გოგონა". გალაკტიონის მიხედვით შეთხზული სიმღერის „გადმოფრენას ეს ყორანი მადათოვზე აპირებს" ბა-ათისებური მელოდიები აშუღ საიათნოვას „დაჟანგულ" ჰანგებს ეხმიანება და ძველი თბილისის სურათებს ხატავს. ასევე გამოვარჩევდით სიმღერებს „აღარ მიყვარხარ" (იოსებ გრიშაშვილის ლექსზე), „აქ ხარ, აქ ცხოვრობ, აქ მეგულები" (მიხეილ ქვლივიძის ლექსზე), თუ ნათან ბააზოვის ლექსის მიხედვით დაწერილ „სოლოლაკს" (თეიმურაზ ჯანგულაშვილის თარგმანი) და სხვ.

ნუნუ დულაშვილის ლირიკა გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, იოსებ ნონეშვილის, მურმან ლებანიძის, მორის ფოცხიშვილის, ანა კალანდაძის, მედეა კახიძის, დოდო გვიშიანის, დავით კვიცარიძის, ნიაზ დიასამიძისა თუ სხვათა პოეზიით საზრდოობს.

საგულისხმოა, რომ შემოქმედებითი მოღვაწეობის პარალელურად ნუნუ დულაშვილი პედაგოგიური საქმიანობითაცაა დაკავებული. წლების განმავლობაში იგი ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტეს პროფესორი იყო. ამჟამად კი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიაში (ყოფილი ნიჭიერთა ცენტრალური ათწლედი) კომპოზიციის კლასის მუშაობას წარმატებით უძღვება.

მას არაერთი ახალგაზრდა კომპოზიტორი ჰყავს გამოზრდილი. წლების მანძილზე იგი საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის მუსიკალურ გაფორმებათა განყოფილების უფროს მუსიკალურ რედაქტორად, უფრო ადრე კი საქართველოს ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიის უფროს მუსიკალურ რედაქტორად მუშაობდა.

ნუნუ დულაშვილი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი და თბილისის საპატიო მოქალაქეა.

მას ჯერ არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობანი. შთაგონებულ ხელოვანს შემოქმედებითი სიმწიფის ჟამი უდგას. ხალხის სანუკვარი სიმღერების ავტორი და მათი უპირველესი, ნიჭიერი ინტერპრეტატორი მსმენელის სიყვარულითაა დაფასებული.

განგება და ნუნუ დულაშვილის მუზა არ ინებებს დადუმებას ჰანგებისა, რომელთაც ქართველი ხალხის სიყვარულმა დღეგრძელობა დააკვება.

ნათელა ასოვრაძე

სანახაობა და ხრიტიკოსის შინაგანი მონოლოგი

სპექტაკლის შეფასებისათვის ყოველ კრიტიკოსს, გარდა ობიექტური ღირებულებებისა, სუბიექტური კრიტერიუმიც გააჩნია. თუ წარმოდგენის შემდეგ ფიქრით ხშირად ვუბრუნდები მას, ხშირად თუ დამიდგება თვალწინ ცალკეული ეპიზოდები და დეტალები, მით უფრო, როცა რამდენიმე დღე მასზე ფიქრი მოსვენებას მიკარგავს — რაღაცით გამორჩეული, მნიშვნელოვანი ყოფილა სანახაობა. ვუღრმავდები პირველ შთაბეჭდილებას, ასოციაციური ნაკადის სიმახვილეს და ვცდილობ მივაკვლიო, მაინც რითია დადგმა საგულისხმო ნამუშევარი, დამდგმელი გუნდის ნიჭიერების, ოსტატობის, მსოფლშეგრძნების გამომხატველი ქმნილება? ლევან წულაძის სპექტაკლმა „ქალი ძაღლით“, ანტონ ჩეხოვის მოთხრობის ინტერპრეტაციით შექმნილმა დადგმამ, მთელი კვირაა მოსვენება დამიკარგა. დროდადრო ვუბრუნდები მასზე ფიქრს და სრულიად ნათლად შევიგრძნობ რეჟისორული თეატრის მთელს მონაპოვარსა და დანაკარგს. ამ პრობლემას ვუკირკიტებ ბოლოხანს, თანამედროვე რეჟისორთა მიგნებებისა და მარცხის ანალიზით ვცდილობ გავაცნობიერო რეჟისორული თეატრის ავ-კარგი, მიმდინარე სათეატრო პროცესის ძირითადი ტენდენციის მიკვლევით კი — მომავლის სასცენო ხელოვნების მოუხელთებელი პერსპექტივა წარმოვაჩინო. ახლა მხოლოდ ორიოდ საკითხის თაობაზე გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებას, რადგანაც სანახაობა, უთუოდ, ბადებს მასზე საგულდაგულო მსჯელობის მოთხოვნილებას, დამდგმელ გუნდთან, განსაკუთრებით რეჟისორთან გასაუბრების სურვილს.

სპექტაკლის მსვლელობისას, რასაც განსაკუთრებით შევიგრძნობდი, ეს იყო — ნოსტალგია. მაწვალებდა ფიქრი — რის მიმართ გაუჩნდა რეჟისორს ნოსტალგია, ტკივილი? რამდენიმე ეპიზოდის გათამაშების შემდეგ მენიშნა, რომ ეს ნოსტალგიაა ადამიანური ურთიერთობების, ბუნებრივი კავშირების, ურთიერთლტოლვის გაცხადების მიმართ, ეს — სულთა თანახმიერებისაგან გაუცხოების გამო აღმომსკდარი სიმძიმილია. ეს ყველაფერი კი ბადებს საზოგადოების ურთიერთშეუსმენლობას, ადამიანის მარტოობისათვის გაწირვას, შინაგან ქაოსსა და აგრესიას, სარკაზმამდე მისულ ირონიასა და მაინც ფიზიკურ ტკივილს, გულისტკივილსა და სულის კვნესას დაკარგული დროის, გაცვეთილი გრძნობის, დამხობილი ცხოვრების მიმართ. ფიქრი, სევდა, იუმორი, თბილი ირონია უახლოვებს ერთმანეთს მწერლის პათოსსა და რეჟისორის ხედვას. მოთხრობა რეჟისორისათვის საკუთარი ხილვების სასცენო რეალიზაციისათვის მხოლოდ ბიძგი აღმოჩნდა, მასზე ამოიზარდა რეჟისორული ხედვის სუბიექტურობა. ზედმეტად მიმაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ყოველ მკითხველს თავისი ჩეხოვი ჰყავს, ისევე, როგორც ნებისმიერი მწერალი! მათი პერსონაჟების საკუთარი ხედვა გააჩნია, მით უფრო ხელოვანს. რეჟისორული თეატრი, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, აღარ ცდილობს ყოველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიესას, პროზას, სცენარს მხოლოდ მისთვის განკუთვნილი „გასაღები მოარგოს“, ან ტექსტის პედანტური ერთგულებით შექმნას ადეკვატური ამბავი. დღეს რეჟისორი ისევე ექცევა ტექსტს, როგორც შეყვარებული და ჟინიანი ეგოცენტრიკი თავის სატრფოს: უყვარს და იმორჩილებს, უყვარს და ძალადობს, უყვარს და ძარცვავს.

ლევან წულაძემ თავისი ჩეხოვი, საკუთარი მსოფლშეგრძნებით „წაკითხული“ ტექსტის საკუთარი ვერსია წარმოგვიდგინა.

***

ხშირად დავფიქრებულვარ, რომ ჩეხოვი — ანტოშა ჩეხონტედან დაწყებული, ანტონ ჩეხოვით დასრულებული, სევდიანი იუმორით, ტაქტიანი გაკენწვლით, უსაშველო მღელვარებით, ჟინიანი სიცილით ეთხოვებოდა XIX საუკუნეს. მწერალი უმდიდრესი გუმანით, მახვილი მზერითა და გამჭრიახი ინტელექტით ჭვრეტდა პერსპექტივას — XX საუკუნის პრაგმატულ ავბედითობას. უთუოდ გრძნობდა: პროზოროვები, გუროვები, ასტროვები, რანევსკები ქარწაღებულებივით რომ სტოვებდნენ სუსხიანი ეპოქის ასპარეზს და დრო-ჟამის დაუნდობელი, მსახვრალი ხელით მის კარიბჭესთან იყვნენ მიჭყლეტილები. ჩეხოვი ნათელი გონებით, მშფოთვარე გრძნობით, გამჭრიახი თვალით შეჰყურებდა ცხოვრების ავანსცენიდან კულისებში გამორიყულ ინტელიგენციას, მის ადგილს კი ვერც ახალი ეპოქის რამპასთან ჭვრეტდა, იგი ღიმილით, სევდით, იუმორით, ზოგჯერ სარკაზმამდე მისული ირონიით წარმოსახავდა დროის მატარებელს ჩამორჩენილ ადამიანებს, აღელვებდა მათი ბედი, მაგრამ ბრაზიც ერეოდა, როცა ხედავდა მათს უნიათობას, არაადეკვატურ მოქმედებას. ჩეხოვი ეთხოვებოდა XIX საუკუნეს კაეშანითა და ტკივილით გათანგული, ღიმილითა და ექსცენტრიკის ნაზავით აღვსილი. ის ეთხოვებოდა არა მარტო მარტოსულობის სასოებით გათანგულ ადამიანებს, არამედ იმ კულტურულ ნაშრევსაც, კულტურის ნაფეხურებსაც, რასაც ისინი ტოვებდნენ არა მარტო რუსეთის ხრიოკ, მოუსავლიან თუ გაპოხიერებულ მიწაზე, არამედ ცივილიზაციის მთელს დიამეტრზეც...



ასე მგონია, თავისი სპექტაკლებით ლევან წულაძეც ემშვიდობება XX საუკუნეს, მარტოობის ავბედითობით მოშთობილ ადამიანობას, ბუნებრიობას, გულმხურვალებას. ლევანი უკვირდება და გვიჩვენებს თავქარიან, დროსტარების ოხშივარში ჩაქცეული ქართველობის ნაწილს, იმ საუკუნეში ჩარჩენილ ინტელექტუალებს, უაღრესად პრაგმატული დროების რიტმს, დროის მატარებელს ამაოდ ადევნებულ, წიგნთან დამოყვრებულ სწავლულებს, ეპოქის მოდერნულ „კვაჭებს“ და მათ შემყურე გაოგნებულ ანტიპოდებს — გულჯავრიან პატრიოტებს. ლევან წულაძე ცნობისწადილით, სევდითა და იუმორით, პრაქტიკოსის დაჟინებული მზერით ეთხოვება იმ კულტურას, სულის ფსკერზე იმ დალექილ გულისწუხილსა თუ გაუცნობიერებელ იმედიანობას, იდეასა და თავისუფლების მოლოდინს, მთელი საუკუნე რომ დარაჯობდა მისი სამშობლო. პოსტინდუსტრიულმა სამყარომ უსულგულობის კულტივირებივით სიტყვა — ეროვნულის მიმართაც კი კრთომით, პატრიოტი და წიგნიერი თაობა მოისროლა ავანგარდის სტატუსიდან, როგორც გამოუსადეგარი ნალექი.

ლევან წულაძე ეთხოვება იმ საუკუნეს, რომელმაც ინტელექტის კულტიც შექმნა,

ჩვენში კი ფსევდო ღირებულებები დააფუძნა, ამით კი მოაშთო და გარიყა „გულის თვალით“ მხედველი ადამიანები, ჭოგრიტის ახლო და შორი ხედვის „მონაცვლეობით“, რეჟისორმა წარმოაჩინა ტექნიკურ მიგნებათა ტოტალურ რიტმსა და „ფხიზელ გონებას“ ჩამორჩენილი თაობების ფერმიხდილ სახეზე გამოსახული ადამიანის გამოაგნებელი მიუსაფრობა. ასე მგონია, ეს „ხედვა“ წარსულში და მომავლის წინაშე ამ პერსონაჟთა კრთომის დაუძლეველი სიმძიმილის წარმოჩენაა ის მუხტი, რომელმაც ბიძგი მისცა მას წარმოედგინა ჩეხოვის პროზის თავისუფალი ინტერპრეტაცია. ამ უსულგულო და კაპიტალის კულტს დამონებული, მკაცრი რეალობის დაკვირვებული ხედვითა და მის გულისგულში შეღწევის უნარით, ლევან წულაძე დაეძებს ადამიანურ ურთიერთობათა, სამყაროს წრებრუნვის მიმართ პასუხისმგებლობისა და გულწრფელი შეფასების იმ მუხტს, რომელსაც ძალუძს იხსნას კაცობრიობა შინაგანი გამყინვარებისაგან. ამიტომაც იქცა ჩამუქებულ, უსახო სტუმართა წიაღიდან სინათლის სხივით გამოკვეთილი გუროვის — ნიკა თავაძის აღსარება — მონოლოგი სანახაობის მნიშვნელოვან მოვლენად. უქმად, უსახურად, უმისამართოდ განვლილი ცხოვრების წინააღმდეგ ამხედრებული გუროვი, იმაზეც მოუწოდებს დარბაზს — თითოეული და ყველა ერთად რომ დავფიქრდეთ მაინც, რა არის ადამიანის ამქვეყნად მოვლინების დანიშნულება, მისი ცხოვრების აზრი და მიზანი. ამ მინიატურულ სანახაობას ასეთი დატვირთვაც შეაძლებინა რეჟისორმა.

***

შავი ფარდები, თეთრი ქვიშა და ქათქათა თოვლი, რამპასთან მინიატურული ლიანდაგი და მატარებელი, სიღრმეში მინიატურული ვენური სკამი და კიბე, რიკულებიანი მოაჯირით. მერე გამოჩნდება გრძელი შავი მაგიდა, ციცქნა აივანი, მერე და მერე გაჩნდება დაგმანული ფანჯარა და მკვრივად ნაგები ნაცრისფერი მესერი, გაურღვეველ კედელს რომ გვაგონებს, და გუროვის რეპლიკაც ქვეტექსტითაა დახუნძლული: როგორ შეიძლება ამ მესერის იქით ცხოვრებაო. გაურღვეველი რეალობა, დადგენილ ფაქტად ქცეული გარემო, გზნებას მოკლებულ ურთიერთობებს შორის იალტის მინიატურული, ცნობილი ქათქათა შუქურაც კი ღიმილთან ერთად ტკივილსაც ბადებს... ეს ხელშეუხები რეალობა, ერთგვარად, საკანის შთაბეჭდილებასაც ქმნის, სადაც დამსვენებელთა მექანიკური მსვლელობა და დადგენილი დღის გრაფიკი, ისევე თრგუნავს ადამიანს, როგორც სატუსაღოს საგულდაგულოდ დაგმანული ფანჯარა, კარები, მესერი. შესაძლოა, ამიტომაცაა ანას კაბაც ზოლებიანი ქსოვილისაგან შექმნილი. ტუსაღს ჩამოგავს მისი ფიგურა (სცენოგრაფია ეკუთვნის თავად რეჟისორს, ხოლო კოსტუმებისა და თოჯინების ავტორია ნინო ნამიჭეიშვილი).

ამ უდრტვინველი გარემოს შემყურეს, ამ „დადგენილი“ წესრიგის კულტის მჭვრეტელ მაყურებელს აღარც ეუცხოება ანას რეპლიკა — „ჩემი ქმარი ლაქიაა“. გარემო, რომელმაც ლაქიები მოამრავლა, გარემო, რომელიც ლაქიების გულმოდგინე მსახურებაზეა დაფუძნებული, გარემო, სადაც ლაქიები ეპატრონებიან კოხტა, მაგრამ მიუსაფარ მანდილოსნებს — ბოლოს სატუსაღოდ იქცევა და ისევე ანადგურებს ადამიანს, როგორც მოძალადე მომხდური. ეულად კრთის ომახიანი სიმღერისა (თეთრგვარდიელები გავანადგურეთ, წითელი არმია უძლეველია) და უხეში ჩექმების ბრაგუნის ფონზე, ცხოვრების ფსკერზე აღმოჩენილი პროფესორის — ბესო ბარათაშვილის სულის კვნესა: „რა უქენით ჩემს ქვეყანას, რა უქენით ჩემს ცხოვრებას!“ მაგრამ შემსმენელი არავინაა ამ შმაგი გრუხუნით, ტყვიამფრქვევის კაკანით, სირენის გამაყრუებელი წივილით დაგეშილ გარემოში. ეს უკვე ჩვენი რეალობის ექოცაა, სულს რომ უფორიაქებს ლევან წულაძეს.

სანახაობა მოფიქრებულია, რეჟისორული გადაწყვეტა — სახიერი, ჩანაფიქრი რეალიზებულია მეტაფორათა სისტემით. არაერთი მიგნება გვიჩვენებს მოვლენის არსს, მიგვანიშნებს ქვეტექსტის ქვეტექსტზე, წარმოსახვის ამბივალენტობაზე, ადამიანური ვნებებისადმი ფაქიზ მიდგომაზე. სანახაობა ადამიანის ღირსების გრძნობაზეც, ღირსების დაცვის მნიშვნელობაზეც დააფიქრებს მაყურებელს. ლაქია და ღირსება — ურთიერთგამომრიცხავი „სიდიდეებია“ და მათი ერთ სიბრტყეზე არსებობა შეუძლებელია! სიფრთხილით გვამცნობს რეჟისორი და თვალწინ დაგიდგება ორი მოხუცი თოჯინა — ადამიანივით რომ ჩამომსხდარან პარმაღზე და დრო მზესუმზირის კვნეტით გაჰყავთ. მერე კი გონე-

ბაში „ამონტაჟებ“ ამ პატარა მინიატურასა და გუროვის ამბოხს უმაქნისად გატარებული ცხოვრების გამო, ხვდები: როგორ ემსგავსებიან თოჯინები ადამიანებს! თოჯინა ადამიანის დუბლიორი ხდება!

სანახაობა საგულისხმოა თოჯინებისა და მსახიობების „ურთიერთობით“, რეჟისორული ჩანაფიქრის გამიზნულობით. აქ, თითქოს, ჭოგრიტის შემწეობითაა მიღწეული თანაფარდობა; ახლო ხედისა — მსახიობების თამაშისა, და შორი ხედისა —მათი წარმოდგენა თოჯინების სახით. ახლო ხედის მყისიერი ცვლილება შორი ხედით, ანუ მსახიობების შეცვლა თოჯინებით და პირიქ-



ით, თავად მოვლენას წარმოადგენს ორი განზომილებით — ნატურალურად და დისტანციით, რათა უკეთ შევძლოთ მოვლენის არსში გარკვევა. ამგვარი სვლა იუმორსაც ბადებს და ტექნიკური შესაძლებლობების (თოჯინების ტარების) დემონსტრაციასაც თვალნათლივ ახდენს, ეს ორმაგი ამოცანა ემსახურება თავად მოვლენის ამბივალენტობის გააზრებასა და შეცნობას, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვნად წარმოაჩენს მაყურებლის, როგორც „თანაშემქმნელის“ როლს, მის უნიკალურ მდგომარეობას სათეატრო ორმხრივი კომუნიკაციის აღმოცენებისათვის. ადამიანური ურთიერთობები, „ფსიქოლოგიური“ სვლები, შინაგანი სისავსე, თითქოს მსახიობებისაგან „გადაეცემათ“ თოჯინებს და სცენაზე იქმნება გასაოცარი ტანდემი ცოცხალ მსახიობებსა და „უსიცოცხლო“ მსახიობ — თოჯინებს შორის, ამის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა მეთოჯინეების ოსტატობა: მალხაზ გაბუნია, ზურაბ გაგლოშვილი,

მეგი ელბაქიძე, თეონა კიწმარიშვილი, გია მარღანია, ნინო ნამიჭეიშვილი, მაია სულხანიშვილი ამ სანახაობის თანაშემქმნელები არიან, იმდენად დიდია მათი წვლილი არა მხოლოდ თოჯინების ტარებისათვის, არამედ განწყობის შექმნისა და სასცენო სახიერების წარმოქმნა-გამართლებისათვის.

თავად თოჯინებია სინატიფითა და მახვილგონიერებით შექმნილი, მათში გამოკრთის აღმოსავლური მოტივიცა და დასავლური კულტურაც. მათი მოძრაობები, რიტმი, რეალური ყოფისათვის დამახასიათებელი დეტალები იმდენად ცოცხლად წარმოგვიდგენენ ყოფას, ურთიერთობებს, ადამიანთა მწუხარებას, მარტოობის კაეშანს, ურთიერთლტოლვას, რომ ზოგჯერ იშლება კიდეც სადემარკაციო ხაზი რეალურ პერსონაჟებსა და მათს მინიატურულ „დუბლიორებს“ შორის. სიცოცხლე უსიცოცხლო თოჯინურ სხეულში და უსიცოცხლო გარინდება ცოცხალ პერსონაჟებში — ეს ორმხრივი თამაში, ეს რეალობისა და მირაჟის მონაცვლეობა ქმნის აღმაფრენის იმგვარ საოცრებას, პოეტს რომ ათქმევინებს: „ფრთები, ფრთები მინდა!“. სულიერი ექსტაზის გრაფიკული წარმოჩენაა რეჟისორის მიგნება დაგვანახოს თოჯინების სურვილი, მათი „ნებადაუნარი“ ცის კაბადონზე გაჭრისა, ყოფაზე ამაღლებისა, ფრენის მოთხოვნილებისა და ამის შემწეობისა. თოჯინები ამგვარ სურვილს რეალობად აქცევენ, მსახიობების სურვილი კი არარეალიზებული რჩება. ფრთები, ფრთები მინდა — ერთ შემთხვევაში რეალიზებული სურვილია, მეორე შემთხვევაში



ცისფერი ოცნებაა, განუხორციელებელი ლტოლვაა თავისუფლების განცდისადმი. თოჯინები ასაფრენად მზად არიან, ეს მათი პრეროგატივაა. ადამიანი „მიჯაჭვულია" ბინაზე, ყოფაზე — მოვალეობით, პრაგმატული სულისკვეთებით, ფრთამოტეხილი ოცნებით. ეს „კონტრასტი" — პერსონაჟების ცის კაბადონზე ნავარდის სურვილსა და თოჯინების რეალიზებულ ოცნებას შორის, იუმორთან ერთად ფიქრიან კაეშანსაც ბადებს, რადგანაც „უსულო" არსებების პრიორიტეტს წარმოაჩენს „სულიერ" არსებებთან შედარებით. ეს „სუბიექტთა" ურთიერთობა, ეს კონტრასტი, ეს ნამალავი „შეჯიბრი" კიდევ უფრო აძლიერებს ცხოვრების „ფილოსოფიური" აღქმა-შეფასებისადმი ჩვენს მიდრეკილებას — ვაი, რომ თოჯინების პირველობაა წარმოჩენილი ამ „სუბიექტთა შეჯიბრით", უფრო სწორად მათი თანახმიერი თანაარსებობით.

ამ ამაღლებისა თუ ზნეობრივი დაცემის წამისყოფით მიღწეულია ადამიანისა და თოჯინის, ამ პირველქმნილი, შეურყვნელი თამაშის იმგვარი ერთიანობა, რომელმაც სულის სიღრმემდე შემძრა. ერთ თოჯინას სამი მეთოჯინე დაატარებს, თოჯინა თვინიერად ემორჩილება მათ გაწვრთნილ მოძრაობებს. თოჯინებს, თითქოს სწამთ და ჩვენც გვარწმუნებენ, რომ ისინი თავისუფლად გადაადგილდებიან სცენურ სივრცეში. უკვირდები მათ ნაცნობ მოძრაობებს, ღიმილს იწვევს მათი ადამიანებისადმი წამხედურობაც და „აღმოაჩენ", რომ ადამიანსაც თოჯინასავით „დაატარებს" ვიღაც (იქნებ, განგება?). ადამიანიც ასე „ადვილად" დააბიჯებს დროსა და სივრცეში ვიღაცის გაწვრთნილი ხელით (იქნებ, განგების?). იქნებ, ადამიანსაც ჰგონია, რომ თავისი ნებით აღმოჩნდება ხან სამხრეთში, სადაც თბილა, ხან იქ, სადაც სუსხი ძვალსა და რბილში ატანს. დამთრგუნველი ყოფა და ადამიანთა ურთიერთშეუსმენლობა ძირს, მიწაზე ანარცხებს ადამიანს. სანახაობის შავ-თეთრ სივრცეში კი მკაფიოდ კრთის დამდგმელის სურვილი და სწრაფვა იქ, ზევით, ცის კაბადონზე გაჭრილი იხილოს ღირსებით ამაღლებული ადამიანი... თოჯინები სულ მაღლა — მაღლა აჭრას ლამობენ, სურთ ღირსეულად გადალახონ თავიანთი რუბიკონი და ისევ ჩაგესმის პოეტის შეძახილი — „ფრთები, ფრთები მინდა!"

სანახაობას ოთხივე სტიქია მოჰყავს მოძრაობაში — მიწა, ცეცხლი, ჰაერი, წყალი. მათ რეჟისორი რიტუალური და ყოფითი დანიშნულებით წარმოაჩენს. პერსონაჟები მიწაზე სხდებიან, წვიმა ასველებთ, წვავენ ქაღალდს, სუსხიანი ქარი აფრთხობთ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს ოთხივე სტიქიაც „მოძრაობაში მოჰყავს" ვიღაცის გაწრთვნილ ხელს (იქნებ, განგების?). ერთი კია, ოთხივე სტიქიის მოქმედება ვერ შეეტოლება ადამიანის შინაგან სამყაროში ჩაბუდებულ, ამოძრავებულ და ამოფრქვეულ ლავას, რომელსაც ტრფობა წამებული ჰქვია. ამაზეც დამაფიქრა დადგმამ...

***

რაგინდ მიმზიდველი, სახიერი, ღრმა არ უნდა იყოს სანახობის წმინდა სადადგმო კულტურა, ის მაინც ვერ შეეტოლება საშემსრულებლო ხარისხს. ნებისმიერი სპექტაკლის მშვენება, სამკაული და გვირგვინი სამსახიობო ნამუშევარია. ამ თვალსაზრისითაც საგულისხმოა წარმოდგენა. ოთხი მსახიობია დაკავებული.

ნიკა თავაძე თამაშობს არარეალიზებული, ყოფის ჭაობში ჩაფლული, განადგურებული ინდივიდის დრამას. დრო შლის მისი ინდივიდუალურობის ნიშანწყალს და ამას სიმძაფრით წარმოაჩენს მსახიობი. ჩვენს

თვალწინ იშლება პიროვნება, ნადგურდება მისი სულიერი სამყარო, ერთფეროვანმა და დამთრგუნველმა ყოფამ, უსიყვარულო ქორწინებამ, პროზაულმა საქმიანობამ ჩაახშო მასში სულიერებით ცხოვრებისადმი მიდრეკილება, ყმაწვილკაცის თავისუფალი ნავარდის მოთხოვნილება და ტრფობის სიმხურვალის რომანტიკული განცდის უნარი. ამ პროცესს გვიჩვენებს მსახიობი მოფიქრებული, გააზრებული, ზუსტად გათვლილი საქციელთა რიგით, პლასტიკური მონახაზის დახვეწილობით, გრძნობათა ზომიერი დუღილითა და შინაგანი სისავსით. რეჟისორული გადაწყვეტის სიღრმითა და მსახიობური შესრულების სიმძაფრით გამოირჩევა გუროვის „აღსარება — ამბოხის" ეპიზოდი. ძალზე მომგებიანად და სახიერად არის ჩაფიქრებული და შესრულებული ე.წ. ნადიმის სცენა. „უპიროვნებო" საზოგადოება წარმოდგენილია მხოლოდ ხელების მოძრაობით, მანერული მეტყველებით, არაფრისმთქმელი ფრაზების გაელვებით. შავი ფარდების ფონზე მხოლოდ ჭიქები, თეფშები, დიდი თუ პატარა ზომის ლანგრები მოძრაობენ. ამ საერთო გნიასით „წამოიშლებიან" მონადიმენი, არეული მაგიდა, მიყრილი ნივთები უმაქნისი ყოფის დეტალებია და სინათლის ჭავლი გამოჰყოფს გუროვს. მსახიობმა დრამატული შესრულების ძალითა და გულწრფელი განცდის სიმახვილით წარმოსთქვა მონოლოგი უქმად განვლილ ცხოვრებაზე. ძუნწი, არაეფექტური გამოსახვის საშუალებები სრულად წარმოაჩენენ ოდესღაც იმედიანი მიჯნურისა და მომხიბვლელი ყმაწვილკაცის სულიერ შეჭირვებას. აშკარაა, რომ მისი სახით თეატრმა შეიძინა ღრმა განცდისა და იმპროვიზაციული თამაშის უნარით დაჯილდოებული მსახიობი. მიხარია, რომ ნიკა თავაძე ჩვენს თვალწინ ამდიდრებს საშემსრულებლო არსენალს, როლიდან როლში ასე იხვეწება მისი თამაში, მას გააჩნია უნარი სხვადასხვა თამაშის წესით ორგანულად წარმოაჩინოს პერსონაჟის სასცენო ამბავი. საამისოდ მისი ობერონიცა და გუროვიც საკმარისია რომ გავიხსენოთ.

ნანკა კალატოზიშვილი (ვისურვებდი, რომ პროგრამაში მსახიობების სრული სახელი იყოს მითითებული) გამოირჩევა პიროვნული კულტურით, სცენური მიმზიდველობით, წრფელი განცდის წარმოჩენის უნარით, სასცენო თავისუფლებით. ჩემი ფიქრით, ამ როლის თამაშით ნაწილობრივ მაინც დაძლეულია მსახიობის მეტყველების ნაკლოვანებები. მას ახასიათებს სწრაფი ლაპარაკის მანერა, როდესაც წინადადების ბოლო სიტყვა, განსაკუთრებით ბოლო მარცვალი „ჩაიყლაპება" ხოლმე. ასეთი ლაპარაკის მანერას „უდიერ მეტყველებას" შევარქმევდი, რასაც წინათ მაყურებლისადმი პატივისცემის ნაკლებობად სთვლიდნენ. მსახიობს, უთუოდ, მართებს ამ მხრივაც გააგრძელოს საკუთარ თავზე მუშაობა, რათა აიმაღლოს მეტყველების კულტურა. რაც შეეხება ანას როლს, მსახიობის თამაშის ძირითად ბგერად მივიჩნევდი მის მიუსაფრობას, შინაგან წესიერებას და გულისტკივილს „ლაქიას" რომ გაჰყვა ცოლად. ხასიათის ამ ძირითად მელოდიას დაფიქრებითა და ლაკონური გამოსახვის ფორმით გადმოგვცემს მსახიობი, იმასაც წარმოაჩენს — უღიმღამო, პროვინციულ ყოფას ტუსაღივით რომ ემორჩილება მისი ანა, რომელიც სხვა პლანეტისა და საინტერესო ცხოვრებისთვის გაჩნდა ამქვეყნად.

ბესო ბარათაშვილი წარმოგვიდგენს ცხოვრების ავანსცენიდან გარიყულ „ინტელექტუალს". მსახიობი დინჯად, დაკვირვებით, გულწრფელი განცდით ახდენს არა პროფესორის „ბრწყინვალების" დემონსტრაციას, არამედ წარმოსახავს ხელმოცარული „მოაზროვნის" ფსკერზე დაშვების სიმძიმილს. მსახიობს უნარი შეს-

ხევს მნიშვნელოვან ფიგურად აქციოს ეპიზოდური როლიც კი. ნატა კახიძის გამოსახვის საშუალებები მკვეთრია, მსახიობი წარმოგვიდგენს პროვინციელი ენაჭარტალა, პრაგმატულ, მაგრამ კარგ ცხოვრებაზე მეოცნებე ქალსაც. ის თამაშობს დაჯერებით, რეჟისორის მიერ მოფიქრებული და დადგენილი ფორმის ერთგულებით. საერთოდ, საინტერესოა პერსონაჟების პლასტიკური მონახაზი, თოჯინებისა და მსახიობების „შეთანხმებული" გარეგნული პარტიტურა, გია მარღანიას დამსახურებაცაა ასე მოხდენილად რომ მოძრაობენ მსახიობები, სახიერი დეტალით რომ წარმოაჩენენ მოვლენის არსს. აქ იშვიათად ცეკვავენ, მაგრამ მოძრაობაშია ჩაქსოვილი ცეკვის ილეთი, რომელიც თვალსაჩინოს ხდის ადამიანთა ურთიერთობის პროცესს. რად ღირს თავად გია მარღანიას, მომლხენი ყარაჩოღელის ერთი გავლაც კი, აღარას ვამბობ დამსვენებელთა „ჯოგურ მსვლელობაზე", რომელშიც ჩაქსოვილია მექანიკური ცხოვრების უფერულებაცა და მწირ ინტერესთა ერთიანობაც.

სასურველ განწყობას ქმნის ვახტანგ კახის მუსიკა, ნანი ბრეგვაძის მიერ შესრულებული რუსული რომანსი, კომპოზიტორის, სახელგანთქმული მომღერლისა და ნატა კახიძის შეწყობილი სიმღერაც ემსახურება იმ სათუთი ატმოსფეროს წარმოჩენას, რომლის შექმნისათვის ასეთი თავგანწირვით იღწვიან მსახიობები, რეჟისორი, მეთოჯინეები, კომპოზიტორი, ხმის რეჟისორი მიხეილ კილოსანიძე და რეჟისორის თანაშემწე ნინო ჟორჟოლიანი.

***

სანახაობა გათამაშებულია პროზაული ყოფისა და პოეტური ხილვების მიჯნაზე. პროზაული ყოფის სიმკაცრის ფონზე კრთის სულის პოეტური რხევების სიმსუბუქე. ეს რეალობისა და მირაჟის მონაცვლეობა თავად ამასოფლის წამისყოფის სიმუხთლესა და ხელგაშლილობაზე მოუთხრობს მაყურებელს. თეატრი ენდობა მის გუმანს — ფრაგმენტული ეპიზოდებისაგან მწყობრი სასცენო ამბავი ჩამოაყალიბოს. რეჟისორული გამომგონებლობა ეყრდნობა და იყენებს მსახიობთა სხეულის პლასტიკას, გონისა და გრძნობის მოუხელთებელ ცვლილებებს, ფერისა თუ ხაზის ნიუანსებს, სასცენო სივრცის ორგანიზებას, სასცენო სივრცეში ფიგურების უჩვეულო განლაგებას.

მარჯანიშვილის თეატრის „სხვენზე" მინიატურულ სცენაზე, მსახიობებისა და მათი მინიატურული „დუბლიორი — თოჯინების" მიერ გათამაშდა ადამიანური დრამის, სულის აღმაფრენისა და პროზაული ყოფის ინტელექტუალური დრამატურგია.

ქეთევან ჭანგელიძე

სასასიცოცხლ?! სატირალი ჰომ ეს იყოს !

ამ ბოლო დროს ქართულ სატელევიზიო სივრცეში იუმორისტული გადაცემები მომრავლდა. იმდენი კომედიური ტელესერიალი თუ სხვადასხვა ფორმატის პროექტია, რომ ერთი შეხედვით სასურველი ფორმისა და შინაარსის არჩევა თითქოს არ უნდა გაგიჭირდეს ადამიანს.. ამჯერად ყურადღება შევაჩეროთ „რუსთავი 2-ის" იუმორისტულ პროექტებზე. არჩევანი ერთი შეხედვით ფართოა: „ვანო ჯავახიშვილის შოუ", „კომედი შოუ", „კლაბ შოუ", „საღამოს შოუ სანდროსთან ერთად" და „სიცილის ზონა"

ტელევიზიისათვის, რომელიც ფართო აუდიტორიაზეა გათვლილი, ხშირად ხარისხიანი იუმორი ხელმისაწვდომი არაა. ეს დიდი სირთულეა, როგორც პროგრამის ავტორებისათვის, ასევე პროდიუსერებისათვის. საერთოდ სატელევიზიო იუმორის ხარისხზე ლაპარაკი ხშირ შემთხვევაში ძალიან საფრთხილო საქმეა, რადგან, პირველ რიგში, აქ ხარისხის ცნება საკმაოდ შედარებითია, ყველა თავისი შეხედულებებისა და გემოვნების ჭრილში მსჯელობს, მეორე რიგში კი, ხშირად ყველაზე მთავარი რეიტინგია. სწორედ ეს უკანასკნელი გვევლინება ხოლმე ტესტად და წყვეტს, იყოს ეს იუმორი ეკრანზე თუ არა.

გადავხედოთ „რუსთავი 2-ის" საიტს: „ვანო ჯავახიშვილის შოუს" შემქმნელი ჯგუფი წარმოგვიდგენს „კომედი შოუს" იუმორისტულ გადაცემას. ეს ფორმატი ამერიკის შეერთებულ შტატებში 70-იანი წლებიდან არსებობს და უაღრესად დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ ტიპის გადაცემაში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ: ჯიმ კერი, სტივი მარტინი, კრის როკი, ედი მერფი, ვილ ფერელი და სხვები." ძალიან გასახარი იქნებოდა ამ შოუს რომელიმე მსახიობი ცოტათი მაინც მიმგვანებოდა თავის უცხოელ კოლეგას. ჯერ „ვანო ჯავახიშვილის შოუ" რა იყო და მერე მისი შემქმნელების მიერ შექმნილი მორიგი „შოუ(?!)". თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფის მიერ შექმნილი გადაცემები ქართული ტელეეკრანისათვის მართლაც სიახლე იყო. ფორმატი, შინაარსი და ფორმა ამართლებდა თავის არსებობას და მაყურებელიც დიდი მოლოდინით ელოდებოდა მორიგ შოუს.

დღეს მდგომარეობა შეიცვალა და ფაქტობრივად ერთი და იგივე ადამიანები მთელი კვირა ჩანან ეკრანზე . ხშირ შემთხ-

ვევაში ის იუმორი, რომელსაც ეკრანიდან ვისმენთ, ვულგარულია. ეს კი, სამწუხაროდ, იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანებს, რომლებიც ამ იუმორს ქმნიან, უბრალოდ, ეს საქმე არ, ან აღარ გამოსდით. ამ შემთხვევაში კი ჯობია ასპარეზი სხვას დაუთმო, ან ტექსტი მაინც დააწერინო ვინმე პროფესიონალს. დაუჯერებელია, რომ დღეს საქართველოში არ იყვნენ ნიჭიერი და კარგი გემოვნების მქონე იუმორისტები, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო ტელევიზიაში მოხვედრა მათთვის მეტად რთულია.

ამ გადაცემებს აშკარად აკლია ის საზღვრები, რომელთა დარღვევაც არაფრით არ შეიძლება. დასაწყისში იუმორისტული გადაცემების პოლიტიზირება სასაცილო და საინტერესო იყო, მაგრამ პოლიტიკაშიც საჭიროა ზომიერება. რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი რამის დაცინვა და გაშარჟება შეიძლება, მაგრამ არსებობს ხელშეუხებელი ფასეულობები. უპირველესად აუცილებელია საკუთარი თავის პატივისცემა. არავითარ შემთხვევაში არ ვსაუბრობ ცენზურაზე, მაგრამ არც ის ვარგა, რომ განუწყვეტლივ სახალხოდ თავზე ლაფი ვისხათ.

მივყვეთ გადაცემებს. შემდეგი გმირია „საღამოს შოუ სანდროსთან ერთად", საიტზე ვკითხულობთ — „ყველა დროის ყველაზე დროული, ყველა ამბიდან ყველაზე საამბო, ყველაზე ანალიტიკური შოუ." უდაოდ „შთამბეჭდავია". „ამ ინტელექტუალური შოუს წამყვანი — ვირტუალური პერსონაჟი კახელი ვირია, დასავლური განათლებით, სოლიდური გარდერობით და სამი განზომილებით. ბატონი სანდრო ახალი ტექნოლოგიებით განსხვავდება თავისი ანიმაციური წინაპრებისგან. ვირტუალური პერსონაჟი რეალურ დროში იქმნება, ანუ ფაქტობრივად პირდაპირ ეთერში მართავს პოლიტიკურ დებატებს და ადამიანი-წამყვანებისგან განსხვავებით, თამამი განცხადებებით გამოდის, რაც მას ეპატიება". ისე, „თამამ " განცხადებებს არც ადამიანი წამყვანები აკლებენ ხოლმე. ინტელექტუალურიო, კი მაგრამ რომელ პუნქტშია ვირი სანდრო ინტელექტუალური, ან რომელი წინაპარი იგულისხმება, ესეც საინტერესოა, ერთი კი ცალსახაა, რომ დასავლური განათლება და სოლიდური გარდერობი ხშირად მართლაც რომ არ განსაზღვრავს ხარისხს.

ეთერში გასვლისთანავე გადაცემამ (ლაპარაკია „კომედი შოუ"-ზე) დიდი პოპულარობა მოიპოვა ქართულ ტელებაზარზე და მას უპრეცედენტოდ მაღალი რეიტინგი აქვსო, ვკითხულობთ „რუსთავი 2-ის" საიტზე. გააცინო ხალხი, ეს კარგია, მაგრამ სასურველია ამ გადაცემის შემქმნელებმა გაითვალისწინონ, რომ მათ ხუმრობებზე ინტელიგენციასაც უნდა შეეძლოს გაცინება... ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა პროდუქტი, რომელსაც ისინი ქმნიან, გათვლილი იყოს ცოტა მაღალი გემოვნების მქონე მაყურებელზეც. ტელევიზია ხომ საზოგადოების მართვის ერთ-ერთი საუკეთესო ბერკეტია და მისი მიზანი უნდა იყოს მასის გემოვნების ამაღლება და არა დაქვეითება. ვფიქრობ, დახვეწილი იუმორისათვის საკმარისი არაა მხოლოდ იუმორის გრძნობა, არამედ მეტად მნიშვნელოვანია მსახიობის ან ავტორის მაღალი ინტელექტიც, რაც პირდაპირ აისახება ხარისხზე.

„კლაბ შოუ"-ს პოპულარობა მგონი რაღაც ჩაკეტილ წრეში მოექცა და მას მხოლოდ ერთი და იგივე ხალხი უყურებს. რაც ყველაზე სამწუხაროა, არ ხდება მოქმედ გმირთა განახლება. იუმორი უნდა იყოს კომპლექსური: კარგი ხუმრობა, პერსონაჟი და ის მსახიობი, რომელიც ამას აჟღერებს. მხოლოდ სასაცილო პერსონაჟი სცენარის გარეშე წარმოუდგენელია. ნიჭიერი კომიკოსის იდეალური ხუმრობა, თუნდაც ცუდად გადაღებული, მაინც მისაღებია, მაგრამ ამდენი უგემოვნობა უკვე მეტისმეტია. იუმორის ხარისხი დამოკიდებულია შინაგან კულტურაზე. ეკრანიდან დედის გინება, ბილწსიტყვაობა და ფსონის დადება უკულტურობაზე— ეს მხოლოდ პროდიუსერების ბრალი არაა და ხშირად იმათზეა დამოკიდებული ვინც სცენაზე დგას.

მინდა მაგალითისათვის ერთი, ეგრეთწოდებული, სკეტჩი მოვიშველიო:

სიტუაცია „ორი ჩმორი"

ორი ჩმორი ეჯიბრება ერთმანეთს — ვინ უფრო მაგარი ჩმორია

პირველი — მე შენზე მაგარი ჩმორი ვარ!

მეორე — მე უფრო მაგარი ჩმორიკი ვარ!

პირველი — მე შენზე მაგარი ჩმორიკი ვარ!

მეორე — გინდა დაგიმტკიცო?

პირველი — გინდა დაგიმტკიცო?

მეორე — დამიმტკიცე!

პირველი — დაჟინებით რომ ვინმე მიყურებს, ეგრევე ფულს ვაძლევ, მე ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩმორიკი ვარ!

მეორე — მე იცი როგორი ჩმორიკი ვარ? კორპუსში ლიფტი რომ არ მუშაობს, მეზობლები ზურგით ამყავს..

პირველი — მე იცი, როგორი ჩმორიკი ვარ? ბანკომატიც ფულს მახევს! უუუუუფ!

მეორე — მე იცი, როგორი ჩმორიკი ვარ? ავტობუსში რომ ავდივარ, მოხუცები ადგილს მითმობენ.

პირველი — მე იცი, როგორი ჩმორიკი ვარ? დედაჩემიც დედას მაგინებს, უუუუუფ! (ნეტავ სად უნდა გაეცინოს ‹აყურებელს, მაგრამ ალბათ ჩემთვისაა გაუგებარი ეს იუმორი, დარბაზში აპლოდისმენტის და სიცილის ნაკლებობა ნამდვილად არ შეიმჩნევა. . .)

მეორე — მე იცი, როგორი ჩმორიკი ვარ? იმ დღეს უბანში ბარძაყში დანა რომ დამარტყეს, ამოვიღე, გავწმინდე და მივაწოდე — ბოდიში, რომ დაგისვარეთ-თქო.

პირველი — მე იცი, როგორი ჩმორიკი ვარ? იცი, როგორი ჩმორიკი ვაარ? არ იცი!!!

მეორე — არ ვიცი?

პირველი — მმმმმმმმმმ ჰ ჰ ჰ ჰ ჰ ჰ, დიახ, შემწვარი ქათმის მეშინია, ისეთი ჩმორიკი ვარ!

მეორე — მე კი მოხარშულის, აბა!

პირველი — მე კიდე იცი, როგორი ჩმორიკი ვარ? ეს სკეტჩი არ მომწონდა, არ გამოვდიოდი და ძალით გამომიყვანეს, ისეთი ჩმორიკი ვარ!

მეორე — მე კი იცი, როგორი ჩმორიკი ვარ? ეს სკეტჩი ძალიანაც მომწონს, მაგრამ ძალით მამთავრებინებენ, გამიგე? — ჩელე, შე ბოზო! (მიმართავს დიჯეის).

მხურვალე აპლოდისმენტების შემდეგ დარბაზს წამყვანი მიმართავს-მადლობა ბოზებს!

ახლა კომენტარი მკითხველისთვის მიმინდვია, მე კი ერთს ვიტყვი, რომ ციტატის საძებნელად დიდი მონდომება არ დამჭირვებია, რადგან ასეთი „მარგალიტებით" სავსეა ეს გადაცემა და სამწუხაროდ არა მხოლოდ ეს.

ისევ ჩავიხედოთ „რუსთავი 2-ის" საიტზე გადაცემა „კლაბ შოუს" შესახებ: „პირველ ხუთ მაგიდაზე სხედან სპეციალურად მოწვეული სტუმრები, რომლებსაც ‹აკუთარ თავზე ხუმრობების მოსმენა მოუწევთ." უპირველესად, მაგიდაზე კი არა მაგიდასთან. მეორე კი ეს, ეგრეთწოდებული, ხუმრობები ხშირად საკმაოდ ზღვარგადასული და შეურაცხმყოფელია, მაგრამ რა ცუდი რამეა ეს ოხერი პიარი, რას არ მოითმენ კაცი მისი გულისთვის.

იუმორის ხარისხი მისი აღქმის დონეზეა დამოკიდებული. ავტორი და მსახიობი, ეს ორი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, მაგრამ თუ ორივე მოიკოჭლებს, მაშინ სასაცილო მართლაც არაფერია.

არის კიდევ ერთი გასათვალისწინებელი ნიუანსი. თუ გადავხედავთ საქართველოს კანონს მაუწყებლობის შესახებ, 56-ე მუხლის მე-5 პუნქტში გარკვევით წერია, რომ იკრძალება ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე მავნე ზეგავლენის მომხდენი პროგრამების იმ დროს განთავსება, როცა მათ მიერ ამ პროგრამების ნახვის ან მოსმენის დიდი ალბათობა არსებობს. სამწუხაროდ, ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამები ისეთ დროს გადის, რომ მათი მოზარდების მიერ ნახვის ალბათობა მართლაც რომ დიდია, ხოლო ნახვიდან გამოწვეული შედეგი კი, ალბათ, არცთუ სასურველი.

წესით გადაცემის წარმატება და რეიტინგი დამოკიდებული უნდა იყოს მის ხარისხზე, მაგრამ ასე არ ხდება. რატომ ხდება ჩვენთან ასე? არა მგონია, რომ ქართველი მაყურებლის ბრალი იყოს. ნებსით თუ უნებლიედ ინერგება უგემოვნობა და ეს იმდენად სისტემატიზირებულად ხდება, რომ, სულო ცოდვილო, მეჩვენება, განზრახ ხომ არ აკეთებს ვინმე ამას. ნუ ეწყინებათ ჰომოსექსუალისტებს, მაგრამ ეს თემაც იმდენად ხშირია, რომ სრულიად გაუგებარია დასცინიან მათ, თუ ეს ერთგვარი სუბლიმაციაა. არადა, ქართველები ხომ ოდითგანვე გამოვირჩეოდით განსაკუთრებული იუმორის გრძნობით. მეჩვენება, რომ არ ხდება ახალი ნიჭიერი სახეების ძებნა. როგორც ერთ ძველ ანდაზაშია ნათქვამი, „ნიჭიერებას უნდა დახმარება, უნიჭობა თვითონაც გაიკვლევს გზასო"

გაგრძელება იქნება. . .

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება" დაბადების 80 წლის იუბილეს ულოცავს დიდ ქართველ შემოქმედსა და მამულიშვილს, ბატონ მერაბ ბერძენიშვილს

მოქანდაკის სახეობრივი აზროვნება

XX საუკუნე ხელოვნებას ბოროტად გაეხუმრა: შემოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭა მას და ამით მოშალა ყოველგვარი მიჯნა, რომელიც ამ სფეროს, ტრადიციული გაგებით როგორც „სახეებით აზროვნებას" (ჰეგელი) განაცალკევებდა. XX საუკუნემ ყველა ის კრიტერიუმი უკუაგდო, რომელიც საუკუნეობით იზიარებდა რეალობის მხატვრული გამოსახვის პრინციპს და ფორმალური ელემენტების ნებისმიერ კომბინაციას, მნახველის განსაცვიფრებლად რომ იყო გამიზნული; აქ დიუშანი პისუარიც იგულისხმება და კ. მალევიჩის შავი კვადრატიც. ამერიკული „ფუნქციონალური ესთეტიკა" ამ ისტორიულ-კულტურულ ვითარებაში ერთადერთ ლოგიკურ დასკვნამდე მივიდა: ხელოვნების ქმნილება ის ხელქმნილი საგანია, რომელსაც კრიტიკოსები ხელოვნების ნაწარმოებად მიიჩნევენ და შესაბამისად, გამოსადეგია ექსპონირებისათვის ან ქალაქში დასადგმელად.

ძნელია მსგავსი თეორიული პოზიციის უსაფუძვლობის არდანახვა, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ პუბლიკაციის, ექსპონირების შესაძლებლობა, საკონცერტო ან სატელევიზიო პროგრამაში ჩართვა და ქალაქში დადგმაც კი, არ შეიძლება კულტურული საგნის თვისებრივი განსაზღვრულობის კრიტერიუმი იყოს. თუ ბრინჯაოს ქანდაკება ლურსმნების ჩასაჭედებლად გამოიყენება, წიგნი სავარძლის ასამაღლებლად, მუსიკალური ნაწარმოების ფრაგმენტი კი მობილურ ტელეფონში ზარის ნაცვლად გაიჟღერებს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სწორედ ამ ფუნქციური შესაძლებლობებით განისაზღვრება მათი კულტურული საზრისი; ზუსტად ისევე, როგორც ხატის ჩართვა სამუზეუმო ექსპოზიციაში არ ნიშნავს იმას, რომ ეს მისი ბუნებით არის ნაკარნახევი. ჩვენს დროში სისტემურმა აზროვნებამ მოგვცა შესაძლებლობა ამ პრობლემის თეორიული გადაჭრისა და გვაჩვენა, რომ ნებისმიერი მოვლენის არსის განსაზღვრა უნდა განხორციელდეს არა თვით მისი ემპირიული შესწავლით, მისი „მსხვილი პლანით" წარმოჩენით და განხილვით, არამედ უნდა გამომჟღავნდეს ადგილი და დანიშნულება მოვლენისა იმ სისტემაში, რომლის ელემენტსაც ის წარმოადგენს. რადგან ხელოვნება კულტურის ელემენტია, მისი არსი უნდა განისაზღვროს იმ როლით, რომელსაც ის თამაშობს კულტურაში.

მხატვრის ტალანტი, ისევე, როგორც მხატვრული ნიჭიერება ჩვეულებრივი ადამიანისა, რომელიც ან თვითშემოქმედებისაკენ არის მიდრეკილი, ან სამოყვარულო საქმეს ეწევა, ან მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოების სრულფასოვანი აღქმის-

ათვის არის მოწოდებული, წარმოადგენს ოთხივე შემოქმედებითი პოტენციალის სინკრეტულ კავშირს და, ჩვეულებრივ, ბავშვობაში მყღავნდება. და ეს კავშირი წარმოშობს ფსიქიკის მუშაობის მეტაფორულ სტრუქტურას, ე.ი. უნარს, ერთი მეორეს მეშვეობით დაინახო: „Я раб, я царь, Я червь, я бог" — წერდა გ.რ. დერჟავინი და ერთ პოეტურ ფრაზაში ოთხ მეტაფორას იმეორებდა, ვინაიდან სინამდვილეში ის არც მონა ოყო, არც მეფე, არც მატლი და მით უმეტეს, ღმერთი... როცა მერაბ ბერძენიშვილი მონუმენტში ადამიანის სხეულს უიგივებს ბრინჯაოს ან ქვას, ის მეტაფორულად აზროვნებს რადგან თვითონაც და ჩვენც ვიცით, რომ სხეული ქვა არ არის, რომ ცოცხალი ადამიანი არ არის მეტალის კერპი; ის აზროვნებს როგორც მხატვარი და წამოიდგენს ერთს მეორის მეშვეობით, და ჩვენც, მნახველებსაც, გვაიძულებს აღვიქვათ ერთი მეორის მეშვეობით და ამასთანავე განვიცადოთ ახლად დაბადებული ილუზორული არსება (სახვით ხელოვნებაში მეტაფორულობის ამ გამოვლენაზე ოდესღაც გაბედულად ისაუბრა მ. ვ. აპლატოვმა თავის „მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში", სადაც მან უარყო გავრცელებული აზრი იმის შესახებ, თითქოს მეტაფორა მხოლოდ პოეზიის კუთვნილებაა)...



ხელოვნების „სასწაული" არ შემოიფარგლება მეტაფორულობის მხოლოდ ამგვარი გამოვლინებით - „ქვა, რომელიც იქცევა სხეულად", „მკვდარი, რომელიც ცოცხალის როლს თამაშობს", „უძრავი, რომელიც მოძრავად აღიქმება", მეტაფორულია აგრეთვე მხატრულ სახეში მისი სულიერი შინაარსის და მისსივე მატერიალური ფორმის ზემოთ აღწერილი „შეხვედრაც", რადგანაც ისინი ერთმანეთს უიგივდებიან; ე.ი. გამოსახული ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და მისი სხეულებრივი სახე აღმოჩნდება განუსხვავებელი „ურთიერთიგივეობა" ისევე, როგორ განუსხვავებელი „ერთიდაიგივეა" გრანიტის სტელაში მოქანდაკის პოეტური აზრი და ქვის ფორმა. სულიერი და მატერიალური სუბსტანციების გაიგივების შედეგია აღქმის ფსიქოლოგიური ეფექტი სამგანზომილებიან-სივრცული ფორმისა, რომელიც დროის არასაგნობრივი დინების მატარებელია. მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი შოთა რუსთაველის ბრინჯაოს თავი მატერიალურ-საგნობრივია და უძრავი, მაგრამ ვუყურებთ მას და ის ჩვენს თვალწინ ცოცხლდება, ჩვენ ვხედავთ, თუ რა ხდება ფიზიკისა და ქიმიის თვალსაზრისით მეტალის ნაჭერში, — ბრინჯაოში გამოსახული ანატომია სასწაულებრივი ძალით იქცევა ფსიქოლოგიად, უძრავი მიმიკა და გამოხედვა გრძნობათა რეალური მოძრაობის დინამიზმს იძენს. ჩემსა და მას შორის, უდიდესი ქართველი პოეტის „ხელოვნურ შემცვლელს" შორის, იბმება დიალოგის ძაფი, თითქოს ის ცოცხალი, ნამდვილი, ჩემი თანამედროვე ადამიანი იყოს...

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ქანდაკების მაღალი ხელოვნების საიდუმლოება ადამიანის ან ცხოველის, ანდა რაიმე საგნის გამოსახვის ტექნიკა არ არის, არც ორიგინალთან მსგავსებაა, არც მოცულობების თამაში და ამით მიღწეული ესთეტიკური ეფექტების სილამაზე. მთავარია შემოქმედის აზროვნების მხატვრული სტრუქტურა, რომლის მეშვეობით შექმნილ სახეებში ბუნებრივი მატერია განსულიერდება, მისი სტატიკური ყოფიერება იცვლება ემოციის ყოფიერების დინამიკით და იძენს გამომსახველობის თვისებას. ამასთან, ესთეტიკური იქცევა ზნეობრივად, ვინაიდან სხეულებრივი სილამაზე

წარმოაჩენს თავის სულიერ შინაარსს და სამყაროში ახალი ადამიანები იმკვიდრებენ ადგილს, ისინი, ვინც შვა მხატვრის ტალანტმა, წარმოსახვის უნარმა და ოსტატობამ.

აი, რატომ არის, რომ მხატვრული აზროვნება ენათესავება მითოლოგიურ აზროვნებას; მხოლოდ იმით განსხვავდება მისგან, რომ როგორც ფოიერბახმა განგვიმარტა, ხელოვნება თავისი ქმნილების გამოგონილ და არა ნამდვილ ხასიათს ამკვიდრებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მითოლოგიამ ხალხის არაცნობიერ-მეტაფორული აზროვნების დემეტაფორიზაცია მოახდინა, ხელოვნება კი „ააშკარავებს" ფანტაზიის მეტაფორული შემოქმედების ნამდვილ პუნებას. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, გასაგები ხდება მერაბ ბერძენიშვილის ინტერესი მითოლოგიისადმი, რომელიც მის შემოქმედებაში მრავალმხრივ ვლინდება. მან შექმნა ბიბლიურ-მითოლოგიური სახეები: ადამი და ევა, მუზა და მედეა, ამავე დროს მანვე მიანიჭა მითოლოგიური აზრი საკუთარი ფანტაზიის ქმნილებებს — ნაყოფისმატარებელი, მკერდსავსე ქალის მრავალრიცხოვან ტორსებს, პალეოლითური „ვენერას" მსგავსებს, დედის სახეს, რომელიც ვაჟიშვილებს ლოცავს და ომში გმირობისათვის აგზავნის, სააკაძეს, რომელიც მეხთამტყორცნელ ზევსს წააგავს; მოქანდაკის მიერ შესრულებული ცხენები და არწივებიც კი ტოტემური მითებიდან გადმოსული გეგონებათ. მითოლოგიისადმი ამგვარი დამოკიდებულების აზრი, შესაძლოა, მხატვარს ყოველთვის არა აქვს გაცნობიერებული, მაგრამ ის მუდამ აცნობიერებს საკუთარ სწრაფვას ადამიანის იმ სულიერი თვისებების მაქსიმალური განზოგადებისაკენ, რომლებიც მითებში ღმერთებს მიეწერებოდათ და ამიტომაც ჰქონდათ ზოგადსაკაცობრიო მასშტაბი. ვფიქრობ, სწორედ ამ მიზეზის გამო, ბერძენიშვილის შემოქმედებაში შედარებით ნაკლებია ნატურიდან გამოძერწილი და დახატული პორტრეტები და ეს მაშინ, როცა ის არაჩვეულებრივად ღრმად წვდება ადამიანის ფსიქოლოგიას! ასეთი სამუშაო იზიდავდა მას, როგორც ჩანს, მონუმენტურ სამუშაოებს შორის შესვენებისას. ეს იყო ერთგვარი დასვენება, მითოლოგიური მასშტაბებისაგან განთავისუფლება. თვითონ მერაბს არ სურდა თავისი პერსონალური გამოფენის გამართვა და საამისო მიზეზს ამ სტრიქონების ავტორს ასე უხსნიდა, — გამოფენაზე მონუმენტური ქმნილებების წარმოდგენა შეუძლებელია, მე კი ჩემი შემოქმედების არსს სწორედ მათში ვხედავო. და მაინც მისი მხატვრული ინტერესების წრე — „არათანამედროვედ" რომ წარმოდგება XX საუკუნეში — ვრცელდება „იდეალური" ადამიანის", მითის არაინდივიდუალიზირებული გმირის ვნებების წვდომიდან უნიკალური და პიროვნულ-ადამიანური ფსიქოლოგიის ფილიგრანულ კვლევამდე.

XX საუკუნის ტრაგედია ისაა, რომ მხატვრული კულტურის საძირკველი, რომელიც რამდენიმე ათეულ ათასი წლის მანძილზე იქმნებოდა და იწყებოდა გამოქვაბულის მოხატვიდან, პეტროგლიფებიდან და ახლახან ნახსენები პალეოლითური „ვენერადან", — დღეს გამოცხადებულია წარსულის კუთვნილებად, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური ცივილიზაციისთვის არასაჭირო ნაშთად; ამ ცივილიზაციის უმაღლესი ღირებულებებია — სარგებელი და სიამოვნება, ბიზნესი და თამაში: Homo sapiens-ის „მოაზროვნე ადამიანის" ადგილას მოვიდნენ ინსტრუმენტალური Homo Sociologius — „სოციალური როლის მატარებელი" და ჰედონისტური Homo ludens — „მოთამაშე ადამიანი". ხელოვნებისაგან მიღებული სოციალური სარგებელი იყო და არის სავაჭრო რეკლამის და წარმოების დიზაინის შექმნა, ამას გარდა, ხელოვნება ავსებს თავისუფალ დროს — „მონაწილეობს" საესტრადო შოუში და სატელევიზიო ფილმებში, ელიტისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ჰ. ჰესე იტყოდა, ეწყობა „რიოში მარგალიტებით თამაში", მუსიკაშიც კი ჯ. ჰანსლიკმა სულიერი გამომსახველობა „არქაულ" აზროვნებად გამოაცხადა. თუ XX საუკუნის დასაწყისში ამ ახალმა, „ჭეშმარიტად, „თანამედროვე" („მოდერნი"!) და ხელოვნების ტრადიციულ გაგებასთან კავშირდაკარგულმა „ესთეტიკურმა იდეალმა" თავისი გამოხატულება ჰპოვა დოდეკაფონიურ და კონკრეტულ-ხმაურიან „ბგერით თამაშებში", ასწლეულის შუა ხანებში ამ კვაზიესთეტიკური კონცეფციის განვითარებამ მიგვიყვანა ჯ. კეიჯის პიესამდე „4,33". ამ პიესაში აღნიშნული ხანგრძლივობა აღმოჩნდა ის დრო, რომლის განძავლობაშიც პიანისტი სრულიად ჩუმად იჯდა ფორტეპიანოსთან. თუმცა, კ. მალევიჩმა ჯერ კიდევ 1914 წელს გამოხატა „ხელოვნების სიკვდილი" ეს სამწუხარო შედეგი თავის ცნობილ „შავი კვადრატის" მეშვეობით, რაც სრული სიცარიელის სახეს წარმოაჩენს და სრული დუმილითაა მოცული. განა შეიძლებოდა კი, რომ სხვაგვარი ყოფილიყო ხელოვნების ბედი ფილოსოფოსების მიერ გაცხადებული „ღმერთის სიკვდილის" და „ადამიანის სიკვდილის" შემდეგ?

ამ ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში უნდა გავიაზროთ მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედება, რომელიც პრინციპულად და თანმიმდევრულად ამტკიცებდა:

ხელოვნება, ამ ცნების ტრადიციული და ჭეშმარიტი მნიშვნელობით, არ მომკვდარა, ვინაიდან არ მომკვდარა ადამიანი და არ მომკვდარა ადამიანის ცხოვრებისათვის აზრის მიმცემი ღმერთი და არა აქვს მნიშვნელობა, როგორ ესმის ის ადამიანებს — როგორც მითიური უმაღლესი არსება, თუ რეალური ადამიანური სინდისი ან მოყვასის სიყვარული; სწორედ ამის შესახებ საუბრობს მთელი თავისი შემოქმედებით მხატვარი, რომელმაც შეამკო დავით აღმაშენებლის და გიორგი სააკაძის გმირობა, თავდადება დედისა, რომელიც სამშობლოს დასაცავად გზას ულოცავს შვილებს და თავდადება ჯარისკაცის მამისა, რომელიც ვალს აღასრულებს, ერთგულება საკუთარი რწმენისადმი ქეთევანისა და საკუთარი პოეზიისადმი რუსთაველისა. და ყოველივე ამას მხატვარი იმ საშუალებით დაგვაჯერებს, რომელიც მას მისმავე ხელოვნებამ უბოძა — განსულიერებული პლასტიკის მხატვრული ენით. მხატვრის ამ დამაჯერებლობამ აქცია მონუმენტური ხელოვნება მისი შემოქმედების მთავარ ნიშანსვეტად და აღძრა იმ მხატვრული საშუალებების ძიების სურვილი, ძალზე სრულად და ძალუმად რომ გამოხატავენ ამგვარ ესთეტიკურ ცნობიერებას. მის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტისას მხატვარი არ დარჩენილა ხელოვნების ისტორიის მანძილზე გამომუშავებული საშუალებების ტყვეობაში.

საქმე ისაა, რომ დიდი ხნის წინ მკვიდრად დადგენილი ქანდაკების და არქიტექტურის ურთიერთობის კანონი ითვალისწინებს მათ ორგანულ კავშირს მათივე ფორმათქმნადობის საშუალებების სინთეზში. ამას ასწავლიდნენ უეჭველად მერაბს სამხატვრო აკადემიაშიც — ყოველ შემთხვევაში, ასე შექმნა მან „მუზის" სინთეზი თბილისის ფილარმონიის არქიტექტურასთან, მოგვიანებით კი წარმატებით ჩაეწერა დავით აღმაშენებლის ცხენოსანი ქანდაკება სასტუმრო „ივერიის" წინ მდებარე მოედნის არქიტექტურულ ანსამბლში. შოთა რუსთაველის და დავით გურამიშვილის ქანდაკებები დაიდგა არა როგორც მონუმენტური, არამედ როგორც დაზგური ნიმუშები. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ მათი ადგილი მოსკოვის და თბილისის არქიტექტურულ პეიზაჟებში თავიდანვე არ იყო გათვალისწინებული. ვითარება რადიკალურად შეიცვალა „მედეას" და მარნეულის ძეგლის დადგმისას. მონუმენტური

ხელოვნების ამ ორ შედევრს მრავალი საერთო რამ აქვს. კრიტიკას ეს ჯერ არ აღუნიშნავს. ეს არის ერთნაირი სიუჟეტური საფუძველი, ქართული მონუმენტური ქანდაკებისათვის უჩვეულო გრანდიოზულობა, ადამიანის სხეულის ფორმების ძლავრი განზოგადებული ძერწვა, ფართოდ გახსნილი სივრცის პირისპირ დოგმა. ეს სივრცე ერთ შემთხვევაში წყალია, მეორეში — მიწა. აქ სინთეზის ძიებაა არა ქალაქურ გარემოსთან, არამედ „ბუნებრივ არქიტექტურასთან". ამ ძიებამ წარმოშვა მთავარი განსხვავება ამავე ორ მონუმენტს შორის: „მედეაში" ზღვის სივრცემ, სადაც წყლის წყნარი ზედაპირი მუდმივად იცვლება ქარიშხლებით და შტორმებით, განაპირობა ამ ბუნებრივი გარემოს შესატყვისი დინამიურ-ასიმეტრიული, ხრახნისებრი კომპოზიცია და ტემპერამენტიანი, ბობოქარი პლასტიკა, ხოლო დედის ალეგორიული სახე, რომელსაც ველი აკრავს ირგვლივ, სტატიკურ-სიმეტრიულ კომპოზიციაშია ჩაწერილი, მსხვილი ფორმებისაგან შედგება, აქაც გარემომ განსაზღვრა ყველაფერი. ხელოვანისათვის არა მხოლოდ ფსიქოლოგიური შინაარსი იყო არსებითი, არამედ ბუნებრივი გარემოს ხასიათიც.

ბერძენიშვილისთვის ქანდაკებისა და ბუნების სინთეზის პრინციპულობაზე მეტყველებს. მისი კიდევ ორი მონუმენტური ნამუშევრის შედარება: ესენია „ჯარისკაცის მამა" გურჯაანში და დიდგორის მემორიალი. პირველ შემთხვევაში განმარტოებით მდგარი მაღალი გორაკი, რომლის ძირიც არქიტექტორული ფორმებით არის გამაგრებული, ლოგიკურს ხდის კომპოზიციის დასრულებას ერთი, ფრონტალურად გაშლილი ფიგურით. მეორე შემთხვევაში კი მთის ლანდშაფტმა, მთაგორების და უფსკრულების ქაოტურმა თანმიმდევრობამ პრინციპულად სხვა კომპოზიცია განაპირობა: ეს არის ერთერთ მთაზე შემდგარი მებუკე, რომელიც ბუკს ჩაბერავს და გამარჯვებას ამცნობს ყველას, გარშემო გორაკებზე მოფენილი ომის ამსახველი ფიგურები, კომპოზიციის შუაგულში მდებარე გორაზე აღმართული „დედა ბოძი", როგორც საყრდენი ბოძი და მის ფერდობებზე მიწაში ჩასობილი ხმლები, რომლებიც ჯვრებთან ასოცირდება; მათ წინ კი ამფითეატრი, რომელიც ანტიკურ წარსულს გვაგონებს და მემორიალს კიდევ ერთ კომპონენტს სძენს — სცენიურ-სანახაობრივს.

სხვაგვარ აზრობრივ და ფსიქოლოგიურ სიტუაციაში — მწერლისა და დრამატურგის, ნოდარ დუმბაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ მემორიალში (თბილისის ბავშვთა პარკი) — ქანდაკების სინთეზი მწვანე არქიტექტურასთან მიღწეულია სხვაგვარი საშუალებებით — ლირიკული ელფერითა და ბერძენიშვილისეული იუმორის გრძნობით. ხუთფიგურიანი კომპოზიცია, ძაღლთან ერთად, ჩაწერილია პარკის ინტიმურ ლირიკულ გარემოში და ემოციურად შეესატყვისება მას.

არ შემიძლია არ ვახსენო კიდევ ორი განუხორციელებელი (მინდა ვიფიქრო, რომ ჯერჯერობით განუხორციელებელი) პროექტი. ისინი არქიტექტურულად ერთმანეთის საწინააღმდეგონი არიან. ერთი არის ქალაქის გარემოში ჩაწერილი 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ძეგლი, სადაც ელ-გრეკოსეული ექსპრესიის ძალისხმევითაა მოცემული ეს ტრაგიკული მოვლენა და მეორეა ვაჟას — ბუნების მეხოტბის ეპიკური სახე! მახსენდება თენგიზ აბულაძის მიერ ვაჟას მოტივებზე გადაღებული გენიალური ფილმი, რომლის მთავარი გმირიც თვითონ ბუნებაა! ამ ქანდაკებაშიც პოეტის უზარმაზარი თავი აღიქმება არა როგორც პირისპირ მდგომი, არამედ როგორც მთის ლანდშაფტის ელემენტი.

თარგმნა **ანდრო ბუაჩიძემ**





ოთხი დიო ხატე, მხატვარო!

ზეცამ დაიქუხა. მოვარდნენ გაავებული მდინარეები, რათა ბარს აპკურონ მადლი მთისა. იფეთქა ატმისა და ნუშის ყვავილმა. ნაირფერად შეიმოსა დედამიწა. ფუტკარი შეუდგა საქმეს. იადონმა უთენია დაიწყო გალობა, ტოლს უხმობს, ჭალაში აფოფრილი ჭიხვინებს ცხენი. ბულას ფაფუკ დრუნჩზე დუჟი ჩამოსდის. დედამიწა ძვირფას პალიტრას დაემსგავსა. რა ფერებია! რა ლამაზია! გაზაფხულია!

ბევრი გაზაფხული ჩაივლის, მაგრამ ადამიანს მხოლოდ ერთი აქოჩრება, ერთი კვირტობის თვე აქვს, რომელსაც სიჭაბუკე ჰქვია. კანონზომიერია მხატვრის გაჩენა ამქვეყნად, რომელსაც უფლება მიენიჭა ადამიანის სიჭაბუკე, მშვენიერება და სილამაზე მარადიული გახადოს.

მოვა ზაფხული. ფუტკარი კვლავინდებურად იშრომებს. დედამიწა მწვანე სამოსით დაიბურება, რათა მზის მცხუნვარება შეარბილოს და საჩრდილობელი უბოძოს სულდგმულს. მზის სხივმა ვაზის მტევნები შეაფერიანა. ხარაბუზა მწარედ იკბინება. სადა ხარ, მხატვარო, ხატე, ვიდრემდის გაქრება ჩრდილები და დაიწყება ხშირი წვიმები.

ქარვად ქცეული ვაზი ინაღვლებს. ხატე, მხატვარო. მოკრეფს კახელი, წვენს გამოადენს და დაზამთრებამდე მრავალჯერ დალევს, ჩქარა დახატე! ვიდრემდის ოქროს ქურქს მოასხამდნენ, ვიდრემდე ზურმუხტს ნისლი დაკრავდეს.

ცაზე კვამლი დაეკიდა. ყველა სახლში ზოგან მუხა, ზოგან რცხილა ტკაცუნობს, ზოგს კოპიტი უთბობს ბინას. გარეთ ბარდნის, კიბეებზე ვილაც მოდის, ფეხს იბერტყავს. სტუმარსა ჰგავს. ფეხებს მძიმედ აბაკუნებს, მასპინძელი ეგებება, კარებს უღებს, გულსაც უღებს. რა კარგია, რა ლამაზი დასახატი! სტუმრად მოსულს მასპინძელი ეგებება, ღვინო მარანს ეგულება, ზამთრის ღამის გასატანად სადღეგრძელოს ეუბნება, მარჯვე კაცის, გამრჯე კაცის, ვინც ბეღელი ამოავსო, ჭურ-მარანი რომ გაავსო და ეს სასმისი შეავსო, ბარაქალა! გაისადაც ასე იყოს, ზღაპარივით ტკბილი იყოს, ბარაქალა, მზისა სხივო, უმზეობა მტერთან იყოს, გასაზრდელი ჩვენი ყრმები არწივივით ლაღი იყოს, შოთას სიბრძნით გაზრდილიყოს, ჩემი იყოს, შენი იყოს.

ბუხარი კი ღვივის მისთვის. გარეთ ღამე თეთრად ათევს, ღამე სევდის, ღამე დარდის, მეგობრებო! ქვეყნადა ღირს ბერძენასთან სადღეგრძელო, ბუხრის პირას, როცა ბარდნის.

ანბელოზები ქაოსში

(ნინო ინჯია)

რთული დავალებაა, ხელოვნების ერთი დარგის წარმომადგენელი წერდე მეორე დარგში მოღვაწე თანატოლზე და შეინარჩუნო ობიექტურობა, ამასთან დარგის სპეციფიკის შესწავლის გარეშე მისი შემოქმედების შენეული განხილვა უფროსი თაობის შემფასებელსაც მოაწონო. მაგრამ ამავე დროს, ეს დავალება საკუთარი ძალების ძალიან საინტერესო საჯილდაო ქვაა, ამიტომ დიდი სიამოვნებით შევეცდები.

ნინო ინჯია – ახალგაზრდა მხატვარია. სულ რაღაც ოცდაორი წლის. თითქოს, რით შეიძლება იყოს გამორჩეული ოცდაორი წლის გოგონა, რით უნდა გააკვირვოს მან მრავლისმნახველი ქართული (და არა მარტო ქართული) საზოგადოება? მაგრამ როდესაც საქმე ნიჭთან გვაქვს, ასაკი მატყუარაა — თუ მის შემოქმედებით ცხოვრებას თვალს გადავლებთ, ნამდვილად გაოცდებით. გოგონამ, რომელიც ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო აკადემიის მაგისტრატურაში სწავლობს, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საერთაშორისო კონკურსებსა და გამოფენებში მონაწილეობით ისეთი გამოცდილება მიიღო, ბევრ უფროს კოლეგასაც კეთილი შურით რომ შეშურდება. თავად განსაჯეთ: 2007-2008 წლებში „პროკრედიტ ბანკის" მიერ მოწყობილი გამოფენის გამარჯვებული გახდა; 2008 წელი მისთვის შემოქმედებითად დატვირთული იყო – სამ საერთაშორისო გამოფენაში მიიღო მონაწილეობა – „1st International Printmaking Biennial – Istanbul 2008" (სტამბოლის პირველი საერთაშორისო ბეჭდვითი ბიენალე 2008), 1st International Competition Exhibition Mini Print and Ex Libris „ART AND THE MOUNTAIN" (მილანის 1 საერთაშორისო ბეჭდვითი და ექსლიბრის კონკურსი „ხელოვნება და მთა" 2008, იტალია) და MINI PRINT INTERNATIONAL of CADAQUES 2008 (კადაკვესის, ესპანეთის 28-ე საერთაშორისო ყოველწლიური კონკურსი), რომელთაგან ესპანეთში გამართული კონკურსის ფინალშიც გავიდა; 2009 წელიც არ ყოფილა გამონაკლისი, პირიქით „8th LESSEDRA WORLD ART PRINT ANNUAL MINI PRINT 2009" (ლესსედრას მე-8 საერთაშორისო ყოველწლიური კონკურსი 2009, ბულგარეთი)- სა და „Guanlan International Print Biennial" -ში (გუანლანის საერთაშორისო ბეჭდვითი ბიენალე, ჩინეთი) მონაწილეობის შემდეგ "Golden Kentaur 2009"-ზეც („ოქროს კენტავრი 2009") წარდგა მიუნხენში, გერმანელი დამთვალიერებლის წინაშე და პრიზიც ჩამოიტანა ნამუშევრისთვის „ღამე – ხელოვნების საწყისი", რითაც ძალიან გაახარა გულშემატკივრები. ყველაფერი ლოგიკურ ადგილს დაუბრუნდება, თუ აქვე ვიტყვით – ნინო შესანიშნავი მხატვრის, პროფესორ გიორგი წერეთლის მოსწავლეა, რომელსაც არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა გაუყვანია ხელოვნების დიდ გზაზე...

მხატვრობა ერთ-ერთია ხელოვნების იმ დარგთაგან, რომლებსაც აღქმისას ენობრივ-კულტურული ბარიერი წინ არ ეღობება და უნივერსალურია. ხელოვნების მოყვარულს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში თანაბრად შეუძლია ტკბობა მისით. ამიტომ ასეთი უნივერსალური დარგების წარმომადგენლები უფრო იოლად ითვისებენ ახალს და, შესაბამისად, უფრო იოლადაც ექცევიან მოდური ტენდენციების გავლენის ქვეშ, თანამედროვე პროცესები (პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური და სხვა დაპირისპირებები) ხომ პირდაპირ აისახება ხელოვნებაზე. მხატვრობა, მუსიკა, ლიტერატურა, კინო და ხელოვნების სხვა დარგები ცდილობენ გლობალიზაციას ფეხი აუწყონ და მომავლის კულტურაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარი ადგილი არ დაკარგონ. ხშირია კლასიკური წესებისა და ფორმების რღვევა, ახლის ძიება და ორიგინალურობის ბეწვის ხიდზე ინტუიციურად სიარული. უზარმაზარ ძალისხმევას საჭიროებს ევოლუციაც განიცადო და ამავე დროს არც შენი განსხვავებულობა, თვითმყოფადობა დაკარგო. რთულია ახალგაზრდა ხელოვანისგან მოითხოვო ზუსტად დაიცვას წონასწორობა იქ, სადაც ბევრად გამოცდილ უფროსებსაც უჭირთ გავლა, მაგრამ მრავალი საერთაშორისო აღიარება მოწმობს, რომ ნინო ინჯია ამას ჯერჯერობით ახერხებს – მის ნახატებს თანამედროვე მხატვრობისთვის დამახასიათებელ ტენდენციებთან ერთად საკუთარი ხასიათიც ეტყობა – ისინი ერთი შეხედვით ქაოტურია, თითქოს აჩქარებით დახატული, შთაბეჭდილება გრჩება, რომ მხატვარს სადღაც ეჩქარებოდა და მის სახელოსნოში „შეპარულს" დაუმთავრებელი ნამუშევარი დაგხვდა მოლბერტზე, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. თუ კარგად დააკვირდებით, აუცილებლად მიხვდებით, რომ ეს სიმარტივე, ეს „ნაჩქარევობა" მოჩვენებითია და მხატვრის უკვე კარგად ჩამოყალიბებული ხელწერის ნიშანი. ამ „აბურდულ" ხაზებს, შტრიხებს, მონასმებს მითიური არიადნას ძაფივით ახალგაზრდა მხატვრის სამყაროში შევყავართ. სამყაროში, რომელიც არ გამოირჩევა ფერთა სიმრავლით. ნამუშევრების უმეტესობა შავი, ცისფერი და წითელი ფერებითაა შესრულებული, იშვიათად გვხვდება მწვანე და ყვითელი. განწყობა აშკარად მუქია, დეპრესიული – ისევე, როგორც მთელი ჩვენი თაობა (ხელოვნებაშიც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც). თუმცა, არის ერთი და იგივე ნახატების ვარიაციული სახესხვაობებიც – ფერში და უფეროდ. ესეც, ალბათ, ძიების პროცესია, აზრის გადმოცემის სხვადასხვა ფორმა, დაფიქრება -შეულამაზებლად დაგანახოს სათქმელი, თუ შეგიფერადოს ფერის დამატებითი ენერგეტიკით.

ნინოს ნახატები უფრო ალეგორიული ხასიათისაა, რთულია ზუსტად გამოიცნო მხატვრის ჩანაფიქრი და განსაზღვრო, რომელი მოქმედება ხდება წინა პლანზე, რომელი კი დამატებითია. ავიღოთ, მაგალითად, — ნახატი სახელად „კომპოზიცია 1", რომელზეც ერთი შეხედვით თითქოსდა ორი მსხვილფეხა ცხოველია გამოსახული – ნაცრისფერ ფონზე (ალბათ, ბინდში?) მკვეთრად ჩანს ერთი ცხოველის ცისფერი სხეულის ნახევარი, ხოლო მეორის — მხოლოდ დრუნჩის ნაწილი. უფრო დაკვირვებისას ჩემმა ფანტაზიამ ამ ცხოველებში ორი მდინარე ამოიცნო, რომლებიც გადახრუკულ, შავ უდაბნოში ჩამოდის. დრუნჩის ფორმის მცირე „მდინარეში" ტივტივებს მამაკაცის ფიგურა გაშლილი მკლავებით, სამრეკლოს ნაწილი და პატარა კარავი, ხოლო დიდ „მდინარეში" ქალის ფიგურა, ისიც გაშლილი მკლავებით, კვამლადენილი სახლი, შინაური ცხოველები და უთავო ფიგურა, სავარაუდოდ ადამიანის. ვერ დავიჩემებ, რომ მხატვარიც ასე ფიქრობდა, მაგრამ რადგან ხელოვნება მისი მომხმარებლის ესთეტიკურ სიამოვნებას და ფანტაზიის გაღვივებას ემსახურება, გავბედავ ვთქვა, რომ ჩემი აღქმით ამ სურათის შინაარსში ამ-

ოვიცანი წყალს გატანებული ფასეულობები, დაქცეული ოჯახისა (კვამლადენილი სახლი, ცალ-ცალკე ქალის და მამაკაცის ფიგურები) და ტრადიციების (ეკლესია) სიმბოლოებით, რის შედეგადაც ამ გაურკვეველ ცისფერ ცხოველებს ემსგავსება საზოგადოება.

მსგავსი განწყობაა სურათზე „ქარიშხალი" – ნაცრისფერ ფონზე მხოლოდ შავი ფერით გაბნეულია ქოლგების, ადამიანის, სახლის, ცხენის, ქათმის, კურდღლის გამოსახულებები, რომლებსაც მარჯვენა უკიდურესი კუთხიდან ამოვარდნილი ქარბორბალა-გრიგალი წრისებურად აბზრიალებს და, ალბათ, თან მიაქვს. საით? ამაზე თვითოეულ მნახველს თავისი ვერსია ექნება, მაგრამ ფუძესმოწყვეტილ და ტორნადოს აყოლილ პერსონაჟებს რომ კარგი არაფერი ელით, ესეც ცხადია.

თუმცა, იმედის გადაწურვა ადრეა. როგორც ყველა სამყაროს, ამ სამყაროსაც ხომ ჰყავს თავისი მფარველი ანგელოზები. ანგელოზები, რომლებიც ნინოს სურათებზე სხვადასხვა სიბრტყეში, სხვადასხვა სახით გვევლინებიან – მაგალითად, ერთ მათგანს ყვითელი ქოშები აცვია და ცილინდრი ხურავს, მეორეს – მძივი შემოუხვევია ყელზე, მესამე – ტომარასავით სამოსშია გამოწყობილი და ზემოდან დასცქერის ჰამაკში (თუ მიწიერ სამყაროში) „ჩაყრილ" ადამიანებს. მათ თითქოს არაფერი აქვთ საერთო ჩვენს წარმოდგენილ ანგელოზებთან, არაფერი, გარდა ფრთებისა. ამ ნაცრისფერი სამყაროს მოუხეშავობას მათთვისაც აქვს კვალი დამჩნეული – რაღაცნაირად სევდიანები, ფორმადარღვეულები არიან. მაგრამ ეს გამჭვირვალე, თეთრი ფრთები, ერთი ხელის მოსმით რომ დაუხატავს მხატვარს, მაინც მიანიშნებს, რომ სევდიანი სამყარო ანგელოზებს არ მიუტოვებიათ. მათ, ასე შეცვლილებსაც კი, ჯერ კიდევ აქვთ ფრთები, ესე იგი გადარჩენის იმედი ჯერ არ ამოწურულა, მთავარია დაიჯერო, დაინახო, რომ ისინი სადღაც აქვე არიან, ამ უცნაურ ადამიანებთან.

სიმბოლურია აგრეთვე, ლითოგრაფიული ნამუშევარი „ჩიტის სახლი". ნამუშევარი ძირითადად ორ ფერშია შესრულებული – შავსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მდოგვისფერში, ალაგ-ალაგ თეთრია დატოვებული – სინათლე, რომელიც კედლებს შორის ატანს. ამ გამოფიტული სახლის (რომ არ გამოფიტულიყო ასეთი გაცრეცილი ხომ არ იქნებოდა?) შუაგულში ქალის ფიგურაა დახატული, რომელიც მთლიანად სინათლეშია მოქცეული, მხოლოდ თავის ნაწილია ბნელში (ალბათ, რადგან ეს ქალი სიმბოლურია, მისი სახე ავტორს არ აინტერესებს, სიმბოლოსგან არ მოითხოვს დაკონკრეტებას). სწორედ ქალი, სახლის სახურავი და კიბის ზოლია მდოგვისფერში შესრულებული. ჩემის აზრით, ამ პატარა ნამუშევრის ფარული აზრი ასეც შეიძლება გავიგოთ – ქალი, ცენტრალური ფიგურა ოჯახში, ქმნის აურას სახლში, რომელიც შეიძლება ამ ჩიტის სახლივით მყუდროდ იქცეს. სწორედ ქალის აურის „ფერს" შეუძლია ამ სახლის ან ცამდე ამაღლება (სახურავის ფერი) ან მიწამდე დაცემა (კიბის სიმბოლო)... სწორედ ასეთი მარადიული თემების ასე მინიშნებებით, ამავე დროს პოეტურად გადმოცემაშია, ჩემი აზრით ახალგაზრდა მხატვრის გამორჩეულობა.

რთული იყო ამ წერილის დაწყება... უფრო რთული მისი დასრულებაა. არ ვიცი, რამდენად სწორი იყო ნინო ინჯიას ხელოვნების ჩემეული ინტერპრეტაცია. გამომდინარე იქიდან, რომ ორივე ერთ თაობას ვეკუთვნით, გარკვეული შტრიხები ალბათ სწორად ამოვიცანი, ბევრგან შეიძლება ფანტაზიამ სხვა გზით წამიყვანა. მაგრამ მთავარი ჩემეული აღქმა ხომ არაა, მთავარი ისაა, ნინოს შემოქმედებითმა გზამ არ გადაუხვიოს წარმატებით აღებული სტარტიდან და ქართული მხატვრობის მოყვარულთ წლების შემდეგაც სიამაყით და სიამოვნებით გაეხსენებინოთ მისი ნამუშევრების გამორჩეული ესთეტიკა.

P.S. ნინოსთან სურპრიზები არ ილევა, სანამ მასალა დასაბეჭდად გამზადდებოდა, ლესედრას მერვე საერთაშორისო ყოველწლიური კონკურსიდან (ბულგარეთი) შეტყობინება მოვიდა - ნინომ ცხრა დამატებითი სპეციალური პრიზიდან ერთ-ერთი აიღო და ახალი სიხარული მოუტანა გულშემატკივრებს.



მარჯვნიდან გია ყანჩელი, ზურაბ წერეთელი, ნანა გელოვანი, იური ბაშმეტოვი მოსკოვში, ზურაბ წერეთლის სახელოსნოში.

ვისთვისაც ძვირფასია ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთხოვთ, შეგვეწიოთ!

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;
„ელვასერვისი“, იოსებიძის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია”– ტელ: 93-64-72, 99-01-37 და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43
6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ლექსო ოთარაშვილი

ოპერატორი:
თამარ ტყაბლაძე

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.
Web: www.litandart.com.ge

litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო ინჯია

3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 1512-3189



ფასი 3 ლარი